ალეთეია ბენსოდანეს

ქალი საბჭოთა სოფელში

ზეპირი ისტორიები

თბილისი
2017

ქალი საბჭოთა სოფელში
ზეპირი ისტორიები

შედგენა/რედაქტირება:	ნინო ბექიშვილი
ინტერვიუერები:	ცისანა გოდერძიშვილი მარიამ აბრამიშვილი მარინა ტურაშვილი
ფოტო ყდაზე:	მანანა ლოქაფიშვილის ალბომიდან
სერიის ლოგოს მხატვარი:	ნანა ჭურღულია

სერია „ქალთა მეხსიერება“ © „ფონდი ტასო“, 2017

WOMEN IN THE SOVIET VILLAGE
Oral Histories

Compilation/editing:	Nino Bekishvili
Interviewers:	Tsisana Goderdzishvili Mariam AbramiSvili Marina Turashvili
Cover photo:	From Manana Lokapishvili's photo album
Logotype of the Series:	Nana Churgulia

Women's Memory Series © TASO Foundation, 2017

ISBN – 978-9941-0-9952-6
ISSN – 1987-5185

„ფონდი ტასო“ (ქალთა ფონდი და მეხსიერების კვლევის ცენტრი)
TASO Foundation (Women's Fund and Memory Research Center)

ფონდი ტასო
Taso Foundation

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო
The South Caucasus Regional Office of the Heinrich Boell Foundation

HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

სარჩევი

წინასიტყვაობა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროსგან 7

წინასიტყვაობა 11

ქალები საბჭოთა მეხსიერებით: უჩინარი ტრავმა 15

მესხეთი

თამარა ნადირაძე 40

აღათო გვარამაძე.....56

შიდა ქართლი

მზია ბადრიშვილი 70

ესმა გოგლიძე.....86

ეთერ გოგინაშვილი.....104

მერი გაბინაშვილი.....110

ფშავი

თეკლე მჭედლური.....120

მარგო ნაყეური.....128

სამეგრელო

ციალა პაჭკორია, ...140

ფენია ჭითანავა.....156

ბაგრატ (ბადრი) ახალაია.....174

კახეთი

მარიამ ბერიძე.....208

ციალა მოლაშვილი.....228

გულხანუმ ჩოფანოვი 240

ფატიმათ იმაგაზალიევა.....250

საქინათა გასანოვი.....258

რაუზანათ იბრაგიმოვი.....270

შენიშვნები 283

წინასიტყვაობა
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის
სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროსგან

საქართველოში ქალთა მეხსიერების ზეპირი ისტორიების მეთოდოლოგიით კვლევას საფუძველი „ფონდ ტასოს“ წინამორბედმა „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ქალთა პროგრამამ ჩაუყარა. ამიტომაც, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდისთვის მნიშვნელოვანი იყო, მხარი დაეჭირა „ფონდ ტასოს“ ინიციატივისთვის, მოეძიებინა ქალთა ისტორიები სოფლებში და მიეტანა მათი ამბავი მკითხველამდე, რათა საქართველოს უახლესი ისტორია ამ პერსპექტივითაც ყოფილიყო აღქმული.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო მრავალი წელია, ხელს უწყობს საქართველოში საბჭოთა წარსულის გააზრებას. ჩვენს პარტნიორებთან ერთად უკვე არაერთი კვლევა გამოიცა სტალინიზმის[1], რეპრესირებული ქალების[2], სამოქალაქო დაუმორჩილებლობის და სოლიდარობის პრაქტიკის[3] თუ საბჭოთა და ნაცისტური ტოტალიტარული სისტემების მიერ მეორე მსოფლიო ომის ფრონტებს შორის გაშლილი სისხლიანი პოლიტიკის[4] თემებზე. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიის ოფიციალური თხრობის მიღმა

---

[1] სტალინის თავსატეხი: პოსტსაბჭოთა საზოგადოებრივი აზრის ანალიზი. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო. თბილისი, 2014.

[2] „ალჟირის“ პატიმართა პორტრეტები – სტალინიზმის ისტორიიდან. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო. თბილისი, 2008.

[3] საქართველოს პოლიტიკური წითელი ჯვარი: *დაკარგული ისტორია.* სოვლაბი. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო. თბილისი, 2016.

[4] ტიმოთი სნაიდერი, სისხლიანი მიწები: ევროპა ჰიტლერსა და სტალინს შორის. რადარამი. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო. თბილისი, 2015.

დარჩენილი ხმების გაგონებას; იმათ გამოჩენას, ვინც ფუნდამენტური ისტორიული მოვლენების და ხდომილებების მიღმა გაუჩინარდნენ.

ქალები სწორედ ის უჩინარი ჯგუფია, ვისი სრულფასოვნად აღქმაც ისტორიციზმით მოცულ ქართულ საზოგადოებას საკმაოდ უჭირს. ისტორიის თხრობის ტრადიცია ძირითადად მამაკაცურ ნარატივებს იცნობს – ბრძოლების, მეფეების, გმირების... ბებიების და დედების განცდილი და მოთხრობილი ამბები ნაკლებად ეწერება ოფიციალურ ისტორიაში. ამიტომაც, ისტორიული პროცესის ეს უხილავი მონაწილეები ხშირად რჩებიან როგორც ყოფითი აღქმის, ისე კვლევის მიღმა.

საბჭოთა ინდუსტრიალიზაციის და მისთვის რესურსების მაქსიმალური მობილიზაციისთვის წამოწყებული კოლექტივიზაცია იმ დროისათვის აბსოლუტურად აგრარული საბჭოთა მოსახლეობისთვის მხოლოდ პოლიტიკური რეპრესიების გამო არ ყოფილა ტრაგიკული. ეკონომიკური პოლიტიკა ითხოვდა როგორც ადამიანური, ისე ფინანსური კაპიტალის საზოგადოებიდან „ექსპროპრიაციას“ და სახელმწიფო ეკონომიკის მშენებლობისთვის სრულად მობილიზებას. საბჭოთა კავშირში სოფლის ცხოვრება მხოლოდ პარტიული პროპაგანდის ფონზე როდი მიმდინარეობდა. კომუნისტური სულისკვეთებით გლეხობის „წვრთნის“ საქმეში სახელმწიფო უშიშროების და თავდაცვის უწყებებიც იყო ჩართული. 1930-იანი წლების განმავლობაში, როცა კოლექტივიზაცია უკვე სრულიად შეუქცევადი და ძალდატანებითი გახდა, საბჭოთა ხელისუფლება ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში გლეხთა 13754 მასობრივ გამოსვლას გაუმკლავდა. მას შემდეგ, ათწლეულების განმავლობაში საგულდაგულოდ იმალებოდა სიმართლე გლეხობის მძიმე ყოფაზე და რეჟიმის აუტანელ წნეხზე დაუმორჩილებლობის წინააღმდეგ. არც ის განიხილებოდა, თუ რას ნიშნავდა ქვეყნის შიგნითაც გადაადგილების უუფლებობა (1935-1974 წწ.) და 1860-იან წლებამდელ, ცარისტული ბატონ-ყმობის მდგომარეობაში

გლეხობის დაბრუნება. კოლმეურნედ ქცეული გლეხობისთვის მემამულე საბჭოთა სახელმწიფომ ჩაანაცვლა.

ამ უკიდურესად რთულ პირობებში ყურადღების მიღმა განსაკუთრებულად რჩებოდა საბჭოთა სოფლად ქალთა ყოფა. სახელმწიფოს რეპრესიული და სამხედრო პოლიტიკის შედეგად შეთხელებული მამაკაცური მოსახლეობის ფონზე ქალები იქცნენ სოფლად სოციალისტური მშენებლობის წამყვან ძალად. სახელმწიფოსა და ოჯახის წინაშე შრომითი ვალდებულების ტვირთი მათ ორმაგად დააწვათ. ისინი არც ზოგად ანტისაბჭოთა მოძრაობებს გამოთიშულან: ზემოთ აღნიშნული აჯანყებებიდან 3712 სწორედ ქალთა აქტიური მონაწილეობით და ხელმძღვანელობით მოხდა[5].

ქალების გამოცდილების კვლევა მნიშვნელოვანია არა უბრალოდ ინდივიდუალური ადამიანის ბედის გასაგებად, არამედ საზოგადოების განვითარების გზის, ადამიანებს შორის თანაცხოვრების ფორმების და მათ ჩამოყალიბებაში სახელმწიფოს როლის და მასშტაბის გააზრებისთვის. ცალკეულ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში და განსაკუთრებით რუსეთში ასეთ კვლევებს შედარებით ხანგრძლივი ისტორია აქვს. ისტორიკოსები, სოციოლოგები და ანთროპოლოგები საბჭოთა წარსულის ამ მიმქრალ თემას ეჭიდებიან იმისთვის, რომ ჩაწვდნენ, თუ რას ნიშნავდა ქალის შრომა პიროვნებისთვის, ოჯახისთვის, საზოგადოებისთვის თუ სახელმწიფოსთვის; რას ნიშნავდა დედობა და მეუღლეობა, ქვრივობა თუ „გაუთხოვრობა"; ანაც – ამ კატეგორიების მიღმა ყოფნა; რას ნიშნავდა, ყოფილიყავი საბჭოთა მოქალაქე და გეგრძნო ან გცოდნოდა საბჭოთა სახელმწიფოს სიმძიმე; რას ნიშნავს ყოველივე ამ გამოცდილებით ცხოვრება დღეს, როცა საბჭოთა კავშირში სოციალიზებული ქალი ახალ სახელმწიფოში, მისთვის უცხო საზო-

[5] ტიმოთი სნაიდერი, სისხლიანი მიწები: ევროპა ჰიტლერსა და სტალინს შორის. რადარამი. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო. თბილისი, 2015.

გადოებრივ წესრიგში ცხოვრობს და სულ სხვა რეალობებით მოცულ ქალებს ხედავს.

ამ თემების კვლევისას ყურადსაღებია ისიც, თუ რამდენად შეუძლია ქალაქში სოციალიზებულ მკვლევარს სოფელში მცხოვრები ადამიანების პრობლემების აღქმა და აღწერა? რამდენად კორექტულად შეიძლება საკვლევი ფოკუსის შერჩევა? როგორ შეიძლება მიღებული ცოდნის ინტერპრეტაცია?

„სოფელი“ არ არსებობს გლობალური პროცესებისგან ავტონომიურად. ის სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების სრულუფლებიანი სუბიექტია, მიუხედავდა იმისა, რომ ის ხშირად აღიქმება პერიფერიად, რადგან გარიყულია „ქალაქში“, ანუ ცენტრში მიმდინარე მოვლენებისგან. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ ასეთ შემთხვევაში ტრადიციულობისა („სოფელი“) და მოდერნულობის („ქალაქი“) ხისტი დიქოტომიის მიღმაც დავინახოთ საქართველოს საბჭოთა წარსული.

იმედი გვაქვს, რომ ზეპირი ისტორიების კრებული „ქალი საბჭოთა სოფელში: ზეპირი ისტორიები“, დააინტერესებს მკითხველს და ის საქართველოს უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებშიც მოხვდება, რათა სოციალური მეცნიერებების ახალგაზრდა მკვლევარები გაეცნონ საბჭოთა წარსულის გააზრების ქალურ პერსპექტივასაც. იმედია, უკვე მათი მონაწილეობით ეს პერსპექტივა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება.

ნინო ლეჟავა
დირექტორი

მალხაზ სალდაძე
პროგრამის კოორდინატორი

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის
რეგიონული ბიურო

წინასიტყვაობა

ერთ-ერთი ჩემი რესპონდენტის საოჯახო ალბომში საკ-მაოდ ძველ, გაცრეცილ სურათს ასეთი წარწერა ჰქონდა: „სახსოვრად იმიტომ კი არა, რომ დახედო და მომიგონო, არამედ იმიტომ, რომ მომიგონო და დახედო“. არ ვიცი, რამდენად გავრცელებული იყო ეს ფრაზა მაშინ, გასული საუკუნის ასე 1930-40 წლებში, ვიღაცის მეხსიერებაში მუდ-მივად ყოფნის დიდი სურვილის გამოსახატავად, მაგრამ მე კი პირველად ვნახე სურათის წარწერად და არც ის ვიცი, რატომ ვცადე მაშინვე, დამეკავშირებინა ამ ფრაზაში ნაგუ-ლისხმევი ცოდნა ჩვენი ფონდის მუშაობასთან ზეპირი ის-ტორიების მიმართულებით (2001 წლიდან).

ბოლომდე დაკავშირება, რა თქმა უნდა, არ გამოვიდა, ნაწილობრივ – რასაკვირველია, რადგან ზოგჯერ ჩვენც სწორედ რომ მოვიგონებთ შორეული თუ ახლო წარსულის მოვლენებს და მხოლოდ შემდეგ ვცდილობთ „ჩავხედოთ“ სხვათა მეხსიერებას, რათა იქ აღმოვაჩინოთ ამავე მოვ-ლენების „ადამიანური სურათი“. ეს მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ჩვენთვის უპირველესი ადამიანია, თუნდაც მისი სუბიექტური ხედვა მომხდარის შესახებ, არამედ აგრეთვე იმიტომ, რომ ჩვენივე ცოდნა გაიზარდოს სხვადასხვა, უფრო რთული და ღრმა კავშირების ხედვით.

პირიქითაც ხდება: ჯერ „ათვალიერებ“ ადამიანის მიერ გამოხმობილ წარსულს, შემდეგ კი მიმართავ საკუთარ ცოდ-ნას და ხედავ, როგორი განსხვავებული შეიძლება იყოს მოთ-ხრობილი, ხშირად არაერთთაობაგამოვლილი და იმ წუთში შენთვის მონდობილი ისტორია – სხვანაირად განცდილი და გაზიარებული ძველი ამბავი. რა თქმა უნდა, ადამიანის მეხსიერება სულაც არ არის ზედაპირულად დასათვალიერე-ბელი „ბრტყელი სურათი“. მასთან მიახლოვება ათასგვარ სიღრმეს გაგრძნობინებს. სხვა საქმეა, რამდენად შეძლებ ამ სიღრმეთა წვდომას, თუკი ეს მთხრობელის ნებაცაა.

ერთი კი ცხადია: ამ გზით ძალიან ბევრს სწავლობ, და არა მხოლოდ წარსულის მოვლენების შესახებ.

ამ პუბლიკაციის მიზანიც ეს იყო – ცნობილი საბჭოთა მოვლენები, კოლექტივიზაცია იქნება ეს, სამამულო ომი, პოლიტიკური რეპრესიები თუ სხვა, ადამიანის მეხსიერებაში დაგვენახა, სოფლად მცხოვრები ასაკოვანი ქალების მეხსიერებაში. მოსალოდნელი იყო, რომ „საბჭოთა გამოცდილება“ უმეტესად ტრავმატული იქნებოდა ამ ქალებისთვის. ასე ჩამოყალიბდა პროექტის სათაურიც – „საბჭოთა ტრავმა ქალთა მეხსიერებაში სოფლად“. პროექტის განსახორციელებლად ჩემთან ერთად კიდევ ორმა ინტერვიუერმა, მარინე ტურაშვილმა და მარიამ აბრამიშვილმა, სოფლად მცხოვრებ ქალებს მივაკითხეთ სამეგრელოში, ქართლში, კახეთში, ფშავსა და მესხეთში. სამიზნე რეგიონები იმ ნიშნით შევარჩიეთ, რომ სხვადასხვა მიმართულებით *ფონდის ტასო* მრავალწლიანი მუშაობის შედეგად „ჩვენს ხალხთან“ ერთად შექმნილი და ამუშავებილი სათემო ფონდები გვეგულებოდა და შესაბამისად – დახმარებაც. მართლაც დიდი დახმარება მივიღეთ, რესპონდენტების მოძიებიდან დაწყებული, საოჯახო ალბომებიდან სურათების სკანირებით დამთავრებული. დიდი მადლობა ამ დახმარებისთვის.

სიძნელეებიც გვქონდა (ბუნებრივიც კია საველე პირობებში) – ეს ავარულ სოფლებში ქართულის მცოდნე რესპონდენტების პოვნა იქნებოდა, თუ, რაც არ უნდა მოულოდნელი ყოფილიყო, ფშავის მაღალმთიან სოფლებში ასაკოვანი ქალებისა. აქ ამ სიძნელეებს არ ჩამოვყვებით, თუმცა კიდევ ერთი მოულოდნელობა მაინც მინდა აღვნიშნო, რაც თავად მასალის შინაარსს უკავშირდება. ძალიან დიდი იშვიათობა იყო, ქალთა მონათხრობში გეპოვა პირდაპირი აღქმა საბჭოთა წარსულისა, როგორც ტრავმატული გამოცდილების, პირიქით, იყო დიდი მონატრება და სიყვარული. ამას, რა თქმა უნდა, არაერთი მიზეზი აქვს, მათ შორის ისეთიც, ჩვენთვის იმთავითვე ცნობილი რომ იყო, მაგრამ ზოგჯერ მაინც ძალიან გვიკვირდა, მაგალითად, როცა რეპრესირებული

ოჯახის წევრი თუ სხვა ათასუბედურებაგამოვლილი ქალი თავისი ხელით დახატულ სტალინის სურათს სიყვარულით გულშიჩახუტებულს გამოიტანდა, ანდა კედელზე ხატივით გაკრულს გვაჩვენებდა. ესეც, ალბათ, ცალკე კვლევის საგანია. გვიკვირდა ჩვენთვის გულში, ისე რომ მათ არაფერი უგრძვნიათ. სიმართლე რომ გითხრათ, მე პირადად ერთი წუთითაც არ დამიკარგავს მათთდამი დიდი პატივისცემა ამის გამო. უფრო რაღაც თანაგრძნობა მიჩნდებოდა, როგორც იდეოლოგიის მსხვერპლი ქალების მიმართ, ასე მრავლად რომ არიან ქართულ სოფლებში და დღემდე სჯერათ ბელადისა და საბჭოთა წყობის სიკეთის. ალბათ, ამ შემთხვევაში მთავარია გაიაზრო, სად ეძებ ტრავმას, მათ აღქმასა და განცდებში, თუ მათი სიყვარულისა და დამოკიდებულებების მიღმა, იქნებ თვით ამ გაუცნობიერებულობაში ან თავად მოვლენებში, რომლებმაც ასე ტრაგიკულად განსაზღვრა ქალის ბედი, მაგრამ ამდენი ხნის მერე მათ მეხსიერებაშიც ისევ ცდილობს ტრავმატული კვალის დაფარვას, ადამიანის სისუსტით თუ უპასუხისმგებლობით, ზოგჯერ კი მათი უსაზღვრო მინდობლობით განპირობებული ილუზორული შეფასებების სამუდამოდ დამკვიდრებას. ჩვენი წიგნის მკითხველი ტრავმას სად დაინახავს, ეს მისთვის მიგვინდია. და თუ ჩვენი რესპონდენტი ხნიერი ქალებისთვის რთულია თავიანთი ცხოვრების ხელახალი გააზრება (თუმცა, ეს შეუძლებელი სულაც არ აღმოჩნდა ზოგ შემთხვევაში), აშკარაა, რომ ეს სრულიად აუცილებელია დემოკრატიული განვითარების გზაზე მდგარი ქართული საზოგადოებისთვის.

წინამდებარე პუბლიკაცია მეთორმეტე წიგნია *ფონდის ტასო* გამოცემათა სერიისა „ქალთა მეხსიერება“ (2004 წლიდან). მას წინამორბედებთან საერთოც აქვს და განმასხვავებელიც. ესეც ზეპირი ისტორიების კრებულია, მაგრამ ინტერვიუები აქ მეტად შეკვეცილია, თუმცა შენარჩუნებულია რესპონდენტთა ცოცხალი მეტყველება, ამა თუ იმ კუთხისთვის დამახასიათებელი კილო.

ამბები სხვადასხვა სიმძაფრისაა. ზოგ შემთხვევაში – თითქოს არაფერი განსაკუთრებული. რესპონდენტები არც ყოფილან შერჩეულნი მათი ისტორიების სიმძაფრის ნიშნით. ბევრი მათგანი სოფლის „უბრალო“ ქალია თავისი „უბრალო“ ამბებით. ამ წიგნის ღირსება სწორედ ისაა, რომ „უბრალო“ ქალების ხმას აწვდენს საზოგადოებას. მათი ინფორმაციული თუ კვლევითი ღირებულების აღმოჩენა და დაფასება კი, ისევე როგორც წინა პუბლიკაციების ტექსტებისა, მომავლის საქმეა, როცა მონათხრობები დროში კიდევ უფრო დაშორებული იქნება აწმყოსაგან და „ისტორიულ მოხუც მოწმეებთან“ ერთად დაკარგული, ეპოქისთვის დამახასიათებელი ყოველდღიურობის დეტალები ასეთი პუბლიკაციებითღა იქნება ხელმისაწვდომი. ეს კი უთუოდ შეეწინააღმდეგება მიდრეკილებას – უბრალოდ გავანადგუროთ წარსული და არა შევინახოთ იგი შესასწავლად.

კიდევ ერთი რამ განასხვავებს ამ წიგნს „ქალთა მეხსიერების“ სერიის წინა პუბლიკაციებისგან. ყველა სხვა შემთხვევაში მხარდამჭერს წარმოადგენს ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“. ხოლო „ქალი საბჭოთა სოფელში“ მხარდაჭერილია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მიერ პროექტის „საბჭოთა ტრავმა ქალთა მეხსიერებაში სოფლად“ ფარგლებში. დიდი მადლობა ამ ორგანიზაციას და სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს გუნდს არა მხოლოდ ფინანსური შესაძლებლობისთვის, არამედ მჭიდრო თანამშრომლობისთვის პუბლიკაციის მოსამზადებლად.

ცისანა გოდერძიშვილი
ფონდი ტასო

ქალები საბჭოთა მეხსიერებით: უჩინარი ტრავმა

ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის თვითმხილველთა და მონაწილეთა ნაამბობი ყოველთვის ფასეულია ამ კონკრეტული მოვლენის მეტ-ნაკლებად სრული სურათის აღსადგენად და მთლიანობაში აღსაქმელად. თუმცა, *ზეპირი ისტორია,* როგორც წარსულის კვლევის მეთოდი, შედარებით ახალია და სულ რაღაც სამოცდაათ წელს ითვლის. მას გასული საუკუნის 1940-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი, მაშინ, როცა ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯოზეფ გულდმა გამოსცა კრებული „ჩვენი დროის ზეპირი ისტორია", რომელიც მთლიანად მეცნიერის მიერ წლების მანძილზე ჩაწერილ ინტერვიუებს ეფუძნებოდა. 1948 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტში დაარსდა ზეპირი ისტორიის კათედრა, 1967 წელს კი ამერიკელმა ისტორიკოსებმა *ზეპირი ისტორიის ასოციაცია* შექმნეს, სადაც ქვეყნის თითქმის ყველა დიდი უნივერსიტეტის მკვლევარმა მოიყარა თავი. 1950-იანი წლებიდან დაინერგა ზეპირი ისტორია, როგორც კვლევის მეთოდი, ჯერ ევროპაში – დიდ ბრიტანეთში, შემდეგ – სხვა ქვეყნებშიც; ხოლო რაც შეეხება საქართველოს, ჩვენთან ამ მეთოდს მხოლოდ ათიოდე წლის ისტორია თუ აქვს. ეს იოლი ასახსნელია – საბჭოთა კავშირში მეცნიერების ყველა დარგი ისეთივე იდეოლოგიზირებული იყო, როგორც მედია და ხელოვნება. ისტორიოგრაფია კი პირდაპირ იდგა იდეოლოგიის სამსახურში, იდეოლოგიისა, რომელსაც საერთოდ არ აინტერესებდა ერთი კონკრეტული ადამიანის ბედი ან მისი თვალსაზრისი და პირიქით, ცდილობდა დაეფარა ის მძიმე რეალობა, რომელშიც საბჭოთა მოქალაქეები ათწლეულების მანძილზე ცხოვრობდნენ. მეტიც, იმ დროს ინტერვიუს ჩაწერაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დღიურების წარმოებაც კი გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული. შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლები თუკი იპოვიდნენ, ავტორს

კარგი დღე არ დაადგებოდა. ამიტომაც, ისინი, ვინც 1937-38 წლების ტერორი გამოიარა, დღიურების წერას ერიდებოდნენ. ამას გარდა, ისიც სრულიად შესაძლებელია, რომ საბჭოთა ეპოქაში მეცნიერებს არც სცოდნოდათ კვლევის ამ მეთოდის შესახებ – საზღვრები მაშინ ჩაკეტილი იყო და საბჭოთა ისტორიკოსებამდე ძნელად თუ აღწევდა ინფორმაცია, თუ როგორ და რა მეთოდებით მუშაობდნენ მათი კოლეგები „კაპიტალისტურ“ და „ბურჟუაზიულ“ ქვეყნებში. საბჭოთა კავშირის დროს მხოლოდ ლინგვისტები და ეთნოგრაფები თუ იწერდნენ უბრალო ადამიანებისგან ინტერვიუებს სულ სხვა მიზნებით – ენის, დიალექტის თავისებურებების დასადგენად და ხალხის ყოფის, წეს-ჩვეულებების გასაგებად. დღეს ამ მასალებშიც კი შეგვიძლია ამოვიკითხოთ ძალზე ღირებული ცნობები XX საუკუნის საქართველოს შესახებ, ამბები, რომელთაც ვერც პრესის და ტელევიზიის არქივებში და ვერც მხატვრულ ტექსტებში ვერ შეხვდებით.

თუმცა, საბჭოთა კავშირში 1960-იანი წლებიდან დაიწყო ზეპირი ისტორიების ჩაწერა არა მეცნიერმა, არამედ, მაშინ ჟურნალისტმა და ახლა უკვე ნობელის პრემიის ლაურეატმა ბელარუსმა მწერალმა სვეტლანა ალექსიევიჩმა, რომელმაც 1985 წელს გამოსცა თავისი პირველი რომანი „ომს ქალის სახე არა აქვს“. წიგნი მთლიანად ეფუძნებოდა მის მიერ წლების მანძილზე ჩაწერილ ინტერვიუებს ომის მონაწილე ქალებთან. სვეტლანა ალექსიევიჩი მწერალია და ბუნებრივია, ის მასალას არ ექცევა ისე, როგორც მკვლევარი – სავარაუდოდ, მეტ-ნაკლებად ცვლის ავთენტურ ტექსტს, ურთავს საკუთარ კომენტარებს, მოგონებებს და საბოლოოდ, მხატვრული პროზის ბრწყინვალე ნიმუშებს ქმნის, რომლებმაც მთელ მსოფლიოში მილიონობით მკითხველს დაანახა საბჭოთა მოქალაქეების არაადამიანური ყოფა, ხოლო მწერალს მსოფლიო აღიარება მოუტანა.

ზეპირი ისტორია გულისხმობს დაწვრილებითი, ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით ადამიანის გამოკითხვას, მისი ნაამბობის ჩაწერას, გაშიფვრას, შემდგომ გამოცემას

ან მკვლევრებისთვის ხელმისაწვდომად შენახვას. ზეპირი ისტორია შეიძლება არსებობდეს ვიდეო, აუდიო და წერილობითი სახით. ტრადიციულად, ამ მეთოდით ჩაწერილი ტექსტები რედაქტირებას არ ექვემდებარება, თუმცა, არსებობს მეორე მიდგომაც, როცა რედაქტორი ამცირებს ტექსტს, აცილებს მას ზეპირი მეტყველებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს – ტავტოლოგიებს, წამოცდენებს და გარკვეულწილად ამარტივებს, წასაკითხად უფრო იოლსა და მოქნილს ხდის. ასეთი კრებულები არა მხოლოდ მეცნიერების, არამედ, მკითხველთა უფრო ფართე წრისათვისაა გათვლილი. ეს წიგნიც ასეთია.

***

სოფლად მცხოვრებ ქალებს, რომლებთანაც „ფონდმა ტასომ“ ინტერვიუები ჩაიწერა, შეიძლება, მანამდე არც არავინ დალაპარაკებია საკუთარი ცხოვრების შესახებ. მათ საბჭოთა კავშირში იცხოვრეს, ქვეყანაში, სადაც უბრალო ადამიანი სახელმწიფოს და ერთადერთ მმართველ, კომუნისტურ პარტიას არ აინტერესებდა და არც სატკივარსა და პრობლემებზე ხმამაღლა საუბარი იყო მიღებული. თუკი ქალები დაიჩივლებდნენ, ისევ ერთმანეთში, თორემ საჯარო სივრცე ტოტალურად კონტროლდებოდა, – გაზეთები გაღიმებული მშრომელების ფოტოებს ბეჭდავდნენ, ტელევიზორიც მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს მიერ დასახული გეგმების წარმატებით შესრულებაზე, დიდ მოსავალსა და ბედნიერ ცხოვრებაზე ლაპარაკობდა, ერთ-ერთი რესპონდენტი დღეს რომ იხსენებს, ცოტათი უკვირს კიდეც: *„საინტერესო ის იყო, რომ ამ ხალხს იმდენად სჯეროდა ამ ყველაფრისა, ამ იდეალებისა და ისე ჰქონდათ ძვალ-რბილში გამჯდარი, ეგონათ, რომ ეს ძალიან კარგი იყო, ძალიან კარგად უნდა ეცხოვრათ და კომუნისტებს ბედნიერება მოჰქონდათ ადამიანებისთვის.“*

საბჭოთა კავშირში, ამ ქვეყნის თითქმის მთელი არსებობის მანძილზე, განსაკუთრებით კი, 1970-80-იან წლე-

ბამდე, რომელთაც, შედარებითი სირბილის და ნაკლები სისხლისღვრების გამო „ვეგეტარიანულსაც“ კი უწოდებენ, იყო შიმშილი, ტერორი და ომები. ხალხი მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობდა. სტალინის სიკვდილის შემდეგ, რეჟიმი, რა თქმა უნდა, შესუსტდა, მაგრამ თბილისში 1956 წლის 9 მარტს მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტამ საქართველოს მოსახლეობას კიდევ ერთხელ დაანახა სახელმწიფოს რკინის ხელი და სულის მოთქმის საშუალება კარგა ხანს არ მისცა.

ამ წიგნში წარმოდგენილი ჩვიდმეტი ინტერვიუდან, მხოლოდ ერთი რესპონდენტია მამაკაცი, რომელიც დედის, ლუბა კონჯარიას ამბავს ყვება. მის ნაამბობში კარგად ჩანს ის ტრამვა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ დაუტოვა მოქალაქეებს – სიღატაკე, ომი, ტერორი, უუფლებობა და განსაკუთრებით კარგად კი ის როლი, რასაც პატრიარქალური გარემო უწესებდა ქალს, ამ შემთხვევაში ქალს, რომელმაც ქმარი ომში დაკარგა – *„დასახლდა აქ დედაჩემი გაჭირვებით, თავისი მეობა, თავისი სიწმინდე, ადამიანობა, კოლხური სილამაზე მამაჩემს შესწირა და მე შემომწირა. მთელ დარჩელს, განმუხურს საარაკოდ ჰქონდათ დედაჩემის ამბავი. არ გაყვა არავის. ამისთანა ლამაზი ქალი! თავდადებული, გულღია, ალალი. მთხოვნელები ყავდა ბევრი, ოო, რამდენი, რამდენი!“*

ინტერვიუების რესპონდენტთა საშუალო ასაკი თითქმის ოთხმოცი წელია. ისინი, სოფლად მცხოვრები უბრალო ქალები (თუმცა, რამდენიმე მათგანს უმაღლესი განათლებაც აქვს მიღებული), მომსწრენი არიან საბჭოთა კავშირში განხორციელებული მძიმე და ტრაგიკული ისტორიული მოვლენებისა – კოლექტივიზაციისა, 1937-38 წლების დიდი ტერორისა, მეორე მსოფლიო ომისა, დეპორტაციებისა და ა.შ. და ინტერვიუებში სწორედ ამ მოვლენებს და საკუთარ ცხოვრებას იხსენებენ. ამბები, რომელთაც ინტერვიუები შეეხება, თითქმის სამოც წელიწადს მოიცავს – 1930-იანი წლების კოლექტივიზაციიდან დაწყებული 1990-იანი წლების ეთნიკური ომებითა და არეულობებით დასრულებული.

1930-იანი წლებისთვის, საიდანაც წიგნში წარმოდგენილი ინტერვიუების რამდენიმე რესპონდენტი იწყებს თხრობას, ქართული სოფელი ძირითადად ღარიბი და წერა-კითხვის არმცოდნე გლეხობით იყო დასახლებული. რეპრესიების პირველ ტალღას, რომელიც გასაბჭოებას ახლდა თან, შიში უკვე დაეთესა, სიღარიბე მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობის დიდი ნაწილს და ორმაგად მძიმედ კი – ქალებს, რომელთაც ერთდროულად უწევდათ ოჯახის გაძღოლა, შვილების მოვლა, მძიმე ფიზიკური შრომა და ასევე, კოლმეურნეობებში იძულებითი და მძიმე შრომა ყოველდღიური ლუკმა-პურის მოსაპოვებლად.

ქალების ცხოვრებას საბჭოთა კავშირში ისიც ართულებდა, რომ ძალიან ხშირად, რეპრესიებისა და ომის გამო, ქალი მარტო რჩებოდა, როგორც წესი – მცირეწლოვან ბავშვებთან და მოხუცებთან ერთად და მარტოს უწევდა გაეწია მძიმე ჭაპანი. მამაკაცები ან რეპრესირებულები იყვნენ, ან ომში დაიღუპნენ. ვინც დაბრუნდა, უმეტესწილად, შერყეული ჯანმრთელობითა და ფსიქიკით.

მთიელი ქალები მშვიდობიანობის დროსაც ხშირად იყვნენ მარტო. საქართველოს მთიანეთში ძირითადად, მეცხოველეობას მისდევდნენ. მამაკაცები, როგორც წესი, ცხვარში მიდიოდნენ და ადრეული შემოდგომიდან გვიან გაზაფხულამდე ქალები უძღვებოდნენ მძიმე საოჯახო საქმეს. *„მარტოკამ დავიწყე ეს ბინა, თორმეტი მუშა ვამუშავე. ეს გოგო, რომელიც თბილისში მყავს გათხოვილი, ეგ ზურგზე გუდით მეკიდა და არაგვიდან ვედროებით წყალს ვზიდავდი, მაშ, ორმოც ლიტრიან ბოჩკებს ვავსებდი ღამე და დილით თორმეტ მუშას ვამუშავებდი. ექვსი შვილი, მერე თორმეტი მუშა და ამათი პურ-წყალი! აი, ამ ჩემი სახლის ქვა (ფანჯრიდან მაჩვენებს ეზოში დაყრილ ქვის გროვას), სუ ჩემი ხელით არი აგროვილი, ჩემი ხელით მოტანილი, ლიბო მე გავაჭრევინე, მუშები მე დავიქირავე და ამ ფანჯრებამდე რომ მოვედით უკვე, მოიდა ჩემი ქმარი ცხვრიდან. იცი, რა გაწვალებულმა და გამწარებულმა ვაკეთე ეს სახლი?!“* – იხსენებს ოთხმოცდაორი წლის მაღაროსკარელი მარგო ნეყეური.

ქალებს ერთი მხრივ პატრიარქალური საზოგადოება თრგუნავდა, უწესებდა რა საკმაოდ მძიმე, ძნელად შესასრულებელ წესებს – ქალთა ემანსიპაციისთვის 1920-იან წლებში საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებს, რომლებიც მალევე შეწყდა, ქართულ სოფლამდე არ ჩაუღწევია. ქალი მამაკაცების ნებას ემორჩილებოდა, როგორც წესი, მას საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ათხოვებდნენ, ახალ ოჯახში ხშირად ხმის ამოღების უფლებაც კი არ ჰქონდა და ა. შ. რამდენიმე რესპონდენტი მშობიარობასაც იხსენებს, როგორც მძიმე ტრავმას – მშობიარობდნენ შინ, ხშირად მარტონი, ბებიაქალის გარეშე. მეორე მხრივ, ქალს საბჭოთა სახელმწიფოც მძიმე პირობებში ამყოფებდა – კოლმეურნეობაში მუშაობა იძულებითი იყო და 1960-იანი წლების ბოლომდე იქ დასაქმებული ქალები გასამრჯელოს სახით ხელფასს არ იღებდნენ, მათ ე. წ. შრომადღეებს უწერდნენ და პროდუქტით უხდიდნენ, ფაქტობრივად ამუშავებდნენ, როგორც მონებს. სიტუაცია მხოლოდ მოგვიანებით, 1960-იანი წლების ბოლოდან შეიცვალა. ქალები ყვებიან იმაზე, როგორ მოჰყავდათ მოსავალი, როგორ დადიოდნენ მთაში მწყემსებად, მინდვრებში სამუშაოდ, რამდენს შრომობდნენ და გლეხი მაინც როგორი მშიერი იყო. *„მაგრამ მერე თანდათან საბჭოთა მეურნეობებიც გაჩნდა. საბჭოთა მეურნეობა უკვე ფულად გამომუშავებაზეც იყო. ამან ცოტა სტიმული მისცა ხალხსაც. აძლევდნენ დანაზოგს, მოყვანილ მოსავალს უნაწილებდნენ, ფულსაც იღებდნენ, მაგრამ ეს პრივილეგია ყველას არ ჰქონდა. მაგალითად, ჩვენს რაიონში ხაშურში, ერთი ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობა იყო, დანარჩენი აბსოლუტურად ყველა კოლმეურნეობად დარჩა. ისევ ასე იყვნენ გლეხები, ისევ ამ გაჭირვებაში. მახსოვს კახეთში, გორში იყო საბჭოთა მეურნეობები, მაგრამ ჩვენთან არა ყოფილა“* – იხსენებს სოფელ ტირძნისის მკვიდრი, სამოცდარვა წლის მზია ბადრიშვილი.

აქ წარმოდგენილ ზეპირ ისტორიებს ერთი რამ აქვთ საერთო: როცა ქალები წარსულს – კოლექტივიზაციას, დე-

პორტაციებს, ომს, რეპრესიებს იხსენებენ, როგორც წესი, ამ ყველაფერს უყურებენ, როგორც გარდაუვალ აუცილებლობას, ერთი მხრივ, რეპრესიების წნეხი და მეორე მხრივ – პროპაგანდა იმდენად ძლიერი იყო, რომ სოფლად, ჩაკეტილ გარემოში მცხოვრებ ადამიანებს აღარ შეეძლოთ ეფიქრათ იმაზე, რომ შეიძლებოდა რეჟიმისთვის რაიმენაირი წინააღმდეგობის გაწევა, რაღაცის შეცვლა, საკუთარი სურვილების შესაბამისად მოქმედება და არა ისე, როგორც ამას საბჭოთა ხელისუფლება გადაწყვეტდა. ქვეყანაში გატარებული რეპრესიების მასშტაბს თუ გავითვალისწინებთ, ეს ვითარება მარტივი ასახსნელია – ათწლეულების მანძილზე მიმდინარე ტოტალურმა ტერორმა და სიღარიბემ ხალხი დიდი ხნის მანძილზე დაადუმა და დაიმორჩილა, ხოლო იმ დროისთვის, როცა შედარებით ამოისუნთქეს, ანუ, 1970-იანი წლებიდან, უკვე შეგუებული იყვნენ ბედს – აღარ შიოდათ, მუშაობდნენ, შეეძლოთ განათლება მიეცათ შვილებისთვის და მინიმალური სამედიცინო მომსახურეობაც უზრუნველყოფილი ჰქონდათ. სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ჩამოყალიბდა ურთიერთობის არაფორმალური წესი, რომელიც იმას გულისხმობდა, რომ მოქალაქეს საჯაროდ ხმა არ უნდა ამოეღო პრობლემებზე, დანარჩენი – წვრილმანი კორუფცია და სახელმწიფო ქონების ქურდობა, ფაქტობრივად, დაშვებული იყო და ხელისუფლება ამაზე უმეტესწილად თვალს ხუჭავდა.

შიშმა, რომელიც ათწლეულების მანძილზე მიმდინარე ტერორმა და პროპაგანდამ გააჩინა, უამრავ საბჭოთა მოქალაქეს კიდევ კარგა ხანს შეუზღუდა თავისუფლად ფიქრისა და აზროვნების შესაძლებლობა.

ერთ-ერთ ინტერვიუში[6] რესპონდენტი დაწვრილებით გვიამბობს მამამისის ცხოვრების შესახებ. ყვება დიდი სიყვარულით, შეიძლება ითქვას, აღფრთოვანებითაც კი და იხსენებს ასეთ ამბავსაც – თუ როგორ მიიღო მამამისმა, ად-

[6] ავტორის დაჟინებული თხოვნით ინტერვიუ ამოღებულია უკვე დასაბეჭდად გამზადებული წიგნიდან.

გილობრივმა ჩინოვნიკმა მონაწილეობა მაჰმადიანი მესხეების გადასახლებაში 1944 წელს. იმასაც იხსენებს, ყველას როგორ ეცოდებოდა სრულიად უდანაშაულო ადამიანები, რომლებიც ერთ ღამეში აყარეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს, როგორ გამოაცხობინა პური მამამისმა მეუღლეს და შვილებს, რათა გადასახლებულებისთვის საგზლად გაეტანებინათ... ამის შემდეგ გავიდა ათეულობით წელი, შეიცვალა ქვეყანა, დამოკიდებულება საბჭოთა წარსულის მიმართ, და მაინც, რესპონდენტი მომხდარს აღიქვამს, როგორც გარდაუვალ აუცილებლობას – მამა სამსახურეობრივ მოვალეობას პატიოსნად ასრულებდა და მას უბრალოდ, სხვა გზა არ ჰქონდა: წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში თავად და, სავარაუდოდ, მისი ოჯახიც ვერ გადაურჩებოდა საბჭოთა სახელმწიფოს სასტიკ მანქანას.

ამ ინტერვიუებზე თვალის გადევნება გვიჩვენებს, რა გზა გამოიარა საქართველოს მოსახლეობამ „ვეგეტარიანულ“ 1970-80-იან წლებამდე. რამდენიმე ქალი იხსენებს კოლექტივიზაციის პროცესს და საინტერესოა, რომ ინტერვიუებში ჩანს ორივე მხარე – ღარიბი გლეხები, რომელებიც კოლექტივის ჩამოყალიბებაში იღებდნენ მონაწილეობას და ე. წ. კულაკები, შედარებით მდიდარი, გამრჯე გლეხები, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაფერი წაართვა და მათი დიდი ნაწილი ფიზიკურად გაანადგურა. *„კოლექტივი რო ჩამოყალიბდა, კულაკებს ებრძოდნენ. კულაკები არიან, ყმებიც რო ჰყავდათ, ამას [რესპონდენტის პაპას] არავინ არ ყავდა დაქირავებული, თვითონ და თავისი შვილები მუშაობდნენ, მაგრამ ხომ იყვნენ შურიანები მეზობლები, ჰოდა, აკონტროლებენ ამ კაცს და გააფრთხილეს, შენ კულაკი ხარო. ყარაგოზამ შეიტანა სამი ფუთი ოქრო, ოქროს ფულები იყო, თითო თორმეტ გრამს იწონიდა, სამჯერ თექვსმეტი – ორმოცდარვა კილო ოქრო ჩააბარა, ის თავისი სკები ჩააბარა და რამდენიმე დაიტოვა, ცხრა ძროხა ყავდათ, ის ჩააბარა, ცხენის რემა ჰქონდათ, ის ჩააბარა და კულაკობას გადარჩა. მერე მაინც მოვიდნენ, დააკონტროლეს, ხო შეიძლებოდა,*

დარჩენოდა რამე. ეძებეს სახლში ვერ იპოვეს და გავიდნენ, ტყუილად შეგაწუხეთო, – ბოდიში მოუხადეს,“ – ყვება ერთერთი რესპონდენტი პაპამისის ამბავს. რამდენიმე წლის შემდეგ მის ოჯახს გადასახლების შიშით მაინც მოუწია მშობლიური მხარის დატოვება და კახეთში ჩამოსახლება: *„იმ წელიწადს მოვიდა ძალიან კარგი მოსავალი. ამასობაში, როგორც კი ყარაგოზას ოჯახმა ისევ ისე წამოიწია, უკვე იმდენი ვილაც გაჩნდა იქ, რომ მაშინვე გამოარიდეს ისევ თავი და წამოვიდნენ. თანაც, უკვე 1937 დგებოდა და ხედავდნენ, რო ამათ ყველა ვარიანტში მიადგებოდნენ და გამოვიქეცით ფაქტიურად. მაგიტო აღმოვჩნდით 1936 წელში კახელები. მე 1934-იანი ვარ და 1936-ში ჩამოვედით, ორი წლის ვიყავი“.*

ინტერვიუებიდან ისიც ჩანს, რომ კოლექტივიზაციას სოფლის მოსახლეობას შორისაც ჰყავდა მომხრეები. ერთი რესპონდენტი (ასევე მესხეთიდან) იხსენებს მამის, კოლმეურნის და კომუნისტის ნაამბობს: *„უცხოები რომ მოვიდნენ, მოიწვიეს ხალხი და თქვეს, რომ კოლექტივი უნდა ჩამოვაყალიბოთო. ბევრი ხალხი ცუდად შეხვდა. ღარიბებს უნდოდათ კოლექტივი, მოსავალი რომ ერთნაირი იქნებოდა და ყველა ერთნაირად შეძლებული რომ იქნებოდა. ზოგს კიდე – არაო. ესენი კულაკები იყვნენო. 1929 წელს უკვე გადაწყვიტეს, რომ აუცილებლად უნდა ჩამოყალიბებულიყო კოლექტივი“.*

სრულმასშტაბიანი კოლექტივიზაცია, ანუ, კოლმეურნეობების ჩამოყალიბება საბჭოთა კავშირში 1927 წლის შემდეგ დაიწყო, როცა კომპარტიის საკავშირო IV ყრილობაზე მიიღეს შესაბამისი დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავდა სოფლებში კერძო საკუთრების ერთიანად მოსპობას და კოლმეურნეობების შექმნას. ეს პროცესი მთელ საბჭოთა კავშირში მტკივნეულად და რეპრესიების თანხლებით მიმდინარეობდა და თითქმის 1940-იან წლებამდე გასტანა. პარალელურად გრძელდებოდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მსუბუქი და მძიმე მრეწველობის განვითარება და ქალაქების მშენებლობა. კოლექტივიზაცია, გარდა იმისა, რომ მიზნად ისახავდა მთელი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ერთ სის-

ტემაში, სახელმწიფოს ხელში მოქცევას და გაკონტროლებას, საჭირო იყო რესურსების (ადამიანური და ფინანსური) აგრარული სექტორიდან მრეწველობასა და მშენებლობაში გადასროლა. კოლექტივიზაციამ და ტერორმა გამოიწვია პურის დეფიციტი და შიმშილი. 1930-იან წლებში უკრაინაში ჰოლოდომორმა (*დიდმა შიმშილმა*) ათ მილიონამდე ადამიანი იმსხვერპლა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში კოლექტივიზაციას თან ახლდა რეპრესიები და უკიდურესი გაჭირვება, თუმცა, ტოტალური შიმშილი აქ არ ყოფილა.

სტალინიზმის მკვლევარს, ბრიტანელ მეცნიერ რობერტ კონკვესტს საბჭოთა ხელისუფლების რეალური მიზნების საჩვენებლად მოჰყავს ერთი ადგილობრივი მმართველის სიტყვები, რომლებიც ზუსტად აღწერს 1930-იანი წლების სულისკვეთებას: „დაგვჭირდა შიმშილი, რომ გვეჩვენებინა გლეხებისთვის, ვინაა აქ უფროსი. ეს მილიონობით სიცოცხლედ დაგვიჯდა, კოლმეურნეობების სისტემა კი გადარჩა. ჩვენ ომი მოვიგეთ... ტერორს თან ერთვოდა შიმშილი. ყველგან ყვაოდა პარტიული თავაშვებულობა. მაგრამ, კანონით გაწერილი დასჯის მეთოდებიც დრაკონული იყო: მაგალითად, 1932 წლის 7 აგვისტოს მიღებული სოციალისტური საკუთრების დაცვის კანონი ხორბლის ნებისმიერი, სულ მცირე ოდენობით ქურდობისთვის ათი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. რაიონებსა და ოლქებში ადამიანების გადასახლების ნორმები გააგზავნეს. ადგილი ჰქონდა მასობრივ დახვრეტებსაც. მოგვიანებით, სტალინი ეტყვის ჩერჩილს, რომ ათობით მილიონ კულაკთან მოუხდათ გასწორება, რომელთა „დიდი უმრავლესობა“ გაანადგურეს, დანარჩენები კი ციმბირში გადაასახლეს. სავარაუდოდ, თითქმის სამმა მილიონმა სიცოცხლე სწრაფად მზარდ შრომა-გასწორებითი ბანაკების სისტემაში დაასრულა“[7].

1930 წლის 30 იანვრის დადგენილების „კულაკობის, როგორც, კლასის ლიკვიდაციის შესახებ“ მიხედვით, კულაკები

[7] რობერტ კონკვესტი „დიდი ტერორი“, 1991, მოსკოვი, გვ. 53.

სამ კატეგორიად დაყვეს: 1) ტერორისტული აქტების და აჯანყებების ორგანიზატორები, კონტრრევოლუციონერები, რომლებიც ბანაკებში მიჰყავდათ, ხოლო მათი ოჯახის წევრებს ასახლებდნენ. 2) მეტ-ნაკლებად მდიდარი კულაკები, რომლებსაც ოჯახებად ასახლებდნენ და 3) დანარჩენი კულაკები, რომელთაც მთლიანად ართმევდნენ ქონებას და აძლევდნენ უფლებას, ემუშავათ ქარხნებში ან მშენებლობებზე. 1931-32 წლებში ორ მილიონნახევარ ადამიანზე მეტი გადაასახლეს. ყველა რაიონში მოქმედებდა „სამეული“ – რაიკომის მდივნის, აღმასკომის თავმჯდომარის, შინსახკომის წარმომადგენლის შემადგენლობით, თუმცა, გლეხების ბედს ხშირად ადგილებზე შექმნილი „ბრიგადები“ და „კომისიები“ წყვეტდნენ. საინტერესოა ისიც, 1974 წლამდე (ამ წელს მიიღეს გადაწყვეტილება, რომ პასპორტები სსრკ-ს ყველა მოქალაქისთვის დაერიგებინათ) კოლმეურნეებს პასპორტებიც კი არ ჰქონდათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათ ქალაქში ჩასვლა კოლმეურნეობაში აღებული სპეციალური ცნობის გარეშე არ შეეძლოთ.

კოლექტივიზაციას *დიდი ტერორი* მოჰყვა, ტერორს – ომი, რომელსაც საქართველოდან დაახლოებით სამასი ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ომის თემა რამდენიმე ინტერვიუში ჩნდება, თანაც საინტერესო და ერთგვარად მოულოდნელი კუთხითაც. მაგალითად, ვიგებთ, რომ ფშავლები და ხევსურები ახერხებდნენ, ომში გაწვევისთვის თავი აერიდებინათ და მთებში იმალებოდნენ: *„მამაჩემი ომში არ წასულა, მაშინ იყვნენ თავარიდებულები, გაქცეოდნენ და იმალებოდნენ სადღაც კლდეში სამი თუ ოთხი წელი. მერე რო გამოცხადდნენ, აბა, მოსამართლემა ჰკითხა, რასა სჭამდით, რასა სვამდითო, ქურდაობდით თუ როგორ იყო თქვენი საქმე? ჰოდა, ამაიკითხაო და არაფერ დანაშაული იმათ არა ჰქონდათ. რასა სჭამდითო, სახლიდან მიგვქონდაო, „მალადეც“ თქვენაო, არაფერი დანაშაული თქვენი არ აღმოჩნდაო. მოიდნენ. აპატიეს და მიეცათ თოფები, რო შიშიანობა რომ იყო, დაიცავდნენ თავსა,“* – იხსენებს სოფელ

მაღაროსკარის მკვიდრი ოთხმოცი წლის თეკლე მჭედლური, თუმცა, იმასაც ამბობს, რომ უკანა ფშავიდან ბევრნი წავიდნენ და მხოლოდ ორი დაბრუნდა ცოცხალი, დარჩნენ ქალები ქვრივები და *„თავადა ხნავდნენ, თავადა სთესავდნენ ქალები, როგორც აი, კაცები. ზოგს სამი დარჩა, ზოგს ორი, ზოგს არც ერთი [შვილი]. დაქვრივდნენ, დეეკარგნენ ქმრები“.*

ციალა პაჭკორიას ნაამბობით ვიგებთ მამამისის თავგადასავალს, რომელიც გაიქცა, ომში წასვლას თავი აარიდა და წლების მანძილზე იმალებოდა, რომ დეზერტირობისთვის არ გაესამართლებინათ. მისი ნაამბობიდან ჩანს, რომ ადგილობრივი ჩინოვნიკები, იმავე სოფლის მკვიდრები, აძლევდნენ საშუალებას, დამალულიყო. *„მამაჩემს თითქოს იჭერდნენ, მერე იტყუებოდა, იმალებოდა აქეთ-იქით. ...ისე დამალვაში დიდოსტატი იყო. მოვიდოდნენ დასაჭერად, მამაჩემი ღვინოს რალაცას გამოუტანდა. ეს უფორმო ხალხი იყო, საბჭოს რომ ეძახდნენ, იქიდან იყვნენ ორი-სამი კაცი გამოგზავნილი. „უნდა გამოგვყვე სერაპიონო“, სერაპიონი ერქვა მამაჩემს. არაფერი, რალაცას გკითხავენ, მეტი კი არაფერი, კი არ ჩაგსვამენო შენ ციხეშიო. „კიო“ – ეტყოდა, შარვალს აიღებდა ხელში „ერთი წუთითო, გამოვიცვლიო“ ჰოდა, სად არი, არ არი, გაიქცეოდა.“* თუმცა, ეს მაინც ერთეული შემთხვევები იყო, როგორც წესი, დეზერტირობისთვის მკაცრად სჯიდნენ.

მეორე ქალი, ოთხმოცდათორმეტი წლის ზუგდიდელი ფენია ჭითანავა კი ქალების ომისდროინდელ მარტოობას ასე აღწერს: *„ომის დროს გაგიჟებულები იყვნენ ქალები, უნდოდათ კაცები, მარა სად იყო, სად იყო კაცები, დედა! აქ ერთი ქალი იყო, შვილი გააჩინა, ქმარი ჯარში ჰყვანდა, ომის დროს, ჰოდა, გააჩინა... საბჭოს თავმჯდომარე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყენებდნენ შემთხვევას, ლამაზი ქალი თუ იყო, რატომ არა! საჭმელი და სასმელი სიძვირე იყო. ქალები ხელით თოხნიდნენ, კამეჩებით მერე ხნავდნენ მიწას, გაჭირვებული ცხოვრება გვქონდა, დედა, გაჭირვებული“.* ომის დროს შინ დარჩენილი მამაკაცები, რომელთაც ძა-

ლაუფლებაც ჰქონდათ, ადგილობრივი მმართველები იყვნენ, როგორც რესპონდენტი ამბობს, „იყენებდნენ შემთხვევას“, სინამდვილეში კი – ძალადობდნენ ქალებზე. ძალადობის, შეურაცხყოფის ამბები თან წაიღეს ამ ქალებმა, ვინ იყო მაშინ მათი გამკითხავი ქვეყანაში, რომელსაც ადამიანი აინტერესებდა, მხოლოდ როგორც შრომის იარაღი.

ქალების ნაამბობი შეეხება ხალხების მასობრივ გადასახლებებსაც, რაც სტალინის მმართველობის პერიოდში პოლიტიკური რეპრესიის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და სასტიკი ფორმა იყო – ასეულობით ათას ადამიანს საცხოვრებელი ადგილიდან იძულებით ყრიდნენ და შორეულ მხარეებში, ხშირად, ციმბირისა და შუა აზიის უკაცრიელ ადგილებში ასახლებდნენ. გადასახლების შესახებ გადაწყვეტილებას ქვეყნის უმაღლესი მმართველობა სხვადასხვა მიზეზებით იღებდა, თუმცა, საბაბად მეტწილად ომის დროს სასაზღვრე რაიონების დაცვა და გადასახლებულების „პოლიტიკური არასაიმედოობა“ ჰქონდათ. მთელი ხალხების დეპორტაციებს, როგორც დასჯის მეთოდს, სტალინი ომამდეც მიმართავდა. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონიდან გადაასახლეს მთელი ხალხები – კორეელები[8], გერმანელები[9], ყარაჩაელები[10], ჩეჩნები და ინგუშები[11], ყირიმელი თათრე-

[8] 1937 წელს შორეული აღმოსავლეთის საზღვრისპირა რეგიონიდან ას სამოცდათორმეტი ათასი კორეელი გადაასახლეს შუა აზიაში.

[9] 1941 წლის 28 აგვისტოს გააუქმეს გერმანელთა ვოლგისპირეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ამავე წლის სექტემბერ-ოქტომბერში მთელი სსრკ-ს ტერიტორიიდან შუა აზიასა და ციმბირში გადაასახლეს თითქმის ნახევარი მილიონი გერმანელი.

[10] ყარაჩაის ავტონომიური ოლქიდან 1943 წელს ყაზახეთსა და ყირგიზეთში სამოცდაცხრა ათას ორას სამოცდაშვილი ყარაჩაელი გადაასახლეს.

[11] 1944 წელს ჩეჩნეთიდან და ინგუშეთიდან გაასახლეს ნახევარი მილიონი ადამიანი.

ბი[12], ბალყარელები[13], მაჰმადიანი მესხები, ასევე სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები. *„შიდა იძულებითი დეპორტაციები მთლიანობაში, კაზაკების 1919 წლის დეპორტაციით დაწყებული 1959 წლებში ე.წ. „მუქთახორებით“ დასრულებული – მასშტაბური ისტორიული მოვლენაა, რომელიც მთლიანობაში თითქმის ექვს მილიონ ადამიანს შეეხო. ისინი სსრკ-ში მიგრაციის ტოტალიტარული სახელმწიფოს სისტემის ნაწილია და პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების რთული ურთიერთქმედებით იყო განპირობებული. მათი ძირითადი და განმსაზღვრელი ელემენტები ან ეპიზოდები იყო ე.წ. „კულაკთა გადასხლება“ და „უკანონო ხალხების“ ტოტალური დეპორტაციები დიდი სამამულო ომის დროს“*[14].

მასობრივ დეპორტაციებს ცხადია, ვერც საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა გადაურჩა. 1941 წელს საქართველოდან გაასახლეს დაახლოებით ოცდასამი ათას ხუთას ოთხმოცი გერმანელი, 1944 წელს, შემოდგომაზე კი – ოთხმოცდათხუთმეტ ათასზე მეტი მაჰმადიანი მოქალაქე, ძირითადად, მესხები. თუმცა, მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში საქართველოდან გადასახლებულთა ზუსტი რაოდენობის დადგენა ჭირს. მასობრივი გადასახლებები საქართველოში 1937 წლის ივნისში დაიწყო, როცა სასაზღვრო რაიონებიდან ყაზახეთსა და ყირგიზეთში გადაასახლეს რამდენიმე ათასი ქურთი, 1937 წლის დეკემბერში გაასახლეს ათასობით ბერძენი, როგორც „პოლიტიკურად არასანდო“, 1938 წლის ნოემბერში გადაასახლეს ექვსი ათასი ირანელი

---

[12] 1944 წელს ყირიმიდან გადაასახლეს ორას ათასზე მეტი ყირიმელი თათარი.

[13] 1944 წლის მარტის დასაწყისში ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან შუა აზიაში გადაასახლეს ოცდაჩვიდმეტი ათასზე მეტი ბალყარელი.

[14] პაველ პოლიანი „საკუთარი ნების წინააღმდეგ... სსრკ-ში იძულებითი მიგრაციების ისტორიისა და გეოგრაფიისთვის“ ხელმისაწვდომია აქ: http://www.demoscope.ru/weekly/knigi/polian/polian.html.

სასაზღვრო რეგიონებიდან, ძირითადად, აზერბაიჯანიდან, თუმცა, რამდენიმე ასეული ირანელი საქართველოდანაც გაასახლეს. ამ ორი მასშტაბური დეპორტაციის გარდა (გერმანელები და მაჰმადიანი მესხები), როცა გადასახლებას მთელი ხალხები დაექვემდებარნენ, ომის შემდგომ საქართველოდან გადასახლებების რამდენიმე შედარებით მცირე ტალღაც განხორციელდა. 1948-49 წლებში გადაასახლეს ბერძნები, რომელთა დიდი ნაწილიც აფხაზეთში ცხოვრობდა, 1951 წელს კი სტალინური პერიოდის უკანასკნელი დეპორტაცია განხორციელდა, როცა დაახლოებით ათასი „ირანელი", მათ შორის აზერბაიჯანელები და ქურთი ებრაელები გადაასახლეს ყაზახეთსა და ციმბირში[15].

მაჰმადიანი მესხები 1944 წლის 15 ნოემბრის ღამეს გადაასახლეს, მესხეთის რამდენიმე ასეული სოფელი ერთ ღამეში დაცარიელდა. აღათო გვარამაძე ასე აღწერს გასახლების პროცესს: *„თათრებს რო ასახლებდნენ, ოცდაოთხი საათი გარეთ არ გამოგვიშვეს, ჯარი ჩადგა და არც იმათ არ იცოდნენ, რა მოხდა. ოცდაოთხ საათში დაიცალა სოფელი, ვის რას მოეხმარებოდი, გახვიდოდი, ტყვიას გესროდნენ. გარეთ ქართველები არ გამოუშვიათ, ისე მოხვეტეს და წაიყვანეს. ჩვენთან მტრობა იმათ ჰქონიათ. გული დამწყდა იმიტომ, რომ ამხანაგები იყვნენ გოგოები და ერთად კარგად ვთამაშობდით. არაფერს არ გვერჩოდნენ".*

ათეულობით ათასი მაჰმადიანი მესხი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეყარეს ჯერ სატვირთო მანქანებზე, შემდეგ სატვირთო მატარებელში და შუა აზიის გზას გაუყენეს. დეპორტაცია შეეხო ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, ბოგდანოვკის მოსახლეობას, ეთნიკური კუთვნილებით თურქებს, ქურთებსა და ხემშილებს (*მუსლიმ სომხებს*). არ აქცევდნენ ყურადღებას არც პარტიულობას, არც რაიმე სხვა დამსახურებას, არც ასაკს... გადასახლებულებს უფლება მისცეს თან წაეღოთ პირადი ნივთები, ტანსაცმე-

[15] რობერტ კონკვესტი „დიდი ტერორი", 1991. მოსკოვი, გვ. 62.

ლი, თითოეულ ოჯახს ერთი ტონა ტვირთის წაღება შეეძლო.

გადასახლებულების სახლებში ეთნიკური ქართველები შეასახლეს. ეს ოჯახები შედარებით მცირე მიწიანი და მთიანი რაიონებიდან იყვნენ. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ის თავისი ნებით წავიდა მესხეთში, თუმცა, ვითარება სულაც არ დახვდა ისეთი, როგორსაც მოელოდა. *„ჩამოვედით მატარებლით. პირველი მატარებელი იყო ახალციხეში, რომელიც 1944 წლის ნოემბერში შემოვიდა. მატარებლიდან ეს ხალხი გადმოვიდა და გადმოვიდა... ძალიან ღარიბები, ზოგს ლოგინიც არა ჰქონდა, ტყავები ჰქონდათ. რაიონის ხალხი დახვდა ამ მატარებელს ახალციხეში. „ექვსი მანქანა ხერთვისში! ხუთი მანქანა ოთაში! სამი მანქანა იდუმალაში!“ – დაყვეს ეს ჩვენი ხალხი, გაანაწილეს სოფლებში. დედას ძმებთან ერთად მე მოვხვდი ხერთვისში. რაიონიდან ხალხი იყო, რაიკომიდან, აღმასკომიდან რო არ გვეტირა, არ გველრიალნა. აქ ბანიანი სახლები იყო, ჩვენთან ბანიანი სახლები არ დაგვინახნია. ვინც ცოტა ისეთი ოჯახებიდან იყო, იტირა, იღრიალა. ჩემი დედას ძმები კარგად იყვნენ და იმათ სუ იტირეს. ვინც ძალიან ღარიბი ოჯახიდან წამოვიდა და სახლიც არ ჰქონდა იქ, დუშეთში, ისინი კარგად მოერგნენ. ეს რაიკომისა და აღმასკომის ხალხი გვეუბნებოდნენ, აი, ხედავთ ამ თუთის ხეებს, ერთი თუთა ერთი ძროხაა, იმდენი შემოსავალი აქო, – აგიტაციას ეწეოდნენ. აქ ისეთი ხალხი ცხოვრობდა, რო სუ ოქროთი სავსეები იყვნენო. ჩვენი მოლოდინები არ გამართლდა, ჩვენ არც ძროხა მოგვცეს, არც ცხვარი. მოგვცეს რა: ოთხი ცხენი“.*

წიგნში წარმოდგენილი რამდენიმე ინტერვიუ ავარელ ქალებთან იმ სირთულეებსაც ასახავს, რასაც ეთნიკური უმცირესობები აწყდებოდნენ საბჭოთა კავშირში და მისი დაშლის შემდგომ. დაღესტანში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფებიდან საქართველოში, ყველაზე მრავალრიცხოვანნი ავარელები, იგივე ხუნძები არიან, რომლებიც კომპაქტურად სახლობენ აღმოსავლეთ საქართველოში, ყვარლის რაიონის რამდენიმე სოფელში.

რესპონდენტებს, ღრმად მოხუც ქალებს, ახსოვთ ჩეჩნეთში გადასახლება და შემდგომ ისევ უკან, საქართველოში დაბრუნება. ისინი 1944 წელს, ჩეჩნებისა და ინგუშების დეპორტაციის შემდეგ დაცარიელებულ სახლებში შეასახლეს. ჩეჩნების და ინგუშების გადასახლების ოპერაცია 1944 წლის 23 თებერვალს დაიწყო, 9 მარტს დასრულდა და არ ყოფილა ისეთი „მშვიდობიანი", როგორც მაჰმადიანი მესხების დეპორტაცია. ჩეჩნების ნაწილმა შეიარაღებული წინააღმდეგობაც სცადა, რასაც ასობით მსხვერპლი მოჰყვა, დაახლოებით, ექვსი ათასმა ადამიანმა მთებს შეაფარა თავი. ოთხმოცდაექვსი წლის ფატიმათ იმაგალიევა სოფელ თივიდან იხსენებს, როგორ ეყარა ჩეჩნების გვამები სოფელში, საბძლებში კი – დახოცილი, ყელგამოჭრილი საქონელი. ცამეტი წლის შემდეგ, როცა ავარები ჩეჩნეთში ასე თუ ისე დამკვიდრდნენ და ფეხი მოიკიდეს, მათ ისევ აყრა და უკან, საქართველოში დაბრუნება მოუწიათ. 1957 წელს ნიკიტა ხრუშჩოვის ხელისუფლებამ ჩეჩნებს სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცა და დეპორტირებულებმა საკუთარ სახლებს მიაკითხეს. იქ მათ არავინ ელოდა. საქინათა გასანოვი იხსენებს, რომ ინგუშეთიდან ავტომატებით გამოყარეს, ხოლო აქ, საქართველოში, არ აძლევდნენ უფლებას, დასახლებულიყვნენ. ბოლოს, ღორების ფერმას შეაფარეს თავი, *„მთელი ყვარელი ამბობდა: არ შეიძლება, არ მიგიღებთო! აქ ჩამოვედით, ძალათ დავსახლდით აქ."*

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც რესპონდენტები იხსენებენ, 1959 წლის 9 მარტია, როცა ხელისუფლებამ ბრძანება გასცა, თბილისში სტალინის სახელის დასაცავად გამოსულ ათასობით მშვიდობიანი დემონსტრანტისთვის ცეცხლი გაეხსნათ, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. გამოსვლები თბილისსა და გორში 5 მარტს დაიწყო. დემონსტრანტები ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ „პიროვნების კულტის" დაგმობას აკრიტიკებდნენ. 1959 წლის 14-25 თებერვალს ჩატარდა კომუნისტური პარტიის XX ყრილობა, სადაც ნიკიტა ხრუშჩოვმა წაიკითხა მოხსენება, რომლის შინაარსიც,

მართალია, ფართო საზოგადოებისთვის დახურული იყო, მაგრამ გადაეგზავნათ პარტიულ მუშაკებს მთელი სსრკ-ს მასშტაბით, და ინფორმაციამ გაჟონა. მოხსენების „შერბილებული“ ვარიანტი საჯაროდ გამოქვეყნდა იმავე წლის 30 ივნისს. საბჭოთა ადამიანებისთვის ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ამის შემდეგ სსრკ-ში რეჟიმი შერბილდა, „დიდი ტერორის“ დროს დახვრეტილების რეაბილიტაცია მოხდა (მათ „ხალხის მტრის“ იარლიყი ჩამოაშორეს) და მილიონობით გადასახლებულს მიეცა სამშობლოში დაბრუნების საშუალება. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში ილაპარაკა სტალინის დანაშაულებებზე და აღნიშნა, რომ „ეს ყველაფერი სტალინის „ქართველი ერის დიდი შვილის“, როგორც სიყვარულით ეძახდნენ ქართველები თავიანთ თანამემამულეს, „გენიალური“ ხელმძღვანელობით კეთდებოდა“.[16] როგორც ჩანს, დემონსტრანტები განსაკუთრებით შეურაცხყოფილები დარჩნენ ამ ფრაზით. მარიამ ბერიძე დაწვრილებით იხსენებს მიტინგების მიმდინარეობას და შემდგომ განვითარებულ პროცესებს. *„მე და ყარამანი (ბიძაშვილი) 1956 წელს მიტინგის მონაწილე ვიყავით, ის თბილისში და მე გორში, ...ჩემ ლექსებს კითხულობდნენ, დიდი ამბავი იყო. დილის ხუთ საათზე რომ გავდიოდი იმ ხუთ დღეს, ღამე თორმეტზე, პირველზე შევდიოდით სახლში და სიტყვებს ვადგენდით გორის სტუდენტები, კავშირი გვქონდა ამათთან. ვიცოდით, რო მარტო სტალინი კი არ უნდა დაგვეცვა, საქართველოს თავისუფლებისთვის უნდა გვემღერა, ლექსები გვეთქვა და სიტყვაში გამოვსულიყავით.“*

ოფიციალური მონაცემებით, 1956 წლის 9 მარტს ოცდაშვიდი ადამიანი დაიღუპა, თუმცა, არაოფიციალური ინფორმაციით, დახოცილთა რაოდენობამ ასს გადააჭარბა. დღეს მსხვერპლის შესახებ ზუსტი ინფორმაციის დადგენა ჭირს.

დღევანდელ მკითხველს, ცხადია, გაუკვირდება ის და-

[16] ნიკიტა ხრუშჩოვის სიტყვა პარტიის XX ყრილობაზე. ხელმისაწვდომია აქ: http://www.coldwar.ru/hrushev/cult_of_personality.php.

მოკიდებულება, რომელიც რესპონდენტი ქალების უმეტესობას აქვს სტალინის მიმართ. მათ დღესაც უყვართ ბელადი, ერთი ქალი იმასაც ნატრობს – ნეტავ ისევ სტალინი მოვიდოდეს და ყველაფერს დაალაგებდესო. ამ ფაქტის ახსნა რთული არ არის – საბჭოთა პროპაგანდა იმდენად მძლავრი იყო, რომ მისგან გათავისუფლება ამდენი წლის შემდეგაც ჭირს და კიდევ ერთი, – აქ სტალინის ეთნიკური წარმომავლობა თამაშობს მნიშვნელოვან როლს, ოკუპირებული და რეპრესირებული ქართველობა ამაყობდა და რაღაც ნაწილი ახლაც ამაყობს „ბელადის" ქართული წარმოშობით. *„სტალინისადმი სიმპათიას რუსეთსა და საქართველოში განსხვავებული მიზეზები აქვს – თუ რუსეთში სტალინი პატერნალისტური წესრიგისა და „სახელმწიფოს მკაცრი ხელის" სიმბოლოა, საქართველოში ის უფრო ნორმიდან გადახვევად, არსებული წესრიგის წინააღმდეგ აჯანყებულად აღიქმება. ქართველებისთვის დღემდე უჩვეულოა ის, დაპყრობილი ერის წარმომადგენელი მეტროპოლიის სათავეში მოექცა"* – აღნიშნავს ლაშა ბაქრაძე სტატიაში *„ქართველი ერის საამაყო შვილი" ჯერ კიდევ ჩვენთანაა"*[17].

საქართველოს სოფლებში მოსახლეობას ამოსუნთქვის შესაძლებლობა მხოლოდ 1970-იანი წლებიდან მიეცა, როდესაც კოლექტივიზაციაც წარსულს ჩაბარდა, ომიც, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ე.წ. შრომადღეები გააუქმეს და ხელფასების გადახდა დაიწყეს. პარალელურად, საქართველოს რეგიონებში, რაიონულ ცენტრებში ვითარდებოდა ინდუსტრიაც, ხალხს დასაქმების შესაძლებლობა მიეცა და ტერორით, ომით გადაღლილი მოსახლეობის ყოფა მეტ-ნაკლებად შემსუბუქდა, განათლების მიღების შესაძლებლობა და უფასო ჯანდაცვა იყო ის მინიმუმი, რასაც საბჭოთა სახელწმიფო თავისი მოქალაქეებისთვის უზრუნველყოფდა. არცაა გასაკვირი, რომ ხალხის ხსოვნა-

[17] „სტალინის თავსატეხი", 2013, თბილისი, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიუროს გამოცემა. ხელმისაწვდომია აქ. https://ge.boell.org/sites/default/files/stalin_puzzle_176x250mm_corrected.pdf.

ში დარჩა ასე თუ ისე ნორმალური ცხოვრების წლები, დრო, როცა ახალგაზრდები იყვნენ, ჰქონდათ სამუშაო და ყოველ-დღიური ლუკმა-პური არ უჭირდათ. *„ხალხი თითქოს უფრო კმაყოფილი იყო იმიტომ, რომ დაუსაქმებელი არავინ იყო, ყველას ასაქმებდნენ. იყო გახსნილი ფაბრიკები, ქარხნები. ხალხი მერე დაიძრა იქითკენ. მარტო ხაშურში იმდენი საწარმო იყო. ჩვენ იქვე ხაშურთან ახლოს ვიყავით და ჩვენი ხალხიც მიდიოდა. კოლმეურნეობაშიც ხომ მუშაობდნენ, პლუს იქაც მიდიოდნენ. ხაშურში ამ დროს აშენდა უდიდესი, გიგანტური საფეიქრო, საგალანტერიო ფაბრიკა, რომელიც უშვებდა სხვადასხვა საგალანტერიო საქონელს და ძალიან ბევრი, განსაკუთრებით ქალები, მუშაობდნენ იმ გალანტერიის ფაბრიკაში და კარგად იღებდნენ ანაზღაურებასაც“* – იხსენებს მზია ბადრიშვილი.

ამ წიგნის გასაგებად აუცილებელია ერთი თავისებურების გათვალისწინება – რესპონდენტი ქალების უმეტესობა არადღევანდელი, არამედ სწორედ საბჭოთა პერსპექტივიდან ყვება მომხდარზე, რადგან როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, მათ უკვე აღარ ჰქონდათ აღარც პიროვნული რესურსი და არც გარემო პირობები იყო იმისთვის, რომ შეეცვალათ მსოფლმხედველობა, შეეფასებინათ და გადაეფასებინათ განვლილი ცხოვრება და ის ქვეყნა, სადაც იცხოვრეს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მათთვის სრულიად უჩვეულო, განსხვავებული და არანაკლებ მძიმე ცხოვრება დაიწყო ახალი განსაცდელებით – სოციალური სიდუხჭირით, ეთნიკური ომებით და რა გასაკვირია, რომ ახალი და ჯერ სრულიად უცნობი გამოწვევების წინაშე სრულიად მარტო აღმოჩენილმა უკვე ხნოვანმა ადამიანებმა ვეღარ შეძლეს ყველაფრის გადაფასება. თანაც ახალმა დროებამ მათ შვება ვერ მოუტანა – სიღარიბე და უმუშევრობა დღევანდელ საქართველოში, და განსაკუთრებით კი, სოფლებში ისევ მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობას. *„ის საბჭოთა პერიოდი მერჩივნა ამ პერიოდს, სიმართლე რომ გითხრა. იმიტომ, რომ მაშინ რაღაც ბარაქა იყო. ვაშლს დაკრეფდი ან ჭანჭურს ან*

რალაცასა, პუნქტში ჩააბარებდი. ეხლა ალარაფერი, ეხლა ძალიან გაგვიჭირდა ჩვენცა. ვაშლს წამალი უნდა, ნათესები უნდა მოახვნევინო, სად იყო ასეთი ამბები. ყველას გაუჭირდა თითქმისა. ძალიან გაგვიჭირდა ეხლა, ძალიან“ – ამბობს ეთერ გოგინაშვილი.

***

იოსიფ ბროდსკი ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებს ასეთ ამბავს – როცა 1962 წელს გადასახლებაში ეტაპით მიდიოდა, მასთან ერთად მგზავრობდა სამოცდაათი წლის გლეხი, რომელსაც სასუქი მოუპარავს და ათი წლით გადაუსახლებიათ. „მე მივხვდი, – ამბობს ბროდსკი, – რომ ეს მოხუცი ან გადასახლებაში მოკვდება, ან რომელიმე ბანაკში, ან მატარებელში, და არავის, არავითარ „ამინისტი ინთერნეიშენალს“, არც საბჭოთა მწერლების კავშირს და არც მით უმეტეს, ჩემს ახალგაზრდა მეგობრებს არაფერი ეცოდინებათ მასზე და არც არაფერს იტყვიან. ამან ჩემზე უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა. მივხვდი, თუკი საერთოდ, რამეს მივხვდი, ესაა – ის, რასაც ვაკეთებ და ისიც, რაც ახლა ხდება ჩემს თავს, ადრე თუ გვიან, წამადგება კიდეც, ჩემზე ვიღაც აუცილებლად იზრუნებს, ამ ადამიანზე კი – სრულიად არავინ. აი, ესაა უფსკრული კულტურასა და ხალხის ცხოვრებას შორის. და ის საშინელია“.

ეს წიგნი, სადაც უბრალო ადამიანების ხმა ისმის, კულტურასა და ხალხის ცხოვრებას შორის არსებული უფსკრულის ამოვსების მცდელობაა.

ნინო ბექიშვილი

ინტერვიუები

მესხეთი

თამარა ნადირაძე, აღათო გვარამაძე

ფოტო გადაიღო და ინტერვიუ ჩაიწერა ცისანა გოდერძიშვილმა.
ასპინძა, 2016 წლის სექტემბერი.

თამარა ნადირაძე

დაიბადა 1925 წელს დუშეთში, სოფელ ჩრდილელაანთკარში. მამა, სანდრო სონიშვილი, აქტიურად მონაწილეობდა კოლექტივის ჩამოყალიბების პროცესში.

იგი ერთ-ერთი მიგრანტთაგანია, ვინც პირველი მატარებლით ჩავიდა ახალციხეში 1944 წლის ნოემბერში „თათრების გასახლების“ შემდეგ, ცხრამეტი წლის აქვე გათხოვდა ფრონტიდან ახლადდაბრუნებულ ნიკოლოზ ნადირაძეზე და შეეძინა სამი შვილი.

დღეისათვის ცხოვრობს ასპინძაში. ოთხმოცდათერთმეტი წლის ასაკამდე ჰქონდა საკუთარი სავაჭრო ჯიხური, ყიდდა წვრილმანებს და არჩენდა ქალიშვილის ოჯახს. კორპუსის ეზოში, ყოფილ ავტოფარეხში თავისი დანაზოგით მოაწყო საცხოვრებელი და შვილთან ერთად გადავიდა, ბინა დაუთმო შვილიშვილის ახლადშექმნილ ოჯახს. მენჯის ძვლის მოტეხილობამ აიძულა თავი დაენებებინა აქტიური შრომისთვის.

ჰყავს სამი შვილი, ცხრა შვილიშვილი, ოცი შვილთაშვილი და ერთი შვილთაშვილის შვილი.

მამაჩემი ნასწავლ კაცად ითვლებოდა სოფელში, მეოთხე კლასი ჰქონდა დამთავრებული და ვისაც განცხადება უნდოდა თუ რა, მამაჩემთან მოდიოდნენ შესაკითხად. თამადათაც სულ მამაჩემი მიჰყავდათ. მამაჩემი დედისერთა ყოფილა და მალე დანიშნეს თურმე, რო რძალი გვყავდეს სახლშიო, ჩვენ აღარ შეგვიძლიაო. დედაჩემი დედინაცვალს გაუთხოვებია თხუთმეტი წლისა. მერე ნელა-ნელა მამაჩემს ხელობა უსწავლია და მეოთხე კლასამდე უვლია სკოლაში. ჰოდა, ნასწავლ კაცს უძახდნენ, განცხადების წერა რო იცოდა.

მე დუშეთელი ვარ, რაიონიდან გადმოვიდა ორი კაცი და დაუძახეს მამაჩემს, კოლექტივი უნდა ჩამოვაყალიბოთ და შენ უნდა გვიხელმძღვანელოო. ჩვენ სახლთან დიდი ბაღი გვქონდა და ამ ბაღში დაჯდნენ. ისე კარგად მახსოვს, მაშინ ცხრა-ათი წლისა ვიქნებოდი, მე ნამდვილად 1925-ში ვარ დაბადებული და 1926-ში ვწერივარ. მამაჩემმა მითხრა, წადი ზაქრიაანთ შიოს დაუძახეო, ჯერ ახლო მეზობლებს ვუთხრათო, რო დაგვეხმარონო, მამაჩემს უნდოდა კოლექტივი რო ჩამოყალიბებულიყო. გავიქეცი და დავუძახე. ძაან დიდი ბოდიში, მე ცუდი სიტყვების თქმა არ მიყვარს, მაგრამ იმ ძალუაჩემმა ასე მითხრა, რო მაგათ დედ-მამასა ძაღლმა გადაატრაწოსო და მაგათ კოლექტივსაცაო. მოვედი და იმდენი არ ვიცოდი, რო ზუსტად ეგრე ვუთხარი. მამაჩემი წამამიხტა, შენ გამჩენ ძაღლო შენაო (*ხმას იბოხებს და გაბრაზებული ტონით ამბობს*), გითხრა და გითხრა, აქ რაღათ ამბობო. მერე ეს ორი კაცი და მამაჩემი ყველა ოჯახში შევიდნენ. აი, ესე ჩამოაყალიბა მამაჩემმა კოლექტივი.

ჩვენ ორი ხარი გვყავდა, მერე იმას უღელი ჰქონდა, ჯაჭვი, ურემი გვქონდა, ეს ყველაფერი კოლექტივისთვის უნდა ჩაგებარებინა, სუ ყველაფერი, უშესყიდოდ. ასე ყველაფერი შეგროვდა, კოლექტივი რო ჩამოყალიბდა, გამოყვეს ერთი კაცი, საწყობის გამგე. ეს იყო იოსება, კაი კაცი იყო ძალიან, ამას ჩააბარეს ყველაფერი, შეიქმნა ფერმა, სადაც ეს საქონელი იყო, აბა, ხარები ჩემი ხო აღარ არი, კოლექტივს უნდა მიეხედა. მერე ძროხები... ვისაც ბევრი ძროხა ჰყავდა, ართმევდნენ და ერთს უტოვებდნენ, დანარჩენი კოლექტივში.

სტალინი ამბობდა, რო ყველა ერთნაირად უნდა ცხოვრობდესო. ბევრს არ უნდოდა, მაგრამ ძალდატანებით... აშენებდნენ, მაგრამ როგორ აშენებდნენ, არ ვიცი. ვისაც ექვსი ხარი ჰყავდა და ხუთი ძროხა, რათ უნდოდა იმას კოლექტივი! ვისაც ერთი ხარი ჰყავდა, იმას უხაროდა. ასე შეიქმნა კოლექტივი, ხუთი თითივით მახსოვს, ბაზალეთში, ჩრდილელიანთ კარი უბანი იყო, საბჭო ერთი იყო. მანდ ერთი დიდი ტრიალი მინდორი იყო და უკან ტყე, ეს იყო კოლექტივი, ყველა სოფელში იყო ერთი კოლექტივი, გინდა ორმოცი ოჯახი ყოფილიყო და გინდა სამასი ოჯახი – ერთი კოლექტივი. კოლექტივში იყო თავმჯდომარე, ბუღალტერი, ბრიგადელი. თუ ბევრი ხალხი იყო – რამდენიმე ბრიგადელი, ამ ბრიგადელს ჰყავდა რგოლის ხელმძღვანელი. მეც ვიყავი რგოლის ხელმძღვანელი.

მე რო საშუალო დავამთავრე, მამაჩემი ჯარში იყო და იმ წუთში რგოლის ხელმძღვანელად გამიშვეს. აბა, დედაჩემის და ჩემი და-ძმებისთვის უნდა მემუშავა ძალაუნებურად. ბრიგადერსა რგოლის ხელმძღვანელები ვყავდით. დაგვიძახებდა ბრიგადერი, სამუშაოთ წადით აქა და აქაო, ათი ოჯახი თუ მყავდა რგოლში, ამ ათი ოჯახის მონაცემს მივცემდით ბრიგადერს. ბრიგადირი ბევრს არა წვალობდა, ჩვენ, რგოლის ხელმძღვანელები ვწვალობდით. მონაცემებში შედიოდა, რამდენი გათოხნა, როდის გათოხნა. ჩაწყობები არ იყო, კანონი იყო, სტალინის კანონი.

წინათა, შვილო, გადასახადები იყო, აი, 1937 წელს იქითა და იმის აქეთ, რაც მე ვიცი და ხუთი თითივით ვიცი. გადასახადები იმიტო იყო, რო აბა, ეს საავადმყოფოებში უფულოდ რო იყო, იმათ ჭამა არ უნდოდათ ავადმყოფებსა?! ჯარს ჭამა არ უნდოდა?! იმიტო ვიხდიდით გლეხები. და გადასახადები რა იყო: წელიწადში უნდა გადაგეხადა სამოცი კილო ხორცი ერთ ოჯახს, სამოცი კვერცხი აუცილებლად. რამდენი ძროხაც გყავდა, თითო ძროხაზე ოთხი კილო ერბო, თუ ბერწი იყო – ორკილონახევარი. მერე ის იყო – ობლიგაციები, ობლიგაციის ფული მერე დაგვირიგეს, სუ გაგვინაღდეს. ეხლა

ეს ხორცი როგორ იყო: მიიტანდი, ჩააბარებდი. ძროხას წაიყვანდი შენ, მაგალითად გამოვიდა სამასიკილო ძროხა, რამდენიმე მეზობელი შევიკრიბებოდით, რო ათი კილო მე მინდა, ხუთი კილო მე მინდა, სამოცი კილო მე მინდა, თუ მქონდა საშუალება, იმ სამოც კილოს სულ ერთბაშად გადავიხდიდი. რაც უღირდა ძროხის პატრონს ხორცი, იმას აძლევდნენ და ასე აბარებდა ხორცს რამდენიმე მეზობელი. ვინც მდიდარი იყო და შეძლება ჰქონდა, მთლიანად სამოც კილოს ყიდულობდა და იხდიდა ვალს. ასეც კვერცხი: კვერცხს გლეხი შეაგროვებდა, წაიღებდა და ერთბაშად ჩააბარებდა. ქვითარს გაძლევდნენ, ოღონც იმისას კაპიკებს გაძლევდა სახელმწიფო, რასაც აბარებდი. ყველაფერი იაფი იყო, მარილს მე თვითონ ვყიდიდი ექვს კაპიკად.

გლეხობას გადასახადი არ უნდოდა. არა ჰქონდათ საშუალება და!.. ერთხელ მამაჩემთან ერთი კაცი მოვიდა და უთხრა, ჩვენ სოფელში სტალინის ძეგლი დავდგათო და დედაჩემმა უთხრა, რას ამბობ, ემანდ ვინმე მოვა და ლაყე კვერცხები არ ჩამოჰკიდონო. ყველაზე მეტს კი ის ჩამოჰკიდებდა, ვისაც მეტი ფული ჰქონდა, არ უნდოდა, შეეტანა კოლექტივში. მამაჩემმა, გაჩუმდიო, ქალო, გაჩუმდი, რას ამბობ, გადი, შვილო, გაიხედე, ვინმემ ხო არ გაიგოო, – მე მითხრა. აი, რა შიში იყო.

დედასაგან ვიცი, პაპაჩემი, დედის მამა ყოფილა ძალიან მდიდარი კაცი. იმდენი ფუტკარი გვყავდაო, რო წავიდოდა და წაიღებდა თაფლს გასაყიდადაო, ქვაბებით, ბალონები სად იყო მაშინ?! ერთი შავი ფართუკი ჰქონდა და ის რო ჰქონდა მოკრული და ტოტები აწეული (*ხელის მოძრაობით ანსახიერებს წინსაფრის ბოლოების წელში ჩატანებას*), ჰოდა, ფულით სავსეს მოიტანდა და დაიყრიდაო, ჩემი დედინაცვალი ინახავდაო, იმდენი ფული გვქონდაო! მერე გაგვაკულაკესო, ეს ფულიც წაგვართვეს, ეს ფუტკარიცო, ორი-სამი ძირი დაგვიტოვეს, დანარჩენი წაგვართვესო, დედაჩემს მწარედ ახსოვდა ეს გაკულაკების ამბავი.

ჩვენთანაც მოვიდნენ, რო გაგვაკულაკეს. ჩემი ძმა იყო სამი წლისა, ჩემი მომდევნო, ალბათ, ექვსი წლისა ვიყავი მე,

რო კარგად მახსოვს, ცხენი ცხენზე როგორ შეაჯდინეს. სიაში ვიყავით ჩვენ თურმე გაკულაკებისა და რო მოვიდნენ, წინასწარ როგორ გაიგო ამ მამაჩემმა, არ ვიცი და მთელი ღამე მამაჩემმა და დედაჩემმა თხარეს ორმო, ორსართულიანი სახლები გვქონდა, მერე ის სახლები დავტოვეთ და სხვა ავაშენეთ დიდი. ის ორსართულიანი პატარა იყო, ერთი ოთახი დაბლა და ერთი მაღლა იყო, იმ სახლშივე ამოთხარეს მიწა, პოლი-მოლი არ გვეგო, ამოთხარეს და ჩვეულებრივ გაასწორეს. ეხლა, ოთხი კაცი მოვიდა, მილიციონერები, დიდი, დიდი ცხენები მოიყვანეს, რა უაზრო ხალხი ვიყავით, კაცო! სინჯავდნენ რაღაცეებს, აქ ფული ხო არ არი რამეო. ამ დროს ჩემი ძმა ეუბნება, დედამ და მამამ ამოთხარეს ორმო და პური დამალესო, სამი წლის ბავშვმა დააბეზღა. აბა, სადაო, მიეფერნენ ამ ბავშვსა, აქაო, მიიყვანა და აჩვენა ამ ბავშვმა. გალეწილი ხორბალი იყო დამალული. სუ წაგვართვეს და წაიღეს.

სტალინისნაირი მეტი აღარ დაიბადება ქვეყანაზე. 1937 წელშიც რო გაასახლა ხალხი, სტალინი დამნაშავე არ იყო, ბრალი არა ჰქონდა იმ გადასახლებაზე. იმან ბევრი დააბრუნა უკან. ეს ადგილობრივ ხალხსა ჰქონდა ბრალი, პროფესორები და გენიოსი ხალხი გაასახლეს. აქ ხალხი აირია ცოტა, სტალინამდე ხო მივიდა ხმა, რომ ნელა-ნელა ბუნტდებოდა, ჯგუფდებოდა ხალხი და სტალინმა ბრძანება გასცა, რო აარჩიეთ ეგ ხალხი და გავასახლოთო. ამ არჩევაში გლეხიც იყო, პროფესორიც იყო, მასწავლებელიც იყო, უსწავლელი, ნასწავლი, განურჩევლად. აი, ჩვენ სოფელში, მაგალითად, ორი გაასახლეს, ერთი ჩამოსახლებული იყო ზედსიძედ ჩემ ბიძაშვილზე, ივრადის ბებიაზე, სხვა სოფლიდან. ისეთი კარგი კაცი იყო, ედიშერი ერქვა. მაშინ ტრაქტორი არ ვიცოდით რა იყო და გუთნით ხნავდნენ ორნი, ეს ედიშერი მეხრე იყო, მეორე კი გუთნის დედა. იმ გუთნის დედას ცოლი საბჭოს თავმჯდომარეს ჰყვარობდა და სოფელში ნელ-ნელა ლაპარაკობდნენ, რო დუსა ჰყვარობს ნიკასა, ჰოდა, ამ საბჭოს თავმჯდომარემ მოიშორა თავიდან ეს კაცი, ეს მისცა სიაში, როცა დაავალეს, რო ესეთი ხალხი უნდა აარჩიოთო. ეს ედი-

შერიც გაასახლეს, ზედსიძედ რო იყო ჩამოსახლებული, არაფრად არ თვლიდნენ და მაგიტო. მაგრამ სტალინი ცამდე მართალი იყო, იმან უთხრა აარჩიეთო, მაგრამ ამან ვისი ჯავრიც სჭირდა, ისინი გაასახლა.

ომი რო დაიწყო, ივნისის 22-ში, თოხნიდა ხალხი, გაფანტული იყვნენ ყანაში, ზოგი ორი ერთად თოხნიდა, ზოგი – ხუთი. იყო ისეთი ხალხიც, ძალიან მშრომელები, ძალიან ყოჩაღები, რო მარტო თოხნიდნენ. ოთხასი კვადრატული მეტრი უნდა გაგეთოხნა, რომ ერთი შრომადღე მიგეღო. მერე კონტროლი იყო, ორი კაცი იყო გამოყოფილი კოლექტივისგან. გათოხნეს? – საღამოთი უნდა დაგიზომონ, ლენტი დაგიდონ, რო დაიწეროს, ბრიგადელი მოვიდოდა და წერდა. თან უნდა შეემოწმებინა, როგორ გათოხნე, ბალახი ხო არ დაგრჩა, თუ ბალახი დაგრჩა და კარგად ვერ გათოხნე, ის შრომა იკარგებოდა. კონტროლი იყო, კონტროლი მაგარი. ყველაფერი უნდა ყოფილიყო კარგი, უმაღლესი. ბარვაზეც ღრმად უნდა დაგებარა. ვენახებში კვლებს შუა ვბარავდით. იმ თოხვნაზე 22 ივნისს, გავიხედეთ და ორი ქალი წამოვიდა დუშეთის მხრიდან, ტრიალი მინდორია და ხედამ ყველაფერს, ასპინძა ხო არ არი, კლდეები, რო ვერ დაინახო! აქ ერთ სოფლიდან მეორე სოფელს ვერ ხედავ, იქ ეგრე არ არი, ერთი სოფლიდან ხუთმეტ სოფელს დაინახავ. გავიხედეთ, რო ორი ქალი წამოვიდა. გაზეთი არ იყო, ვინ იწერდა გაზეთს! ჩვენ სოფელში, უბანში (*ჩრდილელიანთ კარი*) საბჭო არ იყო, ბაზალეთში[18] იყო. ვინ არიან ნეტა ეს ორი ქალი, ვინა არიანო, ვკითხულობდით. მოვიდნენ და გამარჯობათო, გაგიმარჯოსო. გაფანტულ ხალხს ყველას დავუქნიეთ ხელი, აბა, მოდით, მოდითო. შევგროვდით, ზოგი მზეზე მოხვდა, ზოგი ჩრდილში – კუნელის ძირში. აბა, წუხელ გერმანიამ ღორული დინგი შემოყო, სამი დღის წინ ხელშეკრულება დადეს და მოგვატყუეს, დღეს მაინც დაგვარტყესო. მოიტნეს გაზეთი, გაზეთი წაგვიკითხეს, აგიტაცია, ნუ გეშინიათო. დავიწყეთ ყველამ ტირილი, ერთი დიდი ღრიალ-ტირი-

[18] ბაზალეთი – სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში.

ლი იყო, ვისი შვილიც, ქმარიც იყო წასული იმ დროს ჯარში. ჩვენი უბნიდან ერთი კაცი იყო წასული მარტო და ის კი ჩამოვიდა ცოცხალი, ქრისტიანო! პატარა კაცი იყო და მარტო კარტოფილს მათლეინებდნენო, ფრონტზე არ გაუყვანიათ.

ეხლა რა ვქნათ? კოლექტივია, ომი დაიწყო... მეორე დღესვე სტალინის ბრძანება იყო თვრამეტი წლის ჩათვლით ორმოცდათხუთმეტ წლამდე ყველა ომში! ორ დღეში სუ გაიკრიფა ხალხი, არავინ აღარ დარჩა სოფელში, დარჩა მარტო ჩემნაირი, საშუალო ახლადდამთავრებული ხალხი, ქალები და ოთხი-ხუთი მოხუცი კაცი, სამოცდაათი-ოთხმოცი წლისები და თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ბიჭები. მამაჩემი მაშინ არ წაიყვანეს, გერმანიამ რო გაწყვიტა და გაწყვიტა ეს ხალხი, რო გაუჭირდათ მერე ძაან, რო დაიხოცა ქერჩში ბევრი ხალხი, სულ ახალგაზრდა ბიჭები, რა ექნათ! მერე წაიყვანეს, ორმოცდათხუთმეტი წლისა იყო, რო გამოუძახეს ჯარში. დედაჩემი ტირილით გადავიდა კომისარიატში, დუშეთში, რო ორმოცდათხუთმეტი წლისაა და რათ მიგყავთო. ასე ეთქვა იმ კომისარსა, რო მერე, კარტოფილსაც ვერ გაფრცქვნისო?! მამაჩემი პოვრად [მზარეულად] მუშაობდა მთელი თავისი დღე და მოსწრება, ლელინაკანში იყო. ამბობდნენ, ხალხი სხვების მაგივრადაც მიყავდათო, აქაც, ზველში[19] ერთი თოფჩია ყოფილა, სოფლის ხალხი იტყოდა ხოლმე, თოფჩია ღრმად წავიდეს მიწაშიო, ისეთი ბოროტი იყოო, თავისიანები რო გადაერჩინა, დატოვა და ომში თხუთმეტი-თექვსმეტი წლის ბიჭები გაუშვა, რო არ ეკუთვნოდათ, ისეთებიო. მაგრამ მამაჩემს სხვის მაგივრად ვერ წაიყვანდნენ, სოფელში კაცი არ იყო. ლელინაკანში დიდი ჯარი იდგა, მთელი არმია იყო, იმიტომ რომ აქ თათრებისა ეშინოდათ და იმიტო იყო ის ჯარი. სტალინი ჭკვიანი იყო, კაცო, ძალიან ჭკვიანი. გერმანია აიღებდა თუ არა მოსკოვს, თათრები შემოდიოდნენ აქა. ჩვენი მეზობელი იტყოდა ხოლმე, როგორც კი მიუახლოვდა გერმანია მოსკოვს,

[19] ზველი – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში.

თურქეთი აქ მოადგა, იქიდან მოგვხსნეს და ბათუმში გადაგვიყვანესო. გავხედეთო და საზღვაო გზითაც მოვიდნენ და სახმელეთოთიცო. მთელი ამბები იყოო. როგორც კი უკან დაიხია გერმანიამ, თათრებიც მოსწყდნენ იქიდანო. ხო მოსკოვს მოადგა გერმანია, მოსკოვს, მაგრამ თითონ გამოვიდა და რა ქნა, ხო ხედავთ, მოიგო ომი.

ომის დროს, 1941-ში სიღარიბე ჩამოვარდა ძალიან. შუქი საერთოდ არ იყო, ლამპებს ვანთებდით და შავი ფარდები გვქონდა. ზოგს ფარდაც არა ჰქონდა, რო ჩამოეფარებინა, ჭილობებს აფარებდნენ. შუქი არ უნდა გასულიყო, რო გერმანელებს არ დავებომბეთ. მანდ დუშეთში, ჩვენ სახლზე რუსეთის თვითმფრინავები გადაიფრენდნენ და გადმოიფრენდნენ.

ძალიან შიმშილი იყო. დედაჩემი წამიყვანდა ხოლმე დუშეთში. ჩვენი სოფლიდან დუშეთამდე იყო შვიდი კილომეტრი. წავიღებდით ორ მეშოკს და იქ სხვის, ვიღაც-ვიღაცეების ყანებში ბალახი იყო ისეთი რო... ნაცარქათამა იყო, თეთრი მხალი, ბალბა, ჭინჭარი რო ამოდიოდა, იმას მოვკრეფდით. დედაჩემი ყოჩაღი ქალი იყო ძალიან, უსწავლელი იყო, მაგრამ მშრომელი. მოვკრეფდით იმას და კამეჩი გვყავდა ერთი, მეწველი კამეჩი და ერთი ძროხა, და ერბო გვქონდა. იმ მხალს რო მოხარშავდა, ერბოს ბეს გაუკეთებდა, მაგრამ პური არა გვქონდა. აემაგრე ვიყავით. რაც მე დღე გადამიტანია! მეოთხე კლასში ვიყავი ზუსტად, რო ქალამნები შემიკერა დედაჩემმა. იქამდე რეზინის ჩუსტებით დავდიოდი.

ზაფხულში კოლექტივი ხო მომკიდა, დადგამდა ძნებს, ათეულს ვეძახდით, მე მეძნეთაც ვიყავი, რამდენი მიმუშავია! ორი კაცი რო ყანას მკის, ერთი მეძნეურია, ისინი რო მომკავენ, უცბად უნდა მოხვეტო და თავთავებით შეკრა ძნა, და ვდგამდით ათეულს, ამ ძნას ათ-ათს დავდგამდით. ორს აქ დავდგამდით, ორს – აქ (*ხელით მიანიშნებს რამდენიმე მეტრიან დაშორებას მარჯვნივ და მარცხნივ*), ისე შენ ვერ მოხვეტავ, რო არ დაგრჩეს, გაგვიშვებდა დედაჩემი ბავშვებს, შვიდი შვილი ვყავდით და ამ დარჩენილს ვაგროვებდით, თავთავს ვკრეფავდით. ოცდაორ კონას

შევკრავდი, ასე ხელში რაც დამეტეოდა, მერე დავწნავდი, დავწნავდი, ზემოთ თავთავი ჰქონდა და საწყალი დედაჩემი ბეგვავდა იმ თავთავს და დღეში ხან ერთი ვედრო გამოგვდიოდა, ხან ნახევარი ვედრო. რამდენჯერმე მოპარვას დავაპირებდი და თუ მოვიპარავდი, მეთვალთვალე ხო დადის, მეველე, დაგინახავდა და სუ წაგართმევდა, რაც გიმუშავია და აგიკრეფია. ძნებიდან არ უნდა მოგეპარა, არ უნდა გამოგეძრო იქიდან, თორე ისე აგეკრიფა, რამდენიც გინდოდა. გეგმა იყო, ზუსტად აღარ მახსოვს, რო რამდენი უნდა მოგემკა, რო შრომადღე დაგწერებოდა. თვის ბოლოს, იყო რო სამასი შრომადღე მომიგროვებია, ხან ორასს მოვაგროვებდი. მერე ყველაფერი ნაწილდებოდა, ყველიც ნაწილდებოდა, ქერიც ნაწილდებოდა. ხორბალსა რო ვლეწავდით კალოთი, ეს რომელი წელი იყო, აღარ მახსოვს, სალეწი მანქანა რო მოიყვანა ჩვენმა სოფელმა, მერე სალეწი მანქანით ვლეწავდით და გვიკვირდა, გვიკვირდაა! ერთი დიდი კალო იყო კოლექტივისა, ამ კალოზე იდგა ეს მანქანა, დიდი თაიები დაიდგა, ურმებით ეზიდებოდნენ, რო ეს თაიები დამდგარიყო, ორი კაცი იდგა აქეთ იქიდან და აყრიდნენ, დიდი ბუნკერი ჰქონდა ამ მანქანას. კიდე ორი კაცი იდგა, რო მეშოკები ჩქარა შეეწყო. ტრიალ მანქანას ვეძახდით, იმას ვატრიალებდით და ნაწმენდი, უვარგისი ხორბალი ცალკე გამოდიოდა და კარგი ხორბალი – ცალკე. მერე ის ნაწმენდიც ნაწილდებოდა შრომადღეზე და ის ხორბალიც და აი, მაგით ვარსებობდით. მაგრამ შიმშილი იყო, ძალიან შიმშილი იყო. მამაჩემი იტყოდა: ლენინაკანშიო, რა რჯულს ამბობდა, არ ვიცი, მე მგონი უფრო თათრებიო, საპონსა შჭამდნენო, ისეთი შიმშილი იყო. ბალახსაც სძოვდნენო, იტყოდნენ ხოლმე და ზოგიც გაგიჟდაო შიმშილისგან.

მერე მე საშუალო დამთავრებული ვიყავი და ცოტა ისეთი, რო გამიშვეს საბავშვო ბაღის გამგედ. მერე უკვე კარგად ვცხოვრობდით, ვიპარავდი ცოტას (*ჩაიცინა*). ჩემი და-ძმანიც იქა მყავდნენ, პატარები. პარვა რა არი: თემო, ნანული (*და-ძმა*), ჩაწერილი არ მყავდა და იქ ვაჭმევდი. თო-

რე სახლში არაფერი მომქონდა, რას ამბობ, დამიჭერდნენ! ძალიან ბევრი ბავშვი იყო, საწყალი ჩემი დის დედამთილის სახლი გვქონდა ნაქირავები, კოლექტივი ამას ფულს აძლევდა მერე. ექვსი თუ ათი აკვანი გვედგა, დანარჩენი ექვსი თვიდან ექვს წლამდე გვყავდა ბავშვები. მე თან გამგე ვიყავი, თან აღმზრდელი. წავიყვანდით და გავატარ-გამოვატარებდით ბავშვებს, თან ვასწავლიდით. მაკარონი და ვერმიშელი, ან მანიქაშა [მანანის ბურღულის ფაფა] სად იყო, ეს იყო ომში, ეხლა რას ვაჭმევდით ბაღში: სიმინდის ფქვილს მოვშუშავდით, რძეში და ამას ვაჭმევდით, ვისაც სოსკა [საწოვარა] ჭირდებოდა, ამ მეორე ბავშვებს – ლობიო, კორკოტი, „რძიკორკოტაო“ ვამბობდით, მაწონი, რძე, სოფლის ნაწარმი. ღამე ბავშვებს რო გავუშვებდით, ეს სახლი ხო ნაქირავები გვქონდა, კოლექტივს ცხვარი ხო ჰყავდა, მატყლი ხო ჰქონდა, სოფლის დედაკაცები, ზოგი ამას რეცხდა, აშრობდა, ზოგი ჩეჩავდა, ზოგი ქსოვდა, ზოგი ართამდა, ერთ გრამ სახლში ვერ წაიღებდი და აი, ამ სახლში ღამის პირველ საათამდე, სანამ ძილი მოგვერეოდა, ამას ვაკეთებდით, რო პასილკები [ამანათები] გაგვეგზავნა ომში, ხელთათმანები და წინდები. თითონ კოლექტივის თავმჯდომარე, ბუღალტერი აკრეფდნენ, „პასილკას“ გააკეთებდნენ და აგზავნიდნენ.

ომის დროს ვინმე რო მოკვდებოდა, კაცი არ იყო, რო სამარე გეეთხარნა, ქალები თხრიდნენ. ყველა ომში იყო. რო ამბობდნენ, რო სტალინმა თავისი შვილები ომში გაუშვაო, აბა, აქ ვინ დარჩებოდა ისე. სტალინი ყველას უყვარდა, სტალინზე ცუდს კაციშვილი არ იტყოდა.

დამთავრდა ომი. სტალინმა გასცა ბრძანება, რომ „მაცადეთ ექვსი თვე. უფასო იქნება პირველი მოთხოვნილების ყველაფერი“, ამაში შედიოდა: ნავთი, პური, შაქარი, სპიჩკა [ასანთი], არ ვიცი კიდე რა... და სოფელიო, ბრძანება გასცა, სოფელი უნდა ქალაქს დაემსგავსოსო. წყალიც უნდა იყვეს ყველა სოფელში, გზაც უნდა იყვეს ასფალტდაგებული ყველა სოფელში. აღარ დააცადეს, მოკვდა სტალინი, აბა! თუ მოკლეს, აღარ ვიცი. უჰ, ის დღეები აღარ გამახსენოთ, რა დღეებიც ჩვენ გამოგვივლია, შიში, შიში და სულ შიში.

აქედან თათარი რო გაასახლეს, დუშეთიდან ჩემი დედას ძმები გადმოასახლეს. ჩვენი სოფლიდან, ჩვენი საბჭოდან არა, ისინი ცხოვრობდნენ როგორ, იცით? აი, კლდეებზე, მანქანა რო არ მივიდოდა. დუშეთის ძალიან ბევრი სოფელი ცხოვრობდა ესე. ასეთი სოფლებიდან ამოარჩიეს ხალხი და აქ თათარი რო გაასახლეს, უცბად იქიდან ხალხი აქ გადმოასახლეს. ჩემი დედას ძმებიც ცხოვრობდნენ აეგეთ სოფელში, ჩვენ კაი სოფელში ვცხოვრობდით, ჩემი დედას ძმები გადმოვიდნენ და ნინოო (*რესპონდენტის დედა*), ჩვენ ასპინძაში მივდივართ, გვასახლებენო, თურმე თათრები გაუსახლებიათ, ერთ თათარსა ექვსი ცოლი ჰყოლია იმდენი ოთახი ჰქონიათო, ბევრი ცხვარი ჰყოლიათ, ბევრი საქონელიო, ამათ ყველაფერს ჩვენ გვაძლევენო. დედაჩემს დაემშვიდობნენ, ხვალ უკვე მივდივართო. ეგ ერთი და ჰყავდათ და გადმოვიდნენ სანახავად. მე მაშინ საბავშვო ბაღის გამგედ ვმუშაობდი და ვუთხარი: „დედა, აქ ყოფნას, თუკი იქ ძროხებ მამცემენ, ცხვრებ მამცემენ, მე და ჩემი ძმა, უსუპი, წავალთ და, უსუპი თორმეტი წლისა იყო მაშინ, წავალ და ვიცხოვრებ და თქვენც დაგეხმარებით-მეთქი. ჰოდა, 1944 წლის ნოემბერში ჩამოგვასახლეს. გამომაცილა დედაჩემმა, ერთი ინდაური დამიკლა. ერთი დიდი სარკე გვქონდა, სკოლიდან რო მოვდიოდი, თან სარკეში ვიხედებოდი და თან ვთამაშობდი, ვმღეროდი და შენ ეს ძალიან გიყვარსო და ლოგინში შეახვია და იმ ერთ ხელ ლოგინთან ერთად გამომატანა. დედას ძმებთან ერთად ჩამოვედით ხერთვისში, ერთი იყო მარტო ორსართულიანი სახლი, მიწიანი ზევიდან, მარა ორსართულიანი, კიბე ზევიდან ქვეით ჩამოდიოდა, დაბლა ჩემი დედის ძმა იყო, ერთი დიდი ოთახი იყო, მაღლა – ორი ოთახი, პოლი ეგო იქა, ტახტი იყო ორი შეკრილი სიგრძეზე. ამ ტახტებზე წვებოდნენ ჩემი ბიცოლა თავისი შვილებით, ჩემი ბიძაშვილი გოგო და მე მეორე სართულზე ვწვებოდით.

დავტოვე საბავშვო ბაღი და აქ წამოსვლა ვირჩიე. ბედიც აქ მქონდა და აქ დავრჩი. ჩამოვედით მატარებლით. პირველი მატარებელი იყო ახალციხეში, რომელიც 1944 წლის

ნოემბერში შემოვიდა. მატარებლიდან ეს ხალხი გადმოვიდა და გადმოვიდა... ძალიან ღარიბები, ზოგს ლოგინიც არა ჰქონდა, ტყავები ჰქონდათ. რაიონის ხალხი დახვდა ამ მატარებელს ახალციხეში. „ექვსი მანქანა ხერთვისში! ხუთი მანქანა ოთაში! სამი მანქანა იდუმალაში!“[20] – დაყვეს ეს ჩვენი ხალხი, გაანაწილეს სოფლებში. დედას ძმებთან ერთად მე მოვხვდი ხერთვისში. რაიონიდან ხალხი იყო, რაიკომიდან, აღმასკომიდან რო არ გვეტირა, არ გვეღრიალნა. აქ ბანიანი სახლები იყო, ჩვენთან ბანიანი სახლები არ დაგვინახნია. ვინც ცოტა ისეთი ოჯახებიდან იყო, იტირა, იღრიალა. ჩემი დედას ძმები კარგად იყვნენ და იმათ სუ იტირეს. ვინც ძალიან ღარიბი ოჯახიდან წამოვიდა და სახლიც არ ჰქონდა იქ, დუშეთში, ისინი კარგად მოერგვნენ. ეს რაიკომისა და აღმასკომის ხალხი გვეუბნებოდნენ: „აი, ხედავთ ამ თუთის ხეებს, ერთი თუთა ერთი ძროხაა, იმდენი შემოსავალია აქო“ – აგიტაციას ეწეოდნენ. აქ ისეთი ხალხი ცხოვრობდა, რო სუ ოქროთი სავსეები იყვნენო. ჩვენი მოლოდინები არ გამართლდა, ჩვენ არც ძროხა მოგვცეს, არც ცხვარი. მოგვცეს რა: ოთხი ცხენი.

რო ჩამოგვასახლეს, მესამე დღესვე გამიშვეს მაღაზიის გამგე-გამყიდველად. მაღაზია ჩემი სახლის წინ იყო. აი, ამ რუსთავში, სოფელ რუსთავში სკოლა იყო სავსე ხორბლით, ეს თათარი რო გაასახლეს, ხორბალი ხო შეიტანეს კოლექტივში, ჰოდა, სკოლა იყო სავსე. ამოდელა ჯერ მარტო ხორბალი შემოვიტანეთ ბრიჩკით [ურმით] რუსთავიდან, ჩემი ბიძაშვილები მეხმარებოდნენ. საწყობი იყო ხერთვისში. ჩემი დედას ძმები ძალიან მპატრონობდნენ, თითონ წავიდნენ მერე, აქ არც ერთი აღარ დარჩა, ერთი-ორი წელი იყვნენ და დაბრუნდნენ, ასეთი კლდიანი სოფელი იქაც არის და ბარემ იქ ახლობლებთან ვიყოთო. ამის (*უკან დაბრუნების*) უფლებას არ ძალვდნენ, ჩემი ბიძაშვილი დაიჭირეს. ორი თუ სამი წელი ციხე ალესინეს, რატო წახვედიო.

მეორე დღესვე ჩამოყალიბდა კოლექტივი, თავმჯდომარე, ბრიგადელი დანიშნეს, სია დაწერეს და ხორბლის გა-

[20] ხერთვისი, ორთა, იდუმალა – სოფლები ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ნაწილება დაიწყო. თუ ერთი სულიდან ორ სულამდე იყავი, ოცდაათ ფუთ პურს გაძლევდნენ. ფუთში თექვსმეტი კილო იყო. მარილი, პური, მატერია – დუხაბორული ნაქსოვი იყო, კლეჩატი [კუბოკრული], თითო თოფი დაგვირიგეს, თოფში ოცდაათი მეტრა იყო, მარლასავით ნაქსოვი იყო, მაგრამ ძალიან თხელი არა. ოთხი მეშოკი [ტომარა] დედაჩემს წავუღე მე აქედან დუშეთში. ცხრამეტი წლის გოგო ვიყავი და კარგად დავეხმარე დედაჩემს. რო ჩავუტანე, მთელი სოფელი გაგიჟდა. მიდიოდნენ, ჩიოდნენ დუშეთში, რაიონში, რო ჩვენც გაგვიშვით ასპინძაშიო. მატერიებიც [ნაჭრები] წავუღე დედაჩემსა. ეს მატერიებიც ჩავუტანე. სად იყო მაშინ მატერიები! ან მარილი! უმარილო პურსა ვჭამდით. ეს ხორბალი ამ ხალხს სუ მე გავუნაწილე. პირდაპირ სია მომცეს, ხორბალი რუსთავიდან რო გადმოვიტანეთ, ჩამაბარეს ამდენი წონა, და ოჯახზე, ვინ რამდენი სული იყო, გაანაწილეს. სასწორში მოგება მქონდა და ოთხი მეშოკი მოვაგროვე. ახალციხეში ჩემმა ბიძაშვილმა დამატვირთინა ჯერ მატარებელზე, მატარებლით ჩავედი მცხეთაში, იქ კონდუქტორს ცოტა ფული მივეცი და გადმომატვირთინა, მარტო ოთხი მეშოკი ხო არა, მატერიაც და მარილიც მიმქონდა. მცხეთიდან დიდი მანქანა გავაჩერე და ისე ჩავედით სოფელში. მე და ჩემი პატარა ძმა ვიყავით, თორმეტი წლის ბავშვი. ეხლა ამას ვერ გავაკეთებ. იცი როგორი გოგო ვიყავი?! – უაღრესად კეთილი და პატიოსანი. ეს ბოზ-მოზები მეჯავრებიან, სუ დახოცონ ერთ დღეს ჩემია თუ სხვისა. ეგეთი დედ-მამიდანა ვარ მე წამოსული. შვილებიც ეგრე დავზარდე. ერთი ექიმი მყავს, მეორე პედაგოგი. ახალქალაქში რო მყავს, ისიც ექთანია. ლიმიტისათვის საექთნო დავამთავრებინე, ლიმიტი უნდოდა, მოიტაცეს და დარჩა.

მე ცხრამეტი წლისა ვიყავი, რო გავთხოვდი. ვმუშაობდი მაშინ მაღაზიაში ხერთვისში. მასწავლებელი იყო ჩემი ქმრის ბიძაშვილი ხერთვისში, ძალიან ვუყვარდი, სუ ჩემთან იყო მაღაზიაში, მეუბნებოდა, ორი ბიძაშვილი მყავს ჯარში და ერთი ძმაო, რომელიც ადრე ჩამოვა, უნდა გაგირიგოო. ეს ჩემი ქმარი ადრე ჩამოვიდა. ოთხ წელიწადი ომში პლენად [ტყვედ] ყოფილა კუნძულ გიანზე, თორმეტი კვადრატული

იყოო ეს კუნძული, სადაც ჩვენ ვიყავითო, ოკრუჟენია [ალყა] დაგვარტყეს და პირდაპირ აგვიყვანეს პლენადო. სუ ზღვაში ვიყავით და ვერსად ვერ წავიდოდითო. მთელი დივიზია ოთხი წელი პლენად საცოდავად, როგორია?!! განახევრდა ხალხი, დაიხოცა ძალიან ბევრიო. მე ოცდათორმეტი კილო დავრჩი, ისე გავილიეო. ჭინჭარს ვჭამდით, როცა ჭინჭარი იყო და როცა აღარ იყო, რა უნდა გვექნაო? გადმოვიდოდა თვითმმფრინავი და იქიდან გვიყრიდნენ პროდუქციას გერმანელებიო. ვინ ვიტაცებდით და რასა ვშვრებოდით, არ ვიციო. თევზსა ვჭამდითო ეგრევე, არც მარილი და არც არაფერი! აესე ოთხი წელი გაძლო. ზოგსაო, საწყალი კოლა ამბობდა, იღლიებში ბეჭედი ჰქონდათო, ე.ი. ვინც ჩაბარდა იმათ. ეს ჩემი ქმარი პირდაპირ ოკრუჟენიაში მოყვა. ერთი დივიზია ეგრევე ჩავარდა ტყვედ. იმ კუნძულზევე მუშაობდნენ, თევზს აჭერინებდნენ. რამდენ კვადრატულს ამბობდა, არ ვიცი, თორმეტი თუ თორმეტი ათასი. ვინც იქ იყვნენ, ყველას კაი საბუთები ჰქონდა.

პლენად ნამყოფებსა აქ კაი თვალით არ უყურებდნენ, ეს ჩემი ქმარიც ეგრე იყო. თან ძალიან ჭკვიანი და საცოდავი კაცი იყო, უენო, რო ვთქვათ, ხათრიანი. ჯარიდან რო ჩამოვიდა, ჩვენც კიდე ახალი ჩამოსახლებული ვიყავით. ერთი წელი ვიყავი ხერთვისში და მერე გავთხოვდი და იმ წუთშივე, ერთ კვირაში დავიწყე საავადმყოფოში მოანგარიშედ მუშაობა ტოლოშში. მაშინ მოანგარიშეს უძახდნენ, ეხლა ბუღალტერია. ახლა რო სამუშაო არ არი, მაშინ ეგრე არ იყო. სადაც დაჭირდებოდა, იქ გადაგიყვანდნენ. საავადმყოფოდან კოლმეურნეობის საწყობის გამგედ გადამიყვანეს და შვიდი წელი ვიმუშავე იქ ძალათ, თუ არადა შენ ქმარსაო სკოლიდან გავანთავისუფლებთო. იქ რა მქონდა: ერბო, ყველი. პურისა სხვა იყო, მე მარტო ერბოს, ყველისა და თაფლის საწყობი მებარა. ახლა მაღაზიაში არავინ არ იყო, რო ემუშავებინათ, კარგი დიდი მაღაზია იყო ტოლოშში და იქ გადამიყვანეს. მანდაც ვიმუშავე ოცდაორი წელიწადი. მთელ სოფელს მე ვუნდოდი, მე მთხოულობდა. კანონი იყო და კონტროლი იყო.

კონტროლი ყველგან იყო, ფაბრიკა-ქარხნებშიც, მინდორშიც. რო ბარავდნენ, ტრაქტორი არ იყო და ფეხით

ბარავდნენ, ორი კაცი იყო გამოყოფილი, რო შეემოწმებინა, ღრმად დაბარე თუ ზერელედ. ყველაფერი კარგი უნდა ყოფილიყო, აბა! ერთი მოხუცი კაცი ყვებოდა იდუმალადან[21], საწყობის გამგე იყო ომის შემდეგ და ყველაფერი ებარათ იქა, ეს ნაწილდებოდა სულ ხალხზე, რაც პროდუქტი იყო, სუ ხალხისა იყო. ჩემი გოგო, ბავშვი შემოვიდაო და თაფლში ჩაყო ხელიო, პირისკენ მიჰქონდა და ისე ჩავწმინდეო, არც კი გავალოკეო, რო თაფლი არ დამკლებოდა და ციხეში არ გავეგზავნეო, ისეთი კონტროლი იყოო. ეს გოგო, ვინც ხელი ჩაყო ეხლა ერთი სამოცდაათი წლისა იქნება. რო არ ყოფილიყო ისეთი კონტროლი, ეს ხალხი მშიერი დარჩებოდა. ერთ კილო ყველზე შეიძლება კაი ციხე მიეცათ. იმიტო, გენაცვალე, რო კანონი კანონია. ეხლა მილიონებს ისე იპარავენ რო... აი, ეხლა იყოს სტალინი!

ეს ჩემი დედამთილისგან ვიცი, შვილოო, აქ ბანიან სახლებს დიდი კარებები ჰქონდა ფიცრისა, ფანჯრები და რამე არ იყო. ზეიდან იყო პატარა ფორთოჩკა [სარკმელი] და შუშა ედო. მე რო გავთხოვდი და დედაჩემმა და მამაჩემმა ნახეს, ვაიმე შვილოო, ბავშვი რო გეყოლებათ კისერი გაუმრუდდება, სუ ზემოთ უნდა იყუროს, ფანჯარა არა აქ სახლსაო. ჰოდა, ჩემმა დედამთილმა: მთავრობა მოიდა და ყველა სახლი თათრებისაც და ქართველებისაც დიდი ასოებით, წითელი კრასკით დანომრესო კარებები. ჩემი მეზობლები ასე ამბობდნენო, ჰიი, ვაიმე, ქირბაო, ქირბა – ნათლი, ესე გვეძახდნენ თათრებიო, ქართველები უნდა გაგასახლოთო და როგორ მენანებითო. თუ რამე გაქთ, ჩვენ შეგინახამთ, ცოდონი ხართო. რათ გასახლებენ ნეტაიო?! ერთიც ღამე არისო და მოიდა მანქანები ხიდზე და პოლიცია, ოთხი ჯარისკაცი იყო თითო მანქანაზეო, ავტომატებით. დიდი მანქანები, გადახურული პალატკით [კარვით], ყველა თათრის კარებზე მივიდაო. სტალინი იმდენად ჭკვიანი იყო, რო მანდ ტოლოშში[22] თათარი იყო საბჭოს თავმჯდომარე, აქაც (*ასპინძაში*), რაიკომის მდივანი ქართველი ყოფილა,

[21] იდუმალა – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში.-

[22] ტოლოში – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ძებისაშვილი იყო მაშინ, დუშელი კაცი, და აღმასკომის თავმჯდომარე კი თათარი ყოფილა. ჰოდა, თითონ ამ თათრებმა, თანამდებობის პირებმა, არ იცოდნენ, ვის ასახლებდნენ. ჩემი დედამთილი ამბობდა ტოლოშზე, სოფელი გუგუნებდაო, ეს ხალხი რო ღრიალებდა და ტიროდა, ეს თათრები, კაცი, ქალი – ყველა ტიროდაო. ჩვენ გარეთ არ გვიშვებდნენო, ქართველები გარეთ არ გამოხვიდეთო. ყველას ზედ კარებზე მიადგა ეს მანქანა. მშობიარე ქალი ყოფილა ერთი, საავადმყოფო იყო მანდ. ეს მშობიარე ქალი, ერთი საათის მორჩენილი იყო და წაიყვანეს. არავინ საავადმყოფოშიც არ დატოვეს. თათარი სუ გაწმინდეს. 1944 წელი იყო. ეგენი გაასახლეს და ერთ კვირაში ჩვენ ჩამოგვასახლეს.

კოლა, ჩემი ქმრის ამხანაგი ყოფილა ერთი თათარი, გაანთავისუფლეს და ჩამოვიდა ომიდან. არ იცოდა ამან, თათარი გაასახლეს, არ გაასახლეს. ჩვენც ერთი ოდა გვქონდა, ამ ოდას – ერთი ფანჯარა ზევიდან. ერთი ტახტი გვქონდა, ჩემი დედამთილი და მაზლი იწვნენ, პატარა იყო, აქეთ გვერდზე მე და ჩემი ქმარი ვიწექით და იმ ტახტის ბოლოზე, სადაც ჩემი დედამთილი იწვა, ის თათარი ბიჭი დავაწვინეთ, ჩემი ქმრის თანატოლი იყო და როგორ ტიროდა! არ იცოდა, სად გაასახლეს იმისიანები, სად წასულიყო. მე კიდე მთელი ღამე არ დამიძინია, მეთქი ეხლა ეს თათარი ადგეს, თავები დაგვაჭრას გაბრაზებულმა! იმ წუთში ამოვიდნენ (*სოფ. ტოლოშში*) ასპინძის კომისარიატიდან და წამოიყვანეს ტოლოშიდან. ალბათ, იმასაც გაუშვებდნენ. ჰოდა, აი, სტალინი რამხელა ჭკვიანი იყო, რო კაცი აღმასკომის თავმჯდმარე იყო და არ იცოდა, ვის ასახლებდნენ. დანომრა სახლები და ყველა გაასახლა.

უშლიდნენ, ძალიან უშლიდნენ ეკლესიაში სიარულს. ახალი რძალი რო ვიყავი, მე და ჩემი მეზობელი, ის პედაგოგი ქალი იყო, კონტროშის[23] ეკლესიაში წავიდოდით ღამე, სანთელი აგვენთო, რო სკოლის დირექტორს არ დავენახეთ და არ დავებეზღებინეთ, რო ჩემი ქმარიც პედაგოგი იყო და რო არ გამოეგდოთ სკოლიდან. წითელი კვერცხი ბავშვებს სკოლაში ვერ მიჰქონდათ.

[23] კონტროში – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ფოტო გადაიღო და ინტერვიუ ჩაიწერა ცისანა გოდერძიშვილმა.
სოფელი ტოლოში (ასპინძა), 2016 წლის სექტემბერი.

აღათო გვარამაძე

დაიბადა 1932 წლის 30 მაისს ასპინძის რაიონის სოფელ ახალშენში. თოთხმეტი წლისას მოუწია დედის შეცვლა და მუშაობის დაწყება, მას მერე ოცდათექვსმეტი წელი იმუშავა მწველავად. ცხრამეტი წლისა გაათხოვეს გარიგებით, მალევე დაქვრივდა და ექვსი თვის ორსული დაბრუნდა სახლში. ჰყავს ერთი შვილი, ნოდარ გვარამაძე, რომლის ავადმყოფობამაც ბოლო წლებში გვარიანად გატეხა მისი ჯანმრთელობა.

მის მთავარ სიამაყეს წარმოადგენს სახლი, რომელიც თვითონ ააშენა (ახლა ამ სახლში ცხოვრობს შვილთან და რძალთან ერთად) და უამრავი სიგელი თუ მადლობის წერილი, რომლებიც მიღებული აქვს, როგორც მოწინავე მწველავს. რამდენიმე სამკერდე ნიშანი გაყიდა გაჭირვების დროს. განიცდის, რომ მოუხსნეს სოციალური დახმარება.

ჰყავს სამი შვილიშვილი და ხუთი შვილთაშვილი.

ჩვენი სოფლიდან დავიწყებ. რო გამოივლი ახალციხიდან, ხიდი არის მანდ, იდუმალის იქით, ორგორისკენ[24], ეგ სოფელი ჩვენი იყო, ახალშენი. მერე ომიანობა იყო და გაგვიჭირდა ცხოვრება. იქამდე არ გვიჭირდა იმიტომ, რომ მამაჩემი მებადური და დურგალი იყო.

მამაჩემი რომ გავიდოდა, იმუშავებდა და მოიტანდა, გარეშე მეზობლები მშივრები იყვენენ რამე და დედაჩემი სულ ურიგებდა, ეცოდებოდა. მერე ომი რომ დაიწყო, წავედით ნატანებში, დასავლეთში. ცოტა ხანი ვიყავით, მამაჩემმა ჰაერი ვერ აიტანა, ისე, ნატანებში სამუშაო იყო და ხალხი უნდოდათ ჩაის ფაბრიკაში, ჩაეწერა დედაჩემიც და მაგიტომ წავედით. ჩვენ პატარები ვიყავით. სამი დანი ვიყავით და ერთი ძმა გვყავდა. სუ შემემეცალნენ სუყველანი და ერთი მე დავრჩი.

ჰაერი რო ვერ აიტანა, ისევ ჩამოვედით. ფუფუნებაში არ ვიყავით, მარა არც გაჭირვებაში არ ვიყავით, იმიტომ, რომ დედაჩემი რაიონის დეპუტატი იყო. რო წავიდოდა ხოლმე სესიაზე, ფულს აძლევდნენ. მამაჩემი დურგალი იყო, მერე წავიდოდა მტკვარზე, ახლოს ახალშენში, მოიტანდა თევზსა, მერე აიტანდა ორგორაზე გაჰყიდიდა, – ფქვილზე, პურზე და არ გვიჭირდა. ომიანობის დროსაც არ გვიჭირდა.

მერე რავი, რა მოხდა, რა არ მოხდა, თათრები გაასახლეს. ოღონდ, თათრები შემოესივნენ ამ ქართველებს ხოცავდნენ, ჩვენ თათრებში რო ვიყავით, ღორის ხორცს არ ვჭამდით... თათრები გვფარველობდნენ. გარეშემო რო შემოეხვივნენ, რო ქართველები უნდა დეეხოცნათ. ომიანობა (*მეორე მსოფლიო ომი*) ჯერ არ იყო, თათრები რო შემოესივნენ და ხოცავდნენ, არ მახსოვს რომელი წელი იყო. მე შევესწარი, ბავშვი ვიყავი, მარა მახსოვს. თათრებს რო ასახლებდნენ, ოცდაოთხი საათი გარეთ არ გამოგვიშვეს, ჯარი ჩადგა და არც იმათ არ იცოდნენ, რა მოხდა. ოცდაოთხ საათში დაიცალა სოფელი, ვის რას მოეხმარებოდი, გახვიდოდი,

[24] ორგორი – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ტყვიას გესროდნენ. გარეთ ქართველები არ გამოუშვიათ, ისე მოხვეტეს და წაიყვანეს. ჩვენთან მტრობა იმათ არ ჰქონიათ. გული დამწყდა იმიტომ, რომ ამხანაგები იყვნენ გოგოები და ერთად კარგად ვთამაშობდით. არაფერს არ გვერჩოდნენ.

ახლა თათრებს რჯული მაინც ბრუდე ჰქონდათ, ჯარში არ ჩერდებოდნენ, გამორბოდნენ. სტალინმა მოხვეტა ერთიანად და გაასახლა. რო წაიყვანდენ ჯარში მორბოდნენ, მერე დაედევნებოდნენ, ხან სად იმალებოდნენ, ხან სადა. სტალინი მიყვარდა, რას მერჩოდა რო? მარა ეს ხალხი რო მიხვეტ-მოხვეტა, მაგაზე გული მამივიდა, მარა რო არ მიეხვეტა... თათრები ქართველებზე ზედ წამოვიდოდნენ იმიტომ, რომ ქართველი ერი ცოტა არი და თათარი ბევრია.

თათრები რო გაასახლეს, ჩვენ ცოტანი დავრჩით და ტოლოში მოგვიყვანეს ეს ექვსი კომლი. სოფელი (სოფ. ახალშენი) დაცარიელდა და ეხლა ნაწილი ორგორასა აქვს და სახუდაბელს[25]. წყლის გაღმა, იქითკენ რუსთავს აქვს, ზოგი იდუმალას აქვს. ასეთი დიდი ტერიტორია ჰქონდა ახალშენს.

თოთმეტი წლისა ვიყავი, ფერმაში წავედი, თვრამეტი წლისა ვიყავი, გავთხოვდი. ტოლოშის ფერმაში ოცდათექვსმეტი წელი ძროხას ვწველიდი. კოლექტივისა იყო საქონელი მაშინ. აქ რომ ჩამოვედი რვა წლისა ვიყავი, ოთხი წელი აქეთ-იქით, ცოტა რო წამოვიზრდე დედაჩემი გაგზავნეს ფერმაში, იქამდე დედაჩემი კოლექტივში მუშაობდა, მოწინავე იყო. მინდორში მუშაობდა, ფოცხზე, ცელზე. მერე საქონელს შეხვდა ბრუცელიოზი, დაავადმყოფდა საქონელი. ექიმი მოვიდა, დაარჩია და სხვაგან გარეკეს ეს საქონელი და ეს დედაჩემი იქ გააყოლიეს მწველავად. მე წავედი დედაჩემის მაგიერ. თოთხმეტი წლისა ვიყავი, რო მე ძროხას ვწველიდი, ესენი (*ხელის მტევნები*) სულ დამისივდა, ცხრამეტ ძროხას ვწველიდი.

მერე, ნეტა არ გამხსნოდა, ბედი გამეხსნა, თვრამეტი წლისა გავხდი და გამათხოვეს. გარიგებით გამათხოვეს. ახალქალაქის რაიონი იყო, ვარევანს ეძახდნენ. არ ვთხოვ-

[25] სახუდაბელი – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში.

დებოდი, გათხოვებისა რა ვიცოდი. ისე ფინთი პრინციპი მქონდა! არ ვთხოვდებოდი, მამაჩემმა ქუდი გადმამიგდო. აი, ამ ქუდში ჩამიჯვი და სიტყვას უკან ნუ მიმაცემინებო. რაღა მექნა, მამაჩემის სიტყვას მე არ გავტეხამდი. წავყევი, მარა ბედმა არ გამიღიმა და დავქვრივდი, მოკვდა ქმარი, ღვიძლის დაშლა ჰქონდა და მოკვდა, ახლაგაზრდა იყო. იქიდან ექვსი თვის ორსული წამოვედი და აქ მეყოლა.

ცხრამეტი წლით მე ჩემ ბიჭზე დიდი ვარ. ბევრი მთხოვნელი მყავდა, რო ცოდო ხარ, ახალგაზრდა... არა! (*ხელს აქნევს უარყოფის ნიშნად*) ერთხელ რო ბედმა არ გამიღიმა, მეორედ ჩემი გათხოვება ზედმეტია. მერე ეს ბავშვი რო გახდა წლისა, დედაჩემს დაუტოვე და ფერმაში წავედი. ოცდათექვსმეტი წელი ფერმაში ვიმუშავე. ამ ოცდათექვსმეტ წელში, ორი წელი ცხვარი ვწველე, თან ძროხა და თან ცხვარი. ესე იგი შვიდი კილომეტრია აქედან მთა, ჩამოვიდოდი, აქ ნორმაში ვმუშაობდი. ხუთი გახდებოდა საათი და შეუდგებოდი აღმართსა, წავიდოდი. ავიდოდი, მოვიდოდა ფერმა (*ფერმის საქონელი*) მოვწველიდი, ფერმის ძროხა წავიდოდა, ღამე მინდორში რეკენდნენ, დილით მოდიოდა ასე შვიდ-რვა საათზე, დილით მოვწველიდი, ისევ წავიდოდა, ახლა საღამოთი მოვიდოდა, და ესე... ფერმის ძროხის გარდა, მე სამი ძროხა მყავდა. ეხლა ფერმა (*ფერმის საქონელი*) რო წავიდოდა, ჩემი საქონელი მოვიდოდა. ჩემ საქონელს მოვწველინდი, მივიდოდი, სეპერატორზე გავატარენდი, ყველ გავაკეთენდი რამე, ამასობაში გახდებოდა ორი საათი ღამე, დავწვებოდი, დილით ავდგებოდი და კიდე გავიმეორენდი, რო მეტი მიმეღო ხელფასი, ძროხასაც ვუვლიდი და ცხვარსაც ვწველინდი, რომ მე სახლი გამეკეთებინა. რძალი მყავდა ძაან ავი, ძმის ცოლი. ჩემი რძლის ამარას რო არ ვყოფილიყავი, ორმაგ საქმეს ვაკეთებდი. ცალკე ვაკეთებდი ჩემთვინ. ფერმას ხო მოვწველიდი, ფერმას რძეს ჩავაბარიდით, მერე წამოვიდოდი, ახლა ჩემ ძროხებს მოვწველიდი, იქვე სახლები გვქონდა, თათრის ნასახლარები იყო. ჰოდა, ამ ცხვარს რო მოვწველიდი, შუადღეს ამოდიოდა, წავიდოდა, ახლა

ძროხა მოვიდოდა, ახლა იმ ძოხას მოვწველიდი. ამ ცხვარს რო ვწველინდი, ორნი ვიყავით. ერთ ვედრა რძეს ერთი დღე ის წაიღებდა, ერთ ვედრა რძეს მე მოვიტანდი. ბოჩკით [კასრით] ყველ ვაკეთებდი. მოწინავე ვიყავი. ცხრანი ვიყავით და ეს გოგოები რო დაწვებოდნენ და დაისვენებდნენ, მე დასვენება არ მქონდა. რო აი, ხალხის სასაცილო არ დავრჩენილიყავი, ორმაგს ვაკეთებდი. არც ჩემი გამიფუჭებია, არც კოლექტივისა. მოვიდოდნენ რაიონიდან, სურათასც გადამიღებდნენ, საპატიო დაფაზეც მქონდა სურათი, რაიონის დეპუტატიც ვიყავი, სესიაზე დავდიოდი, მსაჯულიც[26] ვიყავი ორი წელი... ჩემზე ბევრს არც არავინ არ წველიდა, ჩემზე ბევრ ხბორებსაც არც არავინ არ ზრდიდა. აი, ცხრანი ვიყავით და პირველი კლასის ოსტატის წოდება მომცეს. ყოველ ას მანეთზე ოცდახუთ მანეთს მიმატენდნენ და ხუთასი მანეთი შემიგროვდებოდა, პაჩკით მაძლევდნენ.

აი, ეს სახლი, კარი, ყველაფერი, ეს „კრაოტები“ [საწოლები] რამე, ეს გარდერობი, სულ გადაჭარბების ფულით მიყიდია. ოცდათექვსმეტი წელი ოცდათექვსმეტი დღე არ არის, თვე არ არის, კვირა არ არის. რო დავფიქრდები ეხლა, ჩემთავად ნერვები მეშლება, რო აღარ შემიძლია.

ცამეტი წელი ზამთარი მთაში ვიყავი. მერე აქ ცხონებული კაი კაცი იყო თავმჯდომარე, აქ სოფელში გააკეთა ბოსელი. ზამთარში ჩამოვდიოდით და ზაფხულში მივდიოდით. იქამდე კი თათრების სახლი იყო მანდ მთაში, რო გაასახლეს, ფერმა გააშენეს და მე და ჩემი და მანდ ვიყავით. ოთახი გვქონდა, ერთ გვერდზე ჩამონგრეული იყო, თოვლი იყო, ერთ მხარეზე ჩვენ ვიწექით, მე და ჩემი და ერთად ვიყავით. ოთახს ფანჯრები არ ქონდა, მაგრამ ერდო ჰქონდა. ზამთარი იყო დიდი, აიქოლებოდა ისე, რო ვერ გამოხვიდოდი გარეთ. ეს ცამეტი წელი მაგ ტანჯვა-წამებაში გავატარე და რო დავფიქრდები ეხლა, მიკვირს, რო აი, როგორ, ჩემთან ვერავინ ვერ გაძლო. ჩემთან რამდენიც გოგოები იყვნენ,

[26] სსრკ-ში მოქმედებდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

ზოგმა ხუთი წელი იმუშავა, ვერ გაძლო, ზოგმა ექვსი წელი, ზოგმა სამი, ზოგმა ცხრა წელი, მე – ოცდათექვსმეტი წელი... რისკი გავწიე და რო არ გავთხოვდი, ხალხის სასაცილო მე არ გავხდები-მეთქი. ბავშვი დედაჩემს ებარა, ხან ამოვიდოდა ჩემთან მთაში, მერე უკვე მოიზარდა, სკოლაში დადიოდა. რო ჩამოლაგდა ფერმა, ეს ჩემი ბავშვი იყო მეათე კლასში.

მერე რო ვწველანდით ძროხას, იქ მოვიდნენ თბილისი-დან შემოწმებაზე, მოიარეს ეს ცხრა ქალი, მე დამადგნენ თავზე და შენი მოწველილი რძე გვინდაო. სამლიტრიან ბანკაში [ქილაში] გაამსეს, თან სურათიც გადამიღეს რძით. ზოგი ასე დაიდებდა ვედრას, ზოგი ასე და მე ესე იგი მე ვედრას ჩავიდგამდი ასე (*მუხლებთან*), სკამზე ვზივარ და ვედრას ბწკარი არ მოხვდებოდა. ვედრა მქონდა ცალკე, მარლა, ცურს მოუსვენდი და სუფთად ვწველიდი. რო დამაკვირდნენ, მოიარეს და დამადგნენ მე, მოვიდნენ და ჩემი მოწველილი რძე წაიღეს. მანდაც სურათი გადამიღეს. ბევრი სურათი მქონდა გაზეთებშიც, საპატიო დაფაზე ასპინძაში რაიკომის გაკეთებული იყო და იქ ეკრა. მიხაროდა, დაფასება რომ მქონდა, არ მიხარია?! ჰოდა, ეხლა გული მწყდება, რო ამდენი შრომის პატრონი... ვინც ძილიდან არ გამოსულა და გარე-კარის პირი არ უნახია, მინდვრის პირი არ უნახია, ისიც ღებულობს ას სამოც ლარს, მეც ვღებულობ ას სამოც ლარს. აი, ამაში არ არის სამართალი. აი, ხო მეტი გარჩევა უნდა ყოფილიყო, აი, მაგაზე. ეხლა გული მწყდება, რომ დავბერდი. გული არ ბერდება, მაინც მიხარია რაღაც. აი, ვერ გავჩერდები, ვერ ვჩერდები. ძროხას რო დავაკვირდები, სუ სახელით დავუძახამ. მარტო, მარტში დაბადებული ძროხა, მარტოს რო ვეტყვი, „მმმმუ“ ასე შემომცქერის. მინდორში რო დავუძახო, ისე მორბის!

საკუთარ ძროხებსაც სახელით მივმართავ. აეგრე იყო ჩემი ისტორია, ბევრი ტანჯვა გამოვიარე, უპატრონო ქალს ზოგი ქვას მესროდა, სიტყვას მესროდნენ, ეს რო უპატ-რონოა, ვინ იცის, ვის ყვარობს ან ვისთან დადის. მე ჩემი სუფთა კალთა მე თვითონ მეფარა, ეხლა სოფელში ისეთი

სახელი მაქ, რომ სუ ასე იმით (*პატივისცემით*) მესალმებიან, რო რანაირი ქალი ხარ, რანაირი ადამიანი ხარ.

ამ ოცდათექვსმეტ წელში ზაფხულში, თიბვის დრო რო მოვიდოდა, სამი კილომეტრია სადაც მე ვწველენდი, იმიდან ზეით ჭალები იყო. ორ მაშინა თივას მოვთიბენდი მე თითონ, მოვქოჩენდი, დავდგენდი და მერე შემოუთვლიდი ჩემ ძმას, რო მანქანა ამოიყვანე და წაიღე თივა. თან ძროხას ვწველიდი, თან ვთიბენდი, თან ვაფოცხენდი. აი, ამ ოცდათექვსმეტ წელში ამასაც ვაკეთებდი. ამას ხო რაიონიც ხედავდა და ყველა ხედავდა და იმიტომ მამცეს მე რაიონის პირველი კლასის ოსტატის წოდება.

დეპუტატობის დროს სესიაზე ჩავიდოდით. რო ილაპარაკენდნენ, მაგალითად, რა უნდა გაკეთებულიყო, ვის უნდა დავხმარებოდით, მოუსმენდით, წამოვიდოდით. სახლს რო ვაშენებდი, ტყეშელაშვილი იყო მეტყევე და მასალას არ მაძლევდა, რამდენჯერაც არ ჩავედი, „ხვალ მოდი, ერთი კვირის მერე მოდი“, ფული უნდოდა, არადა, კედლები ამოვიდა და ზეიდან გადასახურია. მერე სესიაზე ვიყავი და, მანამ სესიაზე მივსულიყავი, აღმასკომის თავმჯდომარესთან შევედი, მე უთხარი: „ციდან უნდა მაწვიმოს მე, სახლი გადასახური მაქ, ბავშვი გარეთ მყავს“, „არ გაძლევსო?“ „არა მეთქი“. მოიწვია სესია, კრება და მითხრა, რო: „რა ქენი გვარამაძე, სახლი გადახურეო?“ „არა მეთქი, მასალა მინდა და არ მაძლევს“ „ადექი, ტყეშელაშვილო, ფეხზე, ეხლავე წახვალო, ამასო დაუნომრავ ხეებსო, თორე შენ მაგ სამსახურს დასტოვამ ლამაზათო. რო გამოვედით „რა იყო, რო არ დაგებეზღებინაო?“ „რა იყო მეთქი რო მოგეცა?“ ისე ლამაზად წამოვიდა, ხუთი იყო საათი, იმავე დღეს წამოვიდა ტყეში, დანომრა ხეები. შიში მისცა და რას არ დანომრიდა! (*იცინის*) ჰოდა, მეორე დღეს თავმჯდომარემ მანქანა მამცა, ხალხი გამამიყო, ჩამაიტანეს და დადგეს.

ამ ოცდათექვსმეტ წელში თექვსმეტი ხბო ავიყვანე. ჯილდო დაადგინეს, რო თორმეტ სულ ხბოს რო გაზრდიდი, ერთ ცალს შენ გაჩუქებდნენ. დანარჩენი, ეს სახლი სულ გა-

დაჭარბებით მაქ გაკეთებული. რძეს რო გადავაჭარბებდი, შემოდგომით რო მივიდოდი, ხუთას მანეთ მაძლევდნენ, პირველი კლასის ოსტატის წოდება მქონდა. ასი მანეთი რო მიმეღო, ოცდახუთ მანეთ მიმატებდნენ. თითქმის ორ ტომარა ფქვილ ვიღებდი, აი, ეგრე. სამი ხბოს კიდე ფული ავიღე, რო სახლ კრიშა გადავადგი. ბევრი კაციანი ქალები იყვნენ, შვილებიც ყავდათ რამე, მაგრამ ჩემნაირად სახლი არავის არ გაუკეთებია. და რა ვქნა ახლა, ძვირფასი ვეშჩი მე არა მაქ, რო ვთქვა დივან-კრესლო [ტახტი-სავარძელი] და ეგეთი რაღაცეები, მე არა მაქ. რაც მაქ, ამის კმაყოფილი ვარ. ის უკვირთ, რომ ამდენი ტანჯვის პატრონი ნემსსაც ვაგებ, ვკერამ კიდეც, ვქსოვ კიდეც, მატყლსაც გავჩეჩავ, დავართავ. ქათამს ვუვლი, ხბოს უვლი, წიწილებ ვუვლი, აი, ჩემ ბოსტან ვუვლი და აი, ეს ვარ.

ეხლა დაავანტყოფდი, გულით გავწევ. სიცოცხლე ბევრი არ მიწერია, მაგრამ არ მინდა რო რამე გაფუჭდეს. ჩემი კარგობით ესენი (*შვილები, შვილიშვილები*) პატივს მცემენ. მე არ დავიკვეხამ, აი, გოგოებიც იტყვიან, აი, სოფელშიც რო შეეკითხო, ჩემზე ცუდს კაციშვილი ვერ იტყვის. შრომაში ვარ დაბერებული. რო კრება რამე მოხდებოდა, დამიძახებდნენ, დამაჯილდოვებდნენ, ხან ვაზას მამცემდნენ, ხან ჩასაცმელს მამცემდნენ, ხან კიდე ცომის მოსაზელს. რო მოვიდოდნენ, პირველი მე ვიყავი, ტრიბუნას, თუ რას ეძახიან დაფასებული ვიყავი და იქ უნდა დავმჯდარიყავი.

ეს ჩემი ბიჭი წაიყვანეს ჯარში, მანამ ჯარში წასულიყო, ცუდად ხდებოდა და არ უნდა წაეყვენათ, თან დედის ერთა რო იყო, თან დეპუტატი რო ვიყავი, არ უნდა წეეყვენათ და სხვის მაგიერ ეს გაგზავნეს. ჩიტაში იყო, ერთი თვენახევარი წერილი აღარ მოვიდა და მერე ეს ალელიშვილი იყო მდივანი აქა. ეგ რო ამოვიდა ფერმაში, ვუთხარი, ჩემი ბიჭი ჯარში წაიყვანეს მეთქი და ექვსი თვეა წასულია და თვენახევარია წერილი არ მოსულა“. „ხვალიდანვე განცხადებას შემოიტანო. შენო, თან მოწინავე მწველავი ხარ და თან დეპუტატიო“. მერე ჩავედი აქ აღმასკომში, დაუძახა (*თავმჯდომარემ*), ელდარა იყო წით-

ლანაძე, ეხლაც არი ექიმი: „შენ ის ბავშვი სხვის მაგიერ რად გაგზავნეო?“ საყვედური მისცა. ამ ექიმმა მიყვირა, რო შენ რად დამაბეზღეო. მე ვუთხარი, აი, ესე იყო, თუ არ ეკუთვნოდა, რად გაგზავნე? მისწერე, რო ჩამოვიდესო. კომისარიატში დაავალა, იქიდან ჩამოიყვანეს და გააკომისიეს. მერე ცუდად ხდებოდა, რამდენი ვაი-ვაგლახი გამოვიარე.

რო ვილაპარაკო, ქვა დადნებოდა ჩემ მაგიერ, ქვა. ის უნდა მეთქვა, რო ეს რო სიკვდილ გადურჩა, მე რო ღმერთ ხელები შევყარე, საღვთო შეუთქვი, საღვთოც დაუკალი, ფეხშველა ფეხით, თოვლი ჭყაპი იყო, ავედი ეკლესიას შემოუარე და ეხლა ვფიქრობ, რო ღმერთი იყო სადღაც.

თუ დაიმსახურებდი, დეპუტატად აგირჩევდნენ. ეხლა ხო ტარდება არჩევნები, აი, ეგრე ტარდებოდა არჩევნები. თუ ხმას მეტ მივიღენდი, მე ვიქნებოდი დეპუტატი. ორი ამორჩევა რაიონის დეპუტატი ვიყავი. მერე ორი ამორჩევა მსაჯულად ვიყავი. მარტო მე ვიყავი მსაჯული სოფლიდან, რაიონიდან ყველა სოფლიდან თითო იყო. მსაჯულად რო დაგვიბარენდნენ, მოვიდოდა ქაღალდი, რო შენ ამა და ამ დღეს მსაჯული ხარ და უნდა ჩამოხვიდენა, რო ეს კაცი უნდა გაასამართლოს. ჩემთან ერთად ტამალელი იყო, ასპინძის რაიონია, სომეხი იყო. ჩვენ ორნი ვიყავით. ე ჩვენი სოფლიდან რო ვინმე ყოფილიყო, მე არ უნდა ვყოფილიყავი და იმის სოფლიდან რო ვინმე ყოფილიყო, ის არ უნდა ყოფილიყო. ერთად ვიყავით.

ფერმაში რაიკომის მდივანი ამოდიოდა. ერთხელაც დავაბეზღე (*იცინის*). ისე დასაბეზღებელი კი იყო, აი, ის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე. სინათლე გამოიყვანეს იქ მთაში, ამ ჩემ ოთახში როგორღაც იქნა ჩაქრა, არ გამოვიდა. ახლა იქიდან შემოუთვლი, რო მე ოთახში სინათლე არა მაქ. ყურადღება არ მამაქციეს, არც მანტიორმა და არც არავინ. მარუაშვილი იყო მესამე მდივანი და ამოვიდა იქა. რო ამოდიოდნენ, მე მცნობდნენ, პირველ რიგში ჩემთან მოდიოდნენ, ხელი უნდა ჩამოერთმიათ და მოვეკითხე რამე. რო მოვიდა

აღათო გვარამაძე - მოწინავე მწველავი ფერმაში მომუშავე ქალებთან ერთად. რაიონული გაზეთისთვის გადაღებული ფოტო.
სოფელი ტოლოში, 1960-იანი წლები.

მომიკითხა, „როგორა ხარ გვარამაძე?“ „ხედავ-მეთქი, როგორი მზიანი დღეა, მე ღამე ბნელაში ვარ, სინათლე არა მაქ, ხო გამოიყვანეს სინათლე, მარა ჩემ ოთახში არ არი-მეთქი“. ოთახები განაწილებული იყო, ცხრა ოთახი იყო. დაუძახა ფერმის გამგეს და იმ დროს მანტიორიც იქ არ შეხვდა?! „მეო, რამდენი დღეო არ ჩავსულვარო“ – ფერმის გამგემ თავი დაიზღვია. ეს მანტიორ დაუძახა „მოდი აქ, რატო არ არის ამის ოთახში სინათლე?“ მიკიბ-მოკიბა „რავი საქმე მქონდაო“ „საქმე ქონდა თიბაზე იყავი, შენ თივას თიბენდი და ეს ქალი ბნელაში იყო არა? ეხლავე ჩქარა!“, – დაადგა, იმან სინათლე გამამიყვანა. რო წავიდა, მერე „რა არი, რათ დამაბეზღეო?“ ფერმის გამგემ ცალკე. „აბა თქვენ სინათლეში იყავით და მე რაში ვიყავ“ – აეგრე ვაკეთებდი, გამბედაობა მქონდა, გაბედული ვიყავი. რო გაფასებენ და გაწინაურებენ, თავისთავად გეძლევა გამბედაობა და ყველაფერი. უშიშარი ვიყავი, არ მოვიქურდენდი. ჰალალად მოვწველინდი, ჰალალად ვაკეთენდი. ფერმი გამგეც მენდობოდა. რო წამოვიდოდა, გასაღებები მქონდა და იცოდა, რო მე არ ვუღალატენდი და არ მოვიპარენდი. აი, ასეთი სახელი მქონდა და მაქ კიდეც.

ადრე მიწურ სახლში ვცხოვრონდით ცხრანი (*მწველავი ქალები მთაში*), ერთად ვიყავით და მერე ამ ცხონებულმა თავ-მჯდომარემ ცალკე ოთახები გააკეთა, ახალი ააშენა და თი-თო ოთახში ვიყავით. მე რო სოფელში წამოვიდოდი, ყოველ დღე დავდიოდი, მარტო მორიგეობის დღეს ვრჩებოდი, რომ ყველი გამეკეთებინა, ფერმის ყველი, რძე რამე, ჩემთან იყო. ეს გოგოები მანდ ხო რჩებოდნენ და საღამოთი რო ავიდოდი, სულ შემოგროვდებოდნენ ჩემ ოთახში. ვმახსრობდით, აი, მახსრობა ძაან მიყვარდა. ამ გოგოებს ვაწვალენდი რამე. ჯერ გამიბრაზდებოდნენ და მერე „ნეტაი შენ არ წახვიდე სოფელში, ყრუთ ვართო“. მერე ძმა რო გემემეცალა, ჩემ გულს არც გაუხარია, არც გამიცინია, აღარც მიმახსრია. იქ ზემოთ მწყემსებიც იყვნენ. მწყემსებს ცალკე სახლი ქონ-დათ. ერთად ვიდექით, ტრაქტორისტები იყვენენ, ერთი ჩემი ძმა იყო, ერთი ხიზაბავრელი იყო. ისინი მწყემსებთან რჩებოდნენ ღამე. ტრაქტორისტები დაბნელებამდე მუშაობ-დნენ, ყანებს ხნენდნენ [ხნავდნენ]. ახლა დილით ადრე ად-გებოდნენ და ისევ მუშაობდნენ. ისე ხან სოფელშიც მოდი-ოდნენ, ძირითადად რჩებოდნენ იქ. მე ძირითადად შიში არაფერი არ ვიცოდი. სულ მარტო დავდიოდი. მერე ერთი პერიოდი თქვეს, რო გადმოპარულები არიანო. მე სოფელ-ში მოვდიოდი, ორი გოგო და ორი ბიჭი მიდიოდნენ აქედან ალანძიას უძახით, აღმართია, სამი კოლიმეტრია და თავზე რო მე გადმოვდექი, ეგენი აქედან მიდიან და ესენი უნდა გადაიპარნენ თურქეთში, საზღვარზე მიდიოდნენ. რაღაც-ნაირი სალამი მამცეს, ქართველი არ იყვნენ, რა ერი იყო არ ვიცი. ხო და ამათ რო გევეცქირე, ეჭვი ავიღე რაღაც-ნაირად. მერე რო წამოვედი, გზადაგზა დავფიქრდი, მეთქი ამათ რაღაცნაირი სალამი მამცეს, თანაც გიეცინათ. რო ჩამოვედი, ამ შუა სოფელში რო მოვედი, თქვეს რო, ვიღაცე-ები თურქეთში მიდიან, უნდა გადაიპარნენო, ხო არ შეგხვედ-რიათო? ჰოდა, მაშინ შიშმა ამიღო, ისინი ოთხნი იყვენენ და მე ერთი და მეთქი არ მამკლან. მე უთხარი, რო ესე, ესე ორი ბიჭი იყო და ორიც გოგო და ესე რაღაცნაირად მომესალმნენ.

ამათ, საბჭოს თავმჯდომარე იყო და ერთი სოფლელი კაცი, მანქანა დაქოქეს და საზღვარზე მოუსწრეს, წაიყვანეს. ეს დაახლოებით შევარდნაძის დრო იყო, შევარდნაძე მეორედ რო ჩამოვიდა, ამ სააკაშვილის დრო არ იყო. ერთი პერიოდი მივდივარ და ერთი ბიჭი, ახალგაზრდა ბიჭი იყო, ჩემი შვილის ტოლი ესე, ცხენით მიდის, თუში და ამ თუშებს სახელი გავარდნილი ჰქონდათ, რო საშიშები იყვნენ. ერთი პერიოდი იყო, ქალებს რო დაინახავდნენ, ზედ მიდიოდნენ. ჰოდა, ახლა ეს ბიჭი წყალზე შემხვდა, ამ ვაკეზე რო მივდიოდი. მე სალამი მივეცი და მივდივარ, თქვა, რო: „დედაჩემო შენ დაჯექი ცხენზე და მე ფეხით წამოვალო“. მე შემეშინდა და „არა, არა ბიჭო ჯან, მე ფეხით წამოვალ“. ხო იცი ძაღლი და კაცი ერთია, „შენ მოდი ცხენზე დაჯექ და მე ესე მოკლეზე ფეხით წავალ“. დავფიქრდი, ეს საწყალი, ეშმაკობა არ ჰქონდა მაგ კაცს. შევჯექი ცხენზე, შემაჯინა, თვითონ ასე მოკლეზე წავიდა, მე ესე გზა-გზა მივდივარ ლამაზად. ეს ბიჭი ასულა სადაც ძროხას ვწელიდი, ბერას რო ვეძახით, და იქ ქვაზე დამჯდარა, ზის, მელოდება, რო იქ ავიდე ცხენით. ამ გოგოებსაც ხბორები დაუბიათ და მელოდებიან (*იცინის*), ხო არ იციან რო მე ცხენით მივდივარ. სულ მასხრობაში ვატარებდი, ნეტა, აი, ის გული რო მქონდეს ეხლა, არ დავბერდები, იმიტომ არ დავბერდი ადრე. გოგოებმა დაიწყეს სიცილი „დაიცა, თუშმა მოგცა ცხენი?“ „ჰო მეთქი, რა არი?“. იცინეს. იმ ბიჭმა მიხვდა, რო ამათ მე დამცინეს და: „ესაო, როგორც ჩემი დედაო, დედაჩემი ამის ხნისა არიო და დედაჩემიც ასე წვალობს გზაზეო და როგორც ჩემი დედა, ისე შევაჯინე ცხენზეო“.

აი, ხო იტყვიან, რო ხანშია და გულმავიწყია, არა არ მავიწყდება. აი, ოთხმოცდაოთხი წლისა გავხდი 30 მაისს და რაც გამიკეთებია ბავშვობაში, აი, ეს მეხსიერება ისევ მაქვს. ბევრი ქალი ჩემზე პატარაც არის, მაგრამ არ მახსოვს, სად დავდეო, არ მახსოვსო, მარა ერთი თვე რო გავიდეს და ეს აქ დევს არა, ისევ ვიცი, რო იქ არი. აი, ესეთი მეხსიერება მაქ. ოღონდ, ადამიანი ბერდება მუხლებიდან. მუხლები და-

მისივდება ახლად რო აყვავილდება, ისე გამისივდება ფეხები, რომ ფეხსაცმელში ვერ ჩავდებ ფეხს, რამდენი წყვილი ტუფლი [ფეხსაცმელი] მაქ და ვერ ვიცმევ. ეხლა რო მოითიბა ბაღები და ჩახმა, მაშინ მუხლებიც დაცხრა, ოღონდ ღონე აღარ მაქვს ამ მუხლებში. არადა გული მერჩის, რო წავიდე... მე მგონი, ამ სოფელში რო მოიკითხო, არავინ ცუდს ჩემზე არ იტყვის და თუ თქვა ცუდი, შურით იქნება. ხოლმე აქაც შემომისხდებიან ქალები, მოუყვები რამეს და „ოღონდ შენ ილაპარაკეო, გულიდან გადაგვეყაროსო, რა“.

ქართლი

მზია ბადრიშვილი, ესმა გოგლიძე, ეთერ გოგინაშვილი, მერი გაბინაშვილი

ფოტო გადაიღო და ინტერვიუ ჩაიწერა მარიამ აბრამიშვილმა.
სოფელი თერგვისი (გორი), 2016 წლის ივლისი.

მზია ბადრიშვილი

დაიბადა 1949 წლის 12 ოქტომბერს ხაშურის რაიონის სოფელ სატივეში. პაპა, ალექსანდრე ბადრიშვილი სოფელში დაფასებული კაცი იყო და ამიტომაც კოლმეურნეობის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს. დედაც საკმაოდ აქტიური კომუნისტი იყო.

მზია ბადრიშვილი ჯერ სკოლის პიონერ ხელმძღვანელი იყო და ყველაზე ბედნიერ წლებად სწორედ ამ პერიოდს იხსენებს, როცა იმართებოდა ლაშქრობები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სკოლის პედაგოგად მუშაობს. სკოლის პირველი მასწავლებლის დიდმა სიყვარულმა გადააწყვეტინა პატარებთან მუშაობა და დღემდე დაწყებითი კლასების მასწავლებელია.

ცხოვრობს მეუღლესთან ერთად, ჰყავს ორი ვაჟი და ოთხი შვილიშვილი.

დავიბადე ხაშურის რაიონის სოფელ სატივეში 1949 წლის 12 ოქტომბერს. პირველი დაწყებითი განათლება იქვე დავამთავრე. ბადრიშვილების გვარი წარმოშობით ხევსურეთიდანაა, ძალიან პატარა გვარია. იყო ჩვენ სოფელში ბაგრატიონთა ერთ-ერთი შტო, რომელთანაც პაპაჩემის მამა მსახურობდა, მათ კარზე და უბოძა აზნაურობა და იქიდანვე იწოდება ჩვენი გვარი აზნაურებად. საკმაოდ განათლებული პიროვნებები იყვნენ, ერთადერთი პაპაჩემი დარჩა სოფელში. გარეგნობით იყო ახოვანი, ვაჟკაცური კაცი, ძალიან კარგად მახსოვს. მე პირველ კლასში ვიყავი, როცა გარდაიცვალა და იქამდე კარგად მახსენდება. სოფელში დაფასებული პიროვნება იყო და პირველად რომ ჩამოყალიბდა სოფელში კოლმეურნეობები, პაპაჩემი აირჩიეს კოლმეურნეობის პირველ თავმჯდომარედ. ამავდროულად, იყო კომუნისტური პარტიის წევრი და ღრმად ჰქონდა ძვალ-რბილში გამჯდარი ეს ყველაფერი. იდეებს ემსახურებოდა თავიდან ბოლომდე.

პაპაჩემი ხომ ასეთი პირწავარდნილი კომუნისტი იყო, ამ დროს, მისი უფროსი ძმა იყო მღვდელი და მოღვაწეობდა ერთ-ერთ ეკლესიაში. მათი შვილებიც მოდიოდნენ ხოლმე ჩვენთან ოჯახში და ირჩეოდა ხოლმე ეს საქმეები. მე პატარა, მთელი გულისყურით ვუსმენდი მათ საუბრებს და გაორებული ვიყავი, რატომ სჯობდა ეს და რატომ ის არა?..

სკოლაში რომ მივედი, რა თქმა უნდა, მაშინ იყო ოქტომბრელთა რიგები, მერე პიონერთა რიგები, მერე იყო კომკავშირი. პირველად გავხდი ოქტომბრელი დიდ საზეიმო ვითარებაში, დამაბნიეს ხუთქიმიანი ვარსკვლავი ვლადიმერ ლენინის გამოსახულებით, ბავშვობაში ხუჭუჭთმიანი რომ იყო. მერე დიდი ზარზეიმით გავხდით პიონერები, შემდეგ კომკავშირელები, აქაც დიდი საზეიმო ვითარებით ხდებოდა ეს ყველაფერი და ბოლოს იქიდან მიგვიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში, ანუ ვითომ ვინც იმსახურებდა, მაშინ ასე მეგონა.

სკოლა დავამთავრე წარმატებულად, კარგად ვსწავლობდი, რაზმის საბჭოს აქტიური თავმჯდომარეც ვიყავი, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეც და კომკავშირის მდი-

ვანიც. ჩვენთან სკოლა იყო რვაწლიანი, როგორც მოგეხსენებათ და გადავდიოთ მეორე სოფელში, გომში, ხაშურის რაიონში, სკოლა იქ დავამთავრე. იქ უფრო სხვანაირი სიტუაცია დაგვხვდა, მაგრამ რაღაცნაირად მალე შევეჩვეოდით ხოლმე ბავშვები ამ ყველაფერს. ეს სასკოლო მხიარული წლები, ასე მხიარულად ჩავათავეთ, ჩავაბარეთ ინსტიტუტში. ძალიან მიყვარდა ჩემი პირველი მასწავლებელი და რატომღაც იმ პიროვნების სიყვარულით გადავწყვიტე, რომ პატარებთან მემუშავა. მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგობებიც მქონდა, ვიყავი ძალიან პრინციპული და ის რაც მქონდა ჩაფიქრებული, იმას ვაკეთებდი. გამოვაცხადე, რომ მე უნდა გავხდე დაწყებითი კლასების მასწავლებელი და დღემდე პირნათლად მოვდევ ამ ყველაფერს.

პაპაჩემი ალექსანდრე ბადრიშვილი იყო პირველი კოლმეურნეობის თავმჯდომარე და პირველი პარტორგიც, დედაჩემი გომელი იყო, ის მუშაობდა განთქმულ გომის სპირტის ქარხანაში, იქ მიიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში. პაპაჩემმა როცა გაიგო, რომ რძლად უნდა მოეყვანათ კომუნისტი, ძალიან უხაროდა, რომ სახლში კიდევ ერთი კომუნისტი შემოდიოდა.

საინტერესო ის იყო, რომ ამ ხალხს იმდენად სჯეროდა ამ ყველაფრისა, ამ იდეალებისა და ისე ჰქონდათ ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ ეგონათ, რომ ეს ძალიან კარგი იყო, ძალიან კარგად უნდა ეცხოვრათ და კომუნისტებს ბედნიერება მოჰქონდათ ადამიანებისთვის. ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, ჩვენც ასე გვინერგავდნენ, იყო ჩვენი ბელადი, ჩვენი მასწავლებელი, ამვდროულად, რა თქმა უნდა, სტალინიც, სტალინზე ხომ ძალიან დიდი ენთუზიაზმით ლაპარაკობდნენ. მე ძალიან კარგად მახსოვს, პატარა ვიყავი პირველ კლასში, როდესაც დაიღუპა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი და როგორი საშინელი გლოვა იყო თუნდაც იმ ჩემ პატარა სოფელში. ხალხი პირდაპირ, როგორც საკუთარ ჭირისუფალს, ისე გლოვობდა, ბავშვები რაღაცნაირად გაშტერებულები ვუყურებდით და ჩვენც ვტიროდით. რაზე ვტიროდი, ნამდვილად არ ვიცოდი, ეს ძალიან ბუნდოვნად მახსოვს.

მზია ბადრიშვილი, პიონერხელმძღვანელი მერვეკლასელ მოსწავლეებთან ერთად კომკავშირში მიღების წინ. ხაშური. 1970 წ.

სხვათა შორის, ბიძა მყავდა სასწავლო ნაწილი სკოლაში და მითხრა: „გადადი დაუსწრებელზე“ (დასწრებულზე ჩავა-ბარე), „იმიტომ, რომ შანსი აღარ გექნება, აქ უნდა გაიხსნას ერთ-ერთი შტატი პიონერ ხელმძღვანელის და მოდი, იმუ-შავეო“. ძალიან ბევრი ვიფიქრე, მენანებოდა, სტუდენტობა, მაგრამ სკოლაში მივედი პიონერ-ხელმძღვანელად. სხვათა შორის, ეს სტატუსი უთანაბრდებოდა პედაგოგის სტატუსს. საკმაოდ წარმატებული პიონერხელმძღვანელი ვიყავი.

ჩვენ მაშინ ხაშურში ვიკრიბებოდით – კომკავშირის პირ-ველი მდივანი, მეორე მდივანი, მესამე მდივანი და კლასგა-რეშე მუშაობის ორგანიზატორი, რომელიც კურირებდა პიო-ნერხელმძღვანელების მუშაობას. მკაცრად გვთხოვდნენ, ყოველ შაბათს მოხსენებითი ბარათით უნდა წარვმდგარიყა-ვით და მოგვეყოლა, რა გავაკეთეთ სკოლაში.

ის წლები ძალიან კარგად მახსენდება იმიტომ, რომ ძა-ლიან ბევრი რამე კარგი კეთდებოდა. იკრიბებოდნენ პიო-ნერები, პიონერული რაზმები, იყო ლაშქრობები, ექსკურ-სიები, შეხვედრები პოეტებთან, ცნობილ ადამიანებთან. ყველაზე ბედნიერი წლები იყო ჩემთვის, რატომ იცით? მა-შინ კომკავშირის პირველი მდივანი, ცეკას პირველი მდივა-

ნი იყო ჟიული შარტავა[27]. ზაფხულობით პიონერხელმძღვანელები კიკეთის პიონერთა ბანაკში ვიკრიბებოდით ხოლმე. იქ იყო ჟიული შარტავაც. ძალიან მომწონდა მისი ერუდიცია, მისი განათლება, მისი რიტორიკა, მჭერმეტყველება, არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. იმას, რასაც ემსახურებოდა ისე გადმოსცემდა, რომ არ შეიძლებოდა არა გყვარებოდა შენი საქმე. ჟიული შარტავა რომ ლაპარაკობდა, ღამე მესიზმრებოდა ხოლმე იმისი სიტყვები, მისი მოწოდება და ეს ყველაფერი. მგონია, სადაც იყო, იმ პოსტზე ბოლომდე ვაჟკაცურად შეასრულა ყველაფერი ამ პიროვნებამ. ვმუშაობდი ძალიან თავგამოდებულად, ძალიან ბევრი სიგელი, დიპლომი მქონდა წარჩინებული მუშაობისათვის.

ამ დროს დედაჩემი აირჩიეს პარტიული ორგანიზაციის მდივნად და ამავდროულად მუშაობდა კოლმეურნეობის საწყობის გამგედ. ეს იყო რაღაც განსაკუთრებული შემთხვევა, იმიტომ, რომ მაინცდამაინც არ უყვარდათ ქალების დასაქმება. მაშინ ქალის როლი ნაკლებად იყო წინ წამოწეული. აჟიოტაჟი ატყდა, რომ დედაჩემი საწყობის გამგედ იყო. დედაჩემი ეკატერინე გუჩმაზაშვილი გომიდან იყო. კარგი ქალი იყო, წყნარი, შეძლებისდაგვარად განათლებული, დამთავრებული ჰქონდა საშუალო და ტექნიკური სასწავლებელი და მიანდეს ეს რთული საქმე. კომკავშირული ორგანიზაციის მდივანიც იყო, მივყავდით პარტორგანიზაციის მდივანს, გადავიდოდით ცენტრში, ვაყაში და იქ ვიკრიბებოდით, ამ იდეალებით გვრზდიდნენ. სხვათა შორის, ჩამოყალიბებული იყო კომკავშირული ბრიგადა, ასე ერქვა, ახალგაზრდები მუშაობდნენ კოლმეურნეობაში, მათ შორის მეც. რატომღაც გვთხოვდნენ, რომ ინსტიტუტში აუცილებლად წაგ-

[27] ჟიული შარტავა (1944-1993) – ქართველი და საბჭოთა პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი. 1993 წ. 27 სექტემბერს – სოხუმის დაცემის დღეს დახვრიტეს სეპარატისტებმა. სიკვდილის შემდეგ მინიჭებული აქვს საქართველოს ეროვნული გმირის ტიტული.

ველო ერთი წლის მუშაობის სტაჟი. ყველა ახალგაზრდა ერთად ვმხიარულობდით, მერე საღამოთი კონცერტები გვქონდა, შეხვედრები. დღე ვმუშაობდით და ვასრულებდით სასოფლო სამეურნეო სამუშაოებს. ყველაზე ცუდად იცით რა მახსენდება? ძალიან დამქანცველი შრომა იყო, ნორმებს ვეძახდით. გვაძლევდნენ ყველანაირ კულტურას, რაც კი მოდიოდა, ითესებოდა. ახალგაზრდებს ცალკე, ოჯახის წევრებს ცალკე... იმდენი სამუშაო სრულდებოდა, რომ დღე და ღამე დამქანცველ შრომაში იყვნენ გლეხები.

მოიყვანდნენ აურაცხელ მოსავალს, ივსებოდა ქვეყნის ბეღელი დოვლათ-ბარაქით, მაგრამ გლეხს არაფერი არა ჰქონდა. მისცემდნენ რაღაც კაპიკებში, გადაუყრიდნენ ძალიან ცოტას და ამით აკმაყოფილებდნენ ვითომ. ძალიან ხშირად დავფიქრებულვარ, რისთვის მუშაობენ ამდენს? როგორ შეიძლებოდა, ამდენს მუშაობდნენ, ამდენ რამეს აბარებდნენ ქვეყანას და ამ დროს გლეხს არაფერი არა ჰქონდა, ძალიან ცოტას აძლევდნენ. რომ ვუკვირდები, ძალიან უჭირდათ მაშინ ადამიანებს და გლეხებს... მაგრამ მერე თანდათან საბჭოთა მეურნეობებიც გაჩნდა. საბჭოთა მეურნეობა უკვე ფულად გამომუშავებაზეც იყო. ამან ცოტა სტიმული მისცა ხალხსაც. აძლევდნენ დანაზოგს, მოყვანილ მოსავალს უნაწილებდნენ, ფულსაც იღებდენენ, მაგრამ ეს პრივილეგია ყველას არ ჰქონდა. მაგალითად, ჩვენს რაიონში ხაშურში, ერთი ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობა იყო, დანარჩენი, აბსოლუტურად ყველა, კოლმეურნეობად დარჩა. ისევ ასე იყვნენ გლეხები, ისევ ამ გაჭირვებაში. მახსოვს კახეთში, გორში იყო საბჭოთა მეურნეობები, მაგრამ ჩვენთან არა ყოფილა.

მერე ნელ-ნელა დენა დაიწყეს სოფლიდან ქალაქში ახალგაზრდებმა იმიტომ, რომ იქ ემუშავათ რამე საწარმოში, მიეღოთ ფულადი ხელფასი. ძნელი იყო, არავინ არ ამოგწერდა იმ დროს სოფლიდან. საბჭოს თავმჯდომარე განაგებდა იქ ყველაფერს. უნდა რაღაცა ყოფილიყო, რომ იქიდან ამოეწერე და სხვათა შორის, არც ქალაქში არ ჩაგწერდნენ. ძალიან დიდ რამეს ნიშნავდა, რომ ამოგწერდნენ იქიდან და ჩაგწერდნენ ქალაქში. ეს იყო რაღაც დიდი მიღწევა. მაგ-

რამ მაინც რაღაცნაირად ახერხებდნენ და ნელ-ნელა ქალაქისაკენ იბრუნა ახალგაზრდობამ პირი.

ახალგაზრდები, მეგობრები ვიკრიბებოდით, პატარა კლუბი გვქონდა. კინოფილმებს ვესწრებოდით, მეტი გასართობი რა გვქონდა. ძალიან კარგი კლუბის გამგე გვყავდა, მახსოვს, ახალგაზრდა გოგონა იყო, ის აწყობდა შეხვედრებს მხატვრებთან. მახსოვს, მოვიწვიეთ ერთხელ უჩა ჯაფარიძე[28], მხატვარი. ერთხელ, ჩვენ სოფელში გაზრდილი მხატვარი ნოზაძეც მოვიწვიეთ. ვაწყობდით შემოქმედებით კონცერტებს, დავდიოდით საველე მინდვრებში და ვაკეთებდით კონცერტებს ამ გლეხებისათვის მინდორში. ისე რომ, ჩვენ თვითონ რაღაცნაირად ვილამაზებდით ცხოვრებას ვითომ, მაგრამ რაღაცა მაინც გვექაჩებოდა უკან, უფრო მეტი გვინდოდა. ჩვენი ძირითადი გასართობი იყო ბიბლიოთეკა და ძალიან ბევრს ვკითხულობდით. მერე ამას განვიხილავდით რა მოგვწონდა, რა არ მოგვწონდა. ეხლა ძალიან გული მწყდება, რომ ძალიან ნაკლებს კითხულობენ... ძალიან მიყვარდა მხატვრული ლიტერატურა და მხატვრული კითხვა მიყვარდა. აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი მხატვრული კითხვის კონკურსებში. არ დამავიწყდება, მოსწავლე ვიყავი, ხაშურის რაიონული კონკურსი ჩატარდა და წავიკითხე ლადო ასათიანის „სალაღობო“ და მეორე ადგილი ავიღე მოსწავლეთა შორის და ფრთებშესხმული, გახარებული ვიყავი.

ბავშვებთან რომ ვმუშაობდი, ვეუბნებოდი, რომ ჩვენ გვაქვს ერთი დიდი სამშობლო, თხუთმეტი რესპუბლიკა და დედაქალაქია მოსკოვი. მინდოდა მეთქვა, რომ თქვენ ხართ ქართველები და გაქვთ სამშობლო საქართველო და იმის დედაქალაქია თბილისი. ბავშვები ამბობდნენ, რამდენი სამშობლო გვაქვსო. როგორ მეთქვა, ვფიქრობდი ხოლმე, ამათი სამშობლო ხომ საქართველოა და როგორ არის მთელი ეს თხუთმეტი რესპუბლიკა ეს ქვეყანა?.. სასაცილო იყო ეს ყველაფერი... მაინც რაღაცას ვეტყოდი ხოლმე და ვერა გებულობდნენ, როგორ აქვთ ეს ორი სამშობლო... ის ტაჯიკეთი,

[28] უჩა (ილია) ჯაფარიძე – ქართველი ფერმწერი. საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი (1946), სსრკ-ის სახალხო მხატვარი (1963).

თურქმენეთი, უზბეკეთი, როგორ იყო ამათი სამშობლო. მე თვითონ ინსტიტუტში ვიყავი, როცა მივხვდი, რომელი იყო ჩემი სამშობლო. ტყუილებში გვაცხოვრებდნენ. ყველაზე სასაცილო იცით რა იყო? არჩევნები. არჩევნები იყო რაღაცა კომედია, გათამაშება. არ დამავიწყდება დღესაც, ვიღაცა დეპუტატები რუსეთში, სიტნინი და სავინკინი, დღესაც არ მავიწყდება, წამოაყენეს დეპუტატობის კანდიდატებად და აქედან უნდა მიგვეცა ჩვენ ხმა იქეთ. გაგვანაწილებდა სკოლის დირექტორი, უფრო მასწავლებლებზე გადადიოდა ეს ყველაფერი, აგიტატორები გვერქვა, დავდიოდით სოფლებში. უბნებს გვინაწილებდნენ... დავდიოდით აგიტატორის ჟურნალებით, ლიტერატურით და ვაცნობდით სიტნინს და სავინკინს, ხმა უნდა მივცეთ ამათ... სპეციალური პუნქტები იყო შესაკრები, გამოაკრავდნენ სურათებს, მიდიოდნენ საარჩევნო ყუთთან, ვითომ შირმებიც იყო და ყველაფერი... ახლა იმართებოდა როგორ, დიდი ზარ-ზეიმით, მოიყვანდნენ მუსიკოსებს, დამკვრელებს დიდის ამბით ეზოში, სადაც ეს პუნქტი იყო. სხვადასხვა უბნებიდან მოყავდათ ხალხი მანქანით. არც კითხულობდნენ, ვის აძლევდნენ ხმას... აიღებდნენ ბიულეტენს, ხელს მოაწერდნენ, მიიტანდნენ და ჩაყრიდნენ.

ძალიან ხშირად დავფიქრებულვარ: რა საჭირო იყო ამდენი ფულის გაღება, ამდენი რამე, ამდენი ხალხის მოცდენა... რატომ კეთდება? ვფიქრობდი, ძალიან ბევრს ვფიქრობდი ხოლმე, მაგრამ ვიდრე დიდი არ გავხდი და არ წავიკითხე ბევრი რაღაცეები, მანამდე მეგონა, რომ ამ იდეალებს უნდა ვემსახურო, რომ ძალიან კარგია კომუნისტური ცხოვრება. მაგრამ თანდათან ხომ მივხვდი მერე, თან სტუდენტიც გავხდი, ცოტა იმ აკრძალულ რაღაცეებსაც ვკითხულობდით ჩუმ-ჩუმად. მაშინ გვიკრძალავდნენ და შეიძლებოდა ამაზე ციხეც ყოფილიყო და მოგეხსენებათ დაგიჭერდნენ. მახსოვს, ნოე ჟორდანიაზე[29] რაღაცა წავიკითხე და დედაჩემმა მით-

[29] ნოე ჟორდანია (1868, ლანჩხუთი – 11 იანვარი, 1953) – ქართველი პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, ქართველი სოციალ-დემოკრატების ლიდერი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. გარდაიცვალა პარიზში, ემიგრაციაში.

ხრა: „სახლში ეს აღარ მოიტანოო, ესენი ჩვენი მტრები იყვნენ, სიმდიდრე გაიტანეს და წავიდნენო“... ეხლა მეცინება ამ გადმოსახედიდან, მაშინ ასე გვასწავლიდნენ. ძალიან ბევრი რამ იყო, რაც იმალებოდა და არ გვეუბნებოდნენ.

პატარა ვიყავი სტალინი რომ მოკვდა და ვითომ ვტიროდით ბავშვები, რაღაც ლექსებს ამბობდნენ... მყავდა ნათესავი, ნოზაძე თბილისში და ამ ამბებს შეეწირა. ვერ მივხვდი, არ ვიცოდი, რა არის კულტი, რატომ შეეწირა, ბავშვი ვიყავი. მაგრამ თანდათან ამ ყველაფერს რომ ვსწავლობდი და ვუყურებდი, ბევრს ვფიქრობდი: რაღაც ხმასაც ვიმაღლებდით, მაგრამ გვეტყოდნენ ხოლმე: „აბა, აბა, ჩუმად“... მაშინ უნდა ყოფილიყავი ჩუმად. კიდევ რა მაგონდება: იმართებოდა პარტიის ყრილობები, ჯერ იმართებოდა ყველა რესპუბლიკაში, მერე აქედან დელეგაციას აარჩევდნენ და წავიდოდნენ მოსკოვში და მერე იქ იმართებოდა პარლამენტის სხდომასავით რაღაც ეგეთი. მახსოვს, რომ დედაჩემი იყო XXIV ყრილობის დელეგატი. არ დამავიწყდება, დიდის ამბით რაიონიდან წავიდა კაცთა დელეგაცია და მათ შორის ორი ქალი. სოციალისტური შრომის გმირი, ჩვენი სოფლიდან იყო, სხვათა შორის, მარგარიტა ღონღაძე. ჭარხლის დიდი მოსავალი მოიყვანა და გახდა გმირი. მაშინ რომ მუშაობდნენ კოლმეურნეობებში, გმირობას ანიჭებდნენ ხოლმე. ჩვენი ღარიბი რაიონი იყო, არ იყო როგორც სხვა რაიონები რაღაცით განთქმული. მარტო ჭარხალი მოდიოდა, პარკოსანი კულტურები მოდიოდა, სიმინდი მოდიოდა, ქვიშხეთში იყო ერთადერთი მევენახეობა. იქ იყო ძალიან კარგი, სათნო კაცი მოხუცი იოანე ხაჩიძე სოციალისტური შრომის გმირი და სოფელში – მეჭარხლე მარგარიტა ღონღაძე. დელეგაცია რომ ჩამოდიოდა, ამ დროს დამირეკავდა რაიონის პირველი მდივანი როლანდ მულაძე და მეტყოდა: „აბა შენ იცი, შენ მოგყავს შენი გმირი და ამ დელეგაციას უნდა შევახვედროთ“. დაიკიდებდა ვარსკვლავს და წავიდოდით. იყო შეხვერდები აქეთ-იქით. მოყავდათ ეს ივანე ხაჩიძეც, ყველა სკოლა იწვევდა ამათ, ბავშვებს აჩვენებდნენ, ეუბნენოდნენ, რომ შრომით მი-

იღეს გმირობა. დასავლეთში ძალიან ბევრი მეჩაიე იყო გმირი და მახსოვს მიმოწერა გვქონდა. ის გმირები ჩამოვიყვანეთ, შევახვედრეთ ჩვენ გმირებს. აქედან ჩვენი გმირები წავიყვანეთ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... იყო ასეთი ცხოვრება.

დედაჩემი და ეს ქალბატონი წავიდნენ ყრილობაზე, მამაკაცებთან ერთად. რომ ჩამოვიდა, ვეკითხებოდი: „როგორ იყო, მოგვიყევი-მეთქი". „ვაიმე შვილო, მეც არ ვიცი რას ლაპარაკობდნენო, სულ ხელებს ესე ვარტყამდით მე და ეს ქალი ერთმანეთს, იმდენ ტყუილებს ლაპარაკობდნენო. ერთადერთი ის მომეწონა, ერთი პატარა გოგონა გამოიყვანესო, ეს რა ვნახეო, სკამზე შეაყენეს და როგორ მღეროდაო." იცით ვინ იყო? ირმა სოხაძე. ცნობილ სიმღერას მღერის ხოლმე ირმა, ეხლაც უყვარს ეგ სიმღერა, ფორთოხალზე მღერის ხოლმე. წიგნებით დაასაჩუქრეს მაშინ, ქალებს დაგვირიგეს ოჯახისთვის კულინარიის დიდი წიგნიო დიდი წარწერებით, ედუარდ შევარდნაძისგანო. ჩამოიტანა დიდის ამბით. მაპატიეთ, არ იყო შევარდნაძე[30], მჟავანაძე[31] იყო. დედაჩემი მეუბნებოდა: „რა კარგი კაცი ყოფილა ვასილ მჟავანაძე, ჩამოიარა და ყველას ხელი ჩამოგვართვა, მოგვილოცა ყველაფერი და ისე თბილად, ზოგი გულში ჩაიკრაო, მეტი არაფერი არ მახსოვსო".

---

[30] ედუარდ შევარდნაძე (1928-2014) – ქართველი და საბჭოთა პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. 1957-1961 წწ.-ში იყო საქართველოს სსრ-ის კომკავშირის პირველი მდივანი, 1965-1972 წწ.-ში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი. 1972-1985 წწ.-ში საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი, 1985-1990 წწ.-ში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, 1995-2003 წწ.-ში საქართველოს პრეზიდენტი.

[31] ვასილ მჟავანაძე (1902-1988) – ქართველი საბჭოთა პარტიული მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი (1944), სოციალისტური შრომის გმირი (1962). სკკპ წევრი 1927 წლიდან. 1945-1953 წწ.-ში ხარკოვის, კიევისა და კარპატისპირეთის სამხედრო ოლქების სამხედრო საბჭოს წევრი. 1953-1972 წწ.-ში საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. კურირებდა სტალინის მუზეუმის დაარსებას ქალაქ გორში. 1972 წლის სექტემბრიდან გავიდა პენსიაზე. თანამდებობიდან გაათავისუფლეს სახელმწიფო კორუფციისა და ეგრეთ წოდებული „ცეხავიკებისათვის" ხელის შეწყობის მომიზეზებით. სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა მოსკოვის ოლქის სოფელ ჟუკოვკაში. დაკრძალულია ქალაქ თბილისში.

***

მოხდა კოლექტივიზაცია სოფელში და ხალხისგან დიდი წინააღმდეგობაც შეხვდათ იმიტომ, რომ მდიდრებს მაშინ ართმევდნენ ამ ქონებას და გაკულაკება ერქვა ამას. მაშინ დიდი შეხლა-შემოხლა იყო. მე ბავშვი ვიყავი, მაგრამ სახლში რომ იხილებოდა ეს ამბები: იმას წაართვეს, იმან თოფი გამოიტანა... ჩამოართვეს და გააერთიანეს კოლექტივში, ასე უნდა ყოფილიყო. კოლექტიური მუშაობა ერქვა ამას, ერთად უნდა ემუშავათ, ერთად უნდა მიეტანათ და შეექმნათ ეს დოვლათი. ძალიან ბევრს მოსწონდა ეს, თუმცა ბევრს არ მოსწონდა ასეთი რამ. ერთადერთი რა მომწონდა იცით? მაშინ მთელი მაღაზიები და მთელი ქვეყანა სავსე იყო უხვი მოსავლით. სადაც კი მიხვიდოდი, კაპიკები ღირდა ყველაფერი. ხალხი ძალიან ცოტა ხელფასს იღებდა, მაგრამ შეეძლო იაფად შეეძინა ეს სურსათი, ხელი მიუწვდებოდა აბსოლუტურად ყველაფერზე. მოგეხსენებათ მაშინდელი ფასები, რა იაფი იყო, რომ ვადარებთ ახლანდელ ფასებს. სამაგიეროდ, ხელი ძალიან ბევრ რამეზე არ მიგვიწვდებოდა. ვერ იყიდიდი კარგ ტანსაცმელს, ძალიანაც რომ გდომოდა და ფული გქონოდა. მაშინ სპეკულანტების ხელში იყო ყველაფერი. სურამში კომპაქტურად ჩასახლებული ებრაელები ცხოვრობდნენ და თუ რამე კარგი გვინდოდა, ან თუ სკოლას ვამთავრებდით, ათმაგი უნდა გადაგვეხადა და იქ შეგვეძინა კარგი ტანსაცმელი ან ფეხსაცმელი, ეს ფუფუნება იყო, იშვიათობა იყო. მაგრამ ხალხი თითქოს უფრო კმაყოფილი იყო იმიტომ, რომ დაუსაქმებელი არავინ იყო, ყველას ასაქმებდნენ. იყო გახსნილი ფაბრიკები, ქარხნები. ხალხი მერე დაიძრა იქითკენ. მარტო ხაშურში იმდენი საწარმო იყო. ჩვენ იქვე ხაშურთან ახლოს ვიყავით და ჩვენი ხალხიც მიდიოდა. კოლმეურნეობაშიც ხომ მუშაობდნენ, პლუს იქაც მიდიოდნენ. ხაშურში ამ დროს აშენდა უდიდესი, გიგანტური საფეიქრო, საგალანტარეო ფაბრიკა, რომელიც უშვებდა სხვადასხვა საგალანტარეო საქონელს და ძალიან ბევრი, განსაკუთრებით ქალები, მუშაობდნენ იმ გალანტერიის ფაბ-

რიკაში და კარგად იღებდნენ ანაზღაურებასაც. იყო კიდევ მინის ტარის ქარხანა. ყველაზე მთავარი, ხაშურში გადიოდა სარკინიგზო კვანძი და ძალიან ბევრი მამაკაცი ამ რკინიგზაში იყო დასაქმებული და საკმაოდ მოიმართნენ. თანდათან თითქოს ცხოვრება გაუმჯობესდა რამდენიმე წელი.

მახსოვს, საგზურები მოდიოდა, კოლმეურნეობის წევრებს აგზავნიდნენ დასასვენებლად, სამკურნალოდ, ეს იყო სადღაც 1969-70-იანი წლები, შევარდნაძის პერიოდი. მე სტუდენტი ვიყავი მაშინ, მახსოვს, მოდიოდა კომკავშირული საგზურები, მიდიოდნენ, ისვენებდნენ უფასოდ. ბანაკებში ბავშვებს გზავნიდნენ, კომკავშირული ბანაკებიც იყო. მაშინ ყველას ხელი არ მიუწვდებოდა ამაზე, მაშინ მხოლოდ ელიტური საზოგადოება დადიოდა კურორტებზე, ბორჯომში თუ საირმეში... მაგრამ მერე თანდათან გლეხებსაც აგზავნიდნენ ხოლმე ამ პერიოდებში. მახსოვს, ხალხმა სახლის მშენებლობებიც დაიწყო, მანქანები შეიძინა. რიგებში დგებოდნენ და მანქანებს აძლევდნენ, ჩუქნიდნენ, ზოგიც ყიდულობდა.

ყველაზე მთავარი დამავიწყდა: ჩვენთან იყო კოლმეურნეობაში მესაქონლეობის ფერმა, ფერმა იყო ძალიან დიდი და იმდენი საქონელი ჰყავდათ და იმდენ რძეს წველიდნენ, ამას აბარებდნენ ხაშურში რძის ქარხანაში და რა მომწონდა იცით? სკოლაში რომ ვმუშაობდი, რძე ამოჰქონდათ ერთი ბალონი და ბავშვებს ჩუქნიდნენ და იმით კაკაოს ან რამეს უკეთებდნენ და ბავშვები უფასოდ მიირთმევდნენ. ესეც ძალიან მომწონდა, კარგი იყო.

ძალიან ბევრი რამე დადებითი იყო ნამდვილად, მაგრამ თვითონ შინაგანად, როგორც ეტყობოდა, მოირყა და ვერ გაამართლა. ჩვენ სულ გვეუბნებოდნენ: წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ, კომუნიზმი ასე იქნება, ასე იქნება, ასე იქნება... მაგრამ ეს კომუნიზმი აღარ მოდიოდა და უკან-უკან მივდიოდით ამ დროს ხალხი აშკარად. რამდენიმე პერიოდი იყო, რომ ვიცხოვრეთ კარგად. იმისთვის დიდი მადლობა, მაგრამ თანდათან ვეღარ გაუძლო ამ იდეებმა, თანდათან უკანსვლა დაიწყო მერე.

კარგად მახსოვს, დედაჩემი დაიბარეს და ეუბნებიან: მორჩა, ქალებმა დაიწიეთ უკან, ეხლა ამ თქვენ კომეურნეობაში მოდის ახალი თავმჯდომარე (ისევ ოსი, რატომ არ ვიცი). ძალიან მკაცრი კაცი იყო, გიორგი ჩოჩიშვილი, იმის გვარს როგორ დავივიწყებ. ძალიან უხეში კაცი იყო. რომ შევდიოდით: „ძია გიორგი ცნობა გვინდა“...„შენ რა გიმუშავიაო, არაფერი გამოგიმუშავებიაო, აქ უნდა იყო, იმუშაო, დაიმსახურო და მერე წაიღო ცნობა სასწავლებელშიო“. და რატომღაც რა მეჩვენებოდა იცით?, დედა ოსი მყავდა და ძალიან მიყვარდა ჩემი ხალხი, მაგრამ ეს კაცი თითქოს ამითი ჩვენ ხალხს ზემოდან უყურებდა, აშკარად იგრძნობოდა ეს.

მერე თანდათან, ნელ-ნელა ეს მსხვილი გაერთიანება დაიშალა, ყველა ცალ-ცალკე გავიდა, ეს ჩვენი კოლმეურნეობაც რა თქმა უნდა, ცალკე გამოვიდა. დედაჩემს დაუძახეს: „შენ აღარ იქნები პარტორგიო. აქ მოვა ერთი მამაკაცი, ის გაუძღვებაო“. ეს ნიშნავდა იმას, რომ დედაჩემს რომ ამხელა საწყობები ებარა კოლმეურნეობისა და, რო იტყვიან, მართლა კომუნისტურად რომ მუშაობდა, არანაირი მოპარვა და გამორჩენა, ვინ გაპატიებდა მაშინ ამას. მამაჩემიც ეტყოდა ხოლმე: „არ გავიგო ესეთი რამე და თანაც ქალი ხარო“... მოვიდა ვიღაც სხვა პიროვნება, ვიღაც ხაშურელი, თავმჯდომარეც სხვა, პარტორგიც სხვა მამაკაცი, სულ მამაკაცები. ასე და ამგვარად დაშლა დაიწყო ნელ-ნელა ამ ყველაფერმა. რაღაცნაირად იკლო ყველაფერმა, ხალხი ისევ ძველებურად მუშაობდა, მაგრამ აღარ იყო აღარც ამდენი მოსავალი, აღარც ამდენი რამ. ეს საწყობები თანდათან ცარიელდებოდა, ყველა თავის ნებაზე დარბოდა, ყველა თავისკენ ითრევდა... შენობები დაიხურა, მიანგრიეს, მოანგრიეს და მერე მოგეხსენებათ, რაც მოხდა. მერე ეროვნული მოძრაობები დაიწყო, ხალხი იღვიძებდა. რა თქმა უნდა, ახალგაზრდები უფრო მეტად ავყევით ამ ყველაფერს.

ამასობაში მე ინსტიტუტი დავამთავრე და იქვე დავიწყე მუშაობა მასწავლებლად. უპირატესობა მენიჭებოდა, რადგან პიონერხელმძღვანელად ვიყავი და ეს უთანაბრდებოდა

პედაგოგის სტატუსს. ეხლაც გვეთვლება ეგ პედაგოგიურ სტაჟში. ესეც პარტიული საფეხურია, რომ იტყვიან, თუ რამე გამოჩნდებოდა იქ უნდა წავსულიყავი, ან უნდა გადავსულიყავი მასწავლებლად.

რამდენიმე წელი ვმუშაობდი მასწავლებლად, მერე მოვიდა ერთი ახალგაზრდა გოგონა, სხვათა შორის, ჩვენი ოსი თავმჯდომარის შვილი. მაშინაც იყო, რომ იტყვიან, ნაცნობობა და ნეპოტიზმი. მაშინ უფრო მეტად იყო, ცოლი, ქმარი, შვილი... ამ გოგონამ განაგრძო ეს პიონერული მუშაობა. მაგრამ თანდათან აღარც ბავშვებში იყო ის ანთებული გულები, ლენინი და მისი მოძღვრება, აღარაფერი და აღარაფერი. ყველაზე მეტად ერთ რამეზე მწყდება გული: მართალია, მე ვიმუშავე პიონერ-ხელმძღვანელად და იმ იდეალებსაც ვემსახურე ნამდვილად, თანაც წარმატებულად და განსაკუთრებულად დიდ პატივს ვცემდი სამამულო ომის მონაწილეებს. 9 მაისს ყოველთვის ვიწვევდით სკოლაში, საპატიო პიონერებად ვირჩევდით, გავუკეთებდით ყელსახვევს. ჩვენ სოფელში ავაშენეთ შინმოუსვლელთა ხსოვნის ობელისკი მთელი სოფლის ხარჯებით. პატარა სოფელი იყო, ორას კომლამდე და აქედან შეეწირა ას ოცი ახალგაზრდა. ძალიან ლამაზი სკვერი გავაკეთეთ, ახლაც არის. იქ იმართებოდა ძალიან დიდი შეხვედრები ომის ვეტერანებთან. ახლა უკვე აღარ იქნებიან ცოცხლები ომის მონაწილეები. ყვებოდნენ თავის ისტორიებს, ძალიან მეჯერა მაგათი და ძალიან დიდ პატივს ვცემ დღემდე მათ თავდადებას. იძახიან ხოლმე, რა სამშობლოსთვის შესწირეს თავიო... ძალიან მტკივა გული, როგორ არ შესწირეს, მაშინ ხომ ჩვენ სამშობლოდ ითვლებოდა და მაშინ ხომ გულანთებულები მიდიოდნენ იმიტომ, რომ სამშობლოს იცავდნენ. ასე ხომ არ შეიძლება ხელის კვრა და ამ ადამიანების დავიწყება. ნამდვილად არ შეიძლება, დღესაც გული მტკივა ძალიან.

რეპრესიებს რაც შეეხება, რეპრესირებულები იყვნენ ძალიან ბევრნი. რა მაინტერესებდა იცით ყველაზე ხშირად? სამამულო ომი [მეორე მსოფლიო ომი] რომ დამთავრდა

და ტყვეები გაანთავისუფლეს... მე 1949-ში დავიბადე და ომიც დამთავრებული იყო და ძალიან ბუნდოვნად მახსოვს ეს ყველაფერი... ოჯახები ყვებოდნენ ხოლმე და მანდედან მახსოვს. ამ დროს ერთი კაცი იყო ჯამბაზიშვილი გვარად, ბუღალტერი იყო კოლმეურნეობის. ეს კაცი რო ჩაივლიდა სოფელში, ძალიან ზიზღით უყურებდა ხალხი. მე ბავშვი ვიყავი და ძალიან მიკვირდა... „ოჰ, ეს ფაშისტიო“. ყურში ძალიან მხვდებოდა, ჩემი მასწავლებლის მეუღლე იყო და მიკვირდა. თურმე რა ხდებოდა: ამ დროს სოფელშიც სხვებიც ყოფილან დამღიანები თურმე, ტყვედ რომ ჩავარდებოდნენ, ტყვეთა ბანაკში არტყამდნენ ხოლმე რაღაც ბეჭედს გერმანელები. ამ კაცს ჰქონია ეს დამღა და ალბათ, სოფლელებმა ეს ნახეს სადღაც და ესე გამოხატავდნენ. ძალიან მიყვარდა ჩემი დაწყებითი კლასის მასწავლებელი და მაგიტომაც ავირჩიე ჩემი პროფესიაც. მარო მასწავლებელს ვეკითხებოდი ხოლმე და მოყოლას ვთხოვდი, რა ხდებოდა. მერე მოგიყვებიო, როცა დიდი იქნებიო. მომიყვა სხვათა შორის: „რეპრესიები იყოო, მერე რა რომ ტყვედ ჩავარდაო, იქ ხომ იბრძოდაო“... ოცდახუთწლიანი ციხე მისცეს. სტალინის ბრძანებით, თუ ვინც იყო მაშინ, თურმე, ვინც ტყვედ ჩავარდა, ოცდახუთი წელი რეპრესია მოუწიათ, გადასახლებაში ჰყავდათ ეს კაციც. გავიდა რამდენიმე წელი, სტალინი რომ გარდაიცვალა, მახსოვს, როგორი გლოვა იყო და ამ დროს ეს რეპრესირებულები, ტყვედ ნამყოფი, ნაბრძოლი ხალხი, ყველანი დაბრუნდნენ სახლში.

ბევრი რამ კარგი იყო, დღესაც გავიმეორებ, თამამად ვიტყვი, ძალიან ბევრი ცუდი იყო. იმიტომ, რომ გვკვებავდნენ ახალგაზრდებს რაღაცეებით, მაგალითად, იმით, რომ რელიგია ბანგია გონების. როგორც გინდა ჩამითვალეთ, დღესაც ძალიან მინდა ვიყო ეკლესიის მრევლი, ძალიან მინდა ვილოცო და მწამდეს, მაგრამ ის რაღაცა, ის ღრმა რაღაცა რომელიც კომუნისტებმა ჩაგვიდეს შიგნით, რაღაცნაირად უკან მექაჩება. იმდენად დიდი იდეოლოგია იყო, რომ ზეგავლენას კიდევ ახდენს ჩემი თაობის ადამიანებზე. მინდა დავ-

ფიქრდე და ვიწამო ეს ყველაფერი, მაგრამ რაღაცა მექაჩება უკან და მეუბნება: მართლა არსებობს? მაპატიოს უზენაესმა...

ჩვენ გვყავს ძალიან კარგი მამა გიორგი და მინდოდა, რომ დასწრებოდა ჩვენ ღონისძიებას მეთერთმეტე კლასელებთან. არაჩვეულებრივად გავაკეთე „მამული, ენა, სარწმუნოება“. „შენ აუცილებლად მინდა იყო ჩვენი მრევლიო, გეხვეწები, მზია მასწავლებელოო“. „მინდა და რაღაცა მექაჩება უკან და რა არის ეს, არ ვიცი“... ახლაც მითხრა, ამასწინათ.

ფოტო გადაიღო და ინტერვიუ ჩაიწერა მარიამ აბრამიშვილმა.
სოფელი თერგვისი (გორი), 2016 წლის ივლისი.

ესმა გოგლიძე

დაიბადა 1961 წლის 25 აგვისტოს გორის რაიონის სოფელ თერგვისში. მრავალშვილიანი ოჯახიდან იყო და რაკი სხვაგან ვერ ისწავლიდა, სამკერვალო ტექნიკუმში ჩააბარა. საკმაოდ დიდხანს სამკერვალო ფაბრიკაში იმუშავა და ბაზარში ხილის გაყიდვითაც უწევდა ოჯახის რჩენა.

მუდმივად წინააღმდეგობაში მოდიოდა იმდროინდელ საბჭოთა რეჟიმთან.

თოთხმეტი წელიწადი უვლიდა და გვერდიდან არ მოშორებია დედას.

ამჟამად ცხოვრობს სოფელ თერგვისში დის ოჯახთან ერთად და აქტიურად ეწევა სოფლის მეურნეობას, ასევე თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან და რამდენიმე ორგანიზაციასთან: ფონდი ტასო, წითელი ჯვარი, დანიის ლტოლვილთა საბჭო, რომელთა მეშვეობითაც არაერთი სოფლის პრობლემა და თემის საჭიროება მოაგვარა.

1978 წელს დავამთავრე სკოლა. ბარე არ მინდოდა წასვლა და შესვლა სამკერვალო ტექნიკუმში, მაგრამ მრავალშვილიანი ოჯახიდან ვიყავი და დედაჩემს არ ჰქონდა საშუალება, ესწავლებინა... იქ სამოცდაათი მანეთი სტიპენდია იყო და მაგიტომ წავედი. წარმოიდგინე, გაკვეთილებს რომ ვესწრებოდი, პოლიტეკონომიას ვსწავლობდი, რა უნდოდა მკერავთან პოლიტეკონომიას?.... წინააღმდეგობაში მოვდიოდი, არ მომწონდა რეჟიმი ბრეჟნევის დროს, წყობა არ მომწონდა. რაღაცეები მე თვითონ გადავხარშე. ეს საიდან მოდიოდა იცი, სიმართლე რომ გითხრა, თბილისში ქირით ვცხოვრობდით მე და ჩემი და ერთად და გვქონდა ძველებური რადიო და ვუსმენდი „ამერიკის ხმას“. ისეთ რაღაცეებს ვისმენდი იქ, რომ ამ საკითხებზე მერე კითხვები მიჩნდებოდა. პოლიტეკონომიას ვინც მასწავლიდა, იმას ვუსვამდი ხოლმე შეკითხვებს. აღმოჩნდებოდა, რომ ესეც საიდანღაც იღებდა ინფორმაციას, მაგრამ ერთი-ორი კვირით გვიან. და მე კიდე „ამერიკის ხმას“ რომ ვუსმენდი და ვსვამდი შეკითხვებს, პოლიტეკონომიის მასწავლებელი საერთოდ გაკვეთილებს არ მაყოლებდა და ხუთიანებს მიწერდა ხოლმე.

მერე ფაბრიკაში გადამიყვანეს და მუშაობა რომ დავიწყე, რაღაც კანონებს ვიგებდი, რაც მშრომელმა ხალხმა, მუშათა კლასმა არ იცოდა. პირველად წინააღმდეგობას წავაწყდი და ხმა ამოვიღე ამ დროს (დილის შვიდ საათზე უნდა ყოფილიყავი ფაბრიკაში). კომუნისტების დროს ესეთი კანონი იყო, თუ ქალს სკოლამდელი ასაკის ბავშვი ჰყავდა, უფლება ჰქონდა სამსახურში ერთი საათით გვიან მისულიყო ან ერთი საათით ადრე წასულიყო. ბრიგადირმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ახალგაზრდა ქალს იმისთვის, რომ დააგვიანა. ბავშვს სიცხე ჰქონდა, მაგრამ სიცხემ დაუწია და გადაწყვიტა, ბაღში მიეყვანა. ბრიგადირს ვეჩხუბე: „ამას უფლება აქვს, რომ ერთი საათით გვიან მოვიდეს, ან ერთი საათით ადრე წავიდეს“. ამაზე მერე დამიბარეს. ცეხის უფროსმა გაფრთხილება მომცა.

სტენოგრაფიისა და მანქანაზე ბეჭდვის რესპუბლიკურ სკოლაში ვსწავლობდი, ნუცუბიძის პლატოზე, თავი დავანებე სწავლას და წამოვედი. ერთი ბიჭი დამსდევდა მოსატაცებლად. სამსახურიდან გამოვდიოდი ხოლმე და ღამე მოვდიოდი სახლში ათის ნახევარზე. ნუცუბიძის პლატოდან სანამ ჩამოვიდოდი დელისთან, მერე დელისიდან მეტროთი უნდა წამოვსულიყავი, გადავმჯდარიყავი და უნდა მოვსულიყავი ელექტროდეპოში, ნახალოვკაში ვცხოვრობდი მაშინ, სანამ ჩემი და გათხოვდებოდა. ჩემი და რომ გათხოვდა, მერე გადავედი ბიძაჩემთან. ბიძაჩემთან რომ ვცხოვრობდი, მაინც არაუშავს, კარგი ცხოვრება მქონდა. ბიძაჩემმა ბევრჯერ გამილამაზა ცხოვრება.

თბილისიდან წამოვედი, როცა ჩემი ძმა დაიჭირეს 1984 წელს. ერთი ღამე გავათენე თეთრად, ვიტირე, ყველაფერი გავთვალე, რაც უნდა გამეკეთებინა, ჩემი ცხოვრებისთვის რა უნდა მექნა და ჩემი დედმამისშვილების ცხოვრებისთვის. რაც მე დამაკლდა, ჩემი დედმამისშვილებისთვის შემესრულებინა.

მეგობარი მყავდა, ახლა ცნობილი პიროვნებაა, ნარკომანიც იყო იმ დროს, სიგარეტსაც ეწეოდა. მაშინ იშვიათი იყო სოფლელი რომ ეგეთთან მეგობრობს, მაგრამ ძალიან ძვირფასი პიროვნება იყო, ძალიან მიყვარდა, იმ გოგოსაც ვუყვარდი. მოხდა ისე, რომ ერთხელ ცოტა უწმაწური ანეგდოტი ვთქვი და ამ გოგომ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ სხვანაირი ცხოვრებით ცხოვრობდა, გამიყვანა და მითხრა: „გეხვეწები, თუ გიყვარვარ, არასოდეს, არავის თანდასწრებით არ თქვა უწმაწური ანეგდოტიო“.

ფაბრიკაში რომ ვმუშაობდი, ინგილო გოგოები იყვნენ, რომლებიც ძალიან მიყვარდა. ერთი განსაკუთრებით, გაჩიშვილი ოლია, კახიდან. ჩაგრავდნენ და აშინებდნენ, მე საათი ვაჩუქე, ძვირიანი არ იყო, ოცდაცამეტი მანეთი ღირდა, „ჩაიკა“ ერქვა იმ საათს. ვცდილობდი რაღაცა სითბო მენახვებინა, მეუბნებოდნენ: „თქვენ ქართველებად არ გვთვლითო“, – გულდაწყვეტილი იყო. რადგან ინგილო იყო და ასეთი

ესმა გოგლიძე თანამშრომლებთან ერთად 1 მაისის სახ. სამკერვალო ფაბრიკაში. თბილისი, 1981 წ.

გადაკარგული კუთხიდან იყო, საქართველოს მოწყვეტილი კუთხიდან, ვცდილობდი, გამელამაზებინა ამ გოგოსთვის ცხოვრება. თუ რამე პრობლემა ჰქონდა ან რაღაც ჭირდებოდა, ვეხმარებოდი ხოლმე. მაგასაც შეხვდა წინააღმდეგობა, ვიცავდი, რომ არ დაეჩაგრათ.

სოფელში რომ ჩამოვედი, ცალი თვალით მიყურებდნენ ჩაცმულობის გულისთვის. მე თავისუფალი ჩაცმა მიყვარდა, არ მაინტერესებდა, მეზობელი რას იტყოდა. მთავარია, რომ მე კარგად მეგრძნო იმ ტანსაცმელში თავი. მეტყოდნენ ხოლმე: „შარვალი როგორ გაცვიაო?“ დღეს თვითონ აცვიათ შარვალი. მაშინ გამხდარი ვიყავი.

რომ ჩამოვედი, დედაჩემი ლოგინად იყო ჩავარდნილი, ვერ აიტანა ჩემი ძმის ამბავი. ჩემ ძმასთან მარტო ერთხელ იყო ციხეში სანახავად, იმის მერე არა ყოფილა. ორი წელი იჯდა ჩემი ძმა ციხეში. ყოველ თვე დავდიოდი სანახავად, თვეში მინიმუმ ერთი ხუთასი მანეთი მჭირდებოდა. ოთხასი მანეთი უნდა მიმეცა ხელზე, ორასი მანეთი უნდა მიმეცა, რომ ჩაის საკრეფად არ გაეყვანათ, სუსტი იყო ფიზიკურად და ფეხები რომ უსველდებოდა, ვერ შრებოდა ტანსაცმელი

და ფეხსაცმელი, ავად ხდებოდა. ხან წვიმაში გაყავდათ ჩაიში სამუშაოდ... ორასი მანეთი კიდევ კვებაზე სჭირდებოდა ჩემ ძმას. ჯერ გასესხებული მქონდა ბევრი ფული და ეს შემომდიოდა, ჩემი თანამშრომლები მიგზავნიდნენ. ჩავდიოდი და ჩემი ყოფილი თანამშრომლებისგან ვსესხულობდი, ზოგმა მარტო სახელი იცოდა, მაგრამ მენდობოდნენ.

ერთი ამბავიც გამახსენდა ციხეზე... დავდიოდი ხოლმე კოხათში[32], ოსურ სოფელში. ჩემი ძმა რომ ციხეში იჯდა, იქ იჯდა დედაჩემის მოგვარე, ალბათ ბიძაშვილი დედაჩემის, ერთი სარაბუკელი ბიჭი, ვაჟა ქუმარიტოვი. ამბის მომკითხავი არავინა ჰყავდა. მთელი სამი წელიწადი იმასთან არავინ არ შესულა ციხეზე და „პერედაჩი“ [ამანათი] არ შეუგზავნია. ავიდოდი, გამოვართმევდი და მეორე დღეს უკვე უნდა ამეტანა. ესენიც ჩემოდნებზე ისხდნენ იმიტომ, რომ არ იცოდნენ რა დროს მოუწევდათ გაქცევა ორჯონიკიძეში[33] და მთხოვდნენ, გეხვეწები, ამოგვიტანეო. იმათი შვილისთვისაც სიკეთეს ვაკეთებდი, „პერედაჩს“ რომ ვუგზავნიდი ჩემ ძმას, იმასაც არგუნებდა. მერე, როცა ჩემი ძმა გადაიყვანეს, მაინც შევუგზავნე მაგათ შვილს პერედაჩი. ის ბიჭი ციხიდან გამოვიდა, როცა ზვიად გამსახურდია ჩამოაგდეს და ორჯონიკიძეში, როგორც მერე მშობლებისგან გავიგე, ქეიფი ჰქონდათ, სვამდნენ და მოუვიდათ ჩხუბი, ეს გადაეფარა, ტყვია მოხვდა და სხვისი გულისთვის უდანაშაულოდ მოკლეს.

კომუნისტური წყობა კიდევ რატო არ მიყვარს იცი? რომ ჩამოვედი სოფელში თბილისიდან მაისის ბოლო იყო, ჩემი ძმის სასამართლო იყო და გვეგონა, გამოუშვებდნენ იმიტომ, რომ ისეთი დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი. სხვამ მისცა

[32] კოხათი – სოფელი გორის მუნიციპალიტეტში. 1991 წლამდე შედიოდა ცხინვალის რაიონში.

[33] ვლადიკავკაზი, კავკავი (1931-1944 და 1954-1990 წლებში ერქვა ორჯონიკიძე, ხოლო 1944-1954 წლებში – ძაუჯიყაუ) – რუსეთის ფედერაციის სუბიექტის, ჩრ. ოსეთის რესპუბლიკის დედაქალაქი ჩრდილო კავკასიაში.

მოპარული მაგნიტოფონი და დამალა გაზონებში, ამისთვის გაუშვეს ციხეში. მამაჩემმა სმა დაიწყო, ფსიქოლოგიურად ძალიან ცუდად იყვნენ ჩემი მშობლები. დედაჩემი ლოგინად ჩავარდა, მთელი სამი თვე ლოგინში იწვა. მოსავალს, „ბროცკ“ ვაშლს ვყიდდი ხოლმე აგვისტოში და კანონი იყო, როგორი, იცი, შევარდნაძის დროს: შრომადღეები უნდა დაეგროვებინა გლეხს, რომელიც შეიძლება არა ყოფილიყო კოლექტივში სამუშაოდ. რომ მოეგროვებინა ჩვიდმეტი თუ ცხრამეტი შრომადღე, მერე განცხადება უნდა დაეწერა, უნდა მოეთხოვა უფლება, რომ ბაზარში წაეღო და გაეყიდა. ვისაც ეს ცნობა არ ჰქონდა, არ ქონდა უფლება, რომ თავისი მოსავალი გაეყიდა, თავის ბაღში თავისი შრომით მოყვანილი. მოვბრუნდი სახლში და ვხედავ, რომ პადვალი [სარდაფი] სავსეა ვაშლით, გამყიდავი არავინ არის. მე ცნობას ვინ მომცემდა. მეზობლებს მივყავდი ხოლმე, ვითომ იმათი შვილი ვიყავი. წარმოიდგინე, ოცდაოთხი წლის გოგო, ვიყავი და ისე მცხვენოდა, ალბათ, დღეს მეძავებს არ შერცხვებათ. სიკვდილის ტოლფასი იყო ჩემთვის, ძალიან დამცირებულად ვგრძნობდი თავს. ბიძაჩემს მივყავდი ხოლმე უფრო ხშირად, ბიძად მეკუთვნის (სტალინის ფანატიკურად მოყვარე იყო). ჯერ დავდიოდი ცხინვალში და გორში, გორში არ მინდოდა გამეყიდა, ჩემ თბილისელ ნაცნობებს რომ არ ვენახე, ერთს დავუნახივარ. თვითონაც შერცხვათ, რომ მოსულიყვნენ და დამლაპარაკებოდნენ.

როგორც იქნა ის წელი გავიტანეთ. ვსესხულობდი ხოლმე ჩემი ძმისთვის, წულუკიძეში იჯდა, დღევანდელ ხონში. ბავშვობიდანვე მე ვპატრონობდი ხოლმე. ბიჭებს ვცემდი, რომ დამეცვა. ქალაბიჭა კი ვიყავი. გავიდა დრო და ეს მოსავალი როგორც იქნა ჩავაბინავე და მიწევდა ბაზარში კიდე სიარული და სად დავდიოდი, არ იკითხავ? სოჩაში [სოჭში]. იქაც აკრძალული იყო ხილის გატანა, მივდიოდით ხოლმე მატარებლით მე და ბიძაჩემი. მამაჩემს რადიკულიტი დაემართა, სვამდა და არ უვლიდა თავს. დედაჩემი, რო-

გორც იქნა ადგა, მაგრამ პატარა და-ძმები მყავდა სახლში, ათი-თერთმეტი წლისები. მინდოდა მათთვის ნორმალური სწავლა-განათლება მიმეცა. ორივემ უმაღლესი დაამთავრა. ამ დროს ჩემი უფროსი ძმა რუსეთში იყო წასული და დღესაც იმ აზრზეა, სააკაშვილმა რომ თქვა, ინტელიგენციაზე, ჩარეცხილებიო, ჩემი ძმა ამართლებდა სააკაშვილს, მართლა ეგეთი ხალხი მუშაობდა უნივერსიტეტებშიო. აბარებდა ჩემი ძმა უნივერსიტეტში, მაგრამ იმხელა ზეწოლა განიცადა და მაგის მაგივრად სხვა დასვეს, სპეციალურად ჭრიდნენ, ვისაც არ ჰყავდა ნაცნობი. უნივერსიტეტებში ვინც იყვნენ და მაღალი წრის ხალხი, მაინცდამაინც მათ შვილებს უნდა ესწავლათ. როდესაც სააკაშვილმა ეს თქვა, ძალიან გული დამწყდა. ჩემი ძმა რომ იყო ჩამოსული რუსეთიდან და გაანალიზა, რა უნდოდა, რატომ გადაიკარგა რუსეთში, ისეთი რაღაცეები შეხვდა, ცხოვრება ვერ დაიწყო. ისეთ პერიოდში დაამთავრა სკოლა, როცა უკვე ფულით ხდებოდა მოწყობა უმაღლესებში. ყველას ხომ არა აქვს მებრძოლი სული, რომ, გინდა თუ არა, ხუთი წელიწადი და ათი წელიწადი აბარებდეს უმაღლესში? ჩემმა ერთმა მეგობარმა კი ჩააბარა უმაღლესში, მაგრამ ათი წელიწადი აბარებდა.

სოჩაში [სოჭში] რომ დავდიოდი, რატომღაც სულ კეთილი ხალხი მხვდებოდა ხოლმე. ყველა კეთილი თვალით მიყურებდა, რომ ესეთი პატარა გოგო ვწვალობდი და ვშრომობდი. იქ გავიცანი ერთი ქართველი ქალი, ბაზარში მუშაობდა, საწყობში მუშაობდა. იმ საწყობში უნდა დაგეტოვებინა ბარგი, რაც გქონდა გასაყიდი. ის ქალი სულ მმფარველობდა ხოლმე. იმის მფარველობა რაში გამოიხატებოდა: რუსეთზე ხომ თითქოს მასიურად ვართ გაბრაზებულები, მაგრამ მე, მაგალითად, – არა. იმდენი სიყვარული და სითბო მიგვრძნია მაგ ხალხისგან! ბაზრის მილიციისთვის ფული უნდა გადაგეხადა, რომ დამდგარიყავი და არ ჩამოერთვა ვაშლი და არ ჩაებარებინა, მაშინ კოოპერატივები იყო, ცეკავშირის მაღაზიებს ეძახდნენ. უთხრა, რომ ეს ჩემი შვილია და ხმა არ

გასცეო. ათ მანეთს აძლევდნენ ხოლმე ყოველ ჩასვლაზე ორ დღეში ერთხელ ჩახვიდოდი თუ კვირაში ერთხელ ჩახვიდოდი, ათ მანეთი უნდა მიგეცა ბაზრის მილიციისთვის. მე არასოდეს გადამიხდია, არასოდეს არ მახდევინებდა ეს მილიციელი. საწყობში მუშაობდა ერთი ქალი, ძალიან ძვირფასი ქალი, ძალიან ლამაზი, ქართველი, ტუაფსედან[34]. ობეხე რომ დაეცემოდა ამ ქართველ ვაჭრებს და ჩამოართმევდნენ ხილს და პასპორტებს, ჯერ პირველ რიგში პასპორტებს. ამ პასპორტებით შევიდოდნენ საწყობში და გადმოიღებდნენ. ძალიან მოწესრიგებული იყო, რომ დატოვებდი ბარგს, ქვითარი იყო მიკრული და შენი გვარი იყო დაწერილი. რომ ნახეს ამათ ობეხეა შესული, შვიდნი იყვნენ, ნახეს აწერია გოგლიძე გვარი: „ესო ვისიაო“? ამ ქალმა მომიკლა დედაც, მამაც...“ოღონდაც მაგას ხელი არ ახლოთო, ერთი ობოლი გოგო დადის აქო, გორელიაო და ექვსი და-ძმა ყავსო, იმ ობლებს თვითონა ზრდისო, უფროსია ყველაზეო და მაგისი არ წაიღოთო“. მერე ამათ უთხრეს ამ ქალს: „უთხარი, გავიდეს, გაყიდოსო, მაგრამ ხმა არ ამოიღოს, რომ ნება დავრთეთო“. რომ უნდა ვმდგარიყავი ოთხი, ხუთი დღე, ერთ დღეში გავყიდე. რიგი დადგა, მაღაზიებში რომ იდგნენ ხოლმე, როცა კარგი, იმპორტული რაღაცა იყიდებოდა, ეგრე გაიჭიმა რიგი რუსების და უცხოელების, რომ ეყიდათ ჩემგან ვაშლი და მსხალი. თუ ვყიდიდი ხუთ მანეთში, გავყიდე შვიდ, რვა მანეთში. თუ ვყიდიდი სამ და ოთხ მანეთში, გავყიდე ხუთ, ექვს მანეთში, მოვუმატე ფასი. მეც ეშმაკი ვიყავი. სამჯერ გადამარჩინა ამ ქალმა. იმდენი ვიწვალე ფიზიკურად რომ ვშრომობდი. მე თვითონ ვტვირთავდი, იაშჩიკებს [ყუთებს] ვეწეოდი. ისე ავწევდი ყუთებს და დავუდებდი ტრაქტორზე, ვითომც არაფერი. არც არავის არ ვეძახდი მოსახმარებლად. იმოდენა მოსავალი ჩავაბინავე და თბილისში რომ მოვხვდი

[34] ტუაფსე – სამხარეო დაქვემდებარების ქალაქი რუსეთში, კრასნოდარის მხარის ტუაფსეს რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი.

ბაზარზე, ისე მცხვენოდა, მაგრამ რას იზამ. მთავარია არ მოიპარო და ალალი შრომით იშრომო და იცხოვრო.

ვაწყდებოდი წინააღმდეგობას და მერე, ხო იცი როგორ არის, კარგი და ცუდი ყველა სოფელშია, ჩემი ძმა რომ ციხეში მოხვდა, ყველა ისე გვიყურებდა, რომ მორჩა, უკვე პირქვე დაეცა ოჯახი... მეთქი არა, ესე არ გამომადგება და დავიწყე ახლიდან ცხოვრება, ნულიდან დავიწყე. რომ დავბრუნდი თბილისიდან, ოთხი ქათამი გვყავდა სახლში, არც ძროხა გვყავდა არც არაფერი, ყველაფერი მე შევიძინე. აი, ეს იატაკიც ჩემი შეღებილია, კარ-ფანჯრებიც, სულ ყველაფერი. ჩემი ძმა რუსეთში იყო, ჯერ არ ჩანდა და მერე რომ გამოჩნდა, კი გვეშველა. დამიდგა მხარში. ჩემი და ეხლა წარმატებული ადვოკატია. ჩემი ძმა რუსეთში წავიდა და ვაშლი წაიღო გასაყიდად. კამაზებს ვავსებდით ხოლმე, მარტო ჩვენ ოჯახს შეეძლო, რომ ერთი კამაზი გაევსო და წაიღებდა, გაყიდიდა. მერე მოეწონა იქაური ცხოვრება და აღარ ჩამოვიდა, დარჩა იქ. სახლში ვიყავით მე, დედაჩემი, მამაჩემი და ჩემი დები. ძალიან ბევრი ვიბრძოლე. ჩემი ძმა, რომელიც ციხეში მოხვდა, როგორმე ფეხზე დამეყენებინა. ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა, ციხემ თავისი კვალი დაამჩნია და მერე ერგნეთის ბაზარმა. სპირტით ვაჭრობდა ხოლმე. გამყიდველად იყო და თან სვამდა ამ სპირტს, მიდრეკილება ჰქონდა სასმელისკენ და სულ გაიფუჭა მთელი ორგანიზმი. იმდენი ვეწვალე რომ გამოსწორებულიყო, მაგრამ, ერთი სიტყვით, სმამ მოუღო ბოლო. გარდაიცვალა.

ძალიან ცუდად ვიგრძენი მაშინ თავი, მაგრამ სული მაქვს ისეთი ძლიერი, რომ ჩემი ნერვიულობა მაქსიმუმ თხუთმეტი-ოცი წუთი გაგრძელდეს. მერე უკვე ვიცი, რა უნდა გავაკეთო, არ უნდა დავეცე და მხნედ ვიყო.

არეულობა რომ დაიწყო ოსებსა და ქართველებს შორის ძალიან გული მტკიოდა. მეტყოდნენ ხოლმე მეზობლები, რომ შენა დედა ოსი გყავს, ნახევრად ოსი ხარ და იმიტომ გტკივა ოსებზე გულიო. აფხაზებსა და ქართველებს შორისაც რომ

ხდებოდა კონფლიქტი, ის აფხაზებიც მეცოდებოდნენ. იმ აფხაზებზეც იგივენაირად მტკიოდა გული როგორც ოსებზე. მე ხომ ვხვდებოდი, რამდენი ხალხი იყო იქაც, ვისაც არ უნდოდა არეულობა და ერთმანეთის მტრობა. ისეთი ხალხიც იყო, ვისაც აწყობდა და ხელს ითბობდა ომით. თითქმის ოთხმოც პროცენტზე მეტი იყო, ვისაც არ უნდოდა ეს ომი, თავს მოხვეული იყო და ემოციების კონტროლი ყველას ხომ არ შეუძლია. ფსიქოლოგიურად კარგად იმუშავეს ოსებზეც და აფხაზებზეც. მე აფხაზებსაც ვიცნობდი და მქონია საუბარი აფხაზების და ქართველების ურთიერთობაზე. ნათესავები აფხაზებში საერთოდ არ მყოლია, ნაცნობები კი, შემთხვევითი ნაცნობები.

ძალიან ცუდი იყო, იმხელა დაღი დაასვა ჩვენ ოჯახს. დედაჩემი იყო ჩასული, ჩემმა ბიძაშვილმა წაიყვანა და აჩვენა სკოლის ეზოში რომ დაკრძალეს ოსები პირველი ომის დროს. კრძალავდნენ სკოლის ეზოში, სადაც დიდი ეზო იყო. დედაჩემმა რომ ნახა იქ დაკრძალული ოსები, თავისი ერი ძალიან უყვარდა და არც ვამტყუნებ, წნევამ აუწია და გზაში ინსულტი დაემართა, ვერ მოაღწია სახლამდე. მაშინ მე თბილისში ვიყავი. რომ ჩამოვედი და დედაჩემი ინსულტით დამხვდა, დაიწყო ჩემი შინა პატიმრობა. არც არავის ეგონა, რომ გადარჩებოდა. მთელი სამი თვე გაუნძრევლად გვეწვა. თან ისეთი წამლები და მედიკამენტები ეხლა რომ არის, მაშინ არ იყო, მაგრამ მადლობა ღმერთს, კარგმა რეჟიმმა და მოვლამ, მასაჟებმა გამოაკეთა, გონებაც არ დარჩა არეული. სამი თვე არ ახსოვდა არაფერი აბსოლუტურად, მესამე თვის მერე ჩვეულებრივად აზროვნებდა, ჩვეულებრივი მეტყველება ჰქონდა, უბრალოდ ცალი მხარე, მარცხენა მხარე ქონდა დადამბლავებული. წარმოიდგინე, თოთხმეტი წელიწადი ვუვლიდი, თოთხმეტი წელიწადი ვიწექი დედაჩემის გვერდით. შეიძლება გაგიკვირდეს, მაგრამ ღმერთს მადლობას ვწირავ ხოლმე, 2008 წელს რომ არ მოესწრო. პირველი არეულობის დროს, ბევრჯერ ჩემოდნები ჩაგვილაგებია რომ გავქცეუ-

ლიყავით. დედაჩემს ვეტყოდი ხოლმე: „დედა შენ დარჩი, ოსი ხარ მაინც“... დედაჩემს უფრო ეშინოდა თავისი ხალხის: „არა, მე პირველი უნდა წავიდე, მომკლავენო.“ ძალიან მეცოდებოდა თავისი ხალხის რომ ეშინოდა და დაუცველად გრძნობდა თავს. წარმოიდგინე ეხლა, ქართველებისა რომ მეშინოდეს. მე ოსებისაც არ მეშინოდა.

მე მქონდა კონფლიქტი საბჭოთა პერიოდის დროს. თბილისიდან ჩამოვედი იმიტომ, რომ ოჯახს დავხმარებოდი. იმ დროს ასეთი წესი იყო, რომ სკოლას რომ ამთავრებდნენ, თუნდაც გოგოები, თუ არ სწავლობდნენ და სოფელში ცხოვრობდნენ, აუცილებლად უნდა ემუშავათ, გავალდებულებდნენ. კარგია რომ იშრომო, მაგრამ ხომ შეიძლება, სიტყვაზე, გოგო სახლში იჯდეს და სურვილი არ ქონდეს თოხზე და ბარზე იმუშაოს და ვედრები ათრიოს. ყველას თავისი არჩევანის უფლება ხომ უნდა ჰქონდეს. რომ მოვბრუნდი, მოვიდა ბრიგადირი, ნუგზარ დემუროვი და მეუბნება: „სამუშაოდ უნდა წამოხვიდეო“. მუშახელი უჭირდათ, სჭირდებოდათ. მე არ გავყევი, თუ მუშახელი ასე სჭირდებოდათ, ჩემი ძმა კოლწევრად რატომ არ მიიღეს? იმის გამო, რომ კონფლიქტში შევიდა იმათთან. რაღაც ლიმიტი[35] ეკუთვნოდა, გაუყიდეს, არც მახსოვს გვარი... ჯობინაშვილმა არ მიიღო რიგით კოლწევრად. ბრიგადირმა, შენ საკითხს თათბირზე განვიხილავთ ორშაბათსო. მე ვუთხარი: „განიხილეთ და თან კიდევ უთხარით ჯობინაშვილს, რომ აი, კოლწევრად რომ არ მიიღე გოგლიძე თამაზი, იმის და ამბობს უარსმეთქი“. რა არ მომწონდა იცი? ვისაც ამოიჩემებდნენ, ამუშავებდნენ და ვინც ცხვირზე არ დაისვამდა და ეტყოდა, არ წამოვალო, ხმას არ სცემდნენ. კანონი ყველასთვის უნდა იყოს ერთნაირი...

კომუნისტების დროს საჩვენებელი სოფლები ჰქონდათ.

[35] საბჭოთა დროს არსებობდა ე. წ. ლიმიტი, რომელიც შეღავათს გულისხმობდა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებისას.

ჩვენ მხარეში მაგალითად იყო ტყვიავის მეურნეობა საჩვენებელი სოფელი. მაგალითად, საბჭოთა კავშირის რომელიმე რესპუბლიკიდან თუ ჩამოვიდოდნენ სტუმრები, მიჰყავდათ ხოლმე იმ სოფლებში და აჩვენებდნენ, ამ სოფლებში როგორ კარგად ცხოვრობენ, კარგი სახლები უდგიათ, ანაზღაურებაც კარგი აქვთ და მადლიერ ხალხს აჩვენებდნენ ხოლმე. ტირძნისი და ტყვიავი გვერდიგვერდ არის, პატარა ლიახვი ჰყოფს. ამ დროს ტირძნისში კაპიკებს უხდიდნენ და იქ დიდ თანხებს უხდიდნენ, დიდ ხელფასებს. და ასეთი დიდი სხვაობა იყო. მეჯვრისხევი იყო კიდე მგონი საჩვენებელი სოფელი. ამ საჩვენებელ სოფლებში ნორმალურად ცხოვრობდა ხალხი და სხვები არ ცხოვრობდნენ კარგად.

იყო ერთი სერაფიმე ხაბალოვი, ბიცოლად მეკუთვნის, ცხოვრობდა ჯავის რაიონის სოფელ ჩიფრანში. ამ ქალს მამა ომში დაეკარგა და დარჩნენ მარტო. ბევრი და-ძმა იყო, ექვსი ბავშვით დარჩა ეს დედამისი მარტო.]დურგალი ყოფილა მამა და ახალი სახლი უნდა აეშენებინა, მაგრამ უკვე ვეღარ მოასწრო. ომი რომ დაიწყო, ომში წაიყვანეს. დაიკარგა ომში და მერე ბიძა პატრონობდა ისე რა... ჩეჩნები ხომ გაასახლა სტალინმა, იმ დროს ბიძამისმა უთხრა, მოდი გადავსახლდეთო. რადგან ჯავაში მთაში ცხოვრობდნენ და მაგ დროს არ ჰქონდათ ისეთი პირობები... მაინც მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ ოსები და გადავიდნენ ჩეჩნეთში. იმ დროს იქ სოფლები იყო დაცლილი, მასიურად გაასახლა სტალინმა და რომელ სახლსაც გინდა, აირჩევდი, შეხვიდოდი და იცხოვრებდი. რომ შევიდნენ თურმე, ნაკვერჩხალი ისევ თბილი ყოფილა, ახალი გასახლებულები იყვნენ. ზოგი ტყეში იმალებოდნენ და მოდიოდნენ მერე სახლში. ეს ქალი უკან დაბრუნდა მერე. პატარა იყო მაშინ თორმეტი-ცამეტი წლის... უკან დაბრუნდა იმიტომ, რომ ჩეჩნები უვარდებოდნენ და აწიოკებდნენ, უწვავდნენ სახლს. იმათი ოჯახის რომელიღაც წევრი იყო ხოლმე გადარჩენილი. ხედავდნენ, რომ მათ კუთვნილ არე-მარეს და ქონებას ვინმე

დაეპატრონებოდა, შურს იძიებდნენ ხოლმე. ჰოდა, იქიდან წამოსულა და ჩამოსულა ისევ ჯავაში, სოფელ ჩიფრანში.

მოგეხსენებათ, იმ დროისთვის ქალთა სიკვდილიანობა ხშირი იყო იმიტომ, რომ არ იყო მედიცინა განვითარებული და სახლში მშობიარობდნენ. რომ გარდაეცვლებოდათ მეუღლე, მერე მეორე მოჰყავდათ, მესამეც... ამ ქალის მამიდა იყო გამოთხოვილი მეორე ცოლად ჩვენ სოფელში მირზაშვილებში, მერე ამან ჩამოიყვანა ის ქალი და გაათხოვა ჩვენ სოფელში. ასე ბევრი დასახლდა. ჯავიდან ჩვენს სოფელში ბევრი გამოთხოვდა ქართველზე.

ჩვენი სოფელი პატარაა, სამოცოჯახიანი. კომუნისტების დროს, ამ სამოც ოჯახს ცალკე ჰქონდათ კანტორა, კოლმეურნეობა და საბჭოც. ტირძნისში უკვე აღარ შედიოდნენ. აგერ, აი, აქვე ცხოვრობდა ერთი ოჯახი. მარკოზა ერქვა კაცს და ვერ მუშაობდა. კომუნისტები მოითხოვდნენ, რომ ყოველდღე შეესრულებინა სამუშაო მეურნეობაში, ძალიან უჭირდა და წლიდან წლამდე რასაც კოლექტივში გამოიმუშავებდა, არ ყოფნიდა და ბაღებიც არ ჰქონდა ისეთი შემოსავლიანი, შიმშილით ეხოცებოდა შვილები. და ეს მარკოზა გადაასახლეს ციმბირში, გააციმბირეს იმიტომ, რომ ვერ მუშაობდა. კრება მოიწვიეს და მამაჩემი მიყვებოდა ხოლმე... მამაჩემი პატარა იყო მაშინ და ძალიან კარგად ახსოვდა, გულის ტკივილით იხსენიებდა ხოლმე. როცა სუფრასთან იჯდა ხოლმე, ყოველთვის შესანდობარს სვამდა ხოლმე ამ კაცისას, ძალიან განიცდიდა მის ამბავს. კრება მოიწვიეს და დაუსვეს შეკითხვა, უნდა გაესამართლებინათ, მთელი სოფელი ჰყავდათ დაბარებული. უთხრეს თურმე, რომ პირობა დადე რომ იმუშავებო. რამდენი შრომადღე უნდა გამოემუშავებინა ულტიმატუმს უყენებდნენ. ამ კაცმა პირდაპირ უპასუხა: „გამაძღეთ, მაჭამეთ, მშიერი ნუ მომიკვდება ცოლ-შვილი და ვიმუშავებო“. ეს არ შეეძლოთ რომ გაეკეთებინათ. იმდენი მიეცათ, რომ ოჯახი ერჩინა. მერე გაასახლეს ეს კაცი. ერთი ბუჟღულააშვილი იყო, ტირ-

ძნისში ცხოვრობდა, ისიც გაასახლეს ციმბირში და ის რომ ჩამოვიდა, მოყვა, რომ ეს მარკოზა თურმე გამოქცეულა ციმბირიდან და გზაში ნადირმა შეჭამა. ვერ აიტანა იქაური ყოფა და... ფიზიკურად ძალიან ძლიერი კაცი იყო, ათლეტური აღნაგობისა და ეგონა რომ გააღწევდა. და ამან, რომელმაც აიტანა ის ყველაფერი, დამცირება და ყველაფერი, ის ტამნორჩილი კაცი იყო და ცოცხალი დაბრუნდა. ერთადერთი შემთხვევა იყო იმ კაცის, რომ გაქცევა გაბედა თურმე. აი, ასეთი რაღაცეებიც ხდებოდა ჩვენთან... ეგ ერთი შემთხვევა იყო, რომ გაასახლეს ჩვენი სოფლელი, ლაფაჩი იყო გვარად. როცა გაასახლეს, მისი ცოლი უკვე გარდაცვლილი იყო და ორი ბიჭი ომში იყვნენ უკვე დაკარგულები. სოფელი ასეთ დროს ხმას ვერ იღებდა. ზოგს მიაჩნდა სამართლიანად რომ ასე მოხდა, ზოგს გულისტკივილი ჰქონდა. მამაჩემს მაგალითად ქონდა გულისტკივილი, მაგრამ რაღაცნაირი დამთმობი იყო, რომ არ შეეწინააღმდეგებოდა არავის. მე ძალიან გამიკვირდა 2008 წლის ომის დროს წინააღმდეგობა რომ გაუწია. მამაჩემი რუსულ ჯარში იყო ნამყოფი, ვაშლიც დაქონდა გასაყიდად რუსეთში და რუსულს კარგად ფლობდა და ერთი კაცი აქ არც ვაშლს ყიდდა რუსეთში, არ ქონდათ ხოლმე იმათ იმდენი ვაშლი და არც რუსულ ჯარში იყო, ამიტომ რუსული არ იცოდა. ამ კაცს რაღაცას ეკითხებოდნენ, ავტომატი დაუკარგიათ, რუსეთის ჯარი რომ იდგა ჩვენ სოფელსა და დიცის შუა, მთვრალები რომ დადიოდნენ, დაუკარგიათ ავტომატი და აბრალებდნენ ჩვენ სოფლელებს და დაერივნენ. ზოგსა სცემეს, მიადგნენ ამ კაცს. მამაჩემი გადაუდგა: „არ იცის ამ კაცმა რუსულიო, ვერ იგებს რას ეკითხებიო“. ძალიან გამიკვირდა, რომ მითხრა ამ კაცმა მამაშენმა გადამარჩინაო... მამაჩემს არ უყვარდა მაინცდამაინც წინააღმდეგობის გაწევა, ისიც კანონმორჩილი იყო უფრო. გადასახლებების დროს კი, მით უმეტეს, მამაჩემი პატარა იყო. ზოგს საერთოდ მიაჩნდა, რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო, ზოგს კი ჰქონდა რაღაც პროტესტის

ესმა გოგლიძე. 1980-იანი წლები.

გრძნობა, მაგრამ ამ პროტესტის გამოთქმის რიდი ქონდათ და ვერ იტყოდნენ ვერაფერს. ეკლესიაში სიარულს იშლიდა ეს ხალხი თვითონ, თანხმდებოდნენ რომ არ ევლოთ. ჩვენს ეკლესიაში საწყობი იყო მაშინ გაკეთებული. ეკლესიის ტერიტორიას ამუშავებდნენ, თესავდნენ რაღაცეებს. ერთ მხარეს მიცვალებულები ესვენა, ეკლესიის წინ და მეორე მხარეს ბოსტანი მოყავდათ. ხორბალს და ჭირნახულს ინახავდნენ შიგნით ეკლესიაში.

რაც შეეხება დედაჩემს, ხომ გითხარით, ოსი იყო. არ უყვარდა კომუნისტური წყობა იმიტომ, რომ მამას უკულაკებდნენ და დიდი ძალისხმევა დაჭირდათ. ძალიან შეძლებული ოჯახი იყო. დედის მხრიდან ბებიაჩემი ბეგის შთამომავალი

იყო. ბეგი იგივეა, როგორც საქართველოში თავადი. ყოჩიევი იყო ბებიაჩემი, სოფელი ავნევიდან. უნდა გაეკულაკებინათ, ბევრი საახლობლო ყავდა იმ დროს ცხინვალში დედაჩემის მამას, არ გააკულაკეს, მაგრამ იმოდონა ცხვარი, ძროხები, ორი ცხენი სულ კოლექტივმა წაიღო. წაიღო, მაგრამ ცხენი მაინც პაპაჩემს ჰყავდა ხოლმე და საკუთარი ძროხა (ერთი ძროხის დატოვების უფლება ქონდა). იმდენი ქნა ამ კაცმა, რომ მამალი, ახალგაზრდა ცხენი დაიტოვა. ცხინვალში ოსები მაინც სხვანაირი ხალხი იყო, თავიანთ ხალხს მაინც ფარავდნენ და ანგარიშს უწევდნენ. ქართველები არ არიან ასე, როგორც ოსები.

პაპაჩემი ომიდან გამოქცეულებსაც იფარებდა ხოლმე, ნათესავებს თავისი ცოლის მხრიდან, თუ საძმაკაცოს მხრიდან. პაპაჩემმა თავისი შვილი, ბიძაჩემი ომიდან თავისი ხელით ჩამოიყვანა, სულ საღ-სალამათი. არ ვიცი, როგორ გააკეთა, არ ამბობდა ხოლმე. ბიძაჩემი რომ ჩამოიყვანა, ცხინვალში ცხოვრობდა და უკვე არეულობა რომ დაიწყო, მაშინ გარდაიცვალა. დედაჩემსა და ჩემ ბიძაშვილს შორის სამი წელი იყო განსხვავება. ბებიაჩემი აჩენდა ხოლმე ბევრ შვილებს და ბევრი ეღუპებოდა ხოლმე, წინათ ხომ არ იყო მედიცინა ესე განვითარებული. თორმეტი შვილი ჰყავს გაჩენილი და თორმეტიდან ოთხი შერჩა, ორი გოგო და ორი ბიჭი. ამიტომ ასაკში ძალიან დიდი სხვაობა იყო. უფროსი იყო ბიძაჩემი, რომელიც ომში იყო და მაგ ამბებს შეესწრო.

ოსები ქართველებს მაინც იმითი ჯობიან, რომ ყველაფერს აკეთებენ, რომ მათი ხალხი დაიცვან და რაღაცა გამოსავალი ნახონ. ბიძაჩემი თბილისში ცხოვრობდა ვაჟაფშაველას გამზირზე. დაბადებული იყო 1930 წელს. როცა ის სკოლის მოსწავლე იყო, რვეულზე ხომ ეწერა მისი გვარი და სახელი. ერთ-ერთი ნათესავი, რომელიც ომიდან იყო გამოქცეული, აფარებდა პაპაჩემთან თავს და მერე ვიღაცამ დააბეზღა, რომ ომიდან გამოქცეული იყო და იქ თავს აფარებდა. ამ კაცმა ჩაიცვა ბებიაჩემის კაბა და

ცხინვალიდან გამოიპარა, დაიჭირეს მატარებელში. იმითი მიხვდნენ რომ პაპაჩემთან იყო, რომ ამ სკოლის რვეული ყდაში ქონდა თუთუნი გახვეული, ზედ კი ბიძაჩემის გვარი და სახელი ეწერა. პაპაჩემი დაიჭირეს. თვენახევარი იჯდა ციხეში, დაემართა ფილტვების ანთება და იმითი დაიღუპა ამ ნათესავის გულისთვის.

პაპაჩემი ქარუმი ქუმარიტოვი სულ დადიოდა ხოლმე რუსეთში და ხუთი ენა იცოდა. მოუკლეს ძმა, რომელსაც ერქვა თომა. ეს თომა მოკლეს მთაში. სამი მწყემსი იყო, მთაში ხომ მიდიოდნენ ხოლმე, საზაფხულო საძოვრები ჰქონდათ იქ. ერთხელაც იქ ქურდები მოვიდნენ, ამ სამიდან არავინ წინააღმდეგობა არ გაუწია ქურდებს, საქონელს პარავდნენ. მარტო თომამ გაუწია წინააღმდეგობა: „გაგვიშვი თომა, მაინც უნდა წავიყვანოთო“. ამ კაცმა, რომ არ გაუშვა, მოკლეს. ის ორი დანარჩენი გადარჩა. თომა იქვე დამარხეს მთაში, ისეთ ადგილზე იყვნენ, იქიდან მიცვალებულის წამოღება შეუძლებელი იყო. თან ეს ორი სცემეს მაგრა, დააბეს და სანამ ამათ ვინმემ მიაკითხა და ხელები გაიხსნეს, ეს მიცვალებული ფუჭდებოდა და იქვე დამარხეს მთაში. პაპაჩემი რომ ჩამოვიდა რუსეთიდან და გაიგო ეს ამბავი, შვიდი ქურდიდან ექვსი მოკლა. ძალიან ეშმაკი კაცი იყო. ვისაც კლავდა, იმათ ქელეხშიც კი დადიოდა ხოლმე. ჩვეულებრივად მივიდოდა, დაიტირებდა. იმათ არ იცოდნენ, რას გაიგებდნენ, რომ ვინც ქელეხში მოდის, ის კლავს. მეშვიდე ქურდის გვარი ვიცოდი. პაპაჩემი რომ კვდებოდა, დედაჩემს უთხრა, რომ ქოზაევის დარდი მიმყვებაო, რომ ის ვერ მოვკალიო. მეშვიდემ რომ გაიგო, ყველა მოკლეს ნელ-ნელა, სულ ბოლო რომ მოკლა პაპაჩემმა, იმ ღამეს აიყარა ამ კაცმა და წავიდა ცოლშვილიანად, გაიპარა. წლები რომ გავიდა, მთელმა სანათესაომ იცოდა, რომ ქოზაევი დარჩა დაუსჯელი. სულ გულში ჰქონდა სანათესაოს, რომ ქოზაევები მათი მტრები არიან. ქოზაევს არც მიათხოვებდნენ, არც დაუნათესავდებოდნენ.

გავიდა დრო და თბილისში რომელი ბიძაც მყავდა, იმისი შვილიშვილი გაყვა ქოზაევს. სიძე გვყავს ქოზაევი. რომ გადავედით ცხინვალში, სანამ ომი მოხდებოდა, შერიგება რომ დაიწყეს ოსებმა და ქართველებმა იმ დროს, ჩემ ბიძაშვილთან მივედი და ეს ქალი მეუბნება: „ვაიმე ლეილა, რა მოხდა რომ იცოდეო... ცოცხალი რომ იყოს მამაჩემი, ან კიდევ პაპა რომ ცოცხალი იყოს, გაგიჟდებოდნენო“. რა მოხდა და, განა გაჰყვა ქოზაევსო, სიძე გვყავს ქოზაევიო“. „კარგი ბიჭია ყველაფერი, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს, ქოზაევი არიო“. „ვინ იცის, იმისი შთამომავალიც არის, ვინც ჩვენი პაპის ძმა მოკლაო. ტაშკენტიდან ჩამოსახლდნენ, არეულობა რომ დაიწყოო, ვკითხეო და არაფერი არ იცი-ანო, რატო წავიდნენ ტაშკენტში, რატო დასახლდნენ იქ ქოზაევებიო.“ ის რომელიც ქოზაევს გაყვა, დღეს პრეზი-დენტის პრესსპიკერია ცხინვალში, განა იანოსკაია, მამა ყავს თბილისელი პოლონელი.

ფოტო გადაიღო და ინტერვიუ ჩაიწერა მარიამ აბრამიშვილმა.
სოფელი თერგვისი (გორი), 2016 წლის ივლისი.

ეთერ გოგინაშვილი

დაბადებულია 1928 წლის 13 აპრილს გორის რაიონის სოფელ ტირძნისში. მამა 1936 წელს გარდაეცვალა, მაშინ როცა დედა მეშვიდე შვილზე იყო ფეხმძიმედ.

ექვსი წელი კანტორაში მოლარე-მოანგარიშედ მუშაობდა, შემდეგ კი ოცდაოთხი წელი – კლუბში. დროებით ლაბორანტიც იყო ჭარხლის პუნქტში, მერე კი კავშირგაბმულობაში გადავიდა სამუშაოდ. თოთხმეტი წელი ლოგინად ჩავარდნილ ქმარს უვლიდა.

ეთერი გოგინაშვილი სტალინის მიმართ განსაკუთრებულ სიყვარულს გამოხატავდა, რაც მის ხელმაწერშიც აქვს ასახული.

ჰყავს ოთხი შვილი, ორი გოგო, ორი ბიჭი.

გარდაიცვალა 2016 წლის დეკემბერში.

დავიბადე 1928 წელს, 13 აპრილს გოგინაშვილის ოჯახში. მამა 1936 წელს გარდამეცვალა. ვყავდით შვიდი შვილი, ექვსი გოგო, ბიჭი ჯერ არა ჰყავდათ, მამაჩემი არ მოსწრებია, ორმოცდახუთი წლისა დაიღუპა ბრმა ნაწლავი გაუსკდა, დედას დავრჩით შვიდი შვილი, მეშვიდე შვილზე შვიდი თვის ფეხმძიმედ იყო დედაჩემი და ბიჭიც დაიბადა. ასე ობლად დავიზარდეთ (*ტირის*).

ცამეტი წლისა ვიყავი ომი რომ დაიწყო, იმ დიდ გაჭირვებაში უფრო გაჭირდა ცხოვრება. ჩვენმა მეზობლებმა ასე იცოდნენ: „საცა თონე გახურდებოდა, თიკოს (დედას ეძახდნენ ასე) შვილები იქ არ იყვნენო“. ომი რომ დაიწყო, ისეთი ხმები მოდიოდა კავკასიონის მთებიდან, გეგონება ჟესტს აბრაგუნებენო. მანდ იყვნენ უკვე გერმანელები მოსულები.

ომი დამთავრდა და ცოდნა მიგვაღებინა ყველას დედაჩემმა იმ გაჭირვების დროსა. სკოლაში მუშაობდა დამლაგებლად. ყველას, შვიდივე შვილს, სპეციალობა მიგვაღებინა. მე ვმუშაობდი კანტორაში მოლარე-მოანგარიშედ, ექვსი წელიწადი მანდ ვიმუშავე და მერე კლუბი გაიხსნა აქ და ოცდაოთხი წელიწადი მოლარედ ვიმუშავე მანდ, კინო და თეატრები რომ მოდიოდნენ. სტალინი რომ ცუდად იყო მაშინ, ერთი რადიო იყო, რომელიც გადმოგვცემდა ხოლმე სტალინი როგორ იყო და ვუსმენდით იმითი.

ჩემი და ცხინვალში იყო გათხოვილი. ერთი უფროსი ძმა იყო ფეხბურთელი გურამ ცხოვრებოვი, ოქროს მედალოსანი, მეორე ძმა ალიკა ცხოვრებოვიც მოჭიდავე იყო, ოქროს მედალოსანი, მესამე ძმაც უმაღლესი განათლებით იყო, მაგრამ ბენზინის „კალონკაზე“ [სადგურზე] მუშაობდა. ძალიან კარგი, ძვირფასი ხალხი გვყავდა ცხინვალში, მაგრამ დავკარგეთ სულ ყველა. ძალიან კარგი წრე გვქონდა, მაგრამ ეხლა მეტი წილი უკვე იმქვეყნად არიან წასულები. დავრჩით ორი და, თბილისშია ჩემი და.

გორში ცხოვრობდნენ ჩემი სიძეც და ჩემი დაც, განათლებულები იყვნენ, კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა ჩემი სიძე. ერთოთახიანში ცხოვრობდნენ გორში, სამსახურიდან

რომ ბრუნდებოდა, იგონებდა რაღაც ხელსაწყოებს და ამუშავებდა კვლევით ინსტიტუტში. საზღვარგარეთ აგზავნიდა ყუთებსა რაღაცეებითა და მერე უკან აგზავნიდნენ. თბილისში გადავიდნენ და იქ ცხოვრობენ. სამი ბიჭი ეყოლა ჩემ დას, ექვს-ექვსი წლით ერთმანეთზე დიდები. ერთი დისშვილი მოკლეს. ჩემი შვილი ალიკა, სტეფანოვაში წავიდა ჯარში, ხუთი თვის შემდეგ მადლობის წერილი მომივიდა, გამიკვირდა რა დაიმსახურა ესეთი ასე მალე. მერე დაბადების დღეზე ჩავედით მე და ჩემი მეუღლე, იქ გადაუხადეთ 9 მარტს დაბადების დღე. ერთხელ კიდე შეჯიბრი ყოფილა სამხედროებისა, ჩემ ბიჭს საკუთარი ვილისი და შოფერი ყავდა და ცამეტ მილიონიანი დანადგარი ჰქონდა „ვილისში“ ჩემ ბიჭსა, საიდუმლო გადამცემებზე მუშაობდა და იმიტომ ჰქონდა ეს დანადგარი. ამ შეჯიბრის დროს ისეთ მთაზე ავიდა შოფერთან ერთად, გეოგრაფიულად გათვალისწინებული არ იყო და დაიკარგა. ეძებდნენ უფროსები. ჩემი ბიჭი გადასცემს გადამცემით, შოფერი ვარჯიშობს, იყინება და ამბობს „როგორ მცივა, როგორ მცივა“. ეს გაიგეს გადამცემით და მიაგნეს და ჩამოიყვანეს. ამის შემდეგ ყველგან უნდა ხსენებულიყო ჩემი ბიჭის სახელი სტეფანოვაში.

ის საბჭოთა პერიოდი მერჩივნა ამ პერიოდს, სიმართლე რომ გითხრა. იმიტომ, რომ მაშინ რაღაც ბარაქა იყო. ვაშლს დაკრეფდი ან ჭანჭურს ან რაღაცასა, პუნქტში ჩააბარებდი. ეხლა აღარაფერი, სულ მუქთაა ყველაფერი. ეხლა ძალიან გაგვიჭირდა ჩვენცა. ვაშლს წამალი უნდა, ნათესები უნდა მოახვნევინო, სად იყო ასეთი ამბები. ყველას გაუჭირდა თითქმისა. ძალიან გაგვიჭირდა ეხლა, ძალიან.

ოთხი შვილი მყავს, თითო წლით მიყოლებულები სამნი და ბოლო ექვსი წლით უმცროსი. 1955-ში, 1956-ში, 1957-ში და 1962 წლის ხუთ დეკემბერს. აი, ასეთი ტანჯვითა მყავს გაზრდილები, მხოლოდ დედაჩემი და ჩემი და მიწყობდნენ ძალიან ხელს. მშენებლობა რომ დავიწყეთ, უფროსი ბიჭი მყავდა ხუთი თვის, დედამთილი ჩავარდნილი ქალი იყო, მალე დაიღუპა და სულ წვალებით და ტანჯვით... ჩემი ქმარი

ეთერ გოგინაშვილის დედა, თინათინ (თიკო) ქუმარიტოვი, 1970-იანი წლები.

რომ წავიდოდა მოსკოვში, იქიდან ჩამოიტანდა რამეს და სულ ცალ-ცალკე მაქვს გაკეთებული ეს ყველაფერი. ვაშლი დაჰქონდა ჩემ ქმარს რუსეთში, თბილისშიც დაჰქონდა. რამოდენიმეჯერ მეც გავყევი და იქ რომ აურევდნენ ხოლმე, ძალიან ნერვიულობდა ხოლმე. მერე მე მიმქონდა ხოლმე დახურულ ბაზარში. საბარგო მანქანა ამოდიოდა თბილისიდან მეღვრიკისამდე[36], აქ დახვდებოდნენ ჩვენები მერე თვითონ ამოდიოდნენ აქა, დამილაგებდნენ და გზავნიდნენ. აი, ესეთი გაჭირვებითაა ეს ყველაფერი შეძენილი. ბავშვებმა ყველამ დაამთავრეს უმაღლესები.

დედაჩემმა ყველას ცოდნა მოგვცა, იმ განათლებულმა იმანა, სახელოვანმა დედაჩემმა. ძმებიც კარგი ჰყავდა, ოსები იყვნენ, დიდ ყურადღებას აქცევდნენ.

[36] მეღვრიკისი – სოფელი გორის მუნიციპალიტეტში.

ეთერ გოგინაშვილი - პარტორგი. თანამშრომლებთან ერთად შესვენების დროს. სოფლის კანტორა, ტირძნისი, 1950-იანი წლები.

მერე კიდე მინდოდა მუშაობა, მაგრამ დავოჯახდი და რაღას მოვახერხებდი, სამი ბავშვით, ზედიზედ მიყოლებულები, თითო წლით.

ჩემი ქმარი ფერმაში მუშაობდა მოანგარიშედ, კოლმეურნეობაში ბრიგადირად. ნაკვეთებს ყველას გვაძლევდნენ, ნორმებსა. განაწილებითა ამოვწერავდით ხოლმე საერთო კრებაზე და გრამობით აძლევდნენ: შრომადღეზე ასი-ორასი გრამი ხორბალი, არაფერი არ იყო ეგა. მერე ჩემ ქმარს წნევამ დაარტყა და გაჟონვა ჰქონდა თავში. მარჯვენა მხარე ქონდა წართმეული და თოთხმეტი წელი ვუარე.

ძალიან დიდ პატივს გვცემდნენ ცხინვალის ექიმები, ჩემი დის შვილებიც, ჩემი ქმრის დეიდაშვილებიც ძალიან სახელოვნები იყვნენ ცხინვალში, სულ დიდ ადგილებში მუშაობდნენ იქა. ერთი ყველ-კარაქის დირექტორი იყო, მეორე წვენების ქარხნის დირექტორი იყო. საკუთარი პალატები გვქონდა ცხინვალში. თვენახევარი გარეთ, ჰაერზე არ ვიყავი გამოსული. ოპერაცია რომ გაუკეთეს, ხელში მეჭირა და ჩახუტებული მყავდა მაგ დროს და საწოლში უკეთებდნენ. მერე თბილისიდან პროფესორი ჩამოვიყვანეთ და დავაწვინეთ რესპუბლიკურ საავადმყოფოში.. აღარც მე ვარგივარ და

აღარც ჩემი შვილები. აბა, თოთხმეტი წელი, აი, ესე კისერში წამკიდებდა ხელს და კალიასკაში [ეტლში] გადავიყვანდი, გადმოვიყვანდი. მეხსიერება ჰქონდა ბოლომდე.

კინოს მოლარედ რომ ვმუშაობდი, თვრამეტი მანეთი მქონდა. იქაც ერთხელ შემამცირეს. მოლარე ბუღალტერმა მომცა დახასიათება ისეთი, რომ ჩავედი კინემატოგრაფიაში და ნახეს, რომ გეგმებს გადაჭარბებით ვასრულებდი, დამიშვეს ისევ.

ცხინვალმა ძალიან გული დაგვწყვიტა. დედაჩემის ძმიშვილი იყო პროკურორი, ეხლაც ცოცხალია. ის გვამშვიდებდა, ნუ გეშინიათ, ისევ ისე ვიქნებითო, მაგრამ აბა... ამოდენა ხალხი დავკარგეთ, მეტი წილი ნათესაობა იქა გვყავდა. დედაჩემი თვითონ ოსი ქალი იყო, მაგრამ იცი, რა ხუმარა იყო, ისეთ რამეებს მოყვებოდა ხოლმე: პირველი არეულობა რომ იყო ქართველობისაო, ერთმა ოსმაო წნელები მოჭრაო, გადაგრიხა, გააბაო, ხიდან ხეზე გავიდაო, ერთი ქართველი დაიჭირე და გახვრიტეო... დედაჩემი თვითონ ოსებსა განა მასხარად იგდებდა, მაგრამ ხუმარა ქალი იყო. დედაჩემი რომ დაიღუპა, მთელი ოსეთი აქ იყო და ქართველებიც, რა თქმა უნდა.

ფოტო გადაიღო და ინტერვიუ ჩაიწერა მარიამ აბრამიშვილმა.
სოფელი კარალეთი (გორი), 2016 წლის ივლისი.

მერი გაბინაშვილი

დაიბადა 1937 წლის 28 დეკემბერს გორის რაიონის სოფელ კარალეთში. დედა მთიული ყავდა, რომელიც გაჭირვების პერიოდში ყველას, რითიც შეეძლო, ეხმარებოდა.

მეცხრე კლასში გადადიოდა, რომ არ კითხეს, ისე გაათხოვეს უფლისციხელ ბიჭზე.

საბჭოთა კავშირის არაერთი ქვეყანა აქვს მოვლილი ხილის გასაყიდად უბნის ქალებთან ერთად.

ამჟამად პენსიონერია და ცხოვრობს ქალიშვითან და შვილიშვილთან ერთად.

ყავს ოთხი შვილი, აქედან ერთი, ახალგაზრდა ვაჟი, ტრაგიკულად დაიღუპა.

დედა მთიული მყავდა, ძალიან კეთილი ადამიანი იყო. ომის დროს მოდიოდა ხალხი ორჯონიკიძიდან მშივრები. დედის პაპა იყო ვაჟა ფშაველას დეიდაშვილი, იქიდან იყვნენ წამოსულები. გაჭირვება იყო ძალიანა, ჩასაცმელი არა გვქონდა, მცხვენოდა. ძალიან მორცხვი ვიყავი ჩაუცმელობის გულისთვის. მერე რო გავიზარდე და დამთავრდა ომი, კოლექტივის დროს ახალგაზრდა გოგოებს ამუშავებდნენ, ნორმებს აძლევდნენ. თუ მაგალითად გააცდენდნენ, წინა დღის ნამუშევარს წაუშლიდნენ ხოლმე. ერთი ქალი გაასახლეს ყაზახეთში თუ სადღაც და ათი წელიწადი იყო იქ. გადაასახლეს იმიტომ, რომ არ მუშაობდა. ავად იყო. არა ჭრიდა ეს, მაინც უნდა ემუშავა. ნორმა ჰქონდა და უნდა ემუშავა, ეთოხნა. ახალგაზრდა თოთხმეტი-თხუთმეტი წლის გოგოებსა ჰქონდათ ნორმები. ლიახვის აქეთ-იქით ჭალაა და რომ თოხნიდნენ, სულ ჭახა-ჭუხი გაჰქონდა ქვებსა. თუ შუადღე არ იყო, არ ასვენებდნენ, ძალიან ცუდი დრო იყო, ძალიან... ასახლებდნენ ადამიანს, თუ არ იმუშავებდა კარგად.

ჩვენ საჭმელი არ გვიჭირდა იმიტომ, რომ ფურ-კამეჩი გვყავდა და წველა ბევრი გვქონდა. დედა რო შედღვიბავდა, სქელი ფაფასავით დო იყო, იმაში დიდ კარაქს ჩააგდებდა და ჩაყოლებაზე მეზობლებს ვურიგებდით ხოლმე. შეინახა ერთი მოხუცებული ქალი, დიდხანს იყო, სანამ ომი დამთავრდა, ორჯონიკიძიდან წამოსული. მერე კიდე, ერთი რუსის გოგო, ორჯონიკიძიდან ჩამოვიდა ისიც, სანამ ომი დამთავრდა ჩვენთან იყო. მერე ფერმაში გავიდა სამუშაოდ და გარეჯვარში გათხოვდა და ქორწილი გადაუხადეს ჩემმა მშობლებმა.

ჩვენ იმ დროსა აღარ გვიჭირდა. გვქონდა სამოცდაათიასი ვენახი ყურძნისა, იქითკენ მოდიოდა ხორბალი და აქ ღვინო ბევრი გვქონდა. დედაჩემი ფურ-კამეჩს მოაბამდა პატარა ტაჩკას, იმაზე დაუდებდა შტოფებით და გადაქონდა იქა. იქ სასმელი არ იყო. ცვლიდა ხორბალში. რომ ჩამოდიოდა, მშიერ ხალხს, ყველას აპურებდა. ბევრი გვქონდა ხორბალი, არ გვიჭირდა. ერთხელ სახლი გაგვიტეხეს უკან, გამოანგრიეს, რომ ხორბალი მოეპარათ.

რო დავდიოდით, სულ ასკინკილა დავდიოდით, სულ ეკ-ლებითა გვქონდა ფეხები ყველა ბავშვსა, დახეულები, ჩა-საცმელი არ იყო. დედაჩემი ხომ მთიდან იყო და იქაურები ხელს უწყობდნენ, ნათესავებს შეშა მოჰქონდათ. ნავთს ვი-ყიდიდთ ხოლმე და იმ ლამფის შუქზე მოდიოდნენ ხოლმე გოგონები, საწყლები და მთელი ღამე ქსოვდნენ. დღე სა-მუშაოზე მიდიოდნენ. აი, ეგეთი რთული და ცუდი ცხოვრება იყო. მათხოვრები მოდიოდნენ, საწყლები...

ერთი მეზობელი გვყავდა, ქმარი გადაუსახლეს, რა ვი-ცი, რაღაცა თქვა სტალინზე, ჭეჭელაშვილი მიშა. დიდხანს იყო, რომ არ მახსოვდა როდის გადაასახლეს. მერე რომ ჩამოვიდა, მე უკვე დიდი გოგო ვიყავი. ორი გოგო და ერთი ბიჭი ყავდა იმ ქალსა და საწყალი რო მუშაობდა თორტიზაში, აქვეა აღმოსავლეთით... მთელი დღე ამუშავებდნენ ერთ ჭადზე, პური არ აჭამეს. რომ ჩამოვიდა, ეს ჭადი იმ სამ შვილს სამად გაუყო, – აი, ესეთი გაჭირვება იყო. უბედურობა და შიმშილი. დღეში სულ ცოტა ოცი ადამიანი მაინც მოდიოდა „პური გვაჭამეთო“.

მე თვითონ არ ვმუშაობდი ამ ნორმებზე, პატარა ვიყავი. 5 წლის ვიყავი, ომი რომ დაიწყო. ჯერ სკოლაში ვსწავლობდი, მეცხრე კლასში რომ გადავედი, არა მკითხეს, გამათხოვეს. დღესაც დავბერდი ქალი, ამოდენა შვილები მყავს, ოთხი შვილი, შვილიშვილები და კიდევ ვნანობ. ვნანობ, არ მინ-დოდა, სურვილი არა მქონდა. ხო უნდა ემსახურო ქმარსა, იქ დედამთილსა, ჩვენი წესები და კანონები ხო ეგეთია.

სტალინის პერიოდში ძალიან ისე იყო... თუ ერთი ეხსე-ნებინა ვინმეს ცუდათა, აბეზღებდნენ. ვისაც მტრობა ჰქონ-და მეზობლურადა, ასახლებდნენ, მერე ხვრეტავდნენ. დიდი გაჭირვება და შიში იყო. ღამე გვეშინოდა, ქურდობა იყო, არეულ-დარეულობა იყო, კანონი არ იყო.

ჩამოდიოდნენ ზემოდან სოფლიდანა გარეჯვრიდანა, ერთად არის ეს ორი სოფელი, იმას გარეჯვარი ქვია, ამას – კარალეთი. ჩამოდიოდნენ ქალები და დაუძახებდნენ: „მარო, მარუსა, წაგვიღე გორში“. ქვრივი ქალები იყვნენ, ზოგს ქმარი

მერი გაბინაშვილი მეუღლესთან ერთად. 1950-იანი წლები

არ ჰყავდა, ზოგს ჯარში ჰყავდა ქმარი. შეაბამდა ხოლმე დედა ტაჩკას კამეჩსა, ავიდოდა გარეჯვარში, დაუდებდნენ ქალები გასაყიდს ამ ტაჩკაზე და წავიდოდა ხოლმე გორში გასაყიდადა. ზოგს კაკალი ჰქონდა, ზოგს ხილი. ისინიც მისდევდნენ ხოლმე დედას ტაჩკას. აი, ეგრე ქალები ძალიან წვალობდნენ, თან ბრიგადაში ნორმებს ამუშავებდნენ.

გაზაფხული რომ მოდიოდა და ჭინჭარი გაჩნდებოდა, ის იყო საჭმელი. ფქვილიც არა ჰქონდათ. გაზაფხულზე შიმშილით იხოცებოდნენ, ჭლექითა კვდებოდა ბევრი.

მუშაობის გაცდენა არ შეეძლოთ, გინდა ავად ყოფილიყვნენ, არც ექიმის ცნობა ჭრიდა. სიმინდის ნორმებს აძლევდნენ გექტრობრივად. სიცხეში, ამ პაპანაქებაში უნდა ეთოხნათ. ადრე არც წამოსვლის უფლება ქონდათ, არც დაგვიანების, ძალიან ცუდი პერიოდი იყო ეგ პერიოდი.

ჩემი მეუღლე უფლისციხეში დაიბადა. ჩემი მამამთილი იყო მამასახლისი და თურმე სულ ამ მთავრობას აგინებდა. უფლისციხიდანა გორის თავამდისა სულ იმის ნაკვეთები

ყოფილა. მოჯამაგირეები ჰყავდა. იმათ სულ წაართვეს ნაკვეთები, არც უვლიდნენ. ჰოდა, აბა, რა ეყვარებოდა, ეჯავრებოდა ძალიან, სულ სტალინზე იგინებოდა თურმე. შინაურებში იგინებოდა, სახალხოდ ვინ რას იტყოდა.

არადა, 9 მარტი რო იყო გორში, გეცოდინებათ, მაგ დროსა გორიდან მთელი ერთი კვირა არ ამოვსულვარ, თოთხმეტი წლისა ვიყავი მაშინ, სტალინის ძეგლთან. აბა, ვინა ხართო, მოვიდნენ იქიდანა დახეული დროშებითა, დასისხლიანებულები თბილისიდან, ვინა ხართ ერთგულებიო. აქედან ფეხით ჩავდიოდით ხოლმე მე და ჩემი ამხანაგები, გოგოებიც, ბიჭებიც. „ვინა ხართ ერთგულებიო“ – გავქანდი და ტანკს წინ დავუდექი ჩემი უტვინობითა. ეხლაც ვარ ისეთი, რომ გავწირავ თავსა.

მთელი ქვეყნები მაქვს შემოვლილი ხილით. ჩემ კაცს არაფერი არ მოჰქონდა ხოლმე და გავყვებოდი ხოლმე და მე ვყიდიდი. იმდენ ქალაქში ვიყავი. ისედაცა ჩვიდმეტი მანეთი რომ ღირდა თვითმფრინავი, ეს ჩვენი უბნის ქალებს რამე რომ დაგვჭირდებოდა ჩვენი შვილებისთვის, ჩვიდმეტ მანეთს ავიღებდით და წავიდოდით. ყველაფერს ვიყიდიდით, ჩასაცმელებს, ფეხსაცმელებს. მოსკოვში, ლენინგრადში, ძალიან ბევრ ქალაქში ვარ ნამყოფი. მიგვქონდა ხილი. დიდ მანქანებს დაიქირავებდნენ და ჩვენ ხომ ვიცოდით რომელ ქალაქებში, იქ ნაცნობი ხაზეიკები გვყავდა. ჩვენ თვითმფრინავით გადავფრინდებოდით, გავყიდიდით, ისევ გამოვფრინდებოდით. კვირა იყო და თორმეტ საათამდის უნდა ყოფილიყო ბაზარი. ხილს რომ ამოვაწყობდით მაგიდებზე, დავაწყობდით. უჯრები გვქონდა, რომ შიგა ათლარიანი, ოცლარიანი თუ რაც იყო, იქ შეგვენახა, ხურდა ფული ცალკე გვეწყო.

ქალიშვილი ამატებს: ოთხი კლასი ქონდა განათლება მამაჩემს და ტრაბახობდა და იკვეხნიდა რითი, იცით?! წიგნი დაიწერებოდა იმდენი ანდაზები იცოდა. და თვითონ უკვირდა სიბერეში, რო აი, ეს ანდაზაო, იტყოდა, არ გამხსენებიაო. ეხლა სიტუაციამ მოიტანა და გაახსენდებოდა. სულ ანდაზებით გველაპარაკებოდა. ქონდა ძალიან მძიმე ბავ-

მერი გაბინაშვილი (მარცხნიდან, პირველ რიგში) მასწავლებლებთან და კლასელებთან ერთად, 1952 წელი.

შვობა, რამდენადაც სამი წლის იყო დედა გარდაეცვალა და ექვსის – მამა. და თავის მამაზე იგონებდა ხოლმე. სამი ძმანი იყვნენ: მამაჩემის პაპა და ბიძები და იყვნენ ძალიან მშრომელი კაცები. იმ დროს ხომ მოგეხსენებათ, გასაბჭოება შეეხოთ და აი, რას იგონებდა მამაჩემი: თორმეტი უღელი ხარ-კამეჩი ჩამოართვეს. თორმეტიუღელი ხარ-კამეჩი ნიშნავდა ოცდაოთხ სულს. ეხლა ოცდაოთხი სული კი არა, ერთი სული ვიღაცამ რომ გაიყვანოს ჩემი ბოსლიდან, გადავირევი. ამ სამი ძმის უკან იდგა ალბათ, ერთი ორმოცდაათი ოჯახის წევრი. ეს ხდებოდა უფლისციხეში, გაბინაშვილები იყვნენ გვარად. და აი, ეს თორმეტი უღელი ხარ-კამეჩი, თავისი ძმის სალეწით, ბეღლები და ბევრი ნაკვეთები ჩამოართვეს ამ მშრომელ სამ ძმას. ამათ ჰქონდათ პატარა საკუთარი მეურნეობასავით ჩამოყალიბებული და მთელი თავისი

ცხოვრება პაპაჩემი სტალინს აგინებდა და შვილები აღ-მერთებდნენ სტალინსა. რა საინტერესოა, მამაჩემი სტა-ლინის სადღეგრძელოს სვამდა. პაპიდაჩემი თურმე ეტყოდა ხოლმე თავის ძმას: „იასონ, ბირჟაზე მაინც ნუ გადიხარ და იქ ნუ იგინები სტალინზეო, დაგიჭერენო“. იმდენად ჰქონდა ცხოვრებაზე ხელი ჩაქნეული ამ კაცს, ესეთი მშრომელი, ესეთი ორგანიზაციის უნარის მქონე, შეეძლო მთელი სო-ფელი ემუშავებინა და რამ უშველა იცით, გაკულაკებას?! ბებიაჩემი ამას ამბობდა, რომ თავისი გვარის ხალხი ჰყავდა დასაქმებული, ამ თავის პატარა შექმნილ მეურნეობაში. ღარიბები ვინც იყვნენ, ზოგს შეეხო წითელა, ოჯახი ამოწ-ყდა, ესეთი ხალხი ყავდა დასაქმებული. ამან უშველაო და კიდე ალბათ იმან უშველა, „ისპანკა“ იყო მაშინ, ესპანური გრიპი. ორმოდაათი გარდაცვლილი გავიყვანეთ ერთ დღე-შიო ოჯახიდან, რძლიდან მოყოლებული, შვილებით დამთავ-რებული. და თავიდან დაქორწინებულა პაპაჩემი, ახლიდან მოუყვანია ცოლი, ახლიდან დაოჯახებულა. და ამან თუ გვიშველაო. მთელი ცხოვრება სტალინის მაძაგებელი კაცი, არ ვიცი, რა ფენომენი იყო ესეთი რო... სხვათა შორის, ჩემი ძმები, ერთი სტალინის მაქებარი, სტალინს გაუმარჯოსო, ალბათ პატარა სტალინუკა ზის იმაში და მეორე ძმა არის, აი, სულ ამას იხსენებს მამაჩემის მონათხრობს, დედაჩემის დედა, მთიული იყო ყაზბეგიდან, ქალბატონი მარიამი (*ფო-ტოს მაჩვენებს, სადაც ცხენზეა ამხედრებული და გარშემო მისი შვილები და რძლები არიან.*) ოჯახი რომ შეინახა ომია-ნობის პერიოდში.

ჰო, პაპაზე გამახსენდა, ეს მშრომელი კაცი აქციეს ბელ-ლის ქურდად და აი, რას იხსენებდა მტკივნეულად მამაჩემი: საკუთარ სარდაფზე დაუდეს კლიტე კოლმეურნეებმა და შიგ შეიტანეს პაპაჩემის ნაკვეთსა და სხვების ნაკვეთში მოწეუ-ლი ხორბალი. ღამე დგებოდა პაპაჩემი, აი, ეკალმა დამაყა-რა ეხლა, საკუთარი სარდაფიდან იპარავდა, აღებდა საკუ-თარ პადვალს, რომ შვილები მშივრები არ დარჩენოდა. კაცი რომელიც შრომით ვერ ძღებოდა, რასაც ქვია პოტენციურ ქურდად იქცა.

მამაჩემი ექვსის რომ იყო დედ-მამის გარეშე დარჩა და დები ზრდიდნენ. და თოთხმეტი წლისა იყო. და ღამე რომ მივიდოდითო, ვირი იყო ჩემი მარჩენალიო. ვირით წავიდოდიო, მოვიტანდი შეშას და შეშა მეც მქონდაო. ცხრა წლის ვიყავიო, ძალიან მშიშარა ყოფილა, გენეტიკურად ყოფილა, ჩემი ბიჭიც მშიშარაა, ღამის ეშინია. მთელი დღის ნამუშევარი ხარ-კამეჩი ღამე უნდა ეძოვებინა ცხრა წლის ბიჭს მთებზე, კლდეებზე. „ისე მეშინოდაო, ხანდახან ჩემი ნაბიჯების ხმის მეშინოდაო და ხმამაღლა ვმღეროდიო. ყველა ბუჩქი მგელი მეგონაო“.

მამაჩემი სამხედროში რომ წავიდა და ჩამოვიდა, რძალი დახვდა და ძმა დაქორწინებული. იფიქრა ობოლი ვარ, აქ მე ამათ ხელი უნდა შევუშალოო და მისი მამიდა იყო უშვილო ქალბატონი, ცხოვრობდა გარეჯვარში. ერთი ძმა რომ გარდაეცვალა ამ მამიდამ წამოიყვანა, იმისი ობლები გაზარდა და გაათხოვა. მერე მამაჩემი წამოიყვანა, ჯარიდან რომ ჩამოვიდა და შვილად დაიტოვა. ულამაზესი ქალბატონი იყო მამაჩემის მამიდა, უმშვენიერესი და ულამაზესი.

მამაჩემს რატო მოსწონდა სტალინი, ამხელა რეპრესია ჰქონდა და არ ვიცი...

მთიული ქალი იყო ბებიაჩემი და ცხენიც იცოდა, ცხენზე ჯდომა, შეკაზმვა. როცა ომი დაიწყო, ოთხი შვილი ყავდა ბებიაჩემს და პაპაჩემი წავიდა ომში. ამიტომ, ხო იცი, ცხოვრება გამოგაძებნინებს საარსებოს და ცხენს შეკაზმავდა, ქალები გამოუვლიდნენ და წავიდოდნენ ხოლმე. ამითი შეინახა ოჯახი.

ფშავი

თეკლე მჭედლური, მარგო ნაყეური

ფოტო გადაიღო და ინტერვიუ ჩაიწერა ცისანა გოდერძიშვილმა.
სოფელი მაღაროსკარი (დუშეთი), 2016 წლის ივლისი.

თეკლე მჭედლური

დაიბადა 1937 წლის 15 მაისს უკანაფშავში, სადაც გამუდმებულ შიშში გაატარა ბავშვობა ქისტებისა და ხევსურების ხშირი თავდასხმების გამო. რამდენჯერმე შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი. ჯერ კიდევ პატარა იყო, ათი-თერთმეტი წლისა, რომ ოჯახი ოთხი შვილით (თეკლე და მისი სამი ძმა) კახეთში გადავიდა. შემდეგ ისევ ფშავში, სოფელ უძილაურთაში გათხოვდა პავლე მჭედლურზე. მაღალი მთის მკაცრმა პირობებმა აიძულა, ჩამოსახლებულიყო მაღაროსკარში, სადაც უკვე ოცდარვა წელია, ცხოვრობს.

ამჟამად პენსიონერია და შვილთან ერთად უძღვება პატარა მეურნეობას, უვლის ძროხებს. საუბრობს თითქმის მივიწყებული მკვეთრი ფშავური კილოთი.

ჰყავს ოთხი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

1989 წლიდან ჩამოვედით აქ (*სოფ. მალროსკარი, ფშავი*), იქ აღარ მოგვწონდა. იქ ხალხი აღარც ცხოვრობს, მოწყვეტილია. კოჭლიშვილი იოსების (*ხევისბერი შუაფხოში*) ზევით არის, რო გაიხედავ, ნასოფლარია, უძილაურთა, ადრე იქ ვცხოვრობდით. რვა ოჯახი ცხოვრობდა. ეხლა სამი კომლია დარჩენილი. ზამთრობით საქონელი უდის, ზაფხულობით იქ არიან. ეგ ერთი კომლია, ლაშქარაშვილები, მუდმივად რომ იქ არიან. სახლებიც ისეთებია, რო ჯერ ეს რა არის და ამაზე უარესი.

აი, ბალღობინდელ კი მახსოვს, რა დღე გავიარე. ვცხოვრობდით უკანაფშავში, ვაკე სოფელია, მერე გადავედით კახეთში ახმეტის რაიონში, ყვარელწყალში. მემრე მე იქ გამოვთხოვდი, უძილაურთაში. ვიქნებოდი ასე ოცი წლისა.

უკანა ფშავში იყო მტრიანობა, ქურდობა. ჩვენა წაგვიყვანდნენ ამ დროსა (*სალამოს, დაახლოებით, რვა-ცხრა სთ.*) და კიდევაც უფრო ადრე, რომ მობინდდებოდა, საბძელში. საბძელში იყო თივა, დაგვაწვენდნენ, დაგვაყრიდნენ თივასა, დაგვმალავდნენ ბავშვებსა, სახლებსა ტეხდნენ და უცვივდებოდნენ და მშობლებს ეშინოდათ, რო თავებს გაგვიჭრიდნენ რა. გვესხმოდნენ ქისტები, ხევსურები... ხევსურები სახლებსა ძარცვავდნენ, ხალხსა ხოცავდნენ. იმ დროსა, ის ომი (*მეორე მსოფლიო ომი*) რო დამთავრდა, ქისტების ბანდა არიო, იძახოდნენ, შვიდი კაციაო.

ხუთი კომლი ვცხოვრობდით ერთ სოფელში, უკანა ფშავში. დაგვეცნენ ქისტები. პატარა ოთახი იყო, ბეჩავ ცოლ-ქმარი იყო, ან საიდან იცოდნენ, იმათ არაფერი ჰქონდა, იქ შაყარეს მთელი ხალხი, ვინც იქ იყო, ხუთი კომლის. ჰოდა, მოვრჩით [დავრჩით] მე და ჩემი ძმა სახლში, და თურმე ამბობენ ესენი, ჩემი დედა და ბებო, გვეგონა რო, ეხლა ვინ იცის, ისინი სისხლის მორევში ტრიალებენ, თავებს გაჭრიდნენო. შემოვარდებოდა ეს ქისტი, გაიტანდა, ცხრა ასი თუმანი იყო „ნალოგისთვის“ [გადასახადისთვის] დამზადებული, ისიც გამაიღო იმ ქისტმა. გადასახადები იყო ნალოგებს ეძახდნენ, „ნალოგი მოიდაო“, გვახდევინებდნენ

ფულს და მატყლიც უნდა ჩაგვებარა, კვერცხიც უნდა ჩაგ-
ვებარა. გვქონდა თუ არ გვქონდა, შამოგაწერდნენ და უნდა
ჩაგებარა. აღმასრულებელს ეძახდნენ, ისა კრეფდა ნა-
ლოგებს, დუშეთიდან მოდიოდა. ჩაგვაბარებინებდნენ, შაჰ-
კრეფდნენ და ჩამაიტანდნენ შუაფხოში [უკანა ფშავიდან].
დედა, ბებო და მეზობლები რო წაიყვანეს, გვხედავდა,
იცოდა, რო ბავშვები ვიყავით, ჩემი ძმა ოთხი წლისა იქნე-
ბოდა და მე შვიდი-რვა წლისა, მაგრამ სად უნდოდა ბავ-
შვების იქ წაყვანა, იცოდა, რო ჩვენ არც გავიქცეოდით,
არც გამოვაცხადებდით, ვისიც ეშინოდათ, ისინი ერთად
შაყარეს, ჩვენ არ ვიყავით საშიში. ცოტა რომ მიკნევდე-
ბოდა იმათი ხმა, ამოვფრინდებოდი, ამოვხედნებდი და მაუ-
დის ხარები, შაყარეს ერთადა ეს საქონელი და უკვე მიუდის,
უნდა გარეკონ და დაეჭიდნენ ეს ხარები, მეზობლისა და
ჩვენები და დადგა ერთ ბუბუნი. იცინოდნენ. ფუტკარიც
გატეხეს, აი, ვედრეები, ნახევარი სუ აიქ დარჩათ, აჰკიდეს
თერთმეტ ცხენსა და ავიდნენ მთაზე. ომიდან მოსულები
იყვნენ ჩვენი მეზობლები, ბიჭები, ისინიც აიყოლეს იქა. თუ
ვინმე დეედევნებოდათ, იმათ დაჰხოცავდნენ, თან ბარგიც
აზიდინეს. თერთმეტი ცხენი მოხვეტეს იმ კოლექტივისი,
აჰკიდეს მთელი ბარგი ბარხანა, ლოგინები, ყველაფერი,
რასაც დეედებდნენ, და ხიფები [დახვეული შალის ძაფები]
ხო გაგიგონია, ჩემ ბებოსა ჰქონდა ერთი მეშოკი [ტომარა]
სავსე, ისინი ყველაფერ წაიღეს, სულ ტიტვლებ დავჩით. და
მერე ვისაც რა დარჩა, გვაძლევდნენ და ვიცმევდით იმე-
ებსა. ზოგსა ისეთი ისინი ჰქონდა რო, ვინც მალე გაიგეს,
იმათა ამოჭრილი ჰქონდათ გომურში, აი, საყურნე (*ხელით
მიანიშნებს ამოჭრილ ორმოს*) და ერთ კაცსა სუ იმაში ჩე-
ეყარნა თავისი ვეში [ნივთები]. მააშ, იმას რაღაცნაირად
გეეგო, რო ქისტები მოდიოდნენ. გადამალა ზოგმა. თან ყვე-
ლასთან ხო ერთნაირად ვერ მივიდოდნენ. ზოგს კიდე ისეთ-
ნაირი სახლი ჰქონდა, რო იქ ვერ მასძებნიდნენ ვერაფერსა,
გადაკედლილ-გადმოკედლილი და... ჰოდა, გვაძლევდნენ
თითო ხელსა ტანსაცმელსა. მერე ის ბიჭებ გამოუშვეს, ქა-

ლებს კიდე მე და ჩემ ძმამ გავუღეთ კარები. შეშინებულები იყვნენ ძალიან. მემრე ის ბიჭებიც მოიდნენ და რუსულადა ლაპარაკობდნენო, გვესმოდა და არ ვიჩენდით თავსაო. ისინი ომიდან მოსულები იყვნენ და იცოდნენ რუსული. უნდა გამოგვისტუმრონო და დაგვიგლიჯეს პურები და ეგრე გადმოგვიყარესო (*ხელით ანსახიერებს დაბლა დაყრას*), ხელშიც კი არ მიაწოდეს. სულ მშივრები არ დატოვეს მაგრამ, დაუყარეს, როგორც ძაღლებს. ჰოდა, ეთქვათ, თუ გამოგვიდგა ვინმეო, იქაო ყარაული გვყავს დაყენებულიო და დაგხოცავსთო, ეხლა ატყუებდნენ, განა მართლა. ერთი დღე ატარეს და საღამოთ მოიდნენ, ახლოს არი ის მთა. მთის ძირზე არი ის სახლები. ძაან ბეჩავ დღეში ჩავცვივდით! ისე გვეშინოდა ბავშვებსა, ისე გვეშინოდა, რო კაც რო გამოჩნდებოდა ტყიდან, აი, საქონში რო ყოფილიყო, გავქცეულვართ.

ისე ქისტები არ იყვნენ ეგეთები, რო ქალებზე ეძალავნათ. ეგეთები ლეკები ყოფილან და თათრები. ისინი (*ქისტები*) ფერმაში მისულიყვნენ იმ ღამესა და მეორე დილას ხო ჩვენ დაგვეცნენ. ქალები იყვნენ იქა, სამნი, ფერმაში. მისულიყვნენ, გეეზილნათ, ხალს ვეძახით, დეესხათ ერბო, გეეზილნათ იმ ქისტებსა და ის ქალები კიდე არიან მიყუნწულები შიშისგან. ჰოდა, გაზილეს და მოგვცესო, შეჭამეთო, მაგრამ ვითომა ვჭამთო და კედელში ვინახავდითო, იმას რა შააჭმევდათ იმათ გაზელილსა! (*იცინის*) მერე ცოტა ხანიო და ძროხის ღრიალი მოგვედინაო, დეეჭირნა ერთი დეკეულაიო, დეეკლაო. როდის ან გაატყავესო, შამაიტანეს ეს ხორციო, დაკაფესო, ჩაყარესო, აი, ვედროში მოხარშესო. ახლა იმას გვაძალადებდნენ კიდეო. ჰოო, იმ ღამეს იქა ყოფილიყვნენ, რა აშინებდათ, იცოდნენ რომ იქ საშიში არაფერი არ იყო, არც მილიცია დეეცემოდათ და არც არაფერი. მეორე დღეს ის ქალებიც გამეერეკნათ. ადგენენ ეს ჩემი დედა-ბებონი... ჰო, დედაჩემმა დაუძახა ჩემ ბებოსა, რომ დედამთილოო, ქალებიო დაუყრია მილიციასა და მაუდიანო, ალბათა, ვიღაცას წაასწრეს იქაო. თურმე ქისტებია.

ვაი, ბალღებ როგორ გვეშინოდაა! ვაიმე, ძალიან დიდხანს გრძელდებოდა ეს შიშიანობა, აი, ეხლა რაც აღარაფერ

გაიგონება. ან უნდა ძროხებ მეეპარათ, ან უნდა ცხენები, ან უნდა სახლები გეეტეხათ, მილიცია არ იყო იქა. თუ რამეს დააშავებდნენ, გამააცხადებდი, მოიდოდნენ, დაგკითხავდნენ, მობრუნდებოდნენ და წამოვიდოდნენ, ჩაიწერდნენ და ვსიო, არაფერი. უფროსი იყო კიჭოშვილი გოგია, აი, ყაჩაღად რო იყო. მაშინ ეთქვა იმასა, რო მე რო აქა ვყოფილიყავი, ისინი ვერაფერს ვერ წაიღებდნენო, წასულები ვიყავით სხვაგანო. კიჭოშვილი თიანეთიდან იყო. ლიშო და კარტანი ხო გაგიგონიათ, სოფლებია თიანეთში, მე მგონი, მიტოვებული სოფლებიღა არი, ცხოვრობს თუ არა კიდე ხალხი არ ვიცი, იქა ყოფილან თავის ამხანაგებთან და მაშინ დაინატრაო, რო ნეტა, აქა ვყოფილიყავო, ერთს არ გავუშვებდითო. იმ დროს კაცები ვინც იყო, ცხვარში იყვნენ, ცხვარი შუაფხომდე იყო ჩამოსული, და კაცები საყიზლაროდ იყვნენ გამზადული და წამოსული სულა. სუ ბალღები და დედაკაცები დარჩნენ, ამათ აწიოკებდნენ.

მერე დაიჭირეს ისინი და ერთი ქისტი გეექცათ, მათურაი ხო გაგიგონიათ, ვიღაც ქალთანა ყოფილიყო იქა ის ქისტი, ფშაველი ქალი იყო, იმასთან იმალებოდა. მერე მაიჭირნეს ისინი, დააჭრეს თავები მილიციამა და ჩაიტანეს იქ, დუშეთში. მააშ, ისინი ხევსურებმა დაიჭირეს და დააჭრეს თავები, ორნი ყოფილიყვნენ, ორნი, და მილიციაც ყოფილიყო. სადღაც მაასწრეს მაგ ხევსურებმა. ბოლოს ერთი ქისტი იქ იმალებოდაო ორწყალი რო არიო, მაღლა, კლდეებშიო. მაშინ ძაან სიყოჩაღე მაიყვანეს. უფროსი ვინცა ჰყოლიათ ქისტებსა, სუ აი, ოქროს კბილები ჰქონდაო, ნახეს ხურჯინში თავი და სუ დაკრეჭილი ჰქონდა კბილები.

გაზაფხულზე დეეცნენ კიდენა, ჩვენი სოფლის მოშორებაა ის, ვაკის სოფელი, მაშინ მოუკლეს ბიძაშვილი მამაჩემსა. ისიც, აი, თოფიანი თურმე მიდიოდა ცხვართანა და იმათა ჰგონებიათ მილიციონერიაო, იმას რო იარაღ არა ჰქონიყო, არ მაჰკლამდნენ. ომიდან მოსულ იყო ის ბიჭი და იმათ კი მოკლეს, ომში გადარჩა და. პლენად [ტყვედ] ჩავარდნილი ყოფილა, მოიდა და იმათ მოკლეს. მაშინ ერთი ათი წლისა

მაინც ვიქნებოდი. ლექსო, ჩემი ძმა მაშინ არ იყო ჯერ, 1947-შია დაბადებული, მეორე წელს დაიბადა. მაშინ ფეხმძიმედ იყო დედაჩემი.

ჩვენ რო მანდ დღეებ გაგვიტარებაა! არ ვიცი რა. მერე ვეღარც გავიძლეთ იქა, მაგის გამო გადავსახლდით კახეთში, მოკლედ, არ გაჩერდებოდა მანდ კაციშვილი, სუყველაფერი იკარგებოდა, სუ შიშებითა, სახლში წესიერად ვერ დაიძინებდი...

კახეთში უკეთესი იყო, იქ შიშიანობა არ იყო, ყვარელწყალში ვცხოვრობდით, ახმეტის რაიონია, პანკისის ქვემოთ არი ეს ყვარელწყალი. ახმეტაში ქისტებ არ არიან. მაგრამ ახმეტის ზემოთ არი სუ ქისტები, დუისი, ჯოყოლო, ომალო. ბირკიანში ქისტებიც არიან და თუშებიცა. ეგენი სუ ერთად არიან და ფშავლები ცოტა მოშორებით. აქ რო ქისტები გადმოდიოდნენ, იქიდან გადმოდიოდნენ. ის ბანდა იყო მშიერ მწყურვალე. ჩასაცმელ არა ჰქონდათ, საჭმელი, საინტერესოა, საიდან მოქუჩდნენ და ან სად წაიღეს ის სასმელ-საჭმელი. იქ თავის მეზობელ სოფლებს არ ესხმოდნენ, ერთიმეორეში მიდიოდ-მოდიოდნენ. ეხლაც კარგა არიან იქ ფშავლებიცა და ქისტებიც. იმ ბანდის მერე კიდე მოდიოდნენ ქისტები, იპარავდნენ. ეს ერთი ათი წელია, რო აღარაფერი გაგვიგონია, რო ან ცხენი დაიკარგაო, ან საქონი დაიკარგაო უკანა ფშავში, დანარჩენი აეგრე მიდიოდა.

კახეთში მე კი დიდხან არ ვიყავ, ერთი რვა-ათი წელი, მაგრამ ჩემი მშობლები იქ იყვნენ, ჩემი ძმები. მე აქეთ გამოვთხოვდი ისევ. აქეთ კარგია ფშავის ხევი. ვისაც გამოვყევ მენა, კარგი იყო. დედაჩემსაც უნდოდა ის. ავდექ იქიდანა და წამოელ, ისევ აქ მოვბრუნდი (*უძილაურთაში*). ჩემი კაცი აქვე მიცნობდა, ვუყვარდი. ჩემ ბიძაშვილს ჰყავდა იქაური ქალი ცოლად, უძილაურთიდან წაყვანილი. ბიძაშვილმა და იმ რძალმა გააკეთეს საქმე, გამირიგეს. არც მომწონდა და ვერც უარს ვეუბნებოდი. ვიცოდი, რომ დედაჩემს არ ეწყინებოდა და ისინი (*დანარჩენი მთხოვნელები*), სუ არ უნდოდა თვალის დასანახად. ჩემზე წინა არა ყოფილა ეგრე, მაგრამ ჩემ მოს-

წრებას იყო, რო მშობლებს არა სდომებიათ და ქალი გაჰ-ყოლია, თავის ნება ჰქონდათ იმათ. ჩვენი თაობის ქალების უმეტესობას დაკარგული ჰყავდათ მამები ომში...

მამაჩემი ომში არ წასულა, მაშინ იყვნენ თავარიდებუ-ლები, გაიქცეოდნენ და იმალებოდნენ სადღაც კლდეში სამი თუ ოთხი წელი. მერე რო გამოცხადდნენ, აბა, მოსამართლე-მა ჰკითხა, რასა სჭამდით, რასა სვამდითო, ქურდაობდით თუ როგორ იყო თქვენი საქმე? ჰოდა, ამაიკითხაო და არაფერ დანაშაული იმათ არა ჰქონდათ. რასა სჭამდითო, სახლიდან მიგვქონდაო, „მალადეც“ [ყოჩაღ] თქვენაო, არაფერი დანა-შაული თქვენი არ აღმოჩნდაო. მოიდნენ. აპატიეს და მიეცათ თოფები, რო შიშიანობა რომ იყო, დაიცავდნენ თავსა. ჰოდა, იმათ მიცემული თოფი ჰქონდა, რო მოკლეს მამაჩემის ბიძაშვილი იმ ქისტებმა. არც ვარგოდაო, მამაჩემი იძახდა ის თოფებიო, ახლოს შეიძლება, შორს ვეღარ ისროდნენ. და-ურიგეს, ვითომ თავდაცვის მიზნით და იმან უფრო დაღუპა მამაჩემის ბიძაშვილი.

უკანა ფშავიდან ბევრი წავიდა ომში და ორი ბიჭი მოი-და, წელაური იოსები და გუმბა. იმდენები დაქვრივდნენ რო, ზოგს ერთა შვილა დარჩა, გაზარდა, თავადა ხნავდნენ, თა-ვადა სთესავდნენ ქალები, როგორც აი, კაცები. ზოგს სამი დარჩა, ზოგს ორი, ზოგს არც ერთი. დაქვრივდნენ, დეეკარ-გნენ ქმრები.

ხევსურები ომში არ მიდიოდნენ, მე რავი, რატო არ მი-დიოდნენ, ქურდობდნენ. ჩემი ქმრის დედის ძმაც ხევსურებს მოეკლათ ორწყლის ქვევით. ჩარგლელ[37] ქალი ჰყოლია იმას ცოლადა, ერთი თუ ორი კვირის მოყვანილი, და ფეხის ბრუ-ნებას რო ეძახიან, წამოუყვანია ცოლი თავის მამის სახლში. წამოსულან, მაშინ ხო ჩოხა ჰქონდათ, ქამარ-ხანჯალი ვერ-ცხლის და ხევსურები დახვედრიან გზაში, ორწყლის ქვე-ვით. ჩამოსულან ტყიდანა და ნაბადი თხოვა, თურმე ცხენ-ზედა ჰქონდა ეს ნაბადი დაკეცილი, გახვეული კოხტად,

[37] ჩარგალი – სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში.

შაკმაზული, მომართული ეს ცხენი, აბჯარი, ხურჯინი, და იმის ცოლსაც თურმე ცხენი ჰყავ. ჰოდა, არაო არ მოგცემო. მერე სუყველაფერი აუყრამ, ნაბადიცა, ქამარ-ხანჯალიცა. სად წახვალო, უთქვია, ის მაინც თამამი ყოფილა. იმას რო ის სიტყვა არ ეთქვა, არ მაჰკლავდნენ. ხევსურს დაუძახია სხვებისთვინ ესროლეთო. დაუკრავთ თოფი და მოუკლავთ.

ეხლაც არის ეს, ეხლა ერთმანეთს კი არა ხოცავენ, მაგრამ არ ეხდინებათ, მაგალითად, ხევსური რო ავიდეს ფშავების ავტობუსში. იყო ეგეთი, დუშეთი-ბარისახო რო დადიოდა, არ ეხდინებოდათ ერთმანეთი ხევსურებს და ფშაველებს. ფშაველს სიტყვაცა აქვთ ისეთი, რო სჯობიან რა, ფშაველები ხევსურებს ყველაფერში. თუ მარტო ნახეს ფშაველი ხევსურებმა, დაუწყებენ შარსა თუ არ არი მარ-ტო, მაშინ გაანებებენ თავსა. არ უშვებდნენ ავტობუსში, ჩვენიაო, ხევსურებს ეთქვათ, მერე ამათ: ჩვენ გზაზე არ დაგინახოთო ჩამოვლილიო. საფშავლოს ეძახდენ სუ უკანა სკამებს, წინა სკამები და გვერდით სკამები იყო სახევსურო. მაგეებს, ხევსურებს ეძახიან ფშაველები ციცეებს, კატებს რა... იმიტო რო, სიტყვა როა „მე“, მაგათ იციან „მია“. მაგაზე დაარქვეს. ჩვენთან ბიჭი იყო ერთი, დაიღუპა ისა, ნოდარი ჰქვიოდა, თურმე ავიდოდა ავტობუსში და დაუკნავლებდა მაგათა, და ვერაფერს ვერ ეუბნებოდნენ, ერთი ხევსურიც ვერ ამაიღებდა ხმასა. ისეთი ბიჭი იყო რო! თან იცნობდნენ, იქა სწავლობდა.

თერთმეტ საათია (*სალამოს*) უკვე, ძროხები... მოსაწვე-ლია (*იცინის*).

ფოტო გადაიღო და ინტერვიუ ჩაიწერა ცისანა გოდერძიშვილმა.
სოფელი მაღაროსკარი (დუშეთი), 2016 წლის ივლისი.

მარგო ნაყეური

დაიბადა 1934 წლის 14 იანვარს გარდაბნის რაიონის სოფელ საცხენეში, ბებიის ოჯახში. მამას მარგალიტა დაურქმევია, მაგრამ არ უყვარს ეს სახელი და მაღაროსკარში, სადაც თვრამეტი წლისა სიყვარულით გათხოვდა ივანე ნაყეურზე, სახელი არ გაუმჟღავნებია. აქ, მისი თქმით, მარგოა, მარიამი. ექვსი შვილი ეყოლა, ხუთი ქალი და ერთი ვაჟი. მათგან მხოლოდ პირველზე იმშობიარა დუშეთის საავადმყოფოში, სადაც მაღაროსკარიდან ფეხით ჩავიდა, დანარჩენი შვილები დედამთილის ეზოში მოწნულ „ლასტურში“ გააჩინა. ერთი ქალიშვილი, ორმოცდახუთი წლის, ავადმყოფობით გარდაეცვალა.

ცხოვრობს მძიმედ ავადმყოფ მეუღლესთან ერთად სახლში, რომლის მშენებლობაც ახალგაზრდობაში თვითონ დაიწყო.

ჰყავს თოთხმეტი შვილიშვილი და თორმეტი შვილთაშვილი.

მამაჩემი ომში (*მეორე მსოფლიო ომი*) არ წავიდა, ინვალიდი იყო წინა ომიდან, ნიკოლოზის დროინდელი ომიდან. მამაჩემსა ჰყავდა ხარები და დადიოდა ქირაზე, სოფლიდან თბილისში, თბილისდან – სოფელში, მიჰყავდა და მოჰყავდა ხალხი. ამით გვარჩენდა. აი, ის კი მახსოვს, ერთს ერქვა ჭოტა, ხარსა, და ერთს კიდე – თარეშა. ისეთი ლამაზი ხარები იყვნენ, დიდები, მანქანა რო ჩარჩებოდა ვისმე წყალში, მამაჩემი მიჰყავდათ, რო ამეოთრიათ.

ნორიო მარტყოფი[38] თუ გაგიგია, ახალსოფლიდანა ვარ. საცხენეს ეძახიან იმ სოფელს, სადაც გავჩენილვარ ბებიასთან გავჩენილვარ და მამაჩემი შამჯდარა ცხენზე და წასულა ახალსოფლიდან საცხენეში, თივის ზვინი ყოფილა რაღაცა და იქ ცოტახან გადმოსულა ცხენმა მოძოვოსო და იქ მგლები დახვედრია, შამჯდარა ისევ ცხენზე, გაქცეულა და რო მოსულა და მე დავხვედრივარ, სახელიც იმას დაურქმევია – მარგალიტა. რა მარგალიტა! – ისე მეჯავრება ჩემ სახელი, მერე აქ რომ მოვედი, მარგო ვარ, მარგო, მარიამი-მეთქი, მარგალიტა არ მინდოდა რომ მრქმევიყო. დედაჩემი, არ ვიცი, რამდენის გათხოვილა, მაგრამ ორმოცდათხუთმეტი წლის გარდაიცვალა, ღვიძლის სიმსივნე ჰქონდა. იქამდე მამაჩემი ქედში[39] გადასახლდა, ეხლა დედოფლისწყარო როა, იქ წაგვიყვანეს. იქ დავიზარდენით. ომიანობის დროს ჭირდა ძალიან, ხალხი შიმშილობდა და შირაქში კიდევ ბევრი პური იყო, ხალხს არ უჭირდა და გადავსახლდით იქა. სადაც პური იყო.

ქედში დავრჩით და დავრჩით საცხოვრებლად. ჩემი და ქედშია გათხოვილი, ჩემი გოგოც ზემო ქედშია გათხოვილი. ქედში მეექვსე კლასამდე დავდიოდი სკოლაში. კარგი სკოლა იყო და კარგი მასწავლებლებიცა მყავდა. წიგნის გულისთვინ სოფლის თავიდან სოფლის ბოლოში ჩავდიოდი. წიგნები არ იყო საკმარისი. ნამეტნავად მიყვარდა რუსული და ისტორია, მე რავი რუსული რატო მიყვარდა არ ვიცი, კაი

[38] ნორიო – სოფელი გარდაბნის მუნიციპალიტეტში.

[39] ქედა – სოფელი დედოფლისწყაროს რაიონში.

მასწავლებველი მყავდა, ისეთი საყვარელი მასწავლებელი მყავდაა! რო შამოიდოდა, იმ წუთში ჩემკენ უნდა გამოეხედა, იცოდა, რომ მე ბრწყინვალედ ვიცოდი რუსულში გაკვეთილი. ისტორია მიყვარდა კიდე და გეოგრაფია. ეხლა ისტორიას სუ აღარ სწავლობენ, არა? მაშინ სსრკ-ს ისტორიას ვსწავლობდით. გვიჭირდა, უჭირდათ ცხოვრება ჩემ მშობლებსა და წამომიყვანა მამიდამ, ისა მზრდიდა თბილისში. თბილისში სკოლაში უკვე აღარ დავდიოდი. მამიდაჩემი კამოს ქუჩაზე, ორმოცდათერთმეტ ნომერში ცხოვრობდა წითელი ჯვრის სამშობიარო საავადმყოფოს წინ. თვითონ იყო საავადმყოფოს გამგე, მთავარი ექიმი იყო, კამოს ქუჩაზე რომ არის სასწრაფო საავადყოფო. ის უტარებდა ლექციებს ბავშვებსა. გავლენიანი ქალი იყო, მამიდაჩემმა სიებიც, საბუთები – ყველაფერი გააკეთა და დამსვა იმათთან, როგორც ჩაბარებული. მე კი იქ არ ჩამიბარებია, მაგრამ დამსვა. ძაან ნიჭიერი ვიყავ, ასე თოთხმეტი-თხუთმეტი წლის ვიქნებოდი მაგ დროს, საბუთები რომ გააკეთა. სკოლა დამთავრებული არ მქონდა. ისე მინდოდა სწავლა, მესწავლა რა იქნებოდა, წამოვედი და შავეტენე ამ კაცსა. აბა, რა მინდოდა, მესწავლა! მეორე კურსიდან გავთხოვდი.

ნათესავ ქალმა წამომიყვანა აქა (*სოფ. მალროსკარი*) სტუმრადა, მომეწონა ეს კაცი (*მეუღლე*), ლამაზი იყო ლამაზი, ქოჩორი ჰქონდა, ერთ ვაჟკაცად მარტო ისა ღირდა. ჯარიდან ახალი ჩამოსული იყო, ჯარში სოხუმში იყო. მამწერა წერილი და მეც, აბა, თვრამეტი წლისას რა ტვინი აქ, ექვსი წლით არი ჩემზე დიდი.

აი, მახსოვს ისა, როცა უკვე აქ კოლმეურნეობა შემდგარა, ამ სოფლელებისთვის საქონელი ჩამოურთვიათ და წაუსხიათ მთავრობასა და გაუერთიანებია კოლმეურნეობაში. კანონი იყო და ვერც ვერავინ შეეწინააღმდეგებოდა.

მეორე მსოფლიო ომში აქედან წავიდა ძალიან ბევრი ხალხი, რამდენი წავიდა და სუყველა დაიხოცა. ერთი ჩამოვიდა მარტო და მალე ისიც მოკვდა. სოფელში მარტო ქალები იყვნენ და ეგენი ზრდიდნენ შვილებსა. ნაბიჭვრებიც

ბევრი ყოფილა, ვისაც ქმარი წაუვიდათ და მერე რომ დაფეხმძიმდა ვიღაცასგანა და გააჩინეს ეს ბავშვები. მაგალითად, ჩემ დედამთილსაც ეს ჩემი ქმარი ჰყავდა მარტო კანონიერი შვილი და დანარჩენ სამ შვილს არა ჰყავდათ მამები, არ იცოდნენ, ვინ იყვნენ იმათი მამები. ეგეთ ქალებსა არა ჰკიცხავდნენ, ყველა ერთიმეორეზე გაჭირვებული იყო. ჩემი დედამთილი ორსულად დარჩა და ქმარი რო მოუკვდა, ჩემი ქმარი მერე დაიბადა. ასეთი შემთხვევები ბევრი იყო სოფელში. აი, ეს მეზობელი როა, ავთო, მაგის დედა იყო სხვაზე გათხოვილი, უკვე ქორწილი ჰქონდა და ავთოს მამამ წამოიყვანა ქორწილიდან. აეგეთი შემთხვევაცა ყოფილა აქა. იმაზე ძალათ გაათხოვეს და ამას კი უყვარდა და ბოლოს მაინც ამას გამოჰყვა. ბევრია ეგეთი შემთხვევაცა, რომ ერთი კაცისგანა ჰყავდათ ქალებს შვილები და ხშირად და-ძმამ არ იცოდა, რო დედმამიშვილები იყვნენ. შეიძლება შეყვარებოდათ ერთმანეთი, მაგრამ აბა, რაღა იქნებოდა!

აი, იქ იდგა ჩემი დედამთლის სახლი ლასტური, ლასტური ხო იცი, რაც არი, მოწნულიაა კედლები და მერე გალესილი რო ცოტა სიცივე დაიჭიროს. ნიავი არ შედიოდა, ეს მე და ჩემმა ქმარმა გავაკეთეთ, ფეხმძიმე ქალმა. აი, იქა ჰქონდა იმასა (*დედამთილს*) ოთახი, ჰოდა, უფროს გოგოზე სამშობიაროდ, იზოზე, წამიყვანა ივანემ (*მეუღლე*) საავადმყოფოში. თოვლი აესე იყო, აი, (*ხელს წელზე იდებს*), ჩემი ძმა და ჩემი ქმარი წინ ნიჩბებითა ხვეტავდნენ, ჟინვალამდე ეგრე ჩამიყვანეს ფეხითა, ფეხით აბა! იმ ღამეს ჟინვალში ნათესავებთან დავრჩით, ჩემი მული ცხოვრობდა და იმასთანა, არ ვიყავ ცუდადა, მაგრამ წამიყვანეს, ცუდად რო გავმხდარიყავ, აქ რა მეშველებოდა. ჰოდა, იქ დავრჩით ჩემ მულთანა და მეორე ღამეს გადამიყვანეს დუშეთში. იყო მაშინ დანიელი, ექიმი, საუკეთესო ექიმი იყო დანიელი. გადამიყვანეს და დანიელმა მიმიღო. მამა, – ესე იცოდა, – მამა, ჯერ შენ დრო არა გაქვს. მე ვუთხარ, დანიელ ექიმო, ისეთი ადგილიდანა ვარ ჩამოსული, აექამდე თოვლი მიხვეტეს მეუღლემ და ჩემმა ძმამ და ისე ჩამომიყვანეს, ვეღარ წავალ სახლში-მეთქი.

იმ ღამეს მეყოლა! რავი, როგორ შესცდა ისეთი საუკეთესო ექიმი?! ვიარე და ალბათ, იმიტომ. ექთნები მეუბნებოდნენ, გაიჭინთე, თორე დანიელს დავურეკავთო. ოღონდაც დანიელისთვინ არ დეერეკნათ, ვიჭინთებოდი, რაც შემეძლო. მცხვენოდა აბა, თვრამეტი წლის ქალი! მეორე დღეს უკვე გაჩენილი იყო ბალღი და მომიყვანეს მოსაწოვებლადა. შემოვიდა დანიელი, პატარა კაცი იყო და გოგო შენ რა ქენ მოფსიი?! (*იცინის*). არაფრად არ ჩამიგდო.

სხვა შვილები აგე, იმაში გავაჩინე, იქ ლასტურაი რო იყო. გავხდი ავადა, გამოვყარე სუყველა (*ოჯახის წევრები*) გარეთა. მუცელი უკვე მტკივა, ვიცი, რო უნდა გავაჩინო, ი ჩალა საიდან მოვიტანე აღარ ვიცი, დავაგე დაბლა, იმაზე გავაფინე რაღაცა, ჭიპიც მე მოვაჭერ, კიდეც გავხვიე, ნაჭრებიც მზად მქონდა, რაშიც უნდა გამეხვია. მარტო ვიყავ, მთლად მარტო. რავი რანაირად გავაჩინე, ეგ აღარ მახსოვს. გავაჩინე ციური (*მეორე ქალიშვილი*) და ორი კვირისა რო გახდა, ბავშვმა დააცემინა, აიმ სიგრძე (*აჩვენებს საჩვენებელი თითის ნახევარს*) ჩალის ღერო გამოვარდა, მაშ!

მემრე ეს ბინა დავიწყეთ, მარტოკამ დავიწყე ეს ბინა, თორმეტი მუშა ვამუშავე. ეს გოგო, რომელიც თბილისში მყავს გათხოვილი, ეგ ზურგზე გუდით მეკიდა და არაგვიდან ვედროებით წყალს ვზიდავდი, მაშ, ორმოცლიტრიან ბოჩკებს ვავსებდი ღამე და დილით თორმეტ მუშას ვამუშავებდი. ექვსი შვილი, მერე თორმეტი მუშა და ამათი პურ-წყალი! აი, ამ ჩემი სახლის ქვა (*ფანჯრიდან მაჩვენებს ეზოში დაყრილ ქვის გროვას*), სუ ჩემი ხელით არი აგროვილი, ჩემი ხელით მოტანილი, ლიბო (*საძირკველი*) მე გავაჭრევინე, მუშები მე დავიქირავე და ამ ფანჯრებამდე რომ მოვედით უკვე, მოიდა ჩემი ქმარი ცხვრიდან. იცი, რა გაწვალებულმა და გამწარებულმა ვაკეთე ეს სახლი?! ჰოდა, აირია დრო, როცა დავდგით ეს სახლი, ვეღარა და ვერ დავამთავრეთ. ერთი ისტორია დაიწერება ჩემი თავგადასავალი, დავიჩაგრე, დავიტანჯე, პატარა მოვედი ამათ ხელშია და თვრამეტი წლის მერე, აი, რამდენი წელია – სამოცდახუთი წელი. მაშინ არ

ვმუშაობდი, ბავშვები როცა პატარები მყავდა. მერე უკვე, როცა მოიზარდნენ ბავშვები, ფერმაში გავედი მწველავად, ოცდათხუთმეტი წლისა ვიყავ.

მწველავებზე ნორმა, იცი როგორ იყო? რამდენს მოსწველავდი, ჩაგიწერავდნენ და ხელფასს მაგაზე ვღებულობდი. ცოტა რო მოგეწველა, ხელფასს ვერ მიიღებდი, კაცდღე დეგეწერებოდა, მაგრამ ხელფასი – არა. განკუთვნილი იყო რამდენ ლიტრ რძეზე, რამდენი თანხა უნდა დარიცხულიყო. მაგრამ ვღებულობდით სამას მანეთს, ხუთას მანეთს. ხუთ მანეთიანებით შეკრული პაჩკებით ბევრჯელ ამიღია ხელფასი, ხო, არა უშავდა, ვწველიდი, მყავდა მენა თხუთმეტიდან თვრამეტ ფურამდე. ცხვარშიც ნავალი ვარ მე, ჩემი მეუღლე იყო მეცხვარეთა და ერთხელ გახდა ცუდათა, ავედი მე. აი, მანამდე სანამ კოლმეურნეობები დაიშლებოდა, მაშინ. ვერ იშოვა მწყემსი კოლექტივმა, ავედი მე და დავრჩი სამი ათას ხუთას სულ ცხვართან მარტო. მერე სამ კვირას იწვა ჩემი მეუღლე საავადმყოფოში. იქ ყიზლარის გზაზე გაცივდა, გამოღმა მხარეზე ბრიგადირი და იმისი ცოლი იყვნენ და გაღმით მხარეზე მე ვიყავი, დათვისის ხეობა ჰქვია იმასა. და იმ ქალს ეთქვა, ცოლსა ბრიგადირისასა, რო აღარა გრცხვენიათ, ნამუსი აღარა გაქვთო რა! რაღაცა ღონისძიება გამონახეთ, რო ის ქალი გაანთავისუფლეთ, გინდა გააგიჟოთო იმ ცხვარშიო?! აი, ეგ მამაძაღლიო, მწყემს ეთქვა, ქმარზე უკეთესად უვლის ცხვარსაო. წავიდოდა (*ცხვრის ფარა*) აესე დიდი გორი იყო, აესე კუდი (*ცხვრის ფარის*) იყო შორს, აი, საიდანაც გამოდიოდა წყალი (*მდინარის სათავე*), წავიდოდა, შეეფინებოდა ეს ცხვარი ამ ხეობას, მთის ძირებსა, ტიალო, ნეტა ის ჯანი მამცა ეხლა, ის შეძლება! ავიდოდი მაღლა სერზედა და თან კალათა, თან საქსოვი, ზურგზე გუდა პურიანი და წაავიდოდი, ავიდოდი აი, მაღლა დათვისის მთაზე და საღამოხანი რომ მოვიდოდა, დაბრუნდებოდა ეს ცხვარი და დადგებოდა არხაჯზე. არხაჯი ჰქვიან, სადაცა დგება ცხვარი. მე არც მიმიდიოდა (*მივყვებოდი*), არც მომიდიოდა (*მოვყვებოდი*), მხოლოდ აქეთ რო

გადმოდიოდა, ბარისახოს მხარზედა, ჟოლიანი იყო ისეთი, რო ბა-ბა-ბა-ბა! გადარტყმით სუ ჟოლიანი იყო. რო მეედებოდა ამ ჟოლიანსა ეს ცხვარი, კაი დედის შვილი იყავ და გამოგელალა, მანამ თვითონ არ მონეკრდებოდნენ და მოძღებოდნენ, არ გამოვიდოდნენ. მე კიდე ვიჯე აექ გორი პირზე და გამოქუჩდებოდა, გამოქუჩდებოდა და კარგახან ვიჯე მენა რო, არაფერი დამრჩენილიყო. ძაღლები მაგრები მყავდა, ისეთი რო, კაცი შვილი ვერ გაჰჭაჭანებდა, სუ მურგვალთ (*გარს*) უვლიდნენ ცხვარსა, მე ნაბადი მქონდა.

იქ მარტოკა ვიყავ, არავინ არ იყო მეტი, აქაურ ქალებსა არაფრისა არ ეშინიათ, ერთი იმისა არ გვეშინია, რომ კაცი არ შეურაცხყოფს ქალსა. კაცები არ არიან ისეთები, თუ ქალი თითონ არ არი მაიმუნი. ნადირისა უფრო გვეშინია. ვერც ნადირი, ძაღლი როცა იმედიანი გყავს იქ, აღარ არის საშიში. მჟავანა ხო იცით რაც არი, მჟაუნა, მოვკრეფავდი, დავჭრიდი წვრილადა, ერბო მქონდა, დავმდგამდი ცეცხლზე, შეშა მიტანილი ჰქონდა, მაღლა შეშა არსად არ არი და რავი, საიდანა ჰქონდა მიტანილი ჩემ მეუღლეს?! დავანთებდი ცეცხლსა, დავდგამდი ქვაბსა, რაღაცნაირი საკიდები ჰქონდა – ხეები დარჭობილი, იმაზე დავკიდებდი, მოვათუხთუხებდი, ჩავისხამდი ამ მჟავანასა, ჩავაწობდი პურსა (*იცინის*), მოვძღებოდი და წავიდოდი ცხვართან. არ დამაკლდა არც ერთი ყური (*ცხვარი*). მერე რუსი ვიღაცა გამოგზავნეს, კაცი და მე განმათავისუფლეს. იმას ბრიგადირი მოჰყვა და რო მიუთვალეს იმას, არც ერთი სული არ დამაკლდა. ეს კოლმეურნეობის ცხვარი იყო სულ, რო დამკლებოდა, ჩვენ დაგვეწერებოდა, ხელფასს იქ დაგვიკავებდნენ. ამ დღეში ვართ გამოვლილი! მეცხვარეობაში უფრო მეტი ხელფასი იყო. ცხვრის საწველავშიც დავდიოდი, ყიზლარშიც[40] ვიყავ ცხვრის საწველად. აი, იქით არი (*იხსენებს*), ვეღარ მოვიგონებ იმ უპატრონოს იმასა, ჰო აი, ორჯონიკიძისკენ.

[40] ყიზლარის სამთრის საძოვრები – დღევანდელი დაღესტნის ტერიტორიაზე არსებული მინდვრები.

მარგო ნაყეურის შვილი კლასელებთან ერთად, 1960-იანი წლები.

იქამდე დიდი მანძილია. დუშეთიდან წაასხეს სტუდენტები, კოლმეურნეობიდან – ქალები, ბიჭებიც იყვნენ კოლმეურნეობიდანა. და ვიყავ მე ყველის მკეთებელი, კიდეცა ვწველავდი და ყველსაც ვაკეთებდი მე და ერთი ვალიკოა ცქიფაშვილი, ეგა. ქმარიც იქა მყავდა და მეხალისებოდა წასვლა. ისე, რო არ მდომებოდა წასვლა, წამიყვანდნენ? – ეგ ველარ ვიცი. მე სურვილი გამოვთქვი, ძაან მაინტერესებდა, სად დადიოდა ჩემი ქმარი. ქარი იცოდა ქარი, ქარი, ქარი რო, აი, კბილებში სულ ლამი გვქონდა, ვაკნაწუნებდით აი, ლამსა. იქ ცხვარი მიდიოდა გამოსაზამთრებლად. აქ იმხელა ბინებს სად იშოვიდნენ რომ იმოდენა ცხვარი გაჩერებულიყო. მაშინ იცი რამდენი ცხვარი ჰყავდა კოლმეურნეობას? ბოლოს ოცდაშვიდი ათასი იყო. ეგ ბოლოსა და წინ, წინ კიდე ძაან ბევრი. იქ თან მთელი ზამთარი ბალახით გადიოდა (*ცხვარი*) და აქ სად არი ზამთარში ბალახი?! იქ არ იყო ისეთი სიცივე, რო ცხვარი დახოცილიყო. კი ჰქონდათ ბალახი მიმარაგე-

ბულიც ბინებზე, სადაც მომგე ცხვარი იყო, უფრო იქ. საბატკნეები გაკეთებული იყო, არტიზნების წყალი[41] იყო. რაც მე ის არტიზნების წყალი დავლიე, იმის მერე კუჭი აღარ მაწუხებს, არადა ისე მტკიოდა კუჭი, ისე მკლავდა და იქ რო ჩავედი, არტიზნების წყალმა მომირჩინა. ტრამალებია ისეთი! ძალიან მომეწონა ყიზლარში, ძალიან მომეწონა, მაგრამ ქარი იყო ძაან საშინელი, ორ კვირას დავრჩით, დაახლოებით. იქ რაც ყველი დავამზადეთ, ვაიმე, დედა, სამოცი ბოჩკა იყო! იმ სამოც ბოჩკაში, რავიცი აბა, რამდენი იყო, მთავრობას ვაბარებდით.

კომუნისტების წყობა მომწონს, დიდი ჯაფა გვედგა მართალია, მაგრამ ფერმიდანა გამოიტანდი ყველსა, ძალიან იაფადა, წაიღებდი ბაზარში გაჰყიდიდი კაი ფასში. რო დაგჭირდებოდათ ქორწილისთვის ან ჭირის დღისთვის საკლავი, ძროხას მოგცემდნენ ას ლარში, ას მანეთში, კოლმეურნეობა მოგყიდიდა ძალიან იაფ ფასებში. ფერმაში ვმუშაობდი. იქიდან ქატო მამქონდა, მანქანა დამჭირდებოდა, კოლმეურნეობა მამცემდა და აესე რა ვიცი აბა... მე იმ დროს გავიზარდე და ის დრო მიყვარს, სტალინის დროს გავიზარდე და სტალინი მიყვარს რაღაც სიგიჟემდე, ძალიან. სტალინის სურათი მაქ აგე იქ (*მიმანიშნებს საძინებელი ოთახის კედელზე*) პატარა, გაკრული. სულ სტალინზე ვმღეროდით, სტალინზე ვსწავლობდით, სტალინზე ლექსებს ვამბობდით. ომი რომ დამთავრდა და მერე სტალინი რომ გარდაიცვალა, დედაა!

ეხლა და ეხლა რომ მესმის ეგენი, სტალინის საქმეები (*რეპრესიები და სხვ.*) ცოტა ბრაზიც კი მომდის, მაგრამ იცი რითი გავიმაგრებ გულსა? იმით გავიმაგრებ გულსა, რო აი, ეხლა ეს ნახევარი ქვეყანა, ნახევარი მთავრობა დასახვრეტი გვყავ. სტალინი ხვრეტავდა მართლა დამნაშავეებს, და ამდენი ხალხი როგორ დახვრიტა უდანაშაულო?! მე ვერ წარმომიდგენია, სტალინი თუ ამდენ ხალხს უდანაშაულოს დახვრეტდა. ალბათ რაღაცა დააშავეს, ალბათ, უღალატეს,

[41] მინერალური წყალი.

მტრის მხარეზე გადავიდნენ, თუ რა მოხდა, რას გავიგებთ ჩვენ. აქედანაც გადაუსახლებია ხალხი. ჩარგლიდან იყვნენ ცოლ-ქმარი, არ ვიცი რატო გადაასახლეს, მერე დაბრუნდნენ, არც თუ დიდი ხნის მერე. მე რო მოვედი, ისენი აქ ცხოვრობდნენ უკვე. კოლმეურნეობაში მუშაობდნენ, თივას ზიდავდნენ, თივას ამზადებდნენ.. აი, ამდენი დახვრიტა, აი, იმდენი და ამდენმა როგორ დააშავა რატო დახვრიტა?!. ეგ იყო, რო გეშინოდა და მთავრობაზე ვერაფერს ვერ იტყოდი, ეხლა, რას ლაპარაკობ, ეხლა ყველაფერი შეგიძლიან რო სთქვა, გამოხატო შენი გულისტკივილი. მაგ მხრივ მომწონს, მომწონს ის, რომ ახალგაზრდობა ძალიან მცოდნეები და ნიჭიერები არიან და მიხარია. რა არ მომწონს ეხლა იცი? არ მომწონს ის რო, უმაღლეს სასწავლებლებში ფულს ახდეინებენ, რამდენს უნდა რომ ისწავლოს და გაჭირვების გამო ვერა სწავლობენ. არც მაშინ იყო სახარბიელო მდგომარეობა, მაგრამ ეხლა ზოგი რაღაცა გასახარებელია, რო იშოვნება ყველაფერი, მაგრამ სავალალო ის არის რომ ძვირია (*იცინის*). ბევრი კარგია ეხლა და ბევრი ცუდი, ბევრს ვესალმები და ბევრს ვგმობ.

ჩემი შეკერილებით დავზარდე ჩემი შვილები. იგეთ კოხტა კაბებს ვუკერევდი, რუშიანებსა.

სამეგრელო

ციალა პაჭკორია, ფენია ჭითანავა,
ბადრი ახალაია

ფოტო გადაიღო და ინტერვიუ ჩაიწერა ცისანა გოდერძიშვილმა.
სოფელი კახათი (ზუგდიდი), 2016 წლის აგვისტო.

ციალა პაჭკორია

დაიბადა 1940 წლის 18 თებერვალს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარში. ბავშვობაში უყურებდა, როგორ სდევნიდნენ მამას, რომელიც ომში არ წავიდა და გზიდან გამოიქცა, როგორ შრომობდა დედა შვილების სარჩენად. მიუხედავად გაჭირვებისა, მან და მისმა ძმებმა წარჩინებით დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები თბილისში.

ამჟამად ცხოვრობს სოფელ კახათში, უზარმაზარ ლამაზ ეზოში მდგარ, მოგვიანებით აშენებულ დიდ სახლში შვილთან, რძალთან და შვილიშვილებთან ერთად. ამავე ეზოში დგას ძველი ხის მოხდენილი სახლი, მეგრული ოდა, რომელიც მისი ქმრის, ჯამბული კვარაცხელიას მშობლების აშენებულია.

არის ქვრივი, ჰყავს სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი. დღემდე მუშაობს კახათის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად.

მე 1940-ში ვარ დაბადებული. მამაჩემი ფრონტზე 1941-ში გაიწვიეს. გაიწვიეს კიდე მისი სიძე, დის ქმარი და დის ქმრის ძმა, თოდუები იყვნენ ცაიშიდან. რო აცილებდა დედაჩემი თურმე, ყველას ჰყავდა გამცილებელი, მაშინ მე პატარა ვიყავი, სიარული ჯერ არ ვიცოდი, წაუპოტინე ხელი მამაჩემს და ჩარჩა მეხსიერებაში და იფიქრა, რო არ წავიდეს ფრონტზე.

წაიყვანეს ჯერ თბილისში, მერე რუსთავში, იქ იყო თურმე გამანაწილებელი. ანაწილებენ ვინ სად, როგორ, რა დროს, რანაირად, სიებს აზუსტებენ... მამაჩემმა შარვალში ჩაივლო ხელი და უფროსს უთხრა, ერთი წუთითო, ერთი წუთით გამათავისუფლეო, მიჭერს ძალიანო. კიო, უთხრა იმ კაცმა. დიდი თხრილი იყო თურმე, კაცი არ ჩანდა, თუ ჩახტებოდა. ამ თხრილში ჩახტა, გამოყვა ამ თხრილს სირბილით. მერე სიარულზე გადავიდა, მერე სადღაც ტყეში, და წარმოიდგინეთ, რუსთავიდან გამოიქცა ჯერ თბილისამდე და თბილისიდან ფეხით მოვიდა სახლში. ჩემი მამიდაშვილი ამბობდა, ცაიშში[42] ცხოვრობდა, რომეო, უცებო შემოვარდა გაგიჟებულიო, და, წინათ აგურს ეძახდნენ, ამოჭრილი ქვა იყო, განიერი. იმას ცეცხლზე შედგამდნენ და შეგეძლო გამოგეცხო პური. აიღო ზედ დადებული თუნუქი, იქით გადააგდო კერიისკენო და ცხელზე ცხელი მჭადი იყოო. აიღო, გატეხა და მდუღარე შეჭამაო. ეტყობა, იმდენად შიოდა. რამდენი დღე მოდიოდა, არ ვიცი, რატო არ ვკითხე, მაგრამ აკრძალული თემა იყო... მამაჩემი ამას არ ყვებოდა არასოდეს. მარტო მახსოვს, თქვა, წამიპოტინე შენ ხელი და ამის გამო გამოვბრუნდიო.

დევნიდნენ მამაჩემს სულ. სახლში მობრუნდა, მაგრამ მალულად, ღამე თუ გამოჩნდებოდა. რა კარგი ვქენიო, რო გამოვბრუნდიო, თორე, ის ორნი ამასთან ერთად რო მიდიოდნენ, არც ერთი არ დაბრუნდა და არც ის იცოდნენ, დაი-

[42] ცაიში – სოფელი, ბალნეოლოგიური კურორტი საქართველოში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში.

კარგნენ, დაიღუპნენ, არც წერილი არ მოვიდა, ეტყობა მოხვდნენ დაბომბვაში ან რაღაც ასეთში, უგზო-უკვლოდ დაკარგულებში ჩათვალეს.

მამაჩემს თითქოს იჭერდნენ, მერე იტყუებოდა, იმალებოდა აქეთ-იქით. სულ რომ იმალებოდა, ხშირად არ იყო ჩვენთან, ღამე მოდიოდა. ხან ტყეში იყო, ხან – სად. ისე დამალვაში დიდოსტატი იყო. მოვიდოდნენ დასაჭერად, მამაჩემი ღვინოს რაღაცას გამოუტანდა. ეს უფორმო ხალხი იყო, საბჭოს რომ ეძახდნენ, იქიდან იყვნენ ორი-სამი კაცი გამოგზავნილი. „უნდა გამოგვყვე სერაპიონო“, სერაპიონი ერქვა მამაჩემს. არაფერი რაღაცას გკითხავენ, მეტი კი არაფერი, კი არ ჩაგსვამენო შენ ციხეშიო. „კიო“ – ეტყოდა, შარვალს აიღებდა ხელში „ერთი წუთითო, გამოვიცვლიო“ ჰოდა, სად არი?! არ არი, გაიქცეოდა. მერე ერთმა მეორეს დაუძახა: „ბიჭო ნიკოლოზ მოდი აქ, ყურძენი ვჭამოთო“ მამაჩემს ყოველთვის ჰქონდა ვენახი. ადრე სადაც ვცხოვრობდით, იქაც ჰქონდა ვენახი, აქეთ რომ ვცხოვრობდით, აქეთაც ჰქონდა მაგარი ვენახი. „მოდი მოდიო“. ეტყობა, თვითონაც არ იყვნენ მაინცდამაინც დაინტერესებული, მართლა დაეჭირათ.

ერთხელ მოვიდნენ მამაჩემის დასაჭერად, ჩვენ ყველანი პატარები ვართ. დაიჭირეს დედაჩემი და ბაბუა, დედაჩემის მამა. დედაჩემის მამა შემთხვევით ჩვენთან იყო სახლში და ორივე დაიჭირეს და წაიყვანეს.

ყველაზე ახლოს რომელი სახლიც იყო, იქ მივედით ჩვენ და ვდგევართ ასე ატუზული: „რა არიო?“ „ასე და ასე მოხდაო და დედა და ბაბუა წაიყვანესო,“– ვუთხარით, ხელი აგვიქნია, იქით წადითო. იქით ცხოვრობდა ჩვენი ნათესავი, ჩვენი მოგვარე, პაჭკორია იყო ისიც. ეს სხვა გვარის იყო – ბერიშვილი, რა მნიშვნელობა აქვს ამას, მაგრამ არ ვიცი, რა მოსაზრებით არ მიგვიღო. იქნება ეშინოდა, ეს გაქცეული კაცი... მივედით იქით, ხიდი იყო გადებული. ხიდს აქეთ ვხედავთ ბავშვებს. ამ ბავშვებს ვიცნობდით ჩვენ. ჭყუმპალაობენ აქ, რაღაცა ხრეში და ქვებია, თამაშობენ და გვიცნეს და შეგვიყვანეს სახლში. ის დიასახლისი ქალი ხშირად მო-

დიოდა ჩვენთან. ბაზრიდან რო ბრუნდებოდა, ჯერ ჩვენი სახლი უნდა გამოევლო და მერე თავისი სახლი. ხშირად ჩვენთან იყო. ამ ქალმა რძე სულ დიდი ქვაბით, შავი ქვაბით ცეცხლზე შედგა, მერე მჭადები გამოაცხო, პური იშვიათობა იყო. სულ ყველას გვაჭამეს, დაგვალევინეს, დაგვაპურეს და დაგვაძინეს.

მამაჩემი მოვიდა იქ, გაიგო, რომ ჩვენ აქ ვართ, ყველა გვნახა და მერე დილით გავიგეთ, რომ დედა და ბაბუა გამოუშვიათ და ჩვენ სახლში დავბრუნდით. ეტყობა ჰკითხეს, სად არის, რატო მოდის, როდის მოდის, ასეთი რაღაცეები.

მამა ვერ მუშაობდა ფიზიკურად, იმის გამო, რომ იმალებოდა. ოთხნი ვიყავით. შიმშილობა იყო. დედაჩემი ყოველ დილით, დილაადრიან ადგებოდა, ფეხით მიდიოდა ზუგდიდის ბაზრამდე, დაახლოებით ათი კილომეტრია. საწყალი დედაჩემი, რა დღე აქვს ნანახი. ღამე, თუ ვინმე წამოვიდოდა ურმით ბაზარში, ის თუ შეხვდებოდა, ათასში ერთხელ, იმაზე დაჯდებოდა საწყალი. ან იქით თუ კიდე დადებდა თავის ტვირთს. ზოგჯერ შეაღამდებოდა და ვერ მოდიოდა. მოვდივარ ერთხელო და გზაში მგლების ხროვა დამხვდაო. წინათ აცხობდნენ პურს ქვაზე. ჩემს ბედზე მოხდა, რომ თანაქა (თანაქას ვეძახდით ჩვენ) იაფად ვნახე და ვიყიდეო. მაშინათვე ავიღე ქვა და ვურტყი და ვურტყიო ამ ლითონს, ჰოდა, გაიქცნენ მგლები, თორე მჭამდნენო. რა გაჭირვებაში გაზარდა შვილები, რა გაჭირვებაში! ეს იყო რაღაც ენით აუწერელი.

იქით ვცხოვრობდით მაშინ ჩვენ, ეს იყო ხეცერა, კოლხი და ორთის[43] გზაშესაყარივით იყო და იქ ვცხოვრობდით და ჩვენ ორთის სკოლაში დავდიოდით. მერე საცხოვრებლად ჭითაწყარში[44] გადმოვედით და ჭითაწყარის სკოლაში დავდიოდით. დედაჩემი წავიდოდა ბაზარში, მიქონდა ყველი, მაწონი, რძე, ხელით მიათრევდა ამ ყველაფერს, გაყიდიდა. სამლიტრიანი ქილა ხო არი, ამას სავსეს იყიდიდა ღომის

[43] ხეცერა, კოლხი, ორთი – სოფლები ზუგდიდის მუნიციპალიტეტში.
[44] ჭითაწყარი – სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში.

ფქვილს, ღერღილი და ისა, არეულად რომ არი. ჰოდა, რო დაბრუნდებოდა უკვე საღამოს, ღამე, ვიღაცა მეზობელი იყო, რომელიც ითხოვდა ვალს და ასე ნელ-ნელა დედაჩემი ისტუმრებდა. რაღაცა ვალი ჰქონდათ ეტყობა აღებული ამ კაცისგან ოჯახს, რაღაცა გაჭირვების დროს. ახლა ამ ნახევარ-ნახევარი ქილით, რას იხდიდა, მარა, კმაყოფილი იყო ის კაცი, რო ისიც მიიტანდა თავის სახლში... პური მაშინ იშვიათობა იყო. მერე დედაჩემი ღომს გააკეთებდა. ყველი, მაწონი და რძე გვქონდა ძალიან ბევრი, მაგრამ ფქვილი, სიმინდი იყო ძვირი. აი, ამდენი ტანჯვა-წამების შემდეგ, მთელი დღე თითქმის მშივრები ვიყავით. იმიტომ, რომ არ იყო საჭმელი. პატარა უმცროსი ძმა რომ იყო, იმისთვის სიმინდის ფქვილისგან ფაფას მოხარშავდა დედაჩემი ალუმინის პატარა ჯამში და იმას ვაჭმევდით, ჩვენ ვიყავით მშივრები. ან ატამს ვჭამდით, ან ვაშლს. ახლა ასეთ პირობებში ვერ გაძლებს ვერც ერთი ბავშვი, მოკვდებიან ალბათ. მაშინ რა იყო არ ვიცი, ალბათ ყველაფერი ნატურალური იყო, თუ რა იყო... აი, ასე წამებაში გავიზარდეთ. მახსოვს, დედაჩემმა ერთხელ ღილები მოიტანა. ღილი პლასტმასივით იყო, ყვავილის ფორმა ქონდა და წითელი ფერის იყო. ზუსტად ვიცოდი, რომ ღილი იყო, მაგრამ ერთი ავიღე და პირში ჩავიდე. კანფეტები რომ იყო ძველად, ვიფიქრე ვითომ ის არის, სინამდვილეში ვიცოდი, არ იყო. ისე ველოდებოდით საწყალ დედაჩემს ყოველ დღე...

1950-იანი წლები რო დადგა, მიატოვეს მამაჩემის დევნა და სხვა სოფელში რო გადმოვედით ქალაქთან ახლოს, მერე კოლმეურნეობაშიც გაწევრიანდა. იქ მევენახე იყო და საერთოდ ძალიან კარგი კაცი იყო, იუმორის უნარი ჰქონდა. ჩვენ ყველანი კარგად ვსწავლობდით. ჩემი ძმა ჯემალ პაჭკორია თბილისის უნივერსიტეტში მუშაობდა, პოლიტეკონომიის კაბინეტის გამგე იყო. პროფესორი. მერე გადმოვიდა ზუგდიდში, „ზედეუ“ – ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი რო გაიხსნა, აქ გადმოვიდა და აქ პრორექტორი იყო და მერე ავარიაში მოყვა და გარდაიცვალა. მეორე ძმა

ციალა პაჭკორიას დედამთილი, ანატოლი (ტატული) აკობია ჯგუფელებთან, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებთან ერთად. სოხუმი, 1940 წ.

ჩემი უნიჭიერესი ბიჭი იყო, გეოლოგი, სამთო გეოლოგი. ჩემი ძმა უფროსი ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა უნივერსიტეტში, მე ისტორიის ფაკულტეტზე უნივერსიტეტში. უმცროსი ძმა ჯარიდან რომ მოვიდა, დაჯდა, მოიტანა წიგნები მეზობლებისგან მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე კლასის ალგებრა, დაჯდა და თავისით ისწავლა. წარმოიდგინეთ, კი კომუნისტური პერიოდი იყო, მაგრამ მაშინ ჩარიცხვა ადვილი არ იყო. ისწავლა თავისით, მათემატიკის წერაში ხუთი მიიღო, ზეპირში – ოთხი. მუშაობდა, ბუნების დაცვის რაღაცა ორგანიზაცია იყო, იქ. მერე საწყალი უეცრად ღამით ძილში გარდაიცვალა. უმცროსი ძმა მყავს, ისიც ძალიან კარგი ბიჭი იყო, მაგრამ ის რუსეთში ცხოვრობს, ის ცოცხალია. ეს ორი ძმა, ორივე გარდაცვლილია.

მახსოვს, სკოლაში რო დავდიოდით, არაჩვეულებრივად გაკეთებული საცდელი ნაკვეთი გვქონდა და მოსავლიანობა იყო რაღაც ზღაპრული. თითქმის ყველაფერი იყო: ბამბა, ხორბალი, ნესვი, სიმინდის მოსავალი. მახსოვს ჩვენი დირექტორი სკოლის, კარლო მიქაია და ბიოლოგიის მასწავ-

ანატოლი (ტატული) აკობია შვილებთან ერთად.
1940-იანი წლები

ლებელი ნარგიზა ჯიბლაძე, ჯერ ერთი გაიწვიეს მოსკოვის სასოფლო სამეურნეო გამოფენის მონაწილედ, ჩვენი სკოლის დირექტორი და მეორე გაწვევაზე ეს ქალი, ბიოლოგიის მასწავლებელი. მესამედ მოგვიწვიეს ერთი მე და მეორე იყო გოგო მოწაფე, უნდა წავსულიყავით მოსკოვში და მამაჩემმა არაფრით არ გამიშვა. მედალი და რაღაცა გამომიგზავნეს იქიდან. მაშინ ძალიან დიდი ყურადღება ექცეოდა ამ საცდელ ნაკვეთს. მაშინ რაღაცა სათბურებივით გვქონდა, მერე დღისით უნდა ღია ყოფილიყო და ღამე უნდა დაგვეფარა. ჩვენ ახლოს ვიყავით და მე და ჩემი უმცროსი ძმა დავდიოდით და ვბარავდით, მერე დილით ვხსნიდით. მოსწავლეთა უდიდესი ნაწილი ორიენტირებული იყო სწავლაზე. ნათესავი იყო, მასწავლებელი იყო ისიც, იმან მითხრა,

მოდი ჩემთან სახლშიო, რვეულის ფურცლებს მოგცემო და რო მომცა რვეულის ამოხეული, ეტყობა საკონტროლო წერის ბოლო გვერდები, ჩემ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დედა, როგორ ვიხუტებდი ამ ფურცლებს. ყოველღამე მესიზმრებოდა ფერადი ფანქრები. ვიღაცას ჰქონდა ფერადი ფანქრები. ბლოკნოტი და ფერადი ფანქრები – ეს რაღაცა იშვიათობა იყო.

სკოლაში მოიტანდნენ ხოლმე კინოს და დერეფნის ბოლოში გააკეთებდნენ ეკრანს ნაჭრისაგან და სხვადასხვა სერიები რომ იყო, ღამის ორ საათამდე არ მთავრდებოდა, ხან რა ფუჭდებოდა, ხან მიაბამდნენ, სასწაული რაღაცა იყო, მარა... ვთამაშობდით ჭადრაკს სკოლაში, ჭადრაკი მაშინ ძალიან მოდაში იყო იმიტომ, რომ მაშინ ის იყო, რომ ნონა გაფრინდაშვილი[45] მოწაფე იყო ჯერ კიდევ, რომ საქართველოს ჩემპიონი გახდა და ამის პოპულარიზაცია იყო. ზუგდიდში სტადიონის ნაგებობა რომ იყო ძველი, პატარა ვიწრო ადგილი სტადიონის შიგნით, იქ ვიწრო დერეფანში იყო დაფები და საათები. 1956 წელს მეორე ადგილზე გავედი მოსწავლე გოგონათა შორის, 1957 წელს ზუგდიდის ქალაქის და რაიონის შეჯიბრება იყო ორივე ერთად და პირველ ადგილზე გავედი და მერე თბილისში ვიყავით ნახევარ ფინალში. ბათუმშიც მიმიღია მონაწილეობა. ზუგდიდში იყო ერთხელ კიდე და იქაც მიმიღია მონაწილეობა. მერე მაინცდამაინც არ მცალოდა. უმაღლესში ჩავირიცხე და დამიძახეს, ერთდროულ სეანსს ატარებს შიშოვი. შიშოვი[46] იყო ნონას

[45] ნონა გაფრინდაშვილი (დ. 1941, ზუგდიდი) – ქართველი მოჭადრაკე, დიდოსტატი (1978). მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1962-1978). თერთმეტი გუნდური და ცხრა პირადი ოლიმპიური ოქროს მფლობელი. ფიდეს ქალთა კომისიის თავმჯდომარე (1980-1986). საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი 1989-1996 წლებში, 1996 წლიდან მისი საპატიო პრეზიდენტი. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი (2000-02). თავისი თაობის მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ქალი.

[46] მიხეილ შიშოვი (1910-1980) – მოჭადრაკე, მწვრთნელი, საქართველოს და სსრკ დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი.

მწვრთნელი, ჰოდა, წავედი. ისხდნენ კაცები, ქალები ნაკლებად იყვნენ მოთამაშეები. მე ვიყავი ქალებს შორის, ზაფხული იყო და... ასე დაუვლიდა ეს შიშოვი და ბოლომდე მივიდოდა, მერე აქეთ დაუვლიდა და ბოლომდე მივიდოდა. შენ უნდა მოგესწრო, ის უფრო სწრაფად თამაშობდა, ვიდრე ჩვენ, რა თქმა უნდა, წავაგებდი ვიცოდი, მაინც ვცდილობდი, რომ გონივრულად მეთამაშა. მერე რო დავამთავრეთ, რა თქმა უნდა წავაგე, ყველამ წააგო ვინც იქ იყო, მერე თქვა: „აი, ეს გოგო ძალიან კარგად თამაშობს“.

ის მახსოვს, რომ მოვიდოდით არდადეგებზე, მამაჩემი იქით გავარდებოდა, აქეთ გამოვარდებოდა, რომ როგორმე ბილეთის ფული ეშოვა, რომ ჩვენ გავმგზავრებულიყავით და მივსულიყავით სასწავლებლებში დროზე. მერე ფულს ვინ გამოგიგზავნიდა! ჩვენ ვცხოვრობდით სტიპენდიით.

დედაჩემს სკოლაში უვლია ცოტა ხანი, მარა მერე... ძველი ის იყო მაშინ ხო, რა უნდა გოგოს სკოლაშიო და გამომიყვანესო, საწყალმა თქვა. მამაჩემს დამთავრებული ქონდა მხოლოდ ოთხი კლასი, უნიჭიერესი კაცი იყო მამაჩემი. დედაჩემი არ იყო განათლებული, მაგრამ ძალიან კარგი ადამიანი იყო. ვიღაცამ თქვაო, რომ იქ ასეთი გოგოა და მივიდა მამაჩემი და ნახა, წყალი მწყურიაო და დედაჩემმა წყალი მიუტანა დოქით და ჭიქით და ეს იყო მათი პირველი შეხვედრა. მერე შეირთო და ასე, ოთხი შვილი ყავდათ და... მამაჩემი კიდე მომღერალი იყო, გიტარაზე უკრავდა. პროფესიონალი არ იყო, თვითნასწავლი იყო. იქ გუნდი იყო კოლმეურნეობაში, იქაც იყო, იმ გუნდში. ჰოდა, ძალიან ისეთი ცნობილი გლეხებს შორის, რომ ვთქვათ, გავლენიანი კაცი იყო. იმის სიტყვას ოქროს წონა ქონდა. ცოტა ზედმეტად მკაცრი იყო მამაჩემი შვილების მიმართაც და ბიჭების მიმართ, მეზობლის ბიჭებს კიდე ძალიან ეშინოდათ, ყველას აკონტროლებდა, რომ არავინ გზას არ აცდეს, არავინ ისე, არავინ ასე და...

კოლმეურნეობა რო შემოვიდა, მაშინ მამაჩემი არ იყო გაწევრიანებული კოლმეურნეობაში, მერე შევეკითხე მე: „აი,

კოლმეურნეობაში რომ გაწევრიანდით თქვენ, როგორ ფიქრობთ, მანამდე უკეთესად ვიყავით თუ მერე?“ მითხრა, რო ჩვენ თავისუფლები ვიყავით და თავისუფლება არ იყო კოლმეურნეობა, იქ უნდა გემუშავა. დედაჩემი, ჩაის საკრეფად დადიოდა და მამაჩემი ვენახს უვლიდა კოლმეურნეობის. საკუთარი ვენახიც ჰქონდა ძალიან კარგი. დედაჩემი ჩაის საკრეფად დადიოდა საწყალი, მეც მივყვებოდი ხშირად, ანაზღაურება კი დიდი არ იყო, კაცმა რომ თქვას, მაგრამ მაინც რაღაცა ლუკმა-პურის იყო ის.

მერე ღამე იყო კრებები. მე მახსოვს, ჩვენ ბავშვები პატარები ვიყავით და დედას და მამას დაუძახებდნენ, კრება ყოველთვის ტარდებოდა ღამე და გვიან ბრუნდებოდნენ. იქ რაღაცა საკითხები იხილებოდა... ეს ჩვეულებრივი საკოლმეურნეო კრებები იყო. ეტყობა იქ იხილებოდა, რამდენი მოიკრიფა, რამდენი ეს, რამდენი ის. ახლა რო ვთქვათ, რომ ეს კოლმეურნეობა... კი, ბატონო, იყო რაღაცა ექსპლუატაციის რაღაცა ფორმა, მაგრამ ისეთი არ იყო, როგორც ზედამხედველები რომ ჯოხის ქვეშ ამუშავებენ. მთლად მასე არ იყო, ანაზღაურება ჰქონდა ხალხს შრომადღეების მიხედვით. ჩაის ანაზღაურება მეტი იყო, სიმინდის ძალიან ცოტა იყო, ვენახისაც ცოტა იყო. ეტყობა, რომ არ იყო ფიზიკურად ფული, ჰოდა, ამიტომ ნატურალური... მე მახსოვს, მამაჩემი ხან თაფლს გამოიტანდა, ხან ყველს გამოიტანდა, გამოიწერდა. იქიდან შეგეძლო სიმინდი გამოგეწერა, შეგეძლო ჩალა გამოგეწერა. აი, ასეთი ნატურის ფორმით უფრო შეიძლებოდა შენი შრომადღეებიდან გაგსწორებოდნენ. ფულადი ანაზღაურება უფრო იყო ფაბრიკა-ქარხნებში. ჩაის კრეფაზე იყო, დაუშვათ, ხუთ კილოს მოკრეფდი, ოცი კაპიკი იყო დაუშვათ კილო, ერთი მანეთი ღირდა ხუთი კილო, ხო? ერთი მანეთი მაშინ ფული იყო. სად ახლა ერთი ლარი და მაშინ ერთი მანეთი! მაგრამ ხუთ კილოს ხო არ კრეფდა ხალხი, ბევრს კრეფდა, ათს კრეფდა, ოცს კრეფდა. ოჯახის წევრი ბევრი რომ იყო, ასსაც კი კრეფდა ზოგიერთი. ზოგმა, ბევრნი რომ იყვნენ ოჯახში და ბევრი იმუშავეს, შვილები არ

ჰყავდათ დაუშვათ უმაღლესში და ამდენი საჭიროება არ იყო ოჯახში, იმათ სახლიც აიშენეს ამ ჩაის ფულით, ჰოდა, სული მოითქვა ხალხმა ბოლო პერიოდში განსაკუთრებით. ეს ბოლო პერიოდი იყო 1960-იანი, 1970-იანი წლები, 1980-იანამდე. ოღონდ, ახლა რა მახსოვს მე, რომ ბრეჟნევის[47] პერიოდი რომ იყო, თუნდაც ბრეჟნევის წინა პერიოდი, ყოველ ახალ ყრილობაზე ხომ მოხსენება კეთდებოდა, ყრილობის მასალები მერე ქვეყნდებოდა, კარგად გაფორმებული, ლამაზად. ჩვენ ეს სკოლაშიც უნდა გამოგვეყენებინა. მერე სპეციალურად მოდიოდნენ შემოწმებაზე, კონსტიტუცია თუ იციან, ყრილობა თუ იციან, ამოწმებდნენ ამას, როგორ არის სკოლა გაფორმებული. ერთხელ ჩვენთან მოვიდნენ შემოწმებაზე: „ერთი ბრეჟნევის პორტრეტი არ გიკიდიათ და თქვენ იცით, რომ ცეკამ სპეციალურად მიიღო დადგენილება ბრეჟნევის ავტორიტეტის ასამაღლებლად.“ ესე იგი, უნდა გვქონოდა, ბრეჟნევის პორტრეტი.

1930-იან წლებზე მახსოვს ასეთი რამ, ერთი კაცი იყო ქანთარია, ჰოდა, ეს კაცი გადასახლებული იყო. მერე ვიკითხე, რატო იყო ეს კაცი გადასახლებული. ცოტა კრიტიკული პიროვნება იყო თურმე. სიმინდს რომ აიღებდნენ, ბოსელივით იყო გაკეთებული ნალიები და იქ ყრიდნენ ამას. კი არ არჩევდნენ წინასწარ, რომ აქეთ კარგი, იქ ცუდი, არა ჯერ მომთავრდებოდა ყველაფერი და მერე ქალები დასხდებოდნენ და მერე ხდებოდა ამისი დახარისხება. მაგრამ ამასობაში ეს ხურდებოდა და ფუჭდებოდა ეტყობა. ამას ძროხებისთვის საფურაჟედ იყენებდნენ, მაგრამ ყიდიდნენ ნაწილსაც, ნაწილს კიდე შრომადღეებზე ხალხს აძლევდნენ. ჰოდა, ამ კაცმა იხუმრა თურმე, რომ „რა არიო ეს, სიმინდი არიო? აი, ასე გადავწიე და გადატყდაო, გადავწიე და გადატყდაო“ ეს

[47] ლეონიდ ბრეჟნევი (1907-1982) – სსრკ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1964-იდან), ხოლო 1966 წლიდან გენერალური მდივანი და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე 1960-1964 წლებში და 1977-1982 წლებში.

ქართულად ისე ლამაზად არ გამოდის და მეგრულად უფრო გამოდის ხუმრობით. (*მეგრულად ამბობს*). კარგი სიმინდი თუა, ძალიანაც რომ მოგინდეს, ვერ გადატეხავ და ის უცებ ტყდებოდა იმიტომ, რომ სიდამპლე იყო უკვე შესული. ეს გაუგეს, ეს თქვაო და გადაასახლეს. მერე დაბრუნდა ის გადასახლებიდან. ესე იგი, ესეთი რაღაცის თქმაც კი არ შეიძლებოდა. ხოლო აქ რაც შეეხება, მეზობელი გვყავდა ჩვენ კახაჩი თოლორაია იყო ის ქალი. ჩემი დედამთილი სკოლის დირექტორი იყო. ჩემმა დედამთილმა მითხრა, ამის ქმარი გადასახლებაში მოკვდაო. ამის ქმარმა თქვა თურმე: „ვიდრე ბერია[48] ცოცხალია, ჩვენი საშველი არ იქნებაო“. ამიტომ გადაასახლეს ეს კაცი ანდრია თოლორაია, იქ ავად გახდა და ავადმყოფობით გარდაიცვალა. მე ზუსტად არ ვიცი, რამდენი წელი იყო გადასახლებაში, იქ გარდაიცვალა და უფლება არ მისცეს ოჯახს, რომ დაეტირა.

კიდე იყო აქ ერთი შემთხვევა. აქ იყო კახათის სკოლა და ჩემი დედამთილი ჯერ დირექტორი იყო ამ სკოლის და მერე სასწავლო ნაწილის გამგე. მე რო გავთხოვდი კახათში, იქით ვმუშაობდი სკოლა ინტერნატში ორი წელი და მოვედი მერე აქ ამ სკოლაში. ჰოდა, რაღაცა ისტორიებს ყვებიან და დამაინტერესა და ვკითხე მერე ჩემ დედამთილს და მითხრა, რომ აი, ეს ოჯახიო, ვანო მოსიას ოჯახიო გადაასახლეს შუა აზიაში, ეს იყო ორმოცდაათიანი წლები, 1951 წელი იყო თუ არ ვცდები, რომ გადაასახლეს ოჯახიანად. „კი მაგრამ რატო, რა დააშავეს?“ ჩემმა დედამთილმა თქვა – ისეთი კივილ-წივილი გამოდიოდა მაგათი სახლიდანო, მივატოვეთ გაკვეთილებიო და გავრბოდით ყველანიო. მივედით, ტირიან

[48] ლავრენტი ბერია (1899-1953) – სსრკ სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მარშალი (1945 წლიდან), სოციალისტური შრომის გმირი (1943 წლიდან). სტალინის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლების უმაღლეს წრეებში დაიწყო ბრძოლა ძალაუფლებისათვის. 1953 წელს ბერია დააპატიმრეს შპიონაჟის და აგრეთვე შეთქმულების ბრალდებით.

ოჯახის წევრები: ქალი, დედა, შვილები, ყველა. მოუვიდათ ცნობა, უწყება, რომ გადასახლებულები არიან შუა აზიაში. რო გადაასახლეს ეს ოჯახი შუა აზიაში, მერე წერდნენ, ესენი ბარათს სტალინს უგზავნიდნენ, რომ დანაშაული არაფერი არა აქვთ. მერე სტალინი რომ გარდაიცვალა, გამოვიდა ეს რეაბილიტაციის ისა და გამოუშვეს. და მე რომ ვკითხე, კი მაგრამ რატო გადაასახლეს მეთქი, დედაჩემმა მითხრა „გეგმა იყოო“. გეგმა ერთი კაცი უნდა გაესახლებინათ, რომ მერე სხვები შიშში ყოფილიყვნენ. არაფერი არ ჰქონდათ, არც ნაპატიმარი, არც ტყვედ ჩავარდნილი, არც დეზერტირი, არაფერი დანაშაული არ ჰქონდათ. ვიღაცას ამათი ინტერესი ჰქონდა სოფლის გამგეობაში და ვიღაცამ ჩაუშვა.

ერთი ქალი იყო აქ ძველი კოლმეურნე, ხო იცით, ძველ კოლმეურნეებს პატივს სცემდნენ, მერე გასვენება რომ იყო იმ ქალის და ვიყავით იქ მასწავლებლები და სიტყვა წარმოვთქვი იმ ქალის შესახებ. რომ მოვედი აქ, ის თოლორაიას ცოლი დამხვდა შემთხვევით, ვისი ქმარიც გადასახლებაში იყო. „იქ იყავი გასვენებაზეო?“ „გასვენებაზე კი არა, სიტყვაც ვთქვი“. „ვაი მაგის თავსო, მაგი არ ცხონდესო!“ „რა იყო?“ – მე უთხარი. „ჩემი ქმარი რო გადაასახლეს, იმანაც იყოჩაღა იმ ქალმაო“. ხო იყო ასეთი დასმენები და კომკავშირული რაღაცა და... ამ კაცის გადასახლება მოხდა ადრე 1930-იან წლებში და ამ ოჯახის გადასახლება მოხდა 1950-იან წლებში. ომის შემდგომ პერიოდში. ამ ოჯახის გადასახლებას ვიღაც სხვას აბრალებდნენ, მაგრამ მე ზუსტად არ ვიცი – ვის. მერე იმ ოჯახიდან ის კაცი, ვანო, ოჯახის უფროსი, ჩვენთან მუშაობდა დარაჯად. მერე შვილი, მურმან მოსია, ძალიან განათლებული კაცი იყო, ჩვენთან მუშაობდა მნედ. ცოლიც ჩვენთან მუშაობდა, ცოლი, ქმარი, ყველანი ჩვენთან მუშაობდნენ. მაშინ ერთი შევეკითხე მე, რას აკეთებდით. კი მიამბო იმ კაცმა, მაგრამ რატო არ ჩავწერე? ეს გადასახლების მერე, დაბრუნებულზე. სტალინის გარდაცვალების მერე ჩქარა მოხდა რეაბილიტაცია და ჩამოვიდნენ.

ესენი ყველანი უვნებელი დაბრუნდნენ, იქ ვცხოვრობდითო, ვრეცხავდითო, ვჭამდითო, ყველაფერს იქ აკეთებდნენ. ძაღლების მეურნეობა იყოო, ეს კაცი ყვებოდა, მე ნაჭამი მაქვს ძაღლის ხორციო.

ჩემი ბიჭი იყო სკოლაში და ლენინს რო ვახსენებდი, ხისთავაო იტყოდა მეგრულად. მერე ვტიროდი სახლში, ვიღაცა იტყვის მშობლებთან, ვიღაცა გამისაქმებს ამას, რასაა შენ რომ იძახი-მეთქი, ვეუბნებოდი. ისე წავიდა საქმე, რომ მართლა ესე ყოფილა, მაგრამ თავიდან ხო არ ვიცოდით ჩვენ. ყველაფერი ტაბუდადებული იყო. მახსოვს, დემონსტრაციები რო იყო 9 აპრილის წინა თბილისში, მაშინ სასწავლო ნაწილის გამგის კურსები იყო და იქ გავდიოდი. მერე საღამოს მივდიოდით მიტინგებზე და ჩემი ძმაც, მეორე ძმა კიდე მოდიოდა – საშუალო ძმა. კაცო, ილიას სურათი არის ვხედავ, ვიღაც ვიღაცეების სურათებს ვხედავ, ამერიკის დროშა აქვთ, ვიღაცა კაცია ბობოხიანი, ვინ არი? – მე უთხარი ეს. „რას ქვია ვინ არის? შენ როგორ არ იციო? ისტორიკოსი ხარო, არ გააცხადო, არავისთან თქვაო, ეს ქაქუცა ჩოლოყაშვილიაო[49]“. მე არასდროს გაგონილი არ მქონდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი. თქვენ წარმოიდგინეთ, 1922-24 წლები ხომ იყო, 1924 წლის მენშევიკური ამბოხება, ასე ეწერა წიგნში, საბჭოურ წიგნში. იქ მუზეუმში რაღაცა ბანერივით იყო დიდი, ჰოდა, აი, 1924 წლის ამბოხების ჩახშობის ნახატი იყო. გაგონილი არ მქონდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ვინ გეტყოდა, მერე გამოვიდა ეს ყველაფერი. მარო მაყაშვილი[50] ვინ იყო,

[49] ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი (1888-1930) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე. 1922-1924 წლებში ხელმძღვანელობდა პარტიზანულ ბრძოლას საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ. გარდაიცვალა ემიგრაციაში.

[50] მარიამ (მარო) მაყაშვილი (1902-1921) – საქართველოს ეროვნული გმირი, მოწყალების და; დაიღუპა საბჭოთა რუსეთის ჯარებთან ბრძოლაში თბილისის მისადგომებთან.

კოტე მაყაშვილი[51] ვინ იყო. რამდენი ვინმე მერე ვნახეთ ჩვენ, მერე გამოვიდა ეს ყველაფერი. ჩვენ მიჯაჭვული ვიყავით ამ საბჭოურს.

სტალინი კი გვიყვარდა ერთ დროს, მაგრამ მერე ესეთი პიროვნების კულტი და პიროვნების კრიტიკა დაიწყო. ჩემ დედამთილს სულ ჰქონდა სტალინის ფოტოსურათი, უყვარდა ისე რომ... მე მაინცდამაინც დიდი სიყვარული არ მქონდა იმიტომ, რომ სადღაც მაინც რეპრესიებთან იყო ხო დაკავშირებული. მაგრამ ლენინიც იგივეს აკეთებდა, რასაც სტალინი აკეთებდა, ლენინიც იძლეოდა ბრძანებებს „დახვრიტეთ ყველა მეძავი ქალი". ჩვენ სინამდვილეში არ იყო, რომ მართლა დაესაჯათ მეძავი ქალები, მოსკოვში იყო. ხომ არი ამაზე ბევრი ჩანაწერები, რაზე სჯიდნენ, რატო იჭერდნენ. „პეტებურგსკი დნევნიკ"[52] მაქ მე და იქ წერია, როგორ იყო. ყველაფერი არა, მაგრამ ცოტა მაინც წერია. მერე რამდენი რამე გამოვიდა, განა მოასწრებდი მერე, რომ წაგეკითხა.

სტალინის გარდაცვალების მერე, 1953 წლის 5 მარტს გარდაიცვალა, მარტის პირველი რიცხვებიდანვე დაიწყო აქციები, ყველგან იყო. დატოვებული გვქონდა ჩვენ სკოლები. მასწავლებლები, ყველა იქ ვიყავით, სადაც მოედანი იყო, იქ ტარდებოდა სტალინის დიდ ძეგლთან, იქ ლექსებს კითხულობდნენ, ერთი ამბავი იყო. თბილისში კიდე 1956 წელს დატრიალდა ის უბედურება. მერე რო ჩაგვიყვანეს ჩვენ ჭადრაკის სათამაშოდ, ეს ამბები მოსტუმრებული იყო, ეს დახვრეტები და ესენი. ეს მეზობლები ძალიან განაწყენებულები იყვნენ ამ დახვრეტების გამო, ჰოდა, ერთი გოგო იყო კიდე ჩემთან ერთად სასტუმროში, ის სხვა სკოლაში სწავლობდა, ქალაქის

[51] კონსტანტინე (კოტე) მაყაშვილი (1876-1927) – ქართველი პოეტი, მარო მაყაშვილის მამა. 1914 წელს გამოვიდა პოეტის ლექსების პირველი და ერთადერთი კრებული „ლირიკა". 1918 წელს მისი თავმჯდომარეობით დაარსდა ხელოვანთა ცენტრი. 1921 წელს იგი აირჩიეს ხელოვანთა კულტურული კომიტეტისა და ხელოვანთა სასახლის თავმჯდომარედ. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი, კავშირის ჩამოყალიბებისთანავე აირჩიეს პირველ თავმჯდომარედ.

[52] ზინაიდა გიპიუსი, „ცისფერი წიგნი, პეტერბურგული დღიური – 1014-1918".

სკოლაში. და იქ მოვიდა ჩვენი დირექტორი კარლო მიქაია, მე მოწაფე ვარ და მნახა მაინც რას ვაკეთებდი. ეს გოგო შეეკამათა, რაღაცაზე მოყვა და რა ვიცი, „ხალხი დახვრიტესო, უიარაღო ხალხიო“. „აბა რაო“ – იმან უთხრა. ეს კარლო მერე განთქმული ზვიადისტი იყო, მერე გულაგის შესახებ რამდენი ინფორმაციები, რამდენი ლექციები წაიკითხა. „აბა რაო, აბა ბანდიტებისთვის მიეცათო ხელისუფლებაო?!“ – ამას ამბობდა მაშინ. ხედავთ, როგორი ის იყო, ვითომ ბანდიტები იყვნენ და ხელისუფლებას ძირს უთხრიდნენ. რა თქმა უნდა, ხელისუფლება ყოველთვის იმართლებდა თავს. კავშირგაბმულობის შენობა რომ იყო რუსთაველზე, სულ იყო ნატყვიარები. 1956-ში ვიყავით და მერე სტუდენტობის დროსაც მინახია, რომ ეგრე იყო. ახლა არ ვიცი, იქ საერთოდ რა არის, მაშინ იყო კავშირგაბმულობის სახლი.

ფოტო გადაიღო და ინტერვიუ ჩაიწერა ცისანა გოდერძიშვილმა.
სოფელი ანაკლია (ზუგდიდი), 2016 წლის აგვისტო.

ფენია ჭითანავა

დაიბადა 1925 წლის 25 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ერგეტაში. მეორე მსოფლიო ომის დროს მოუწია სწავლა საფერშლო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ გარიგებით გათხოვდა ანაკლიაში ბუხუტი ცხადაიაზე. გათხოვებიდან მალევე, ოცდაერთი წლისამ დაიწყო მუშაობა ბავშვთა მომსახურების მედდად და სამოცდაექვსი წელი იმუშავა. ამ ხნის განმავლობაში გადაარჩინა უამრავი ბავშვი ანაკლიასა და მიმდებარე სოფლებში. იცოდა თითქმის ყველა ოჯახის ისტორია, ზოგჯერ დაფარულიც. მუშაობა შეწყვიტა 2003 წელს შვილიშვილის სიკვდილის გამო, რომელიც ჯარში გარდაიცვალა.

ცხოვრობს შვილთან და რძალთან ერთად ანაკლიის ცენტრიდან მოშორებით. განიცდის, რომ ფიზიკურად ისე ველარ ეხმარება ოჯახს, როგორც უწინ.

ჰყავს სამი შვილი, ხუთი შვილიშვილი და ცხრა შვილთაშვილი.

ბავშვობა უკეთესად მახსოვს, ეს კომუნისტები მამაჩემს რო ჭამდნენ – ეს მახსოვს, კამეჩები ჰყავდა საწყალს და კულაკი არისო, კულაკს ეძახდნენ, ახლა ქართულად რა ქვია იმას, ჰო, გააკულაკეს. ეს ძროხ-კამეჩები წაართვეს, ხარ-კამეჩი ჰყავდა, მისი ქონება ის იყო. ჭამდნენ ხალხს!

საჭმელი არ მოუკლია მამაჩემს ჩვენთვის, ადგებოდა და წავიდოდა ფოთში, წაიყვანდა ხარ-კამეჩს, ერთ ურემ პურს მოიტანდა, მარა რა პური იყო ნეტა, რა პური! მაგის სუნი გამახსენდება, არაჩვეულებრივი რაღაცა იყო. მე ვიქნებოდი ათი წლის, კიდევ მეტი. კარგად მახსოვს, კომუნისტები არ უყვარდა მამაჩემს (*იცინის*), წითელ ეშმაკებს ეძახდა. არ უყვარდა კოლმეურნეობა, არ უყვარდა, არ მიდიოდა კრებებზე. ძალიან კარგი მამა მყავდა, მშრომელი, ნასწავლი არ იყო, მაგრამ ისე ოჯახის მოსიყვარულე კაცი იყო, ცოლ-შვილს საჭმელ-სასმელს არ აკლებდა.

მყავდა ორი უფროსი და, ისე კარგად სწავლობდნენ, სულ ხუთოსნები იყვნენ. მამაჩემმა როგორ ვასწავლიო (*იცინის*) ამ კომუნისტების ხელში გოგოებს. გოგოებს სწავ-ლა რათ უნდათო და არ ასწავლა, ტიროდა, ისე გამოიყვა-ნა სკოლიდან, მერე რომ წამოვიზარდეთ ჩვენ – კიდე უმ-ცროსი და გვყავდა და ჩვენ ორს გვასწავლეს, მერე გაეხსნა ტვინი მამაჩემს, რო უსწავლელი არ ვარგოდა და გაგვიშვა სასწავლებელში. პირველ კლასში რომ შემიყვანეს, ვტირო-დი, ვტიროდი და მამაჩემი წავიდა მდივანთან და იმან გაა-კეთა თუ არ ვიცი, მომიმატა წელი. ჩემ ბავშობაში სკოლა ახლოს არ იყო. სამი კილომეტრი დავდიოდი, ამხელა ტალა-ხით დასვრილი, დასველებული მივდიოდი სკოლაში და მას-წავლებელი დამაჯენდა ბუხრის ახლოს, სად იყო მაშინ ფეჩი ის კი არა, მამაჩემს კალოშები ჰქონდა, და ჩვენ იმას გვაც-მევდა თუ არა, სად გვქონდა. ძროხის ტყავის ან კამეჩის ტყა-ვისგან ფეხსაცმელს იკერავდნენ თვითონ, ქალამნებს. ქა-ლებს საცვლებიც არ ქონდათ, ეხლაც არ იცმევენ, მაგრამ...

ათი წლის ვიქნებოდი, მამაჩემი რო გააკულაკეს, სახლში მოვიდნენ და წაიყვანეს ხარები, ენას ვინ შეუბრუნებდა! იმ

მეგრელი მოსწავლე გოგონები.
„ჩანთები არ გვქონდა და წიგნები ასე ხელით დაგვქონდა სკოლაში.“
(მოკონა გვილიას საოჯახო ალბომიდან.)
ანაკლია, 1940-იანი წლები.

წუთში დაატუსაღებდნენ, ციხეში წაიყვანდნენ, დედა, როგორ შეიძლებოდა ენის შებრუნება! ის კი არა, ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა.

მე სტალინის დროს ვიყავი. ლენინს ვერ მოვუსწარი. პირველი არჩევნები რომ ჩატარდა სტალინის დროს, რომელი წელი იყო, არ მახსოვს მაგი, მეგრულ ლექსს მღეროდნენ.

ჩავატარეთ არჩევნები,
ქუ უძახით ლელიასო,
ვაშა ძვირფასს, ძვირფას სტალინს,
ვაშა ლავრენტ ბერიასო.

ეს იყო მეგრული სიღერა.

1937 წელი საშინელი რეპრესიების წელი იყო, ძალიან ბევრი ოჯახი გაუბედურდა ამ დროს, ბერია სამეგრელოში ცნობილი პიროვნება იყო და ამასთან დაკავშირებული იყო ეს ყველაფერი. ისე ახლა სტალინს მიაკერებენ ამ ცოდვას, სტალინმა რა, კი, შეიძლება ისიც იყო დამნაშავე რომ ასე გადაუფასებლად, რო არ კითხულობდნენ, არ იკვლევდნენ ამდენი ხალხი, ისე დაიჭირეს, მარა... სტალინი რო მოკვდა, რადიო იყო ერთ ოჯახში და იქ შევედით და იქ ვუსმენდით. იმდენი ვიტირე, იმდენი ვიტირე! მთელი სოფელი ტიროდა. რატო ვიტირე, არ ვიცი. გაწყვიტა ხალხი, ყველა დამეხოცა ომში, მარა რო გაიმარჯვა, ალბათ იმიტო. ნატირალი მივედი სახლში. ჩემი დედამთილი მეუბნება, რა არი თვალები რო გაქ გასიებულიო და სტალინი მოკვდა-მეთქი. უი, შენ დაგწყევლა ღმერთმა, რა ჯანდაბა გინდაო, თვითონ ქმარი ყავდა ჯარში დაკარგული და... მაინც რა იყო, კაცო, ასე რო უყვარდა სტალინი ყველას, ჰა!

აქ, ანაკლიაში დაპატიმრებულები რომ იყვნენ, ეს მახსოვს. რომ მომიყვანეს აქ მე, მაშინ ოცდაერთი წლის ვიყავი და დაპატიმრებული იყვნენ აქაური ხალხი ბევრი. ორი ჩამოვიდა მარტო, ორი (*გადასახლებიდან დაბრუნებულები*). რამდენი წელი უდანაშაულოდ წაიყვანეს, დასმენები იყო.

ჰოდა, რამდენი ხალხი ერთმანეთს ემდუროდნენ, ერთი მეორე მეზობელს ეწინააღმდეგებოდა და ასეთი არისო, ისეთი არისო, ჰოდა, იჭერდნენ. ორი კი არა, სამი ჩამოვიდა ანაკლიაში, რამდენი იყო თურმე წაყვანილი და მარტო სამი ჩამოვიდა: ერთი ჯუმბერ გვილიას მამა, მეორე გოგუა, მესამე ჟვანია, მეტი არ დაბრუნებულა.

ნუნუ კალანდიას მამაც არ დაბრუნებულა. ის ცოლის გამო წაიყვანეს. კოლმეურნეობის თავჯდომარეს უნდოდა თურმე, მოსწონდა მისი ცოლი. პატიოსანი ქალი იყო და ამის გამო ქმარი გადაუსახლეს, არაჩვეულებრივი, უმაღლესი განათლებით, სოფელში ცნობილი დაფასებული კაცი და აი, ამის გამო... დაიკარგა, ის არ ჩამოსულა მერე. უპატიოსნესი ქალი იყო და მაინც დაიცვა თავისი ღირსება იმ ქალმა, ქმარი კი შეეწირა და ობლად გაზარდა მერე ორი გოგო იმან. სამაგიეროდ მთელი ოჯახი ამოწყდა იმ კოლმეურნეობის თავმჯდომარის, იმდენი ცოდვა ჰქონდა, იმდენიო, ასე ამბობენ. ნაშვილები შვილი ჰყავდათ და ისიც კი მოკვდა, საერთოდ აღარავინ აღარ დარჩა იმ სახლში. მერე ცეცხლი წაეკიდა და ის სახლიც დაიწვა. იტყოდნენ ხოლმე, რო ცოდვამ უწიაო, მაგრამ შვილებზე რატო გადავიდა, ისეთი კარგი შვილები ყავდა, არაჩვეულებრივი. ეს 1937 წელი ხო განუკითხაობა იყო საერთოდ, ათასი მიზეზი არსებობდა, ათასი მიზეზი, რო დაეჭირათ კაცი.

ომის პერიოდი სასწაული იყო. 1941-ში ხომ დაიწყო ომი, ჰოდა, მაშინ მე მერვე კლასში ვიყავი. წაიყვანეს ჩემები, არ დაუტოვებიათ არც ბიძაშვილი, არც მამიდაშვილი, არც დეიდაშვილი და არც არავინ, ვინც იყო ყველა წაიყვანეს. ჩემი მამა ორმოცდათუთხმეტ წელს გადაცილებული იყო და არ ეკუთვნოდა თურმე ომში წასვლა. და მყავდა, ჩვიდმეტი წლის იყო, ძალიან ლამაზი და მყავდა, მოტაცებას უპირებდნენ, ერთი ამბავი იყო, ეშინოდა მამაჩემს და გაათხოვა ჩვიდმეტი წლის გოგო. შვიდი თვის ორსული იყო, ისე წაიყვანეს ჯარში მისი ქმარი, შვიდი თვის ორსული დატოვა. მერე დაიბადა ბავშვი, მამას უნდოდა ბავშვის ნახვა. იყო

მაგი ნოვიაფონში[53]. სანამ დაიჭრებოდა, მანამ გადაიყვანეს ნოვიაფონში, სხვაგან იყო ჰოდა, უნდოდა ბავშვის ნახვა, მაგრამ მატარებელი მიდიოდა, ვინ დადიოდა მანქანით! სოხუმი გვეგონა ჩვენ ამერიკა (*იცინის*). ხალხმა არ იცოდა სად წასულიყო, ენა არ იცოდნენ, მაშინ რუსულს ხმარობდნენ. ჰოდა, სადღაც გადაყავდათ, სად იყო არ ვიცი და მატარებლიდან გამოყო თავი, ბავშვი ერთი ორი თვის არ იქნებოდა თურმე, ასე აჩვენეს შორიდან მატარებელში (*ორივე ხელს წევს მაღლა*), ის გოგო არის ახლაც. მერე შემოუთვალეს რომ დაჭრილიაო და ნოვიაფონში არისო. დაიქირავეს კაცი რუსულის მცოდნე, წაიყვანეს ჩემი დაც. დიზინტერიით ყოფილა ავად, მაშინ სიბინძურე იქნებოდა, აბა, რა იქნებოდა, საჭმელი არ ჰქონდა ხალხს და სასმელი, წაიყვანეს იქ და მივიდა ნახა ქმარი. ცუდი, ძაან ცუდი მდგომარეობა ჰქონდა, მერე რომ მობრუნდა აქ, ის უკვე მოკვდა, ერთი ნახვა ნახა საცოდავმა. რა დღე უნახავს ჩემ დას! მერე გაზარდა ობლად ის ბავშვი.

მე 1943-ში შევედი საფერშლო სკოლაში და 1946 წელს დავამთავრე, ომი რომ იყო, ვსწავლობდი და როგორ გაბედეს, კაცო, ოფიცერ ზაპასას [თადარიგის ოფიცრის] სამხედრო წიგნაკი დაგვირიგეს, არ ეშინოდათ, მეორე კურსზე რომ ვიყავით და რომ წავეყვანეთ. მე ბავშვი ვიყავი და (*იცინის*) ფეხებზე მეკიდა, ვინ წამიყვანდა ჯარში-მეთქი. ომის დროს იმის საშუალება არ იყო, რომ ავმდგარიყავი და სინათლე ჩაგვერთო, ქვეყანა დაქცეული იყო. არ შეიძლებოდა განათება, ციხეში ჩაგსვამდნენ. ომი რომ დამთავრდა, ღამე გვძინავს ახლა ჩვენ და, ჩემი ამხანაგი კიდევ ჩემთან ცხოვრობდა, ერთად ვცხოვრობდით, ერთ ოთახში და ატყდა სროლა, მარა ისეთი სროლა ატყდა! ცეცხლი იყო მთელ ცაზე, თურმე, დამთავრებულა ომი, ჩვენ გვძინავს და „ხაზეიკა“ იძახის, გოგოებო, ომი დამთარდა, დამთავრდა! მარა ჩემებისთვის

[53] ახალი ათონი (ყოფილი ფსირცხა) – ქალაქი და ზღვისპირა კლიმატური კურორტი აფხაზეთში, გუდაუთის მუნიციპალიტეტში.

(*ნათესავები, ბიძები, ბიძაშვილ-მამიდაშვილები*) არ დამთავრებულა, იქ დაიხოცნენ (*ტირის*).

დამთავრდაო და ავდექით ჩვენც, სინათლეები ჩავრთეთ, ყველაფერი განათდა. რამდენი სუფრა ქონდათ! ჰოდა, გახარებულებმა ისროლეს და რამდენი მოკვდა! ერთი სამი შემთხვევა იყო ზუგდიდში, ამ სიხარულის გამო სუფრა გაშლილზე იჯდნენ და გახარებულზე ისროდნენ, კაი ხალხი იყო დარჩენილი, ვის თანამდებობა ჰქონდა, ვის რევოლვერი ჰქონდა, და რამდენი მოკვდა ბრმა ტყვიით, ბატონო, შენი ჭირიმე და ასეთი ამბავი...

ომის დროს გაგიჟებულები იყვნენ ქალები, უნდოდათ კაცები, მარა სად იყო, სად იყო კაცები, დედა! აქ ერთი ქალი იყო, შვილი გააჩინა, ქმარი ჯარში ჰყვანდა, ომის დროს, ჰოდა, გააჩინა და მერე არ გათხოვილა. არაფერი არ ჰქონდა საცოდავს, საჭმელი, სასმელი, ვიღაცა აძლევდა რაღაცას, ალბათ და იმიტომ გააკეთა. არავინ არაფერს ამბობდა, აეს ნაბიჭვარი არისო. ყველამ იცოდა და იმ ბიჭმა არ იცის, ვისი შვილია. საბჭოს თავმჯდომარე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყენებდნენ შემთხვევას, ლამაზი ქალი თუ იყო, რატომ არა!

საჭმელი და სასმელი სიძვირე იყო. ქალები ხელით თოხნიდნენ, კამეჩებით მერე ხნავდნენ მიწას, გაჭირვებული ცხოვრება გვქონდა, დედა, გაჭირვებული, მე რომ დღე მახსოვს ბავშობაში!

ჩემი გათხოვება სულ სასწაული! ისე კი მყავდა შეყვარებულები, მაგრამ მე არა, გიჟი ვიყავი, არ ვიკარებდი ახლოს ბიჭებს. რომ ვსწავლობდი იქ, ციხეში მუშაობდა ერთი ახალგაზრდა ბიჭი, ჯარი დამთავრებული ჰქონდა და პატიმარებს ედგა, მილიციონერი იყო იქ, ზუგდიდში. ძალიან კარგი ბიჭი იყო, ვუყვარდი და მეც მიყვარდა მართალი გითხრა, მაგრამ თუ მივეკარებოდი ახლოს, მცხვენოდა, ვინმე რამეს იტყვისმეთქი. თეატრის კართან დადგებოდა, მე გასასვლელი იქ მქონდა, სულ ახლოს, იქ პირველ ნომერ ოთახში ვიყავი. ზუგდიდის თეატრი რომაა, ა, იმის მერე არის სკოლა ახლოს, გვერდით. ის თეატრი ჩემი აშენებულია, სად იყო, შვილო,

მექანიზაცია, არაფერი არ იყო. დადგებოდნენ ბავშვები, ერთი მეორეს მივაწოდებდით აგურს, მესამეს, მეოთხეს და ასე ბოლომდე. აგურით იყო აშენებული, ბერკეტი რომ ყოფილიყო ვერ ავწევდით. მერე ბაღი რომაა იმის გვერდით, მოედანი რომ არის, იმას ვასწორებდით, მიწას და სულ ჩვენ გვამუშავა, ერთი ამბავი იყო, 1943-1944 წლებში ქვეყანა იქცეოდა და თეატრის კეთება უჭირდათ (*იცინის*). ჰოდა, მე რომ დავენახე, იმიტომ დადგებოდა იქ, თეატრთან, საცოდავი, ახლა ცოცხალი არისო, მითხრეს, ერთი სამი ოთხი წლის წინ. გაღმიდან იყო, ოტობაიიდან[54] იყო, ამხანაგებთან ერთად მივდიოდი, გამარჯობას კიდო ვერ ვეუბნებოდი, მრცხვენოდა, მრცხვენოდა, ვავა, უტვინო ჩემი თავი, ჰა! ეხლა ყვერებს მოგლიჯავენ ბიჭებს გოგოები. ის მიყვარდა, ისეთი ლამაზი ბიჭი იყო, მარა უარს ვეუბნებოდი, მშობლებთან კიდე მივიდა, მარა ბედი არ იყო.

კიდევ მერვე კლასში რომ ვიყავი, მე არ ვიცოდი და ვყვარებივარ ერთ ამხანაგს, კლასელს, ჯარში წაიყვანეს საწყალი და წერილი გამომიგზავნა, მანამდე არც კი ვიცოდი, თუ ვუყვარდი. დაგვიანებულად შემოვიდა სკოლაში, ერთი კი არა სამი ბიჭი წაიყვანეს ჯარში ჩემი კლასელები. განუკითხაობა იყო, ჩემი რძალი ამბობს, მამაჩემი დედისერთა იყო და ბებიაჩემი იტყოდა ხოლმეო, სკოლაში რომ გავაგზავნიდიო, მომტაცებდნენ და წაიყვანდნენ კომისარიატშიო, უპატრონო ხო იყო, მამა არ ყავდა, ომში დაეღუპა და უნდოდათ სხვის მაგივრად გაეგზავნათო. წივილით, კივილით წავიდოდიო და მერე იძულებული გავხდი, გამომეყვანა სკოლიდან და დავსვი სახლშიო, შეხედულად დიდი იყოო და ვიღაცაში უნდოდათ, რომ გაეცვალათო, ქალები იყვნენ სახლში და ადვილად დაჯაბნა შეიძლებოდა მათი, ათას რაღაც სასწაულებს აკეთებდნენ. ჰოდა, ეს ჩემი კლასელი, დაჭრილა, ჩამოსულა და ხიდზე რო გავდივარ, ზუგდიდის ბაზრის წინ ხიდი რომ

[54] ოტობაია – გალის მუნიციპალიტეტის სოფლების პირველი ოტობაიისა და მეორე ოტობაიის ძველი სახელწოდება.

არი, იქ, ასე შემეფეთა, მე მგონია ჯარშია და ძლივს ვუთ-ხარი გამარჯობა, იმიტომ რომ მცხვენოდა და (*იცინის*)... ისე კარგი იყო მაგიც, მაგრამ მე ვერ დავდგებოდი და ვერ ველა-პარაკებოდი, კაცო, არ მივეკარებოდი, როგორ შეიძლებოდა.

სწავლა რომ დავამთავრე, აქ მოვედი ერთხელ (*ანაკლიაში ჩამოსვლა*), აქ ბიძა ცხოვრობდა ჩემი ქმრის და ჩემი ბიძაშ-ვილი, უთქვიათ, ეს გოგო ჩვენ გაგვირიგე ძმისშვილისთვისო, კარგი ვანახოთ ერთმანეთსო. სრულიად მოულოდნელად მანახეს ღამე, მართლა ბედია. ფანდური ვიცოდი ძალიან და ფანდურს დაუკარიო, მითხრეს, მე მართლა დავუკარი და ვიმღერე, მერე წამოვედით, ჩემ ბიძაშვილს მივყევარ, ძალიან პატიოსანი ქალი იყო, და მოგეწონაო? – მითხრა, კი-მეთქი, მე ვუთხარი. რა მომეწონა, ერთი ნახვით ვნახე, იმასაც ასე უთხრეს თურმე, იმასაც, კიო და ერთ კვირაში გადაწყდა ეს ამბავი, წამოვყევი, დედიკო, და ამდენი ტანჯვა გავიარე იმის ხელში, ბედია ეს ყველაფერი, თვარა რა ნასწავლი ბიჭები მყავდა შეყვარებულები და რამდენს ვუნდოდი, ვავა!

გაჭირვებული ცხოვრება გვქონდა, რომ მომიყვანეს. ჩემი მამამთილიც ომშია დაკარგული, ჩემი მამამთილის ძმაც რომ წავიდა, აღარ დაბრუნებულა, ობლად გაიზარდნენ ისენი (*ქმარი და მისი და-ძმა*) და მერე მეც გაჭირვებულად ვიცხოვრე. ჩემი ქმარი არსად არ მუშაობდა, მაზლი მყავდა, უმცროსი იყო ჩემ ქმარზე და ისიც არსად არ მუშაობდა, დარ-ბოდა და არაფერი არ შემოქონდა სახლში. მერე ჩემი მაზლი დაიჭირეს და წაიყვანეს რუსთავში. აკეთებდნენ რაღაცას, რა ვიცი, რა იყო, სად იყო ტეხნიკა, ხელით მუშაობდნენ და იქ წაიყვანეს, ციხეში კი არ დასვეს, იქ წაიყვანეს. ე ჩემი ქმარი კიდე სამი წელი და რვა თვე იყო ჯარში.

სანამ ჩემი ქმარი ჯარში წავიდოდა, ერთი-ორი წელი ვიყავით ერთად, მეტი არა. ვიყავით ოჯახის შემოსავალით რაღაცათი. ერთი კამეჩი გვყავდა, ამას ვწველიდით და ვჭამ-დით, არა უშავდა. ერთი კილო ყველს იწველიდა, მისდღემში არ მინახია და არც გამიგონია იმისთანა მეწველი. ჩემი დედამ-თილი რომ მოწველიდა რძეს, მოიტანდა, გავგიჟდებოდით,

ისეთი რძე ჰქონდა და ყველი. მაშინ კოლმეურნეობა იყო და კოლმეურნეობაში ერთ კილო სიმინდს არ იძლეოდნენ დღეში, გამუშავებდნენ და სად იყო ფული! ჩემი ქმარი არ მუშაობდა კოლმეურნეობაში, ეძახდნენ, მაგრამ არ წავიდოდა, რაზე წავიდოდა, არაფერს არ იძლეოდნენ. ამისთვის არ იჭერდნენ, მამა ჯარში რომ ყავდა დაკარგული. რაში უნდა გემუშავა, რომ ფული გეშოვნა, ხო, დედა, და ეს კამეჩი ერთი წლის მერე მოგვიკვდა და დავიღუპეთ, კაცო, აბაა! რა ვქნა, ორსული ვარ და არაფერი საჭმელი, სასმელი არა გვაქვს. ამ ჩემ დედამთილს ჰყავდა აყვანილი გოგო, აუტკივარი თავი ხო იცი, ორი ბიჭი ჰყავდა და რათ უნდოდა სხვისი შვილის გაზრდა, მარა ჩემ მამამთილს უთქვია, შენ ეს მოგივლისო. ჯარში წასვლამდე აუყვანია გოგო, საჭმელი არ ჰქონდა და სასმელი იმის დედას თურმე, ჰოდა, უთქვია მომეციო ეს ბავშვი, საჭმელს მივცემ, სასმელსო და მიუცია, ძალიან კარგი გოგო იყო, მაგრამ ეპილეფსია ქონდა, და ისიც ჩემი გასაზრდელი გახდა. მერე ბავშვი რომ გამიჩნდა, ჩემი დის მეზობელი იყო ექიმი, ჩვენი უფროსი ექიმი და იმასთან მისულა ჩემი დის დედამთილი, ასეთი გაჭირვებული ცხოვრება აქვსო იმასო და ადგილი მიეციო, ისეთი კარგი ქალი იყო, აცხოვნოს ღმერთმა! იმან მე ხელი შემიწყო და ჩემი ცხოვრება გვარიანად შევქენი, დამიბარა (*საავადმყოფოს უფროსმა*), დამიბარა და მივედი, თვეში ვარ უკვე. უნდა იმშობიაროო მაისის თვეში და პირველ მაისს მივედი, კიო, მოგცემო ადგილსო შენო, გახარებული მოვედი სახლში. თუთხმეტ მაისს ამტკივდა მუცელი, უკვე სამსახურში უნდა გამოვიდე და ვიმშობიარე. კი მარაო, იმ კაცს (*საავადმყოფოს უფროსი*) უთქვია ამხანაგებთან, კაცოო, ბავშვი უკვე დაბადებაზე იყოო და სამსახურს ეძებდაო საცოდავიო. თუთხმეტი დღის ბავშვი დავტოვე და წავედი სამსახურში. ჩემი დედამთილი ინვალიდი ქალი იყო, ცალი თვალი ჰქონდა, ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული, მერე ეს სხვისი ბავშვი გასაზრდელი, ის ჩემი მულივით მყავდა მე, მე ვზრდიდი იმას, ვბანდი, ვვარცხნიდი და მივიტანე მერვე

კლასამდე და მერვე კლასის მერე მოუვიდოდა შეტევა და ცუდად გახდებოდა და მერე სკოლაში რცხვენოდა. არაფერი არ მქონდა, არსად არავინ მუშაობდა, კოლმეურნეობა იყო, ფულის საშუალება არ იყო არაფერი. ეს კამეჩიც მოგვიკვდა და რა ვქნა, დავიწყე მუშაობა, ახლოს იყო იქ საავადმყოფო, სკოლის გვერდით ვცხოვრობდით მაშინ (*ანაკლიის ცენტრი*). ჰოდა, წავედი, დავიწყე მუშაობა. მერე საჭმელი, სასმელი გვქონდა, მიტომ რომ მე თავის დროზე სიმინდსაც ვყიდიდი. ი გაპრანჭვის და მოპრანჭვის თავი არ მქონდა (*იცინის*), ჩემი ამხანაგები კი დადიოდნენ სასეირნოდ, რა გინდა სულო და გულო, კამანდრობდნენ [უფროსობდნენ] თავიანთ ქმრებს და რას არ აკეთებიებდნენ... რო დავიწყე მუშაობა, ორი თვის ფული შევაგროვე, ის კი არა, რომ ვიმშობიარე, მერე ამხანაგი ქალი იყო ჩემი (*ბებია ქალი*) და მაგისთვის არ მიმიცია ფული, არ მქონდა და რას მივცემდი.

როგორ გაიზარდა ეს შვილი დედაა, დედაა! საცოდავად გავზარდე, მივცემდი ძუძუს, წამოვიყვანიდი აქეთ, მერე კიდევ ერთხელ წავიდოდი. როცა ვერ წავიდოდი, სამ საათში უნდა მიმეცა, ეს რძე წამოვიდოდა, ლოგინი დამისველდებოდა. დილას მეშინოდა საავადმყოფოში რძით გაფუჭებული თეთრეულის. გაჭირვებულად ეს ჩავაძაღლე, და ახლა ძროხა ვიყიდე, მერე ფულს რომ ავიღებდი, სიმინდს ვიყიდიდი ადრე, იაფი რომ იყო მაშინ, ამით მოვაწყვე ცხოვრება. ჩემი ქმარი, წლისა და ორი თვის იყო ბავშვი, რო ჯარში წაიყვანეს. სამი წელი და რვა თვე დაამთავრა იქ, სამი წელი და რვა თვე ამდენი კაცის რჩენა ჩემი ხელფასით!.. მე რომ ვიტანჯებოდი, მე რომ დღეები მინახია, მაგი რომ გამახსენდება ხანდახან ჭკუიდან შევიშლები მეთქი. რომ დაბრუნდა ჩემი ქმარი, გასუქებული იყო და ძალიან ლამაზი ჩამოვიდა. გახარებული ვიყავი, იქ მაინც იყო კარგად. მოვიდა და სამუშაო არსად არ არი. მერე სადღაც ტყეში სამუშაო არისო და იქ წაიყვანეს საცოდავი, მუშაობდა ერთი ოთხი თვე იყო თუ ხუთი.

ერთ დღეს სამსახურში წავედი მე, დილას დავტოვე სახლი, ჩემი დედამთილი სახლში იყო, ბავშვი იყო – ისიც დავ-

მეზობელი ქალები. 1950-იანი წლები

ტოვე და წავედი სამსახურში. ჩემი ბუხარი გამოწმენდილი მქონდა და არაფრის არ მეშინოდა. ამხანაგები იძახიან, შენსკენ ცეცხლი არისო, ცეცხლი, მე ვიფიქრე, ჩემი დედამთილი სახლშია, ბუხარი გუშინ გამოვწმინდე, და რას მოეკიდებოდა, ალბათ, ვიღაცა მეზობელია-მეთქი და მივრბივარ და მივრბივარ. ამ დროს შემომეგებნენ ქალები, მორბიან ჩემკენ, უიმე, მაგის გახსენებაც არ შემიძლია, მორბიან და ხელი მტაცეს, რა არი, რა მოხდა-მეთქი და ყველას სახურავს ვხედავ და ჩემი სახლის სახურავს ვერ ვხედავ, უკვე დამწვარია! ბავშვი დატოვებული მყავს ერთი წლისა და ოთხი თვის, ჩემი პატარა გოგო, ერთი წლისა და ოთხი თვისაა და დაბორიალებს ისე, თვარა ძალიან გამართულად ვერ დადიოდა. ჩემ დედამთილს დაუტოვებია სახლი, ჩემი ბავშვი მიუტოვებია, მე მგონია, ჩემი დედამთილი სახლშია და რო ვნახე, ცეცხლი ჩემ სახლს უკიდია, მინდა სტოლბაზე [ბოძზე] თავი მივახეთქო და მოვიკლა, მარა ვინ გა-

მიშვა, მტაცეს ხელი, ცხრა კაცს ვეკავე ხელში. ბავშვები მომიყვანეთ! – ვყვირივარ, – ბავშვები მაჩვენეთ! ეს უფროსი ბიჭი წასულა, მეზობლის ბავშვებთან თამაშობდა თურმე. ჩემი დედამთილი ამდგარა და დაუტოვებია უთო გახურებული, მაშინ ნაკვერჩხალის უთო იცოდნენ, ხო, დედა, და ეს დაუტოვებია ბალკონზე გახურებული და სატირალში წასულა. ჩემი ამხანაგი იყო მკვდარი და მე არ წავსულვარ, ამას რა უნდოდა! ყველა ერთნაირი ჭკუის არაა, დაუტოვებია ეს, ბატონო, და ქარია, თებერვალის თვე და უბერავს თურმე, უბერავს და... აჰ დედაა, მოეკიდა ცეცხლი, ამ დროს მოვიდა ეს უფროსი ბავშვი და „ცაცი“ უკიდიაო, ჩემი ქეთო იწვისო, ქეთო! – უყვირია ბავშვს, ერთი ნათესავი ქალი იყო, მაგრამ ხმა არ ქონდა, არც კივილი შეეძლო, არც არაფერი, ვერ გააგონა ვერავის. ამ დროს ერთი მეზობელი შევარდნილა, ეს ჩემი უფროსი ბავშვი გარეთ არის, ყვირის, მაგრამ ეს პატარა იქ შემძვრალა, მაშინ „კუშეტკა“ იცოდნენ და შიგ შესულა, ძაღლი ყავდა, პატარა ლეკვი და თამაშობს იმის ქვეშ. მეზობელი შემძვრალა და ეს ბავშვი სად არიო და ეძებს, აუწია კუშეტკას [ტახტს] და გამოიყვანა ბავშვი. ძაღლი არ არი, დამწვარი ძაღლი რომ ვნახე, კინაღამ თავი მოვიკალი, ჩემი ბავშვები ისე რომ დამენახა, მაშინ ხომ ვერ ვიცოცხლებდი, ნამდვილად თავს მოვიკლავდი. გამოუყვანია ეს ბავშვი, აკვანი გაუბია გარეთ. ისეთი ქარი იყო, სკოლის ეზოში სარეველა მცენარეები გამხმარი იყო და გაეკიდა ამას ცეცხლი. იქ სკოლას არ მოეკიდოსო და იქ ეხმარებოდნენ, აქრობდნენ ცეცხლს და ჩემი სახლი დაიწვა უცბათ. ჩემი ბავშვი თურმე უკან წაუყვანიათ ტყეში სადღაც, ძლივს მომიყვანეს. ერთი საათი ვიტანჯებოდი ბავშვის გარეშე, მე მეგონა, დამწვარი იყო. მერე გამოიყვანეს, ბავშვი მანახეს და არაფერი არ მინდა აწი, ეს ორივე ჩავიხუტე გულში, ვტირივარ, ვტირივარ, ვტირივარ.

ეს ჩემი ქმარი გაღმა არის ტყეში, სადღაც მუშაობს საცოდავი და კაცი გაუგზავნეს იმას, მოვიდესო, რა მოიმიზეზეს, არ ვიცი, ახლა იმის მეშინია, რას იტყვის მეთქი. რო მოვიდა

და დაარტყა ამ დამწვარ ჯირკებს ფეხი, ბავშვები მაჩვენეთ და არაფერი არ მინდაო, მოუყვანეს ბავშვები და აჩვენეს. მერე ჩემი დედამთილი, ხომ სანამ მოვიდოდა, ახლა როგორ უნდა უთხრა სახლი დაიწვაო, მოიყვანეს. ზოგი რომ ყოფილიყო, ვაი, მოკლავდა იმას, მარა... (*იცინის*). ჩემი ბავშვები მე ხელში მიჭირავს და ვუთხარი ქალებს, დედას უთხარით, რომ აგერ არის შენი შვილიშვილები, ცოდვაა მაგი-მეთქი.

მერე ახლა რომ ვცხოვრობ, აქ იდგა ოთხთვალიანი ხის სახლი, ერთი მოხუცი ქალი ცხოვრობდა, არაფერი არ ყავდა, არც შვილი, არც არაფერი და კოლმეურნეობის გამგეობას მისცა ის სახლი. მაშინ ისეთი დრო იყო, როგორც უნდოდათ ისე გააკეთებდნენ, იმ ქალის სახლი კოლმეურნეობამ მიითვისა, უპატრონოსი, ხო იცი. ჰოდა, ის სხვაგან გადადისო, იყიდებაო, მითხრეს მე საავადმყოფოში, დედაა, თუ ასეა მაშინ, დაზღვევის ფულს გვაძლევენ ოთხას მანეთს, მაშინ ოთხასი მანეთი იყო თუ ოთხი ათასი იყო, არ ვიცი, ვისესხე საპროცენტო ფული, მივედი გამგეობასთან და მე მომეცით-მეთქი, ვუთხარი, მომყიდეს, მაგრამ მიწა წამართვა იქ მეზობელმა. ვიწყევლებოდი, ღმერთს ვთხოვდი, მე გაჭირვებულად, ღია ცისქვეშ დარჩენილი ვიყავი, საჭმელი არ მქონდა, სასმელი, ისეთ დროს ნაყიდი. დედამთილს გამოვართვი საპრაცენტოთ ფული, ამით ნაყიდ სახლს, მიწას მართმევს მეთქი და ვიწყევლე, ვიწყევლე იცი როგორ? სანთელი ავიღე, იმას გავუკეთე შავი მატერია ირგვლივ და ვიწყევლე, მეთქი, ასეთ გაჭირვებულ პირობებში, ხელი უნდა რო შეეწყო ისე, წამართვა მეთქი და ღმერთმა ის არ გაახაროს-მეთქი და არც ქმარი დარჩენილა, არც ცოლი და არც მისი შვილი, მთელი ოჯახი ამოწყდნენ. მარტო ჩემ სანთელმა კი არ ქნა მაგი, ღმერთმა ქნა. უჭირს, უჭირს კაცს და მაგას უნდა დააჭირო? არა, იმას უნდა შეუწყო ხელი, დედა.

ჩემმა ქმარმა თქვა, მივატოვებ, არ მინდა ეს სახლი, არ მინდაო. მე თავშესაფარი რამე მქონდეს და რას დავეძებ, მიწა კი არა, არაფერი არ მინდოდა. ისე ვქენით, რომ შევედით იმ ოჯახში. მის მერე ღმერთმა, შენი ჭირიმე, ხელი შე-

მიწყო, ჰოდა, კიდევ ჩემი ხელის ნაშრომი, არ მოგვიპარია არც არაფერი, ყველაფერი მე და ჩემმა ქმარმა ვიმუშავეთ, ვიშრომეთ და ბავშვები გავზარდეთ. გვარიანად შევიწყეთ ცხოვრება, ისე ცოლ-ქმარი ვიყავით ძალიან ტკბილად, გინება არ იცოდა ჩემმა ქმარმა, მაგრამ ერთხელ დედაჩემი მოვიდა აქ, ჩემთან, ჩემი ქმარი რაღაცაზე გამიბრაზდა და იგინა, მარა ისე კი არ იგინა, ახლა რომ იციან. დედა გამიწყრა, შენი ბრალი არისო მაგი, მე დამაბრალა, შენ ათქმევინეო ცუდიო, თუ არა ის არ იტყოდაო, გაბუტული იჯდა რამდენხანს, ჩემზე იყო გაბუტული.

სულ ვშრომობდი, აქეთ რომ წამოვედი (*ანაკლიის შესასვლელთან, განაპირა უბანი ცენტრიდან მოშორებით*), ამ სიშორეზე ფეხით სიარული, ხო წარმოგიდგენიათ. ჰოდა, დავდიოდი ფეხით, ოთხ სულ საქონელს ვწველიდი, ორ კამეჩს, ორ ძროხას.

ბავშვთა მომსახურეობის მედდა ვიყავი, უბანში დავრბოდი სულ, დღეში ორჯელ მომიხდებოდა ანაკლიადან ჭითაწყარში ფეხით სიარული. სად იყო ტელეფონი. ისე კარგად ვმუშაობდით, რომ მეტი არ შეიძლება. ახლა ბავშვი თუ გინდა მოკვდეს, ექიმსაც და ყველას ფეხებზე კიდია, მაშინ რანაირი მუშაობა იყო, თუ ვინმე გახდებოდა ავად, უნდა წავსულიყავი და მომეყვანა მე ექიმი, მანამდე მე უნდა მომევლო იმ ბავშვისთვის, რომ დამეხვედრა ექიმისთვის ან გამეგზავნა (*ექიმთან ზუგდიდში*). ხშირად ექიმის როლს ვასრულებდი, ექიმი სად იყო! ზუგდიდში, რაიონში ერთი ხუთი პედიატრი თუ იქნებოდა, ახლა, თუ ძაან გამიჭირდებოდა იქით წაყვანა ბავშვის, მაშინ ვურეკავდი და იქიდან ჩამოდიოდა გაჭირვების შემთხვევაში, დედა, რა დღე მინახავს! ჩემი ხელფასის ნახევარზე მეტს იმ გაჭირვებულ ოჯახებს ვახმარდი, ეხლა სადაც დამინახავენ, ყველა არაჩვეულებრივი პატივისცემით მომიკითხავს. ჩემი ბავშვების საჭმლები მიმქონდა, ბავშვი უკვდებოდა ქალს საჭმელი არ ჰქონდა, სასმელი, რა მექნა, დედა, ცოდო არ იყო? იმდენი კეთილი საქმე მაქვს გაკეთებული რა ვიცი, ღმერთო, სიმწარე

არ მანახოს, მეტი არაფერი არ მინდა. დღედაღამ თავზე ვედექი, ბავშვი რომ მოგვკდომოდა, ეს იყო რაღაც სენსაცია, იქ მივიდოდა, უმაღლეს (*ინსტანციაში*), არაჩვეულებრივი მუშაობა იყო მართლა. ისეთი ტანჯვა მინახია... ამეღამ მოვიდოდა კაცი, ბავშვი მიკვდება და წამომყევიო, წავყვებოდი ფეხით, თოვლში, ჭყაპში, ჭითაწყარში, ერთი სამი კილომეტრი, წავყვებოდი და მერე ხომ უნდა წამოვეყვანე ფეხით, მარა მეცოდებოდა, არა შენ დარჩი, მე წავალ-მეთქი და მარტო წამოვიდოდი მე. არც ფული მინდოდა მაგის და არც არაფერი, კაცო. საშიში კი არ იყო მარტო სიარული, მე არავინ არაფერს არ მეტყოდა, ფული არ მქონდა არაფერი და მოვდიოდი გზაში, ყველა მიცნობდა და მე ცუდს არაფერს გამიკეთებდა. მაშინ არ იყო საშიში, მერე მხედრიონი და ესენი რომ შემოვიდნენ, ყაჩაღობა, ქურდობა და საშინელება მაშინ იყო, აი, კიტოვანის და იმის დროს ერთ ღამეში ანაკლიაში თვრამეტი ოჯახი გაქურდეს. ისეთი საშიშროება იყო, ხუთი საათის შემდეგ გარეთ ვერ გამოვდიოდით და იმ ძველ დროში არა, ჩვეულებრივად ხალხი ყველა ერთმანეთს იცნობდა, ყველა ერთმანეთს პატივს ცემდა, სხვანაირი პატივისცემა იყო.

აფხაზეთთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა, მე მყავდა ბიძა და ბიძაშვილები იქით, გაღმა, რას ქვია! აქ ვინმე თუ რამეს დააშავებდა, აფხაზეთში აფარებდა თავს, ძმებივით ვიყავით, კაცო, და რა მოხდა, რა გააკეთეს, დაიხოცა ყველა! აფხაზეთის ომის დროს აქ მერე ანაკლია დაბომბეს, აფხაზეთმა დაბომბა, აფხაზეთმა, რუსებმა მაგათ მოუკვდათ თავი, ცეცხლი მოუკიდეს, დაწვეს. მე სამსახურში ვიყავი და პატარა ბიჭი (*შვილიშვილი*) სახლში გვყავდა დატოვებული. ჩემი შვილი და რძალი მიწის დასამუშავებლად იყვნენ წასული, ჰოდა, დაიბომბა, რა ყოფილა, შვილო, რა დღე უნახია ხალხს, დედა, ქვეყანა დაიქცა, ესე ზანზარებდა კედლები. ოხ, დედა, გავიქეცი, ჩემი ბავშვები მოკვდებიან მეთქი, მივედი, სად არიან? ის პატარა (*შვილიშვილი*) თავდაღმა დამხობილა ტუალეტის წინ, რო შევხედე, „გია, გია-

მეთქი!“ – დავუძახე და „რაო, ბებია“ და „ადექი, ბებია, და იქით წავიდეთ, ენგურის პირზე წავიდეთ-მეთქი გაღმა, იქით ცხოვრობდა ჩემი გოგო და იმასთან წავიდეთ-მეთქი და წამომყვა ცოტა ხანს, მომყვება და მერე გაბრაზდა, სად მივდივართო, არა, არაფრით არ წამოვიდა, გამექცა და უკან მობრუნდა. ჩემს შვილს და რძალს კიდევ ცხენი და კაჩკა ენახათ, მოხტომოდნენ და იმით გაქცეულიყვნენ სახლში, იქ რომ ეგულებოდათ ბავშვი. ორჯერ დაბომბეს ანაკლია, ორჯერ. მერე მხედრიონები რომ დადიან, სახლში მისულან ჩემ რძალთან და თოფს ეძებდნენ თურმე. შევიდოდნენ ვითომ თოფებს ეძებდნენ, ხო, იარაღებსა და წაართმევდნენ სამკაულებს ქალებს, მისვლიან ამასთან, თოფი ჰქონდათ, მარა მეც მეშინია თოფის ოჯახში და ჩემ რძალსაც ეშინოდა და გააგზავნა ჭიათურაში. ჩემ რძალს უთქვია, ტყვილად გაირჯებითო, არ გვაქვს იარაღი ჭიათურაში გავგზავნე, იმერელი ვარო და როგორც კი უთქვამს, იმ წუთში მიტრიალებულან და წასულან, სახლში აღარ შესულან, რამ დაიცვა, არ ვიცი. ამ დროს ლტოლვილები გვყავდა აფხაზეთიდან, ოტობაიადან ჩვენ სახლში შემოსახლებული, ნათესავები, ორი ოჯახი იყო ჩვენთან სახლში და ცოდო იმას, ოქროები ხო ჰქონდა გადმოტანილი ქვეყანა, და ბანკაში უნდოდა რომ ჩაედო და ჩაემარხა. ზუსტად ეს მომენტი იყო, რო მივიდნენ მხედრიონელები და ხელში შერჩა, და კიდე კარგი რომ ყურადღება არ მიუქცევიათ, იმ წუთში მიხვდებოდნენ, რომ იმას ხელში რაღაცა ჰქონდა, მარა ჩემი რძლის სიტყვებმა უცბად გააბრუნა ესენი, თორემ საცოდავს გაცლიდნენ ოქროებისგან.

მე მაქვს „ვეტერან ტრუდას“ [შრომის ვეტერანის] წიგნი. იმდენ ხანს ვიმუშავე, თანაც კარგად ვიმსახურე და მომცეს საბუთი და გამაგზავნეს ზუგდიდში, ჰოდა, იქ „ვეტერან ტრუდა“-ს წიგნაკი მომცეს, დამკოცნა იმ კაცმა. ამით პურს მომცემდნენ, ოჩერედში [რიგში] არ დამაყენებდნენ. შრომის ფრონტზე არა, მაგრამ ომის ფრონტზე გადარჩენილი ერთი დაგვრჩა სოფელში მარტო. იმას კი ცემენ პატივს, მარა ჩვენ არავინ არ გვცემს ეხლა პატივს. საავადმყოფოდან წარმად-

გინეს, რომ კარგად ვმუშაობდი, დამსახურებული ვიყავი და მივედი რაიონში და იქ მომცეს ეს. საავადმყოფოში 1949 წლის მაისიდან ვმუშაობდი. მერე სულ შრომაში და ტანჯვაში ვარ. ექთანი ვიყავი, სამოცსაექვსი წელი ვიმუშავე, ოცდაერთი წლის ვიყავი რომ დავიწყე მუშაობა ექთანად და 2003-ში მივატოვე. ისიც შვილიშვილი მომიკვდა და იმიტომ ვეღარ გავაგრძელე, თუ არა, კიდე შემეძლო, ენერგია მქონდა. მერე როგორ იცი? ერთი და იმავე ადგილზე სულ, ბავშვთა მომსახურეობის მედდად რო შევედი, ისე გამოვედი. ახლა ის ბავშვები დიდი ბიჭები არიან უკვე, მკოცნიან ყველა, ფენია დეიდა, გვახსოვს შენი მუშაობაო. ახლა მინდოდა, მე რომ მოვკვდებოდი, იმ დღეს პატარა ბავშვები გამოეყვანათ და ეცეკვათ და ემღერათ, მარა რა ვიცი, ვინ გააკეთებს ამას?

მოვხუცდი, ერთი სამოცდაათი წლის რომ ვიყო ახლა, კიდევ მოვეხმარები ჩემ შვილებს და შვილიშვილებს, მინდა სულით მინდა, გულით მინდა ყველაფერი, მაგრამ აღარ შემწევს ღონე. მალე მივდივარ მაგრამ ამ სიცხეში კაცი შეწუხდება, ისიც მაწუხებს (*იცინის*).

ფოტო გადაიღო და ინტერვიუ ჩაიწერა ცისანა გოდერძიშვილმა.
სოფელი განმუხური (ზუგდიდი), 2016 წლის აგვისტო.

ბაგრატ (ბადრი) ახალაია

დაიბადა 1942 წლის 25 იანვარს სოფელ დარჩელში ბაბუის, მიხეილ კონჯარიას ოჯახში. დედა, ლუბა კონჯარია შვილის დაბადებიდან რამდენიმე ხანში გადავიდა საცხოვრებლად განმუხურში, ქმრის სოფელში, სადაც გაიზარდა და ცხოვრობს ბაგრატ (ბადრი) ახალაია. ბავშვობაში ოცნებობდა ფეხბურთელობაზე, მაგრამ დედამ ერთადერთი შვილი არ გაუშვა თბილისში. ექიმობაც უნდოდა, მაგრამ „სამედიცინოზე მოსაწყობად მაშინ ვის ქონდა ასი ათასი მანეთი“. ასე დარჩა სოფელში, სადაც დღემდე მუშაობს სპორტის მასწავლებლად. სკოლის დატოვებას ფიქრობს ერთ წელიწადში, როცა უსრულდება პედაგოგობის 50 წელი.

დღემდე თვალის ჩინივით უფრთხილდება დედის ნაქონ ყველა ნივთს, მათ შორის ისეთსაც კი, როგორიც ქურთუკის ღილია. მამისგან, რომელიც არ უნახავს, შემორჩა მხოლოდ ფრონტიდან გამოგზავნილი სამკუთხა წერილები და დედის მიერ მოყოლილი ამბები საყვარელ მეუღლეზე.

ჰყავს სამი შვილი და ექვსი შვილიშვილი.

მამაჩემი ბაგრატ ახალაია განმუხურელია. ჩემს ბაბუას ერქვა მიხა. დედაჩემი დარჩელიდანაა[55], ლუბა კონჯარია, მამამისი იყო მიხეილ კონჯარია. ისე კონჯარიები ძირითადად არიან ოჩამჩირედან, სოფელ ჩხედედან. დარჩელის ცენტრი, თავიდან ბოლომდე, საავადმყოფო, ბიბლიოთეკა თურა, ბაბუაჩემის, დედაჩემის მამის, სახლ-კარი იყო. აფთიაქის უკან ჭადარი რომ დგას, ეხლა წითელ წიგნშია შეტანილი, ასორმოცდაათი წლისაა და ბაბუაჩემის მამას დაურგია. აზნაური ყოფილა, ისეთი შეძლებული ყოფილა, ოცდაათიორმოცი ადამიანი მის სახლში დაბინავებულა ერთი კვირის განმავლობაში. დარჩელის ცენტრში, ჯარალუას ეძახდნენ, მარიამობის დღესასწაულზე – მარაშენაზე, თურმე იმართებოდა მოქნევა, მარულა, ისინდი, თარჩია, დოღი და ბოლოს ზემო უბნისა და ქვემო უბნის ლელო. შემდეგ გაკულაკება მოახდინეს და იმ ადგილზე (*ბაბუის სახლ-კარი დარჩელის ცენტში*) იყო კოლმეურნეობის კანტორა, საწყობი, იმის გვერდზე იყო სტადიონი. შემდეგ მეურნეობის თავმჯდომარე იყო ჩვენთან დარჩელიდან, შოთა ანჩაბაძე, ეგენი თავადები იყვნენ, ყველაფერი გაანიავესო, ბიჭო, ყველაფერი წაგვართვესო.

ადრე განმუხურში[56] არ იყო ოთხ წელზე ზევით სკოლა და განმუხურელი ახალგაზრდები დარჩელში დადიოდნენ სასწავლებლად. იქ გაიცნო მამაჩემმაც დედაჩემი. იქ შეუყვარდათ ერთმანეთი, თავიდან არ სდომებია დედაჩემს, მაგრამ მერე რაღაცამ მიკარნახაო და წავედიო და წასულა, გაიპარა. საშუალო სკოლის მერე მამაჩემს ხობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაუმთავრებია, მერე ჯარში წასულა, ოცდახუთწლიან სამხედრო სამსახურში, ბათუმის საარტილერიო სასწავლებელი დაუმთავრებია და ოფიცრის წოდება მიუღია, ბათუმში მსახურობდა და დედაჩემიც იქ წაიყვანა. სიყვარულის გულისათვის გაყვა დედაჩემი. და

[55] დარჩელი – სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში.

[56] განარჯიის მუხური, უფრო მეტად ცნობილი, როგორც განმუხური – სოფელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტში.

მერე სად აღარ ატარა ცხოვრებამ, დასავლეთ უკრაინაში, ახალგასაბჭოებულ პოლონეთში...

მამაჩემი იბრძოდა თეთრ ფინელებთან ომში, 1939 წელს. დედაჩემისთვის უთქვია მერე, ეხლა მივხვდი, რაში ყოფილა საქმეო, ვის ვემსახურებოდიო. თურმე, იქ გმირობა ჩაუდენიათ მამაჩემს და რუს ივანოვს, მაგრამ შტაბის უფროსობას კინაღამ მოუკლიათ ესენი. ორმეტრიანი თოვლი ყოფილა, შტაბი უკან ყოფილა და ესენი ფრონტის წინა ხაზზე. უკვე დაკარგულები იქნებიანო, უფიქრიათ შტაბში, ესენი კიდევ პირიქით შეტევაზე გადასულან და აუღიათ ის ადგილი, შტაბში ეს რომ გაუგიათ და უნახავთ, რომ აღებულია იქ ყველაფერი, თვითონ მიუთვისებიათ ეს გმირობა და ესენი კი კინაღამ მოუკლიათ, რომ არ გამჟღავნებულიყო, რომ ამათი დამსხურება იყო თავიდან ბოლომდე.

მის მერე დას. უკრაინაში მსახურობდა მამაჩემი. დედაჩემი ექთანი იყო, საფერშლო სკოლა ჰქონდა დამთავრებული. სანამ მამაჩემს გაყვებოდა ცოლად, დარჩელის საავადმყოფოში მუშაობდა. დასავლეთ უკრაინაში, ქალაქ ხმელნიცკში, ერთად რომ იყვნენ მამაჩემს უფროსი ლეიტენანტის წოდება ჰქონდა, დედაჩემი კი უფროსი ექთანი იყო. ფეხმძიმედ ყოფილა დედაჩემი. ომი რომ მოახლოვებულა, მამაჩემს ერთი კვირით ადრე სცოდნია ყველაფერი, მაგრამ სამხედრო საიდუმლოება იყო, და წარმოგიდგენიათ, ცოლისთვისაც კი არ უთქვამს არაფერი. ომის დაწყების წინ კაპიტანი იყო, მსროლელთა ლეგიონის უფროსი ყოფილა. ტყვიას ტყვიაზე აჯენდა. რო ჩამოდიოდა, და ქათამი იყო დასაკვლელი, მაგას ეძახდნენ, თურმე. ტანადი იყო, იმის ნახევარიც არა ვარ, მეუბნენიან, აშოლტილი და ლამაზზე ლამაზი.

გამგზავრების წინ დედასთვის უთქვია, თუ გააღწიე აქედან, მიხვედი სახლში და ბიჭი შეგეძინა, ბაგრატი დაარქვიო. თითონაც ბაგრატი ერქვა. ვაენი გარადოკს [სამხედრო ქალაქს] რომ ეძახიან, იქ ყოფილა დედაჩემი. ბოლო ევაკუირება ამათი ყოფილა ქალაქიდან. მაშინ სად იყო მანქანები. ორთვალაზე დამჯდარა დედაჩემი, ორ ჩემოდანში რაღაცა

ბადრი ახალაიას დედა, ლუბა კონჯარია.
1940-იანი წლები

ჩავტენეთ და გამოვიქეცითო. გზაში გვბომბავდნენ და დაახლოებით ოცდაათი ორთვალიდან სულ ოთხი-ხუთიღა დავრჩით და ასე ჩავაღწიეთ სმოლენსკამდეო. სმოლენსკში ბოლო გემი ამ სამხედრო ევაკუირებულ ხალხს უცდიდა თურმე. ბოლო გემი ყოფილა და ქვევით კაიუტებში არსად ადგილი არ ყოფილა და ზევით გემბანზე მოთავსებულან დედაჩემი და სამხედროების ქალები და შვილები. დედაჩემთან მგზავრობდა, თურმე, ქალი, გვარად გულბანი, ორი გოგონა მოყავდა. გზაში ზღვის ღელვა ყოფილა, ყველას ავადმყოფობა დაემართა, ზღვის ავადმოყოფობა. გემმა დაიწყო ჩაძირვა. კაიუტები გავსებულია, ააფეთქეს თუ რა იყო, არ ვიცი, გემი უკვე რომ იძირებოდა, მაშველს ითხოვდა, თურმე და ბოლოს გამოჩნდა თევზმჭერი სეივერი. მაშველი რომ მოვიდა, პირველ რიგში გადაყავდათ ბავშვიანები. გულბანმა იცოდა,

რომ ორსული იყო დედაჩემი, მარა ხო ვერ იყვირებდა და მისცა ერთი შვილი, შენი იყოსო ვითომ. ერთი ორასი-ორას ორმოცდაათი ადამიანი, ვინც გემბანზე ყოფილა და მოასწრო გადაგდება და გადასვლა, გადარჩა. დედაჩემი ზღვის ავადმყოფობის გამო ეგდო თურმე კუთხეში და იმ ქალმა დასტაცა ხელი დედაჩემს პირველად, გადააგდო დედაჩემი, მერე ჩემოდნები, თავისი ბავშვები მერე, მერე თვითონ გადმოვიდა და ჩაიძირა კიდეც გემი. ბეწვზე გადარჩნენ. ის ქალი ქუთაისიდან იყო, მარა სოფელი არ მახსოვს. არაფერი არ ჰქონდათ, გზაში შიმშილით ერთი ბავშვი მომკვდარა და მეორე გადარჩენილა. ვინც ჩამოვიდა ბაქოში, თითო მუჭა მიწა ყველას შეუჭამია, მიწაზე რომ ვდგავართო. დედაჩემი მერე გამომგზავრებულა და პირველი ევაკუირებული ქალი ყოფილა ზუგდიდის რაიონში. მაშინ კომისარი ყოფილა კაკო წულეისკირი, დაყავდა დედაჩემი ზუგდიდის რაიონში ყველგან, აი, პირველი ქალი, ვინც ჩამოვიდა სამამულო ომიდანო. მოვიდა დედაჩემი დარჩელში, თავის სახლში, მამამისის სახლში, ეხლა წყალი რომ ამოდის, იქ. იქ დავიბადე.

წერს თურმე მამაჩემი, დედაჩემზე, ჩამოვიდა თუ არაო, სამკუთხა წერილები ახლაც გვაქვს შენახული. წერენ იქით, რომ ჩამოვიდა, ბიჭი შეგეძინაო, მაგრამ წერილებს ვერ ღებულობს. ტყვედ ჩავარდა ერთხელ მამაჩემი, ტყვეობიდან გამოიქცა და წერდა ისევ დედაჩემს, რამდენი წერილი მოვიდა! ბოლოს გააგზავნეს ერთი წერილი, ჩემი თითის ანაბეჭდით, რომ ბიჭი დაგებადაო და მარტო ის წერილი მიიღო მამაჩემმა. მოაწერა ხელი უკან, ახლა ჩემი ცხოვრების გამგრძელებელი მყავს და აწი არაფერი არ მიჭირსო, ეხლა მე უფრო ვიბრძოლებ სტალინისთვის, სამშობლოსთვის. ვიცი, რომ ჩემი სისხლი აგრძელებს ჩემს მიწა-წყალზე ცხოვრებასო და დაიკარგა მას მერე მამაჩემი. მაგრამ ვიცი, რომ 1944-ში მამაჩემი ცოცხალი იყო. 1964-ში ადამიანი მოვიდა დარჩელში სამუშაოდ. ერთმა მუშამ გამოიკითხა, რა გვარები არიან ამ სოფლებშიო, და რომ უთხრეს, ახალაიებიო, ახალაია ჩემთან იყო კაპიტანი, ტყვეობაშიო – იმ

კაცმა თქვა მერე. დამიძახა მეზობელმა, რომ მოდი, რაღაცა ამბავი არისო, მამაშენის სურათები წამოიღეო. წავიღე მამაჩემის სურათები, ორი სურათი იყო მარტო მამაჩემის, ერთ-ერთი სურათი იყო ძველებურ ბუშლატას რომ ეძახიან, იმაში ჩაცმული, დანარჩენი მეზობლების სურათები იყო. ჩვენ ქუჩაზე დაახლოებით რვა-ცხრა ოჯახია და თორმეტი კაცია აქედან უგზო-უკვლოდ დაკარგული. რომ მივედი, ის მუშები ბოსელს აშენებდნენ. შორიდან დამინახა თუ არა, შენ ხარ შე შობელძაღლოო, დამიძახა. ათასი კაცი ირეო-და, მაგრამ შენ ალი და კვალი მამაშენის ხარო. გაქვს სუ-რათებიო? კი მეთქი – მე ვუთხარი. დავაწყე სურათები და მამაჩემის სურათი ბოლოს დავდე და, აი, ეს იყოო ჩემთან. ეს იყოო 1944-ში, ჩვენ გაგვათავისუფლეს ამერიკელებმაო, მამაჩემზე თქვა, დარჩაო იმ ამერიკელებთან და მე აქეთ წამოვედიო. როგორ გადარჩი-მეთქი და ჭკუიდან შეიშალა კაცი, დამანებე თავი არ მითხრა, არ მითხრაო! ორი ბიჭი მოყავდა მაგას სამუშაოდ, მოგვვარდნენ ისინი, რომ აკან-კალდა კაცი და დავარდა. წადი, ბიჭო, აქედან ეხლავეო, ვერ ხედავ, მამაჩემი გაგიჟდაო. თურმე, ეშელონს გამოყვა აქეთ, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. არ ვიცი, სად იყვნენ ტყვედ, თორემ მამაჩემს მოვძებნიდი მე. მამაჩემი გაყოლია ამერიკელებს, რა ადგილი იყო, არაფერი არ ვიცი. არც წერი-ლებში წერია მისამართი.

მე მახსოვს კაცის ნალაპარაკები, ხუხუტი ბუბუხიასი, „ტყვედ ნამყოფები, რომლებიც გადარჩნენ და უთხრეს ამე-რიკელებმა და ინგლისელებმა, ვისაც გინდათ საბჭოთა კავ-შირში წადით და ვისაც გინდათ დარჩითო. ვინც აქეთ წა-მოვიდა და გავიგეთო, რომ აქ რა გველოდაო, ერთმანეთი დაუხოციათ ბიჭებს, როგორც წყალი, ისე მოდიოდაო სის-ხლი“. „როგორც კი საბჭოთა კავშირის საზღვართან მივედი-თო, – მურმან ფარულავას მამამ მითხრა, – პირდაპირ შახ-ტში გვიკრესო თავი. რომელი შახტია, მე არ ვიცი, მაგრამ თვრამეტი წელიწადი გაატარა მაგან იქ. მაინც გამოვიდა იქიდან. ძველებური ბუშლატი ჰქონდა მაგას, ის ჰქონდა

გაჭრილი და შუაში ჰქონია ბიჭების მისამართები, ვინც მასთან იყო. იმისმა შვილმა მითხრა, რომ მამაჩემი ყვებოდა განმუხურელი ახალაიების ამბავსო. ი ბიჭი კიდო ჩვენთან მზარეულად მუშაობდა და „ბიჭო ამდენი ხანი ჩვენთან სკოლაში მუშაობდი, ვერ მითხარი თქო?!“ „რა ვიცოდი, ვინ იყვნენ ერთიო“ (*ხელი ჩაიქნია ზერელე პასუხის ნიშნად*), „მაინც მაინტერესებს, კაცო, მაჩვენე, სადაა მამაშენი-თქო“, იქით ტყეში შეშას ჭრისო. წავედი და მაინცდამაინც ტყეში არ მოკვდა ის კაცი შეშის ჭრის დროს! დამეკარგა კვალი. სადისტური წესი ჰქონდა საბჭოთა კავშირს, რას უშლიდნენ ის ტყვედნამყოფები. რიგითები კიდე გადარჩნენ და წოდება ვისაც ჰქონდა – ისინი არა.

მახსოვს, 1947 წელშიც ადიალა [საბანი] ჰქონდა შეკრული დედაჩემს, ერთი კვირის განმავლობაში იმ ადიალაზე, იმ ფუთაზე იჯდა და დღე და ღამ ტიროდა. ის ფუთა მახსოვს, ოთხად იყო გამონასკვილი, ზედ იჯდა და ტიროდა ერთი კვირის განმავლობაში. ეგზეკუციასავით იყო მაშინ, ყოველ წუთს ველოდებოდით გადასახლებას, ჩამოსულები იყვნენ თბილისიდან და ძიობდნენ, ვინ იყო ტყვეობაში, თბილისიდან ჩამოსულებს სია მოქონდათ და დედაჩემთან მოვიდა სიგნალი, რომ ასე-ასე ეძებენო ტყვედ ჩავარდნილების ოჯახებსო. შუა აზიაში ასახლებდნენ ოჯახიანად, ვინც ტყვეობაში იყო. დედაჩემი ამბობდა, აფიცრებს ნაბრძანები ჰქონდათ, თუ ტყვედ ჩავარდეთ, ერთი ტყვია, შენ თვითონ თავშიო (*მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს იდებს საფეთქელთან*). ჯარისკაცებს – არა. რამდენი გადაასახლეს არ ვიცი, ტყვედნამყოფი ბევრი გადაასახლეს მახსოვს. რომ მიაკითხა დედაჩემმა კომისარიატში ბოლოს, 1947-ში, იმ კაცმა უთხრა, ლუბა გადარჩენილხარო და წადიო. გადავრჩით, არავინ არ მოსულა. ოო, რამდენი იწვალა დედაჩემმა, რამდენი! ამდენი ნერვიულობისგან ალბათ, დედაჩემს თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული დაემართა და 1947-ში გაუკეთა ეგნატე ფიფიამ ოპერაცია, თხის ნაწლავი გადაუნერგეს. მე მეზობელი ქალი მივლიდა ორი თვე. ჯარში რომ ვიყავი, 1962 წელს კიდო, არა-

ფერი არ თქვა შვილო, არაფერიო, მეუბნებოდა დედაჩემი. გაჩერდითო მითხრა, ლოსი გაბუნია იყო მაშინ ფინანსისტი სამხედრო კომისიაში, გაჩერდიო, არაფერი არ თქვა შვილო, გაჩერდიო, შეიძლება ცოცხალი იყოს (*რესპონდენტის მამა*) და ძირიანად გაგანადგურებენო. უნდა გავჩერებულიყავი და გავჩერდი მეც. ასე დაიკარგა მამაჩემი.

გული მაშინ დამწყდა, ერთხელ მითხრა დედაჩემმა, ამის მოყვანამდე (*მეუღლე*), შვილოო, მოდი აქო, რა გინდა მეთქი და, სანთელი დააწყო, ყველაფერი და, დღეს მამაშენს სანთელი დავუნთოთო. რა ნახა, რა სიზმარი თუ რა იყო, დღეიდან გათავდა შვილოო, იმ დღეს ჩემი გული მოკვდა. ეს დაახლოებით, 1971 წელში იყო.

ვფიქრობთ, ამერიკელების ჯარს გაყვა, რადგან მე არ შემიძლია, აქეთ მოსვლაო. იცოდა, რომ ცოლ-შვილი დატოვებული ყავდა და ან გადაასახლებდნენ, ან... თხუთმეტი წელიწადი იმ კაცმაც გაატარა კატორღაზე და შენ როგორ მოხვედიო, მე რო ვუთხარი მაშინ, გაგიჟდა, კომაში ჩავარდა კაცი. ახლაც მახსოვს, საჩხერის რაიონის სოფელი ჩიხა, ალექსანდრე იაკობაშვილი. მისი შვილები ჩემი ხნის იქნებიან. მეშინოდა მერე, ისეთი ამბავი იყო, ყველაფერს წაგვართმევდნენ, ცოცხალი რო ყოფილიყო მამაჩემი, ყველაფერს გამოქექავდნენ. ის კი არა, ტყვედ ვინც ჩავარდა, უბრალო, რიგითიც რო მობრუნებულა, არ მოუღწევია საქართველომდე. საქართველოში კი იყვნენ მარა, ეშერის ჯურღმულებში აღმოხდათ სული. არავინ არ იცოდა, რომ ისინი სად იმყოფებოდნენ. თვითონ იმათაც არ იცოდნენ. დედაჩემსაც ჰქონდა ციანიდი გამოკერილი საყელოზე, ეგრევე კლავდა. შეიძლება მამაჩემიც წამოვიდა და დაიჭირეს ან რაღაცა, იმიტომ რომ არ არსებობს, ამდენი წლის შემდეგ იქნებ შვილი ჰყოლოდა, ვინმე არ მოგვძებნიდა მეთქი?! შეიძლება, წამოვიდა ისიც და აქ სადმე ეშერის[57] ჯურ-

[57] ეშერა — სოფ. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სოხუმის მუნიციპალიტეტში. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

ღმულებში გარდაიცვალა, არავინ არ იცის. ეშერა გასაიდუმ-ლოებული იყო. იქ მუშაობდა თურმე ბებიაჩემის დის შვილი ფენია, ლაბორანტად. აბა, რუსებს რათ უნდათ ეხლაც აფ-ხაზეთი, მიწა-წყალი და სილამაზე კი არ ხიბლავთ მაგათ. მანდ ბირთვული იარაღის გამოგონებაზე რამდენი ხანია მიდის... ბებიაჩემის დისშვილიც გასაიდუმლოებულ ქიმი-ურ ლაბორატორიაში მუშაობდა ქვემოთ. ისე გარდაიცვალა, მისმა ქმარმა და შვილებმაც არ იცოდნენ, სად მუშაობდა, ეგონათ, ჩვეულებრივ დაწესებულებაში. იმისგან ვიცით, რომ როგორც ციხეები, ისეა დაყოფილი ქვევით-ქვევით, სართულების მიხედვით და იქ ამუშავებდნენ ჯურღმულში ხალხს. მამაჩემიც შეიძლება აქაც იყო და შეიძლება კამჩატ-კაზე, არავინ არ იცის. ისე ეშერაში, ქართველები კი არა, მეგრელებიც იყვნენ ვიცი. დედაჩემის ბოლო, უმცროსი ძმა, ვალიკო კონჯარია, გაყალბებაზე, უმნიშვნელო რაღაცაზე დაიჭირეს, მაღაზია ჰქონდა თავისი. იქ წაუყვანიათ, იქ იყო ციხე პატარა. ისეთნაირი კაცი იყო, მიდგომა კარგი ჰქონდა ყველასთან, და უფროსებთან უფრო კარგად რომ იყო, ერთ-ერთს წაუყვანია, ეხლა რაღაცას გაჩვენებო, შესასვლელთან რომ მისულან, უფროსს უთქვია, ეხლა აქ გაჩერდიო, ქვემოთ ჩავალ და მალე მოვალო, გავჩერდი, ვუყურებ რამდენ ხანსო და სორე თედი დაშმე – სად არის ეს კაცი ამდენ ხანსო, მეგ-რულად დაუძახნია ხმამაღლა. იქიდან, ქვევიდან ამოუძახია ვიღაცას, მეგრელი ხარ, ბიჭო, მეგრელიო?! – ჯურღმული-დან ყვირის ვიღაცა, პატიმარი. „კი, ვარ, კიო“, – „ბიჭო, ერ-გეტიდან ვარ მე და გადაეცი ჩემ მშობლებს, ცოცხალი ვარ, ცოცხალიო! და ესენი კიდევ არიან აქ ჩვენი...“ და მანამდე მოსულა ის კაცი და „გაიგონე რამეო?“ „არა, არ გამიგონია, არაფერიო“, თორემ იმასაც არ გამოუშვებდნენ იქიდან. ეს, დაახლოებით, 1956-57 წლებში მოხდა. მე პატარა ვიყავი. 1965-67 წლებში, გვიან თქვა უბრალოდ, ასე ოჯახში, თო-რემ იმათ, ვინც ამოძახეს ცოცხალი ვარო, იმათ მშობლებ-საც ვერ ეტყოდა, ვერ გაახმოვანებდა. ამაზე ეხლაც არ შეიძლება ლაპარაკი. ტყვეებიც, გერმანელები, რომ ეგო-

ნათ რომ გაუშვეს, ბევრი იქ ჩაიხოცა, გასაიდუმლოებულ კატაკომბებში და ჯურღმეულებში. ისინი აზრზე არ იყვნენ საქართველოს მიწა-წყალზე იმყოფებოდნენ, თუ სად. ხო ჭირდებოდათ მუშა ხელი, რომელსაც მერე თავიდან მოიშორებდნენ, ისინი რომ გამოსულიყვენენ, არ აწყობდა არც ერთ მთავრობას. აფხაზეთში გერმანელ ტყვეებს ისეთნაირად აუშენებიათ შენობა სოხუმში, აი, ასეთნაირად, ასეთნაირად და მერე ასეთნაირად (*ორივე ხელის მოძრაობით „ხატავს“ სვასტიკას*), ზემოდან თვითმმფრინავს შეეძლო დაენახა ნიშანი, რომ ამათი გაკეთებულია. მერე მიუხვდნენ ჩვენები. ეხლაც აფხაზეთის არეულობა რომ იყო და მორბოდნენ ჩვენები, დახვდა აქ ჩვენი ჯარი და დაიწყეს დაბომბვა რუსების, ეშერის ტერიტორიაზე რომ გადავიდნენ ჩვენები, რუსებმა უთხრეს, ამას ნუ დაბომბავთ, თორემ გადაგთელავთო. და რომ დაიწყეს პირველად დაბომბვა, ჩვენები მთლიანად გაანადგურეს, იმ ტერიტორიაზე არავინ არ შეუშვეს. ღმერთმა იცის, ეხლა კიდო რა არის იქ.

ძირი ოჯახი ესაა ჩვენი (*რესპონდენტის სახლი*). ბაბუაჩემს ჰქონია ეს მიწა მამაჩემისათვის. რა უნდა ექნა დედაჩემს, მაშინ საჭმელი არ გვქონდა არაფერი, დედაჩემს მისცეს მიწა, ათას ხუთასი კვადრატული მეტრი, როგორც სამხედრო მოსამსახურეს, მისცეს და ამისთვის კინაღამ გააციმბირეს საბჭოს თავმჯდომარე, რატო მიეციო. კაკო წულეისკირმა ითანამშრომლა რაიაღმასკომთან, თუარა, გაანადგურებდნენ მაგასაც. არ აძლევდნენ მაშინ არავის მიწებს და მით უმეტეს სამხედროებს, სახელმწიფოს საკუთრება იყო. აქ გაუვალი ტყე იყო და აქ დასახლდა გაჭირვებული. დედაჩემი პირველი იყო, ვინც ამ ქუჩაზე დასახლდა. ტურები მოდიოდნენ თურმე. ღამე რომ გადაბრუნდებოდა და ზურგს შემაქცევდა, გადმოვღოღდებოდი თურმე და წინიდან დავუწვებოდი. სიმინდის ფქვილით გამზარდა.

ნატო ვაჩნაძესავით ქალი იყო. დარჩელში ქალები ამბობდნენ, ლუბა რომ მოდიოდა კონჯარია, ჩვენ თხილში ჩავწვებოდით და ვუყურებდით, ფერია მოდისო, ისეთი ლამა-

ზი ქალი ყოფილა. ამათი ჯიშია, რაღაცნაირი თეთრი კანი ჰქონდათ ამ კონჯარიებს. მაგისი დაც, ანეტა, თბილისიდან რომ ჩამოასვენეს და დარჩელში დაასაფლავეს, მთელი დარჩელი მოდიოდა მაგის სანახავად. მაგისი (*ანეტას*) შვილები, ბიჭები რომ სწავლობდნენ თბილისში და საღამოთი გამოდიოდნენ სასეირნოდ, ყველა მაგათ უყურებდა, ისეთი ტანაშოლტილები იყვნენ თურმე.

დასახლდა აქ, დედაჩემი გაჭირვებით, თავისი მეობა, თავისი სიწმინდე, ადამიანობა, კოლხური სილამაზე მამაჩემს შესწირა და მე შემომწირა. მთელ დარჩელს, განმუხურს საარაკოდ ჰქონდათ დედაჩემის ამბავი. არ გაყვა არავის. ამისთანა ქალი! თავდადებული, გულღია, ალალი. მთხოვნელები ყავდა ბევრი, ოო, რამდენი, რამდენი! იყიდა პატარა სახლი სამი სამზე და იქ გავიზარდე. ეხლახან დავჭერით ის მორები, შენახული მქონდა ამდენი წლის განმავლობაში. რამდენი იწვალა, თავისი ხელით გააკეთა ტრიფოლიატის[58] ღობეც. თავისი ყველაფერი აქ ჩაიმარხა, უცდიდა მამაჩემს. ელოდა, მაგრამ სულ მეუბნებოდა, არა თქვაო.

რო გამახსენდება ჩემი ბავშვობა, სად გვქონდა სასმელ-საჭმელი, ჩანთა მქონდა კიდო, მერე შვილიშვილებმა დამიხიეს, თორე შენახული მქონდა, ნაჭრის ჩანთა იყო და გარეთ მელანი, „ჩინურ“ პეროს ეძახდნენ მაშინ, იმისგან იყო შეკერილი და იმით დავდიოდი სკოლაში.

დედა დარჩელში არ დარჩენილა. რვა და-ძმა იყვნენ, ბოლო იყო დედაჩემი. აი, მისი და-ძმების სურათები (*მაჩვენებს სურათებს საოჯახო ალბომიდან*). მაგრამ იმათაც რა ჰქონდათ! მამის მამაც გააკულაკეს, ცოტა შეძლებული გლეხი იყო და მიწები წაართვეს, აღარაფერი დარჩა და ისევ აქ მისცეს მიწა დედას. ჩიჩქნიდა დღე და ღამ, აკეთებდა, მუშაობდა.

ბაბუას გასვენება მახსოვს, სამი წლის ვყოფილვარ. მე მომქონდა, ვენოკს [გვირგვინს] ეძახდნენ მაშინ. მე, პატარა ბავშვს მომქონდა ვენოკი. ნაშუადღევი იყო. დედაჩემი და

[58] ტრიფოლიატი – ველური ციტრუსი.

ბებიაჩემი მიდიოდნენ წინ და ყვიროდნენ, კიოდნენ. დიდი ვაშლი იდგა კართან, ასე მახსოვს, და ხის ჭიშკარი იყო. გასვენების დროს ეზო ცოტა ატალახებული იყო და ფიცრები დაუგიათ უკან, ქალების ადგილზე, მე რომ დამინახეს, „საყვარელი ბავშვი“ (*ამბობს მოფერებით, ანსახიერებს მომსვლელებს*), ხურდები მაჩუქეს, ის ხურდები ჩამივარდა ქვევით, ფიცრებში, დავიწყე ბღავილი, ვბღაოდი, ვბღაოდი. დედაააა, ბაბუა როგორ ყვარებიაო! თავს მევლებოდა დიდი და პატარა. არადა მე კიდევ მიწაში ვიქექებოდი (*იცინის*). აეს მახსოვს.

დედაჩემი მკაცრად მზრდიდა. ისეთი ქუჩა იყო, ყველა – მამაკაცები ჯარში იყვნენ, ვინც წაიყვანეს, არცერთი არ დაბრუნებულა. უმეტესობა ჩვენიდან ქერჩში დაიღუპა, მამაჩემის ძმა კიდო ქერჩში დაიღუპა. ჯოჯოხეთი მახსოვს, ჯოჯოხეთი. მარტო ერთი ჩამოვიდა, ისიც ბაქოში ყოფილა გამწესებული, თურქები რომ არ შემოსულიყვნენ იქ. დანარჩენი უმამო შვილები დავრბოდით იქეთ-აქეთ და ეშმაკობებს ვაკეთებდით. მეოთხე კლასელი ბავშვი თუთუნს რომ ეწეოდა, როგორი იქნებოდა. ჩვენებური თუთუნი როა, იმას ვჭრიდით, ამ ქუჩაზე დაახლოვებით შვიდი-რვა ბიჭი ვიყავით მეხუთე-მეექვსე კლასელები, პირველ კლასელს ვინმეს წაართმევდნენ წიგნს და კაი დედმამიშვილი იყო, ერთი ეთქვა ვინმეს რამე! ერთი ჯგუფი ვიყავით, იმას მოვსრესდით, გავახვევდით, კაი დიდი გამოდიოდა, ვწვებოდით მდელოზე და ვწევდით...

მიწა ვის ჰქონდა! ყველაფერი სახელმწიფო საკუთრება იყო. ამ სახლის (*რესპონდენტის სახლი*) იქით თხილნარი იყო, ყარაული ყავდა და ვინ შეგიშვებდა! თხილს რო მობოჭავდნენ და დარჩებოდა რამე მიწაში და ამოვიდოდა, იმას ვჩიჩქნიდით და იმას ვჭამდით, თორე, ვინ შეგიშვებდა! დიდი და პატარა კოლმეურნეობაში მუშაობდა. პირველად მახსოვს, აქ თუთუნის პლანტაციები იყო და შრომადღეზე იმას აძლევდნენ მოსახლეობას მაშინ. მერე ცოტა რომ მოღონიერდა, საწყობები გააკეთეს, სიმინდის მესამედს აძლევდნენ ხალხს. ნამუშევარი სამი კალათიდან ერთი კალათა იყო შენი.

ჰოდა, იპარავდა ხალხი, სად ეყოფოდათ. მერე კოლმეურნეობა მეურნეობად რომ გადაკეთდა, ცოტა სული მოითქვა თუ არა, ან სად იყო გზა, ტალახი, მუხლებამდე ტალახი იყო, ძლივსღა დადიოდა ხალხი. ეხლა ბედნიერებაა, ეხლა კიდო ვტირივართ! თუ არა, მაშინდელთან შედარებით ეხლა კომუნიზმში ვართ. დიდი და პატარა ჩაიზე მუშაობდა. კოლმეურნეობაში მიწები ჰქონდათ დარიგებული ბრიგადირებს, ნარაზენია სოფელი, ფიჩორი, ზედა ეწერი, დაყავდათ აქეთ-იქით ქალები.

დიდი კვალი დატოვა საბჭოთა პერიოდმა, დიდი დაღი. მამაკაცის საქმე, ოჯახი, მონური საქმე, ყველაფერი ქალს აწვებოდა. დაჩიავებული დადიოდნენ მერე, უჭირდათ, მაგრად უჭირდათ. დედაჩემის ისტორია იმით განსხვავდება, რომ დედაჩემი დადიოდა (*სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებში ცხოვრება*) და ესენი აქ ადგილობრივ იყვნენ ჩაყუჟული და მაგათი განათლება და განვითარება შორს არ მიდიოდა. ჩვენ ოთხი-ხუთი გაზეთი ყოველთვის გამოწერილი გვქონდა და ჩვენს ოჯახში ინახებოდა „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ლელო“, „სოფლის ცხოვრება“. კითხულობდა, კითხულობდა და დღედაღამ კითხულობდა დედაჩემი. ჩვენთან მოდიოდნენ დიდი და პატარა, მაშინ პაპიროსი სად იყო?! ბადრი გააქვთ გაზეთიო? – თუთუნის შესახვევად. ჩვენც ვაძლევდით ყველას. ეს სოფლის ქალები კი იქიდან (*რაიონის ხელმძღვანელობა*) რაღაცას დაურეკავდნენ და მიუთითებდნენ, სულ იმას ასრულებდნენ. მაშინდელი ცხოვრება გაუტანელი იყო, მახსოვს, რომ დაკერებული კი არა, ფეხშიშველი დადიოდა ბავშვი. მეც 1958-ში სკოლას რომ ვამთავრებდი დედაჩემმა მიყიდა კასტუმი დიდი, არ ჰქონდა საშუალება, ქვემოდან მოვაჭერი, მაინც კიდო დიდი იყო. კიდო მოვაჭერი, კიდო და ხელის ჩასაყოფი გაიხა (*იცინის და მანიშნებს ჯიბის სარჩულის ადგილს*). ასე იყო, დიდი იყიდა, რომ გაიზრდება და ეგონა, კიდო გამოადგებაო.

რამდენი ცუდი გაუკეთეს დედაჩემს, ჩვენს ოჯახს და... თვრამეტ წლამდე (*რესპონდენტის ასაკი, სანამ თვრამეტი წლის გახდებოდა*) აქ პატარა მიწა იყო და ტრიფოლიატის დაწ-

ნული ღობე გვქონდა გაკეთებული. სკოლა რომ დავამთავრე, თურმე იმ წუთშივე უნდა მოემატებინათ ათასი კვადრატული მეტრი ჩემთვის, ისე ათას ხუთასი კვადრატული მეტრი გვქონდა. ერთი ოჯახია გვერდზე, მაგათი მამა ორი წლის განმავლობაში იმას ჭამდა თურმე, რაც ჩვენ გვეკუთვნოდა (იმ ათასი კვადრატული მეტრიდან არსებული თხილნარიდან შემოსავალი). თან ახლობელი იყო ის ადამიანი და არასდროს არ დაუწყევლია დედაჩემს. მეურნეობის დირექტორმა მომიზომა ზუსტად ათასი მეტრო, რომ გეუბნებოდით თავადები, ანჩაბაძეები, ის კაცი იყო აქ მეურნეობის დირექტორად, ნათესავი იყო დედაჩემის მხრიდან. მისი დედა, დედაჩემთან საავადმყოფოში დამლაგებლად მუშაობდა თურმე, რო ერჩინა თავი, რა უნდა ექნა გაჭირვებულ თავადის ქალს, გაკულაკეს და არაფერი არ დაუტოვეს. ის ისეთნაირი ქალი ყოფილა, დედაჩემი ამბობდა, ყოველთვის სოფლის ტიტლიკანა გოგო-ბიჭები რომ შემოვიდოდნენ, ადგებოდა და მობრძანდი შვილოო. არა გცხვენია, რას ეუბნები შენ, თავადის ქალიო?! არაო, შენგან უნდა ისწავლოს ამან ადამიანობაო. წარმოგიდგენიათ?! ჰოდა, მერე გახდა მისი შვილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მერე ისწავლა იმ კაცმა, კაცი გახდა. რო ნახა, ზუსტად ათასი მეტრო და ორი მწკრივი თხილნარი მოგვიმატა. ეს ეკუთვნის ამას და არა გრცხვენიათ თქვენო?!

ეხლაც ვგიჟდები ისეთნაირად გვაწამებდნენ, გვპარავდნენ. თუთის ნერგები გამოვიტანეთ და დავრგეთ ერთი ხუთიათასი ძირი. აბრეშუმისთვის უნდოდა დედაჩემს და მერე გაყიდდა, აბრეშუმს მაშინ ფასი ჰქონდა გადასარევი. პატარა ვიყავი მახსოვს. ისიც მოგვპარეს, ვიცი ვის ოჯახებშიც იყო დარგული, მაგრამ ენა სად უნდა მეთქვა, შეიძლება მე მომკლან მეთქი და... ეხლა იმათი შვილები ჩემთან კარგად არიან და როგორ უნდა ვუთხრა. ისინი წავიდნენ თავისი ცუდით და კარგით. ყველას ვეუბნები, ნუ ესვრი წარსულს თოფს, თორემ მომავალი ზარბაზანს დაგიშენს-თქო.

სულზე მოგვისწრო მუშმალამ, რგავდა ყველაფერს დედაჩემი, რომ სხვაგან არ წავსულიყავი და არ მომეპარა. აბ-

რეშუმს მერეც ვაბარებდით დარჩელში, გვინდოდა თანხა და დარჩელში ვაბარებდი.

დედაჩემი მორწმუნე იყო ძალიან. ასე იტყოდა: „რო ნახავ ეზოში ვინმესთან ქათმებს, თქვი ღმერთმა გიმრავლოსო, იმას თუ შურს შენი, იმას არაფერი და შენი ლოცვა შენ დაგიბრუნდებაო“. ეკლესიაში დავყავდი, ილორში. ეკლესია ყოფილა დარჩელშიც, სასაფლაო რომ არის იქ, ჯვარი ჩამოუგდია იქაურ ხალხს, სამი კაცი ყოფილა. ანტონი არნანია იყო სოფლის პოეტი, დარჩელის გაზეთის დამაარსებელი, დედაჩემის მეგობარი იყო, ერთად სწავლობდნენ, ბავშვობის სურათში არის კიდევ ის კაცი ასახული, ისიც ყვებოდა, მღვდელი გაკრიჭეს და ჯორზე შეუსვამთ უკუღმა. ჩემი თვალით ვნახეო, დედაჩემი ამბობდა, დასცინოდნენ დიდი და პატარაო. ვინც ჯვარი ჩამოაგდო ორის ოჯახი დაიწვა, ერთი გაგიჟდაო, და დედაბუდიანად ამოწყდა მათი ოჯახიო. ეკლესიური იყო დედაჩემი, მაინცდამაინც არ იკრძალებოდა, კი არ სდევნიდნენ სოფლებში მაინცდამაინც, არა. გულკეთილი იყო, ყველას შემწე, დიდის და პატარის. სულ მეუბნებოდა, გაჭირვებულს მიხედე, თორემ დალხენილს არაო, ხვალ და ზეგ როგორ იქნება კაცის ამბავი, არავინ არ იცისო.

არ არსებობდა ნაქურდალი რომ შეეჭამა. ომიანობას ძალიან რომ ჭირდა, გვერდზე მკვიდრი ბიძის სახლი იდგა. ერთ წელს ძალიან კარგი ატმები ესხა. იმას ყიდიდნენ, რომ ბავშვებისთვის ეჭმიათ. გავაკეთე ხვრელი, პატარა მაისური მეცვა, ჩავიყარე უბეში ატმები, ვინ დაგიდევდა ატმის ბუსუსებს და მოვიტანე სახლში. რო დამინახა დედაჩემმა, არც ამომაღებინა, ხომ შეეძლო ეჭამა, იმდენი იყო! წამიყვანა ყურით ბიძის სახლამდე, მიმიყვანა ბებიასთან, ჩემს ალალ ბებიასთან. გადაირია ბებია, შენ როგორ ცემე ჩემი ერთი კაკალი ბაგრატის შვილიო?! არა, ეს ნაქურდალია და არ მინდა მიეჩვიოსო.

ერთი ამბავი კიდევ მახსოვს, შურდულს ვისროდი ისე, ტყვიას ტყვიაზე ვაჯენდი, მოვკალი მეზობლის იხვი. რუსი იყო ის ქალი, მოვარდა და „შენმა შვილმა მამალი იხვი მო-

მიქლაო, შენი დედა ვატირეო, მეო“. აქ ორი ბოძი იყო სახლთან. იმ ბოძთან დაყარა დედაჩემმა სიმინდი, დამაჩოქა, მიმაბა ბაწრით საღამოს და დილამდე არ ამიშვა. და თვითონ გვერდით მეჯდა. მერე ლეიბი გამოიტანა და გვერდით იწვა. ბრიგადირი მოდიოდა დილას უთენია, შეხედა ამას და გადაირია, იმან ააშვებინა. სიმინდები შიგნით მქონდა შესული (მაჩვენებს მუხლის თავებს). ასეთნაირად მზრდიდა, თუ არადა ბავშვი უმამოდ გაზრდილი... რვა კაცი იყო ამ ქუჩაზე დაღუპული და უპატრონოსავით დავრბოდით აქეთ-იქით.

სკოლა დამამთავრებინა, საბუღალტრო სკოლა დავამთავრე 1959 წელს. მერე ფიზკულტურის ინსტიტუტში შევედი. მოქმედი სპორტსმენი, ფეხბურთელი ვიყავი, მძლეოსანიც ვიყავი. აი, ქაცვიანი ფეხსაცმელი, ადრე შიპოვკებს ეძახდნენ რუსები (*გამოიტანა გვერდით ოთახიდან და მაჩვენებს ფეხსაცმელს*). 1952 წელში საკავშირო პირველობაზე პირველი ადგილი რომ ავიღე, ის დიპლომი და ეს ფეხსაცმელი ჩამოვკიდე კედელზე. სად იყო მაშინ ზუგდიდში ფეხსაცმელი, თბილისში ვყიდულობდით, ფეხსაცმელი კი არა, ვისაც უბრალო რეიტუზი ეცვა, ოჰ, ოჰ, ოჰ, რა სპორტულები აცვიაო. ფიზკულტურის ინსტიტუტში ვსწავლობდი დაუსწრებლად, იქიდან მინდოდა სამედიცინოზე გადასვლა, მაგრამ გელბახიანის და სალარიძის პერიოდი შემხვდა და... (*პაუზა*) გადაიკეტა გზა. ასი ათასი მანეთი სად გვქონდა მაშინ სამედიცინოზე შესასვლელი! ფულით შედიოდა მაშინ ხალხი, თორე ისე კი არ იყო! დავრჩი. დარჩელის რვაწლიან სკოლაში დავიწყე მუშაობა 1967 წელში, სკოლის დირექტორი ბიჭიკო ნადირაძე იყო. კეთილი, განათლებული ადამიანი, ისტორიკოსი, მე ამისთანა ადამიანი არ შემხვედრია. განმუხურიდან დავდიოდი ფეხით, თხუთმეტ კილომეტრს ყოველდღიურად. ორმოცდარვა წელი გავატარე კიროვის რვაწლიან სკოლაში, ქვედა უბანია დარჩელის. დარჩელში გადასახვევთან რომ ნახავთ ევკალიპტებს ის 1972-ში მოიტანა დირექტორმა სოხუმის ბოტანიკური ბაღიდან და იქ ჭაობში ჩარგო, ზრდასრული ევკალიპტი დღე-ღამეში ერთ ტონა წყალს სვამს,

ბადრი ახალაია ხელბურთელ გოგონებთან ერთად. 1970-იანი წლები.

ეხლა იქ ჭაობი ამომშრალია და მოედანია გადასარევი, სარბენი ბილიკებით, ფრენბურთის და კალათბურთის მოედნებით, სპარტაკიადის ოცდაორგზის ჩემპიონი იყო კიროვის რვაწლიანი სკოლა. თოთხმეტი სკოლა იღებდა მონაწილეობას სპარტაკიადაში.

დარჩელში და კიროვში ერთად ვმუშაობდი, დარჩელში ოცდაათი წელი და კიროვში – ორმოცდახუთი წელიწადი. მერე გადმოვედი განმუხურის საშუალო სკოლაში. ახლაც აქ ვმუშაობ. ვიყავი სახალხო განათლების წარჩინებული, განათლების საპატიო სიგელით ოთხჯერ დაჯილდოვებული, მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელი ხუთი წლის განმავლობაში, უფროსი მასწავლებელი და ეხლა მომცეს პრაქტიკოსი მასწავლებლის წოდება. და ხელახლა უნდა გაიაროთ ფიზიკური აღზრდის თეორია, ოლიმპიადებიო, დღეს ვიყავი ტრენინგზე. რათ მინდა, ორმოცდაათ წელს სკოლაში მომავალ წელს დავამთავრებ და... (*პაუზა*). ვეხვეწები ბავშვებს,

ყველას, რაც ვიცი, წამართვით (*წაიღეთ, ისწავლეთ ჩემგან*), ეს ვიცი, მეტი არაფერი არ ვიცი-მეთქი. წელს მივიღე მონაწილეობა ექვს სახეობაში და წარმატება მაქვს. დავიკავეთ მეორე ადგილი ფრენბურთში, გაეროს ეგიდით ჩატარდა, და იმ გაეროს ხალხს რომ მოუგო განმუხურელმა, გაგიჟდნენ. სპორტში მძლეოსნობას საპატიო ადგილი უკავია, მაგრამ სპორტი ეხლა სკოლაში ცუდადაა, ცუდად.

დედაჩემმა ოთხმოცდაშვიდ წლამდე იცხოვრა. რა წვალება აღარ ნახა, მერე ჩემი შვილი, მირანდა ეტყოდა ხოლმე, შენ სიცოცხლე მისჯილი ხარო. ისე წავიდა მიწაში, რომ ნანობდა, ფეხბურთზე რომ არ გამიშვა ბავშვობაში. შეუკრებიათ ზუგდიდის რაიონის მასწავლებლები და უთქვიათ, თუ ვინმე კარგი არისო, გამოგზავნეთო ზუგდიდში. მითხრა მასწავლებელმა და წავედი. ამოგვარჩია იმ კაცმა, ეხლაც მახსოვს, მურთაზ ხურცილავა, გონიკო კაკაჩია, გივი კობახიძე, ზაურ ბულია და თბილისში წამოდითო თქვა. ოცდამეთხუთმეტე სკოლა იყო მაშინ. ეხლა ის სკოლა აკადემიას უდრის. ჩამოვედი ზუგდიდიდან დარჩელამდე, სად იყო მაშინ მანქანები! – ფეხით. დარჩელიდან მერე ბორანი, საღამოს მოვედი აქ, ვუთხარი დედაჩემს. დედაჩემი ადგა და მეზობელმა, ეგ ერთი კაკალი შვილი გყავს და სად მიგყავსო, შეეშინდა დედაჩემს. მესამე დღეს რომ მივედი, ასასვლელ კიბეზე ბავშვივით ვტიროდი. თბილისი სად იყო, არ ვიცოდი. მორჩა, გათავდა, გადაიკეტა ჩემი გზა. მურთაზ ხურცილავა მერე გამოჩენილი ფეხბურთელი იყო, თბილისის დინამოში თამაშობდა.

წლები რომ გავიდა, ნანობდა დედაჩემი, არ უნდა დამეტოვებინა ბადრი აქ და ბადრისთან ერთად უნდა წავსულიყავიო. სოფელი მაინც სოფელია. სოფელი მაინც ჩაგითრევს თავის წუმპეში. იქ რომ ვყოფილიყავი, ამდენი სტრესი არ გვექნებოდა.

ჩვენი განდევნა უნდოდათ სოფლიდან, ერთხელ ისეთნაირი ხმაური იყო, ქვებს რო გვესროდნენ, ყავლით დახურული ხო იყო სახლი! დედაჩემი გამოვარდა გარეთ და დაიწყო

კივილი. ვინ იყო ამ მხარეზე, ერთი ხუთი-ექვსი ოჯახი იყო მეტი არა. მარტო ის მახსოვს, რომ დედაჩემი გამოვიდა და დაიწყო კივილი, ყვირილი, მოგვეშველეთო და ბიძაშვილი ბიჭი, ლეუშა გამოვარდა შუაღამეზე და მოვარდა თავისი, ყამა ჰქვია – ხანჯლით. რამდენჯერ ყოფილა მასე, მარა ყველაზე მეტად ეს მახსოვს. მაშინ დედაჩემი არ ამბობდა ვინ იყვნენ, მარა ბოლოს მე ხო გავიგე და ვკითხე, ეს კაცი ხო იყო, ეს კაცი ხო იყო და ეს კაცი ხო იყო თქო? არა, ნანა, რათ გინდა, დაანებე თავიო. დამალა. რამდენი შემთხვევა იყო, მე ბავშვი ვიყავი, მარა ბოლოს ვინც გვესროდა, ერთ-ერთი კაცის დედა მოვიდა და ლუბა, მე ვიცი, ზოგიერთებმა ჩაითრიესო ჩემი შვილი შენი ოჯახის ამბავზეო და მე მაპატიეო. დამიმალა დედაჩემმა ის კაცი, მარა მე ხო ვიცი, ეხლაც მისი შვილები, შვილიშვილები ჩემთან კარგად არიან, ერთი სიტყვა არ ამომიღია, რომ შენმა ბაბუამ ეს გავიკეთა და ესო.

მალადეც ბადრი, შე რო დედა გყავდაო, მერე გამომიტყდა ის კაცი, რამდენჯერ გვქონდა მცდელობაო, სახელის გატეხვა თუ გვინდოდა, კაცები რომ მოდიოდნენ საღამოს, წამოვიდოდი აქ, მოვიდოდი შენ ოჯახთან, კართან დავდგებოდი, თუთუნს მოვუკიდებდი და გამოვიდოდი ამათთანო. სად იყავიო რო მკითხავდნენ, სად და ლუბას ოჯახში, ლუბასთან ვიყავიო. ისეთნაირი ქალი იყო, რომ ჩვენ ვერ გავბედეთ მაგის სახელის გატეხვაო. უნდოდათ მარა ვერ გავბედეთო. ისეთნაირი ადამიანი იყო, ის ზედმეტადაც არ გაიცინებდა თურმე, რომ სხვანაირად არ მიეღოთ. მეზობლის კაცებსაც ზედმეტად არ ეტყოდა რამეს, თავშეკავებული იყო, დაკვირვებული. თავაწეული არასოდეს არ მიდიოდა სატირალში, რაიო, ქალო, თავი ასწიე, გაიხედ-გამოიხედეო, კაცები ეუბნებოდნენ, სხვანაირი კაცები, როგორაა, ესე მობუზული რო დადიხარო, – სატირალში რო მიდიოდა გაჭირვებული. ოო. რა გადაიტანა! სოფელში მაინცდამაინც ბევრი არა, მარა ასეთი ქალები იყვნენ, ვისი სახელის გატეხვაც გამოუვიდათ. ჩამორჩენილი სოფელი იყო ეს, მივარდნილი. ინგურს გაღმა ვინ აკონტროლებდა რამეს, რაიონიდან, რაიკომიდან არავინ

არ ჩამოდიოდა. უწინ იყო საყოველთაო სწავლება, დიდსა და პატარას ასწავლიდნენ, ეხლა კი ზოგადი სწავლებაა. ულვაშიანი ბიჭები იყვნენ ჩარჩენილები სკოლაში, მაგრამ დისციპლინა იყო. დედაჩემი მეუბნებოდა: „შვილო ერთი ნაბიჯია სისულელედან სიბრძნემდე, უჭკუობიდამ ჭკვიანობამდე“. სტალინიც მოსწონდა, დისციპლინა რომ ჰქონდა, მაგრამ სიყვარულით არ უყვარდა. მითუმეტეს მამაჩემმა რომ უთხრა 1939-ში ფინეთთან ომში, ეხლა ვიციო, ვის ვემსახურები, ლუბა, კინაღამ მომკლესო. ისეთნაირი დისციპლინა ყოფილა მაშინ სამხედროში, რომ დედაჩემს არ უთხრა ერთ კვირით ადრე, სანამ წამოვიდოდა. ტრიალებდაო ლოგინში, აქეთ-იქით, და რაშია ბაგრატი საქმე, რაშიო და არაფერიო, კბილს აწრიალებდაო, მაგრამ ვერაფრით ვერ უთხრა, წადიო ახლა.

დედაჩემს უნდოდა მოეძებნა თავისი გადამრჩენელი, წერდა გაზეთებში, ეგერ ეს გაზეთიც მაქვს შენახული. „ახალგაზრდა კომუნისტშიც“ დაწერა და იმ გულბანის ნათესავი გოგონა თურმე სწავლობდა ლენინგრადში. იქ ნახა, რომ ვეძებ გულბანს, ჩემს გადამრჩენელსო. აქედან ხო უგზავნიდნენ გაზეთებს, რომ სწავლობდნენ იქ ბავშვები. უგზავნიდნენ გაზეთებს, ჟურნელებს და შემთხვევით იქ ნახა. ეს ამბავი რო გახმაურდა ქუთაისში, ამ ამბავს შეესწრო ოტია იოსელიანი, დაინტერესდა როგორც მწერალი და ოტია იოსელიანი, შალვა ახალაძე, ლევან ახვლედიანი, ქუთაისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა ნაკრების კაპიტანი იყო ფრენბურთში, ისინი მობრძანდნენ 1971 წელში, არა – 1972-ში კარზე მოგვადგნენ. კითხვა-კითხვით მოაგნეს თურმე. აქ მაშინ ხიდი არ იყო, გაჭიმული იყო ტროსი [ბოგირი], გაკეთებული იყო ტივი და ბორანით გადადიოდა ხალხი თუ არა, სად იყო რამე!“ განმუხური ინგურის გამოღმა იყო. მდინარე რომ ადიდდებოდა, ვერავინ გადადიოდა. იმ დღეებში დაემთხვა კარგი ამინდები და ისინიც გადმოვიდნენ. დედჩემი აზრზე არ იყო, ძროხას წველიდა, თურმე. გაჩერდა ორი მანქანა და გადმოვიდა ქალი, იზა გულბანი. შემოხედა დედაჩემს და რომ უთხრა, მე იმ ქალის შვილი ვარ, დედაჩემი

ბადრი ახალაია დედასთან, ლუბა კონჯარიასთან ერთად. 1970-იანი წლები.

გარდაიცვალა და ესე-ესეო, კინაღამ წაიქცა დედაჩემი. დაემთხვა ისე, რომ სოფლის თავმჯდომარეები კუთხეებში რომ დადიან, მაინცდამაინც შეეჩეხნენ ამ ამბავს ჩვენთან. მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. იყო ხვევნა კოცნა, ერთი

ტირილი, აურზაური, გადამრჩენელის შვილი მოვიდა, ჭოლაძე ანზორი იყო მისი მეუღლე. და ვხედავთ ოტია! მერე ის დაწერა ბატონმა ოტია იოსელიანმა ქუთაისის გაზეთში „გადარჩენილი მოგონება“ დუდუ გედენიძის ფსევდონიმით.

ერთხელ ჩვენც ვინახულეთ, მაშინ მანქანა მყავდა და ჩავედით ქუთაისში, დედაჩემი და მე მივედით და გაგიჟდნენ დიდი და პატარა. მერე არ წავსულვართ. ისინი მოდიოდნენ ხოლმე, მაგრამ არეულობა რომ დაიწყო, აფხაზეთის ომი და ვსიო, გათავდა. აღარ გვქონია ურთიერთობა. ეხლა კი ვფიქრობ, ნეტა მომაძებნინა თქო, რატო უნდა დაიკარგოს ის ურთიერთობები, მაგრამ არ ვიცი საით არიან, ქუთაისში ცხოვრობენ, არც მისამართი გვაქვს, არაფერი.

ვინახავ ყველაფერს, აი, პროფკავშირის ბილეთიც შენახული მაქვს. 1966 წელს ბირთვი გავაკეთე – ქვა შვიდკილოიანი, ისიც შენახული მქონდა. შენახული მქონდა დედაჩემის ფარდაგიც, არაჩვეულებრივად ლამაზი, ბაბუაჩემის სახლიდან ქონდა მოტანილი, აჩუქეს. აი, ჩემი განმუხურის „ენგური“ საქართველოს პირველობაზე (*მაჩვენებს პუბლიკაციას „ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი“ 1997-98 წწ.*).

ბევრი ატანდა საფლავში, მეც მეუბნებოდნენ გავატანოთო (*დედის ნივთებს: ჩანთას, სურათებს, წერილებს, ხელნაწერს, რომლებიც მაგიდაზე აქვს გაშლილი*). არავითარ შემთხვევაში-მეთქი, შვილებმა, შვილიშვილებმა იცოდნენ მაგისი ამბავი. შენი წინაპრების ამბავი ხო უნდა იცოდე, ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რა ეპოქაში ვცხოვრობდით მაშინ, როგორ გვიჭირდა, როგორ გვილხინდა.

ლუბა კონჯარიას ხელნაწერიდან:





















კახეთი

მარიამ ბერიძე, ციალა მოლაშვილი, გულხანუმ ჩოფანოვი, ფატიმათ იმაგაზალიევა, საქინათა გასანოვი, რაუზანათ იბრაგიმოვი

ფოტო გადაღებულია 2014 წელს მისი შვილიშვილის, კახა ბეროშვილის მიერ. ინტერვიუ ჩაიწერა ცისანა გოდერძიშვილმა. სოფელი სამრეკლო (დედოფლისწყარო), 2016 წლის სექტემბერი.

მარიამ ბერიძე

დაიბადა 1934 წლის 28 აგვისტოს ახალქალაქის რაიონის სოფელ პრტენაში. ორი წლის იყო, როცა მისი პაპის ოჯახი გაკულაკებას მეორედ გამოექცა კახეთში. გაიზარდა სოფელ ჯაფარიძეში (ახლანდელი სამრეკლო, დედოფლისწყარო). შვიდი წლის ხდებოდა, როცა მამა, იოსებ ბერიძე, ომში გაიწვიეს. იმ იმედით, რომ მერე მამა შეიყვანდა, იმ წელს უარი თქვა სკოლაში მისვლაზე. მას მერე მთელი ცხოვრებაა, ელოდება მამას.

ჩაბმული იყო 1956 წლის სტუდენტურ მოძრაობაში. ამ დროს გორის პედაგოგიურ სასწავლებელში სწავლობდა. წერდა ლექსებს. მაშინდელი ხელნაწერების განადგურება მოუწია და თითქმის ალარაფერი შემორჩა, თუმცა, ლექსებისა და მეგობრების შესახებ მოგონებების წერას ისევ აგრძელებს.

ოცი წლის წინ გარდაეცვალა მეუღლე, ვლადიმერ ცაკაშვილი. ცხოვრობს ვაჟთან ერთად სოფელ სამრეკლოში. დღემდე ჰყავს მოსწავლეები ხელსაქმეში.

ჰყავს ოთხი შვილი, ცხრა შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი.

ჩემი პაპა ყოფილა ბერიძე ნიკო, ყარაგოზას ეძახდნენ, ყარაგოზა შავთვალწარბას ნიშნავს. სოფელში ცხოვრობდა, ფტენაში[59] პაპაჩემს ჰყავდა ათასი სკა ფუტკარი, მერე ახალქალაქში პოლონელი მასწავლებელი ჩამოიყვანა ვიღაც მდიდარმა ქალმა და შვილებს ასწავლიდა. ერთხელაც ქეიფობენ ეს ახალქალაქელები და ყვებიან, რო ყარაგოზას რამდენი ფუტკარი ჰყავს, როგორი მშრომელი კაცია, როგორი ძალიან კარგი შვილები ჰყავს, როგორ კარგადა მღერიანო. ადრე ხო კინო არ იყო და კონცერტი არ იყო, მით უმეტეს, ახალქალაქში და მეზობელი სოფლის მომღერლები და მოცეკვავეები შეგროვდებოდნენ და ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ყარაგუზას ჰქონია ძალიან ძლიერი ხმა და ძალიან მუსიკალურიც ყოფილა, აქ რომ მღეროდა, გაღმა სოფელში ისმოდა ხმა. კონკურსი იყო ხოლმე გამოცხადებული და ბევრჯერ იმარჯვებდა. ამისი ძმაც კარგად მღეროდა, თარზე უკრავდა. ერთ შეჯიბრში აიღო ცხრა თარი, დამარცხებულს თარი გამარჯვებულისთვის უნდა მიეცა. სხვისი გამოთქმული სიმღერები კი არა, იქვე უნდა შეეთხზა და ის ემღერა, ერთი რომ ბოლო სიტყვას იტყოდა, მეორეს იმ სიტყვით უნდა დაეწყო და იმისი შესატყვისი ლექსი უნდა ემღერა, აი, ამაში ამ ლუკა პაპამ, ყარაგოზას ძმამ აიღო ცხრა თარი. დაინტერესდა ეს პოლონელი კაცი, თუ შეიძლება გამაცანითო. მეორე-მესამე დღეს წაიყვანეს ფტენაში, ეზოში რომ შევიდა ეს ათასი გეჯა იყო დაწკრიალებულ ეზოში მწკრივზე ჩალაგებული. გეჯა არის ხის მორი, ორ მეტრიანი, ამოთხრიდნენ შიგნით და გარეთ ქერქი რჩებოდა ჩარჩოდ, კარებს გაუკეთებდნენ და იქიდან იღებდნენ თაფლს. გეჯას ერთ მხარეზე ჰქონდა გასახსნელი კარები და გამოდიოდა, რო ყოველ წელს ახალ თაფლს იღებდა და ძველი უკანა რჩებოდა, პაპაჩემმა მოიფიქრა, ყოველგვარი რჩევისა და სწავლების გარეშე, რო მეორე მხარეზეც

[59] სოფელი პტენა (პრტენა) — ახალქალაქის პლატოზე, მდინარე ფარავნის ღრმა კანიონის თავზეა გაშენებული, ზღვის დონიდან 1679 მეტრზე.

გაეკეთებინა კარი გეჯასთვის, ერთ წელს ერთი მხრიდან იღებდა, მეორე წელს მეორე მხრიდან. ჰოდა, როგორ აუდიხარ ამდენ ფუტკარს, ყმები გყავსო? – უკითხავს პოლონელ მასწავლებელს, თან რო გაეგო, ზამთარში ისეთი ცივებია, სახლში უნდა შეიყვანოს ფუტკარიო. შვიდი შვილი მყავსო და თავის ერთ-ერთ შვილზე ეთქვა, ერთი ისეთი ქალი გვყავს, ხუთ ვაჟკაცს მოერევაო. წავიდა ეს კაცი, გამოწერა გერმანიიდან, თვითონ პოლონელი იყო და არ ვიცი, რატო გამოწერა გერმანიიდან, სანთლის დასაბეჭდი ფიჭის მანქანა, თაფლსაწური ციბრუტი, ხელსაწყოები და გამოუგზავნა სქემა სკისა, სკა როგორ უნდა გაკეთებულიყო. პაპაჩემი კი ხელოსნობდა, მაგრამ სქემისა ვერა გაიგო რა და ვიღაცა ხელოსანი ჰყავდა ისედაც მოყვანილი, რომელსაც თავისთან ერთად ამუშავებდა და იმას აჩვენა. იმან გააკეთა და რო დაინახა, როგორ აკეთებდა, უთხრა, თავისუფალი ხარო და თვითონ დაიწყო სკების გაკეთება. ათასი სკა გააკეთა. დააგროვა ძალიან ბევრი ფული.

კოლექტივი რო ჩამოყალიბდა, კულაკებს ებრძოდნენ. კულაკები არიან, ყმებიც რო ჰყავდათ, ამას არავინ არ ყავდა დაქირავებული, თვითონ და თავისი შვილები მუშაობდნენ, მაგრამ ხომ იყვნენ შურიანები, მეზობლები, ჰოდა, აკონტროლებენ ამ კაცს და გააფრთხილეს, შენ კულაკი ხარო. ყარაგოზამ შეიტანა სამი ფუთი ოქრო, ოქროს ფულები იყო, თითო თორმეტ გრამს იწონიდა, სამჯერ თექვსმეტი – ორმოცდარვა კილო ოქრო ჩააბარა, ის თავისი სკები ჩააბარა და რამდენიმე დაიტოვა, ცხრა ძროხა ყავდათ, ის ჩააბარა, ცხენის რემა ჰქონდათ, ის ჩააბარა და კულაკობას გადარჩა. მერე მაინც მოვიდნენ, დააკონტროლეს, ხო შეიძლებოდა, დარჩენოდა რამე. ეძებეს სახლში, ვერ იპოვეს და გავიდნენ, ტყუილად შეგაწუხეთო, – ბოდიში მოუხადეს. ერთ-ერთი შინაური კაცი, ნათესავი კი არა, ოჯახთან დაახლოვებული, მოტრიალდა და ყარაგოზ, ხო ვიცი, შენ უფულოდ არ დარჩებოდიო და სადა გაქო? დაუძახა ყარაგოზამ და ის, რაც მართლა დარჩათ, ისიც წაიღეს. სანამდე ეს მოხდებოდა, თურმე მამაჩემმა, არ

ვიცი, როგორ ივარაუდა, ერთი მუჭა ოქრო აიღო, სკას ორი ძირი გაუკეთა და ერთ ძირზე ოქრო დაყარა, მეორე ძირზე სკა დადგა და ის დარჩათ. ავიწროვებდნენ მაინც ამათ, არ გაკულაკეს, ბევრი აღარაფერი ჰქონდათ, მაგრამ მაინც რაღაც სივიწროვეს, ზეწოლას გრძნობდნენ. ამიტომ გადაწყვიტეს კახეთში წამოსვლა.

პირველად 1924 წელს წამოვიდნენ მაწიმში[60], ლაგოდეხში. ორი-სამი წელი იცხოვრეს, მაგრამ ვერ შეეგუვნენ ნესტიან ჰავას, დაბრუნდნენ უკან და მერე დაიწყო იქ კომკავშირობა და კოლექტივობა. შვიდნი ძმანი ყოფილან ფტერნაში, გერმანა იყო ყველაზე უმცროსი, გლეხები იყვნენ, კულაკების ნაქონარს უვლიდნენ და იმით ჭამდნენ პურს. გერმანა შევიდა კომკავშირის წრეში, უჯრედები იყო კომკავშირული. ჰყავდათ მოხუცი დედა და დედას მოუვიდა წერილი თბილისიდან, შენი გერმანა გააჩერე, თორე შვილმკვდარი დედის კაბას ჩაგაცმევთო. ეხვეწა დედა გამოეთიშე, როგორცა ვცხოვრობდით, ვიცხოვროთო. გერმანა და მამაჩემი იყვნენ კომკავშირის წევრები. გერმანა ლექსებსაც წერდა და ერთ-ერთ საწყობის გამგეს თუ ვიღაცას საწყობიდან ხორბალი მოუპარია, იმაზე ჰქონდათ ლექსი, ერთს ცხვარი მოუპარია და გერმანასა ჰქონდა ლექსი: „მგელო, ცხვარი წაიღე, მაგრამ თუ მეორედ კიდე გაბედავ, ვერ გადაგვირჩებიო“ – რაღაც ამგვარები... ეს 1929-30 წლები იყო. მერე ჩამოყალიბდა კოლექტივი. იმ წელიწადს მოვიდა ძალიან კარგი მოსავალი. ამასობაში, როგორც კი ყარაგოზას ოჯახმა ისევ ისე წამოიწია, უკვე იმდენი ვიღაც გაჩნდა იქ, რომ მაშინვე გამოარიდეს ისევ თავი და წამოვიდნენ. თანაც, უკვე 1937 დგებოდა და ხედავდნენ, რო ამათ ყველა ვარიანტში მიადგებოდნენ და გამოვიქეცით, ფაქტიურად. მაგიტო აღმოვჩნდით 1936 წელში კახელები. მე 1934-იანი ვარ და 1936-ში ჩამოვედით, ორი წლის ვიყავი.

[60] მაწიმი (ყოფ. ცოდნა) – სოფელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში.

პაპაჩემმა გააკეთა პირველი ფანჯრიანი სახლი ახალქალაქის რაიონში, იყო ბანიანი სახლები, მიწურები და ზევიდან ჩადიოდა სინათლე. გახსნა სკოლა თავის სახლში, ძალიან ბევრი ოთახები ჰქონდა და კოლექტივი რომ ჩამოყალიბდა და სკოლა უნდოდათ, ამან დაუთმო სახლი, ცამეტი-თოთხმეტი კარი ჰქონდა, განა ერთი?! რამდენიმე ოთახი დაუთმო და თავისი არც ერთი შვილი არ დასვა მოსწავლედ, რო არა თქვან, თავისი შვილებისთვის გააკეთაო. მაინც სულ ყველამ ისწავლა წერა-კითხვა, სულ ყველა ნიჭიერი იყო. ესენი რო წამოვიდნენ, სოფლის საშუალო სკოლა 1960-იან წლებამდე ჩვენ სახლში იყო.

უაღრესად განათლებული ქალი ყოფილა ყარაგოზას ცოლი, ეკატერინე ერქვა, კეკე ბაბოს ვეძახოდით. ძალიან ჯანმრთელი და ძალიან ხელმარჯვე ქალი იყო. დედაჩემი, მაგდანა. ობლად იყო გაზრდილი, შვიდი წლისა უკვე დაობლდა. ორი დედინაცვალი ჰყავდა გამოცვლილი, ათასი სული ცხვარი ჰყავდათ და იმას ძლივს აუდიოდა და წინდების ქსოვის გარდა, არაფერი იცოდა. ქმრის სახლში რო მივიდა, კეკე ძალიან დაკვირვებული ქალი იყო და მიხვდა, რო მაგდანამ საოჯახო საქმე არ იცოდა, არადა, კეკეს გოგოები კარგი მეოჯახეები, კარგი კულინარები, კარგი მქარგველები იყვნენ, ჰოდა, დედაჩემს ჩუმად ასწავლიდა თურმე, რომ იმათ არ დაეცინათ და რძალს უხერხულად არ ეგრძნო თავი.

დედაჩემი ლამაზ ქალად ითვლებოდა. ის დანიშნა მაზლმა, ჩავიდა ფტენიდან თოკში ყარაგოზას ბიჭი კიშლამათესთან, რომელსაც უამრავი ცხვარი და ცხენი ჰყავდა, როგორც ჩანს, მდიდარი მდიდარს ეძებდა თავისებურად და შეთანხმდნენ მამები, საქმრო კიდე ჯარში იყო. ჩავიდა მაზლი და დანიშნა მაგდანა, გავიდა სამი თვე, ჩამოვიდა ახლა მეორე მაზლი, შემოისვა ეს ქალი ცხენზე და წაიყვანა სახლში, ისე რომ თვალით არ ყავდა ნანახი იოსება, თავისი საქმრო. იქამდე ვიღაცა თოკელ[61] ბიჭს ყვარებია ეს მაგდანა

[61] თოკი – სოფელი ასპინძის მუნიციპალიტეტში.

და იმისიანმა უთხრა, რო გათხოვებენ, ვისზე გათხოვებენო, მახინჯი ყოფილა ის ბიჭი, ამას გაყევიო. არა, მამაჩემმა თქვაო და იმის სიტყვას როგორ გადაუხვევდა. თურმე ღამე დაწვება და ტირის, რაღა მახინჯს უნდა გამაყოლონ, რა დავაშავეო, არადა, ისეთი დახატული თვალ-წარბი ჰქონდა მამაჩემს! დედაჩემი იტყოდა ხოლმე, სახლში რო მივედიო, ყარაგოზამ მითხრა, სხვის დასანახად არა, მაგრამ სახლში არ დამეუმძრახოო. ხო, თავისებური კაცი ყოფილა ეს ყარაგოზა. ერთხელ, თურმე მეორე ბიჭის ცოლს ამშობიარებენ ბებიები, რო გაუჭირდათ, მეორე სოფლიდანაც მოიყვანეს ბებიები, ვერაფერი ვერ უშველეს, გამოვიდნენ და გამოუცხადეს ამ კაცს, ქალიც დაიღუპება და ბავშვიცო. თურმე დაიბანა ამ ყარაგოზამ ხელები, მაშინ, როცა რძალ-მამამთილი ერთმანეთს არ უნდა ელაპარაკებოდნენ, მიყვანიდან მინიმუმ ერთი წელი ქალს არა ჰქონდა უფლება, მამამთილს დალაპარაკებოდა, შევიდა, ხმა არ ამოიღოო, რძალს უთხრა, შეუყო ხელი, თურმე მობრუნებული ყოფილა ეს ბავშვი, გაასწორა ხელით და ჩვეულებრივ დაიბადა ბიჭი. ამ ოთხი წლის უკან დაიღუპა ეს კაცი (ყარაგოზას შვილიშვილი, ვის დაბადებაშიც მიიღო ყარაგოზამ მონაწილეობა). ეხლა იმას საექიმო კურსები, რა თქმა უნდა, გავლილი არ ჰქონდა, მაგრამ აი, ასეთი ალღოიანი კაცი იყო.

სამსონას, ყარაგოზას შვილს, მოუკვდა სიმამრი, იმ ქალის მამა, რომელიც ყარაგოზამ ამშობიარა, სხვა სოფელში ცხოვრობდა. ეს კაცი ტყეში ყოფილა, შეშასა სჭრის თურმე და რაღაც უცნაური ხმა შემოესმა, დაწოლილია, ისვენებს – ეს ის პერიოდია. ორი თათარი შემოპარულა თურქეთიდან და რაღაც გეგმას ადგენენ, შენ აქ წახვალ და მე აქაო და ასეთები. ეს გაიგო ამ კაცმა, აიღო ცული, ახლო რომელი თათარიც იყო, იმას გამოუდგა, ესროლა ცული, დაჭრა და წააქცია, ის მეორე მობრუნდა, ამან მოასწრო ტყეში რაღაცა ხის აღება და ამ ხით დახვდა მობრუნებულ თათარს, იმან ხანჯალი ამოიღო, შორიდან ესროლა და ესეც დაიჭრა, მაგრამ ის თათარი მაინც მოკლა, თვითონ დაჭრილი და-

ვარდა დაბლა, ბევრი სისხლი დაკარგა და ვეღარა დგება. საღამოს მენახირემ საქონელი რომ გამორეკა, სოფელში უნდა შემოიყვანოს და წაადგა ამ დაჭრილ კაცს და გაიქცა ყარაგოზასთან. ყარაგოზას თარი უჭირავს, შვილები გარშემო და მღერის და ერთ ამბავშია. ანიშნა მენახირემ, გამოდიო და უთხრა, არიქა, შენი მძახალი იქა წევს დაჭრილი და უშველეო, გაიქცა, ეს სამსონიც წაიყვანა, ვეღარ უშველეს იმ კაცს. მტკვრის იქით მხარეზე იყო სოფელი თოკი და იმ თოკში თათრები რომ ცხოვრობდნენ, იმათა ჰქონდათ თათრული სასაფლაო, ჰოდა, ღამე ამ ყარაგოზამ სოფლელები წაიყოლა და ეს დახოცილები, რაკი თათრები იყვნენ, იმ თოკის სასაფლაოზე დამარხეს, რო არ აეღოთ კვალი და სოფელი არ აეწიოკებინათ. ორმოცი რომ გავიდა, ყარაგოზამ უთხრა სამსონას, შენი სიდედრი წამოიყვანე, იმდენი გვაქვს, რომ თავსაყრელად ეყოფაო. მოიყვანეს ეს ქალი და დაიწყო აქ ცხოვრება. ის ტკივილი ამათ გადაატანინეს.

მამაჩემის სოფელში, ფტენაში, არც ერთი ერი, არც სომეხი და არც თათარი არა ყოფილა. დედაჩემის სოფელში, თოკში, ასპინძის რაიონში, ასი ოჯახი იყო, ოცდაათი ქართველი გლეხი, ოცდაათი თათარი გლეხი და დანარჩენი თათარი ბატონები იყვნენ. იმ ბატონებშიც იყო პირველი, მეორე, მესამე რანგის. ვინც მთავარი ბატონი იყო, ერთხელ მოვიდა დედაჩემის მამასთან და უთხრა, ოცდაოთხ საათში გაიხიზნეთ, დიდი თათარი მოდის ამ სოფლის დასაპყრობადო, დედაჩემი იყო ორი-სამი წლის. აიბარგნენ ესენი, ვინ საგზალი წაიღო, ვინ ბავშვის ტანსაცმელი, ვინ რაც მოასწრო და გავიდნენ. თან ისე უნდა გასულიყვნენ, რომ იმათ ხო მზვერავები ეყოლებოდათ და არ უნდა გაეგოთ ამათი გასვლა. ბაკურიანამდე იარეს ფეხით, ერთ-ერთი ფეხმძიმე ქალი ორი შვილით, ერთი წლინახევრისა ხელში ჰყავს, მეორე ოთხი წლის ბიჭი, მისდევთ ამათ და ზურგზე ჰკიდია ბოხჩა თავისი ბავშვის, გოგოს გამოსაცვლელებით. მიდიან და ეს ვეღარ მიჰყვათ. კაცები წინ მიდიან, რო თუ თათრები შემთხვევით შეხვდნენ, დაიცვან. ქალები კიდე

უკან მისდევენ. ეს ამ ქალებსაც ჩამორჩა და მიხვდა, რო ველარ მიდის და ტვირთი მოიხსნა, შვილის გამოსაცვლელი და გადააგდო, ცოტა კიდე იარა, ცოტა და რო მიხვდა, რო ველარ მისდევს, ბიჭს უთხრა, წადი, დაეწიეო. სახელი უთხრა ნათესავის და იმასთან მიდიო. გაიქცა ის ბავშვი, ირბინა, ირბინა, მივიდა იმ ნათესავთან და უკან გაბრუნდა. ეს ქალი გაგიჟდა თურმე, ევა ერქვა ამას, ევა გაგიჟდა თურმე, რაღა ვქნა, ეხლა სამნი ვიხოცებით, ბიჭი მაინც გადავარჩინოო. ეს გოგო დიდი ლოდის ქვეშ შესვა, ბიჭს წაავლო ხელი, გაიქცა, დაეწია თავისიანებს და ჩააბარა მაზლიშვილს თუ ვიღაცას. მობრუნდა, ეძებს ამ გოგოს და ველარ იპოვნა. ეძახის, მთაში ექო ისმოდა, დაჯდა და ხელები შემოირტყა, რაღა ვქნაო, დაჯდა და ჯიბეში სპიჩკამ [ასანთმა] გაიჩხრიალა, იყვირა და ეს მწუხარებისა კი არ იყო, სიხარულისა, სპიჩკა რო იპოვა. მოიხადა მოსახვევი, მაშინ უმოსახვევოდ გასვლა როგორ შეიძლებოდა, მაგრამ შვილი უნდა ეპოვნა. მოუკიდა ცეცხლი და ეძება, გაიხადა ბლუსკა, გაიხადა ფეხსაცმელი და დარჩა თეთრი პერანგის ამარა. ძალიან გრძელი კაბები ეცვათ იქ, თითქმის, კოჭებამდე სწვდება ეს თეთრი სახელოებიანი პერანგი. დადის და ყვირის. ამასობაში, ასე რომ ვთქვათ, დიდი თათარი, ვინც ამათ გამოუდგა, მოუახლოვდა ამას და დაინახეს, რო თეთრპერანგიანი ქალის სახით ყვირის რაღაცა, მაშინდელი დრო: ეგონათ ეშმაკი და უკან გაბრუნდნენ. ამ თოკელ თათრებს უთხრეს, ეშმაკი დადიოდა და ყვიროდაო. ამ ქალმა ასე გადაარჩინა თავისიანები, მაგრამ შვილი ვერ იპოვნა. მეორე დილას რომ გამოვიდნენ მზვერავები, გაიგეს მეზობლებმა, რომ თათრები გაბრუნდნენ უკან. ეძებეს ეს ქალი, ეძებეს და ლოდზე მისვენებული ნახეს უსულოდ. ვერც ბავშვი, დაკარგული გოგო, იპოვეს, ის ბიჭი კი გადარჩა.

ამ გაქცევების დროს, გაქცევებს ეძახდნენ ამას, დედა-ჩემის და თვრამეტი წლის ყოფილა, უფროსი. პერიოდულად ქალები სხდებოდნენ ხოლმე ურმებზე, რომ დაესვენათ, დიდი მანძილი იყო. დამჯდარა ურემზე, ჯერ უარი უთქვია და ბიძას ძალით დაუსვამს, ჩაზანყებულა და თირკმელი ჩასწყვეტია,

ერთ კვირაში დაიღუპა. დედაჩემი ძალიან პატარა იყო და ვერ გააცნობიერა ეს სიკვდილი რა იყო, უბრალოდ დიდები რომ ტიროდნენ, ესეც იმაზე ტიროდა. ოცდაათი წლის შემდეგ ომიანობის პერიოდში ასანთი და ნავთი არ არსებობდა, ქალაქელებს ჩამოჰქონდათ პურზე და სურსათზე ცვლიდნენ და მიდიოდნენ. ვიღაცა რუსის ქალი მოვიდა ჩვენ ქუჩაში, ორი ათლიტრიანი ბალონი დადგა ნავთისა და ჩამოჯდა, სკამი გვედგა, ჩვენ გვეგონა, რო დედას ეძახის, გამოვიდა დედა და რა გინდაო, არაფერიო, მთელი წითელწყარო და ჯაფარიძე ჩამოვიარე და ერთი ლიტრა ნავთი ვერ გავყიდე, რო შვილებს ერთი ლუკმა პური წავუღოო, დედაჩემმა უთხრა ფული არ მაქვს, თაფლი მაქო, თუ თაფლი გაქ, მაგაზე კარგი რა არიო. შეიყვანა ეზოში, დიდი თეთრი ქვა გვეგდო, იმაზე დასვა და გამოუტანა ბანკებით თაფლი, ნამდვილიაო? და თითი ამოუსვა და შეჭამა, უჰ, ხელი ნავთიანი მაქო და გემო ვერ გავიგეო. დედაჩემი შევიდა გამოუტანა თეფში, კოვზი, პური გამოუტანა, ამოუღო და თავისი ხელით შეაჭამა, გაცვალეს თაფლი და ნავთი და ის კმყოფილი დარჩა, რო ნავთი სულ გაასაღა და ამან კიდე მთელი წლის მარაგი ნავთი იშოვა, თაფლი კიდე რაღაში ენაღვლებოდა, ისედაც ბევრი ჰქონდათ, თავზესაყრელი. იმ ღამეს ნახა სიზმარში, რო ის თავისი და აი, ოცდაათი-ოცდათერთმეტი წლის წინ რომ მოუკვდა გაქცევის დროს, რო ლურჯი რუშებშემოვლილი კაბა სცმია იმ დას, აღათო ერქვა, აღათო ზის იმ თეთრ ქვაზე და დედაჩემმა შეაჭამა კოვზით თაფლი. წამოჯდა და ტირის დედაჩემი, ჰოდა, რა იყო, დედა, რა გატირებს, რა გატირებს და ჩემი და ვნახე და ალბათ, იმ რუსის ქალს თაფლი რომ ვაჭამე, ჩემ დას მიუვიდაო. თოკიდან ორმოცდარვა სული წავიდა მარაბდაში, გაიქცნენ და თოთხმეტი დაბრუნდა უკან, ავადმყოფობა გაჩნდა რაღაცა და იქ, მარაბდაში დაიხოცნენ. თოთხმეტიღა დაბრუნდა და დღესაც ცხოვრობენ თოკში დედაჩემის ნათესავები.

უკვე საბჭოთა კავშირი რო დამყარდა, თურქებმა დაიწყეს საკუთარი სახლების დატოვება და თურქეთში გადასვლა,

იმიტო რო რუსეთთან ვეღარანაირად ვერ გვარდებოდა ურთიერთობები, ეს ბეგების სახლები მთლიანად დარჩათ ქართველ მოსახლეობას, თან როგორ უტოვებდნენ: თურქი თვითონ ირჩევდა ვიღაცას და ეუბნებოდა, წამოდი, შენ ჩემ სახლში იცხოვრეო. ყოველგვარი პირობის გარეშე, მიდიოდნენ და არ უნდოდათ, რომ თავიანთ სახლში შესულიყო ისეთი, ვინც არ მოსწონდათ. ერთ-ერთ ასეთ სახლში დაიწყო ცხოვრება ბიძაჩემმა. იცი, როგორი კაცი იყო? აი, მთა, სხვა სიტყვას ვერ ვიფიქრებ, რა უნდა დავუძახო. მთელი სიცოცხლე იმ სახლში გაატარა, იმ თათრის ბეგის სახლში. მერე ეს სოფელი მოსწყინდათ იმ კორწოხებზე სიარული და მთიდან ჩამოვიდა ბარში, რა თქმა უნდა, ჩამოვიდა ეს ბიძაჩემიც, აი, უკვე 2000-იან წლებში თურქეთთან რომ საზღვრები გაიხსნა, მოვიდა ვიღაც ახალგაზრდა ბიჭი და იკითხა, აი, ეს და ეს კაცი სად არი? მიუყვანეს ჩემი ბიძაშვილი, ეს იმისი შვილთაშვილიაო, შენ ვისაც კითხულობო. აბა, ალიოშამ (*რესპონდენტის ბიძაშვილი*) დაუკლა ცხვარი, დაუჭირა კალმახი, გადაყვა თან ერთი ღამე, ორი ღამე და მესამე ღამეს ამ ბიჭმა თქვა, რომ ძალიან მინდა, იმ სახლში დავიძინოო, ჩემი წინაპრებისო და ძალიან გთხოვთ, გამომყევით, მიმიყვანეთ იქამდეო. აიყვანეს, დარჩა ის ბიჭი იმ ღამეს მარტო, ასე ისურვა. მეორე დღეს რო მიაკითხეს, იპოვეს ბუხრის თავი კოხტად გამონგრეული და ერთი ოქრო დავარდნია, სულ გამოხვეტა იქიდან. კაცმა არ იცის, რა განძი იყო იქ და რა წაიღო, ზოგადად, როგორც ვხვდები, ის თურქებიც იმიტო ცხოვრობდნენ აქეთ, რო ძალიან დიდ სიმდიდრეს აგროვებდნენ ქართველების ხარჯზე, სულ ყველა იყო მდიდარი.

თურქეთიდან გადმოსახლებული თურქები იყვნენ და გამესხებულები, მერე ქართველობა მიიღეს. იყვნენ ქართველებიც, რომლებიც მაჰმადიანები გახდნენ. თურქები რო ქრისტიანები გახდნენ, ესეთი შემთხვევაც იყო, უფრო მაშინ ხდებოდნენ, როცა ქართველი ქალი მოეწონებოდა და ცოლად უნდოდა, გაქრისტიანდებოდა, რო ეს გაჰყოლოდა.

მარიამ და თამარ ბერიძეები, გორის სასწავლებლის სტუდენტები.
გორი, 1956 წელი.

სტალინმა 1947-ში[62] გადაასხალა თურქები და 1948-ში უკვე ჩვენები ცხოვრობდნენ იმათ სახლში. ისე სოფელში ყველამ, ბავშვამაც კი იცოდა თურქული, თათრულად ყველა ლაპარაკობდა. დედაჩემიც, იმისი და-ძმებიც.

ჩვენები კახეთში რო გადმოსახლდნენ, პაპა აღარ იყო ცოცხალი, კეკე ჩამოიყვანეს. ყარაგოზას და კეკეს ძალიან დიდი სახლები ჰქონდათ და კოლექტივის პირველი მოსავალი შეიტანეს ამათ საბძელში, მიუწონეს, რა თქმა უნდა. ერთხელ კოლექტივის თავმჯდომარემ ვიღაცა ქალის გამო, რომელსაც ქმარი აღარა ჰყავდა, წერილი მისწერა ყარაგოზას, სამი ფუთი ხორბალი მიეცი ამ ქალსაო, ამანაც მიუწონა და მისცა. ეს თავმჯდომარემ იცოდა, იმ ქალმა და ყარაგოზამ. გაზაფხულზე, საწყობში[63] რო მივიდა და რომ უნდა წაეღოთ ხორბალი, მიიწონეს და სამი ფუთი ხორბალი დააკლდათ. უთქვიათ: კაცო, რა გჭირს სამაგისო, რო სამი

[62] მესხეთელი თურქები გადაასახლეს 1944 წელს.
[63] იგულისხმება კოლექტივის საწყობის თანამშრომლები.

ფუთი ხორბალი მოიპარეო. ყარაგოზას ელდა ეცა და ჩავარდა ლოგინად. იმ ქალმა რო გაიგო, ყარაგოზა იმიტო გამხდარა ავადაო, თავმჯდომარესთანაც მისულა, მერე ყარაგოზასთან და უღრიალნია, სამი ფუთი ხო მე წავიღე, წერილი ხო მოგიტანეო, მაგრამ ყარაგოზას აღარაფერი ეშველა, იმ ორ კვირაში გათავდა. სკოლა თავის სახლში ჰქონდა გახსნილი, კოლექტივის საქონელი თავისთან შეფარებული, თავის ბოსელში და ეს ხორბალიც თავის საბძელში და მაინც კოლექტივის მსხვერპლი გახდა.

ომი რო დაიწყო, მე ექვსი წლისა ვიყავი და მარტო ის ვიცოდი, რომ მამას გავაცილებდით სახლიდან, საღამოთი მობრუნდებოდა, რო არა ჰქონდათ ტრანსპორტი, რო სუ ყველა წაეყვანათ ფრონტზე, ერთხელ მობრუნდა, ორჯერ, სამჯერ, გვგონია, რო მამა სუ მობრუნდება, მაგრამ მეექვსე დღეს წაიყვანეს. მე ექვსი წლის ვიყავი, უფროსი ძმა – ცხრის, და სამი წლის და თერთმეტი თვისა ძმა დაგვრჩა აკვანში. დედას უნდა ემუშავა, თუნდაც იმიტომ, რომ დეზერტირი არა რქმეოდა, თუნდაც იმიტო, რომ ოთხ შვილს ჭამა გვინდოდა და მინდორში გავიდა. ჩემი ძმა სკოლაში სწავლობდა, მე ცხრა წლისა მივედი პირველ კლასში ჩემი პატარა ძმის გამო, იმიტო რო იმას ძიძა სჭირდებოდა, ჩემი პატარა და ბაღში დაჰყავდათ. მე რო მივედი სკოლაში, ჩემი ძმა დილით სწავლობდა, მე შუადღით და სკოლის დრო რო მოვიდოდა, მე ჩანთით ველოდებოდი, რო ჩემი ძმა გამოჩენილიყო ქუჩაში, მე კიდე გავქცეულიყავი, რო ზარისთვის მიმესწრო, აი, ასე გავზარდეთ ეს პატარა ძმა.

ჩემს მამიდებს შორის ყველაზე ძლიერი იყო მარიამი. კახეთში პირველად რო გამოიქცნენ მაწიმზე, ეს ლამაზი გოგოები, კარგად ჩაცმულები, ეს მაწიმი ეხლაც ღარიბია და მაშინ კიდე საერთოდ, ჰოდა, მარიამზე მოიტანა ვიღაც ძალიან ლამაზმა კაცმა იერიში, მომათხოვეთო. არ ვათხოვებო შვილებსო, ისევ იქ უნდა წავიდე, იქ უნდა დავბრუნდეო. მერე მარიამს უთხრა ყარაგოზამ, რო ვერ მომიშორებიაო და დაეჭიდეო, რას ამბობ მამიო, მაგრამ მამას ხათრი ვერ

გაუტეხა, უარს როგორ ეტყოდა?! აბა, იმ კაცსაც, რა ვიცი, რა ეგონა და დაეჭიდა. მარიამმა მალევე წააქცია. სოფლიდან წავიდა ის კაცი, სანამ ესენი მაწიმზე ცხოვრობდნენ, ის კაცი სოფელში აღარ მობრუნებულა.

მარიამი მერე სხვას გაჰყვა იმ მაწიმში. იმის ქმრის ოჯახს ჰქონიათ ერთი ჰექტარი ნაკვეთი გასაბჭოებამდე ბოდბისხევში, მოსავლიანი და რამე, მაგრამ მერე მოხუც მშობლებს შემოუთვლიათ ბოდბისხევიდან, აღარ შეგვიძლია და მოგვხედეო. არ დაუტოვებია მარიამის ქმარს მშობლები, დებიც აქა ჰყავდა გათხოვილი და წამოსულან და დასახლებულან ბოდბისხევში. იქიდან არიან ობოლაშვილები ბოდბისხევში. იქამდე პირველი შვილი მარიამს მაწიმში ეყოლა, ომანი ერქვა. რვა თვის ბიჭი, კაი ცოცხალი ბავშვი იყო. ერთხელ მარიამის ქმარი, გიგა მოსულიყო გარედან, სიბნელიდან შემოყვა ელექტროობა და როგორც კი ბავშვს მოკიდა ხელი, გადავიდა ის ელექტრობა ბავშვზე და მოკლა. ადრე იცოდნენ ხოლმე, ავმა სულმა წაიყვანაო, გარეთ როცა არის სიბნელეში ადამიანი, ელექტრობაა ძალიან ძლიერი, ამას პატარა თოთო ბავშვი გრძნობს, ძალიან მგრძნობიარეა და რომ შემოდიოდა ადამიანი, იმიტო არის ჩვევა, რომ ცეცხლი უნდა დაანახო, რკინას ხელი უნდა მოაკიდინო. იმ წუთში ბავშვთან არ უნდა მივიდეს. აი, რო ამბობდნენ, ეშმაკმა ბეჭებზე ხელი დაარტყაო, ნიშნავს მაგას.

მეორე შვილიც მაწიმზე გაუჩნდა მარიამს, ვახტანგი. ვახტანგი მერე ომში წავიდა, შორეულ აღმოსავლეთში იყო და მერე იქ გადმოიყვანეს პირველ ხაზზე, მოსკოვთან დაბლა, იმ ქალაქებს რა ერქვა, დამავიწყდა, მანდ დაიჭრა. ასკოლკები [ნამსხვრევები] ჰქონდა მოხვედრილი, არ გამოუშვეს, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დაჭრილი იყო. ომი დამთავრდა და 1947 წლამდე არ ჩამოსულა, მშენებლობები იყო იქ ქალაქების, დანგრეული ქალაქები ხომ უნდა აშენებულიყო?! და უხელფასო მუშახელი იყო სამხედრო და დატოვეს ის ავადმყოფი ადამიანი სამუშაოდ და სანამ ძალიან არ გაუჭირდა, არ გამოუშვეს. კურორტიც გამოუყვეს, წადი

და იმკურნალეო, მაგრამ რაღა უნდა ემკურნალა, აღარ იყო ფილტვები. ვახტანგი სოხუმში, სანატორიუმში იყო და იქ დაიღუპა, 1949 წელი იქნებოდა, ჰო, 1949. მის და-ძმებს მერე ჭლექიანების სახელი დაერქვათ, გადადებით არ გადასდებიათ, მათ სახელებს ტაბუ დაედო, აღარც გათხოვება, აღარც დაცოლშვილება აღარ უნდა მომხდარიყო. ერთ-ერთი და, თინა იმიტო გათხოვდა მერე გურიაში, ხუთასი კილომეტრია იქიდან იქ. ყარამანი, მათი ძმა, ჩემზე სამი წლით პატარა იყო. იყო ნიჭიერი, ძალიან კარგი ბავშვი, ფსიქოლოგიურად ძალიან ჩამოყალიბებული. სკოლა დაამთავრა წარჩინებით და მოეწყო მემინდვრეობაზე, სასოფლო-სამეურნეო ინსიტუტში. იყო სტალინის სტიპენდიანტი. იყო აგრეთვე ბალტიისპირეთში, რიგაში საკავშირო შეკრებაზე. სტუდენტური კავშირი იყო და იმათთან იყო, იქ მონაწილეობდა, ერთი მეორესთან კავშირი ჰქონდათ და ისენიც და ესეც იყვნენ ხრუშოვის წინააღმდეგ. იმათთან იყო გაერთიანებული, როგორც ისინი მოქმედებდნენ, ესეც ისე. არა მარტო სტუდენტები, არა, ლექტორებიც ჰყავდათ, სტუდენტები მაგხელა კავშირს ვერ ჩამოაყალიბებდნენ. იმ ორგანიზაციას წესდება ჰქონდა ჩვეულებრივ, პარტიული წესდება ხო არი და კანონები, ისეთი.

ამათში იყო ლიდერთა ჯგუფი, ყარამანი იყო, მერაბ კოსტავა და სამი კიდე სხვა. რაკი კოსტავა იყო, ზვიადიც იქნებოდა. მე ზვიადი არ მახსოვს, მაგრამ... მერე ყორანაშვილის წიგნში ყოფილა ეს სია და იქ დამფუძნებლების ჩამონათვალში იყო ყარამან ობოლაშვილიც. იმ სიაში იყო გამსახურდიაც და კოსტავაც, მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები, ყველაზე პატარები.

მე და ყარამანი ერთდროულად 1956 წელს მიტინგის მონაწილე ვიყავით, ის თბილისში და მე გორში. მე, როგორც ყარამანი, ისე ვერ ვმონაწილეობდი, ხმა არ მიწყობდა ხელს და ჩემ ლექსებს კითხულობდნენ, დიდი ამბავი იყო. დილის ხუთ საათზე რომ გავდიოდი იმ ხუთ დღეს, ღამე თორმეტზე, პირველზე შევდიოდით სახლში და სიტყვებს ვადგენდით

გორის სტუდენტები, კავშირი გვქონდა ამათთან. ვიცოდით, რო მარტო სტალინი კი არ უნდა დაგვეცვა, საქართველოს თავისუფლებისთვის უნდა ლექსები გვეთქვა და სიტყვაში გამოვსულიყავით.

ჯერ პირველ დღეს გამოაცხადეს, რომ წამოდითო. დირექტორი ჩადგა კარებში, ეხვეწნენ ბავშვები, გაგვიშვითო, მარა ფეხს არავინ არ ადგმევინებდა გარეთ. ქუჩის მეორე მხარეს იყო გაკეთებული მესერი ქვისა, ცოტა გადანგრეული. რაკი ქუჩიდან არ გაგვიშვეს, იმ მესერზე დაიწყეს გადასვლა, ბიჭები, რა თქმა უნდა, მალე გადავიდნენ, იქ დგებოდნენ და ეშველებოდნენ დანარჩენს, ჩვენც ველოდებოდით ჩვენ რიგს. მოვიხედეთ და დირექტორი შევიდა თავის კაბინეტში, მერე რომ დავიძახეთ: „ქუჩა ღიაა“! იქით რაღაზე წავიდოდით, პირდაპირ მოედანზე წავედით. სხვადასხვა სოფლებიდან მოდიოდნენ გლეხები. მახსოვს, ქართული ურმით მოვიდნენ ცოლ-ქმარი, ასაკოვნები, ალბათ, ოთხმოც წელს მიღწეულები. ეს ქალი დადგა ტრიბუნაზე და მოთქმით იტირა, აი, როგორც შვილი დაიტიროს, ეგრე და ეს კაცი გამოვიდა სიტყვით, მე რომ ძალიან მიჭირდა, მრავალშვილიანი ვიყავი და ხევთუბნიდად მომქონდა შეშა გორში ამ ურმითო. ფეხითაც წამოვიდოდითო, მაგრამ ეს ურემი იმიტომ წამოვიღეთო, რომ ამაზე პატარა კობა იჯდა ხოლმეო, რო შემოვიდოდით ქალაქში, ბიჭები დაგვესეოდნენ, დასხდებოდნენ და ხარებს უჭირდათ ხოლმე სიარულიო და ბავშვებს შოლტით ვიგერიებდიო, უცებ ვიღაც ბიჭი შემომიხტა და „შავო მერცხალო“ იმღერაო. ისე კარგად იმღერაო, რო შოლტს რა მომაქნევინებდაო. იმის შემდეგ ყოველ კვირა დღეს შემოსასვლელში ჯდებოდა ჩემ ურემზე და ასე მიმაცილებდა ცენტრამდე, სანამ ურემს დავცლიდიო და მე იმ კობას მივტირიო. თქვენ რო ვიღაცას ედავებით, ის არ ვიცი, მე იმ კობასა ვტირიო.

ჩვენც გვიყვარდა სტალინი, ისე ვიყავით გაზრდილი, რო სხვანაირად არ შეგვეძლო.

ჩვენ თავად დავიწყეთ სტალინით და მერე, აი, ამ ყარამანის ინსტრუქციით, თუ როგორ ვთქვა, მითითებით უკვე საქართველოზე გადაირთო ეს ტალღა. მანამდე თუ სტალინზე ვწერდით სიტყვას თუ ლექსებს, მერე უკვე საქართველოს თავისუფლებისთვის ვმსჯელობდით.

ყარამანი 1956 წლის მიტინგზე სიტყვით გამოსულიყო, ლექსით სტალინზე. ამხანაგს ეთქვა, ბიჭო, სურათი გადაგიღესო. ჩამოსულიყო მაშინ, მისულიყო პარიკმახერთან, დიდი ქოჩორი ჰქონდა, ის გადეეპარსნა, რო სურათთან სხვანაირი გამოჩენილიყო. ესე გადარჩა, მაგრამ სდევნიდნენ, ხრუშჩოვი სულ სდევნიდა, ხო იცით, დანოსები [დასმენა] ყველგან არი...

ზვიადი არ მახსოვს, მერაბ კოსტავა ძალიან კარგად მახსოვს. მეექვსე დღეს რო აქ, თბილისში დაცხრილეს სტუდენტები, მაშინ გორში გამოგვიცხადეს, თანაგრძნობისთვის ჩავიდეთ თბილისშიო. გორიდან მატარებელი არ გამოუშვეს, გორი-თბილისი იყო, ბორჯომის მატარებელი გადააყენეს სხვა ლიანდაგზე და არ გამოუშვეს. ხალხი ძალიან ბობოქრობდა, ძალიან და მერე ბათუმი-თბილისი მოდიოდა, გორზე გამოიარა და ჩავაბით ხელი, ასე ვთქვათ და წინ გადავუდექით მატარებელს შორ მანძილზე. რა თქმა უნდა, იძულებულები გახდნენ, გაეჩერებინათ და მერე ის, ვინც გვაკონტროლებდა და არ გვიშვებდა, ისინიც კი იყვნენ ჩვენი მომხრეები, მაგრამ თავიანთ სკამს უფრთხილდებოდნენ. ძირითადად მილიცია იყო. გაეცალნენ, გაგვეცალნენ, ასე ვთქვათ, მატარებელი გაჩერდა, გახსნეს კარები და მატარებელში რომ არ დავეტიეთ, ძალიან გრძელი ეშელონი იყო, ზოგი ჭერზე ავიდა და ისე წამოვიდნენ თბილისში. თბილისში რომ ჩამოვედით, მოგვქონდა სტალინის სურათი, მეტრანახევრიანი, ალბათ, თითქმის, სტალინის სიმაღლე და სიტყვები გვქონდა მომზადებული. სადგურში რომ შემოვედით, ოთხ პირად ჯარი და მილიცია იყო ჩამდგარი და არ გვიშვებდნენ ქალაქში, ვინც ჩვენი ხელმძღვანელი იყო, გამოაცხადა, აქ ჩავატაროთ მიტინგიო, ვაგზალზე. ჰოდა, გამართეს, რაღაც სკამები გამოიტანეს და სიტყვაში

გამოსვლა რომ დაიწყეს, მოვარდა ერთ-ერთი სამხედრო პირი და ამ სტალინის სურათს დაავლო ხელი, დააგდო დაბლა და ფეხებით შესდგა. მე მაშინ მესამე კურსელი ვიყავი და მეოთხე კურსელი იყო ვიღაც თუში ბიჭი, გურამი ერქვა, ხუთოსანი ბიჭი. ის მივარდა და ვინც ფეხით შესდგა, იმას გაარტყა სილა, ხელი კრა, გამოაცალა სტალინის სურათი და რო დასდევდნენ ისინი, ასე ხელიდან ხელში გადადიოდა სურათი და ხელში ვერ აჩერებდნენ. ეს ბიჭი დააკავეს და სამი თვე ამყოფეს ციხეში მაგის გამო, მერე ვიღაცეები მიეხმარნენ ისევ და გამოუშვეს.

მაშინ უკვე თბილისში აღარ უშვებდნენ არავის. ძმასთან მინდოდა მისვლა, თბილისში იყო მაშინ ჩემი ძმა და იქაც კი აღარ გვიშვებდნენ, ტირილი დავიწყე, ჩემი ძმა იყო მიტინგების მონაწილე, იქნებ ცოცხალი აღარ არის, გამიშვით-მეთქი, მერე გაგვიშვეს მე და ჩემი და, არადა, ოთხნი მივდიოდით და მარტო ორი გაგვიშვეს. უკვე დედაკაცებსაც კი უშლიდნენ ქუჩაში სიარულს, სამს ერთად არ უნდა გაევლო იმ დროისათვის, ორი კიდე შეიძლებოდა. ასე დიდხანს გრძელდებოდა. სულ იმისი გვეშინოდა, რომ ისევ დაგვაკავებდნენ. ეს იყო 1956 წელს და 1957 წლის 9 მაისი რომ ახლოვდებოდა, მაშინაც ძალიან გაამკაცრეს კონტროლი. ისე რომ, სასწავლებლის გარდა, ვერსად ვერ გავდიოდით, ჩამოჰქონდათ ხოლმე ინდოეთის კინოები, დიდი თავპირისმტვრევა იყო მაგ ფილმებზე, ის ფილმებიც კი არ გაუშვეს, რომ ხალხი არ გამოსულიყო.

1957 წელს რომ გამკაცრდა ეს კონტროლი, ჩემი და დაიბარეს მილიციაში. ვიღაცის ბლოკნოტი იყო, რას მისურვებთო და იქ ჩაეწერა ჩემ დას: „საკმარისია ითქვას, საქართველომ მსოფლიოს მისცა სტალინიო“ და გვარი, სახელი ჰქონდა მიწერილი, არადა, პირველ ფურცელზე მე მეწერა ის ლექსი, რომლითაც მიტინგებზე რამდენჯერმე გამოვიდნენ ჩემი კურსელები. რაკი ჩემი დის გვარი-სახელი იყო, უცებ ააყენეს ლექციიდან და წაიყვანეს მილიციაში, „საკმარისია ითქვას, საქართველომ მსოფლიოს მისცა სტალინი“– აი, ამის

გამო. რა მონაწილეობას ღებულობდიო, ამბობენ, რო შენი კურსელები გამოდიოდნენ მიტინგზე და შენი კურსელების დაწერილი იყო ლექსებიო, ნუ ასე თუ ისე, ამან უთხრა, რომ მე არასოდეს ლექსი არ დამიწერია, ეგ სადღაც ამოვიკითხე და ისე დავწერეო. სახლში რომ მოვიდა, იტირა, რო შენი ლექსების გულისთვის კინაღამ მე ციხეში ჩამსვევსო და ამ დროს შევნიშნეთ, რო, ფანჯრიდან ვიღაც გვისმენს, თუ იჭყიტება. ფანჯარა სართულზე გვქონდა. გავიხედე, ქუჩაში გავედი და ის ახალგაზრდა კაცი სხვა გზაზე წავიდა, შემოვედი, ცოტა ხანი გავჩერდი, გავიხედე და ისევ ჩვენ ფანჯარასთან მოყუდებულა. ჩემ ბავშობაში ძალიან ბევრი დედაზე დამიწერია თუ ძმაზე, ყველაფერი მოვხვეტეთ და დავწვით. იმან ფანჯრიდან დაინახა, რომ ჩვენ ის რვეულები დავწვით და გაგვანებეს თავი, ალბათ, მოგზავნილი იყო, რო გაეგო, აქ რა მოხდებოდა და რაკი მოისპო ის მასალა, თვითონაც კი არ უნდოდათ, ბოლომდე რო ჩაგვყოლოდნენ.

ეხლა სასწავლებელში რა ხდებოდა: იმ პირველ წელს ხო თვითონაც მონაწილეობდნენ ჩვენი ლექტორები, დი-

კოლმეურნე ქალები შესვენების დროს. ახალსოფელი, 1940-იანი წლები.

რექტორი არ გვინახავს, თორე, ალბათ, ყველანი იქ ვიყავით და მეორე წელს ქართულის მასწავლებელი გვყავდა ვიღაც, იმან გაგვაფრთხილა, გიყვარდეთ სწავლა, გიყვარდეთ სამშობლო, გიყვარდეთ საქართველო, მაგრამ ეხლა გაჩუმდით, რომ შარშანდელი ტრაგედია არ დატრიალდეს, არადა, მოედანზე გასვლას ვაპირებდით კიდე და იმ კაცმა სასტიკად გაგვაფრთხილა, ციხეში ამოგაყოფინებენ თავსო, იმდენმა ხალხმა ვერაფერი ქნა და ეხლა თქვენ თითო-ოროლა ვერაფერს იზამთო, ისე მასიურად არ გამოვა ხალხი, როგორც შარშან, რა ვიცი, აღარ გავსულვართ მერე.

სასწავლებელი რო დავამთავრეთ, სამასწავლებლოზე ვიყავით, და სანამ სექტემბერი იქნებოდა, მანამდე სოფელში ყრილობა ჩატარდა და იმ ყრილობაზე მე და ჩემი და გამოგვაცხადეს როგორც დეზერტირები, არა ვმუშაობდით. ვიტირე, სოფლის ყრილობაა, წარჩინებული სტუდენტი ვიყავ და თავი მომწონს და აქ გამომაცხადეს დეზერტირად, რაღაცა ორი თვე მოგვიწია, რო არაფერი გავაკეთეთ.

ყარამანმა მაინც დაამთავრა უმაღლესი წარჩინების დიპლომით. აქ, ულიანოვკაში[64] სასელექციო სადგური თუღა არის საერთოდ, სასელექციო სადგური იყო მანდა და უმცროს მეცნიერ-მუშაკად გაუშვეს, მუშაობდა მანდ, საწყობი იყო, კარგი საწყობი და იქ გამოუყვეს ერთი ოთახი, ბოდბისხევიდან[65] ხო არ ივლიდა. ღამეს იქ ათევდა და ერთ ღამეს იმ საწყობის გასატეხად მოსულან, მიჰქონდათ თურმე პროდუქტი. არა, ბიჭო, ეგ შენი არ არი, მთავრობამ უნდა წაიღოსო, შესწინააღმდეგებია ყარამანი, ვინ იყვნენ ისინი, ეხლაც არ ვიცი, ვინ მუშაობდა მაშინ. ეს თავისივე თანამშრომლებმა გააკეთეს, ვისიც იყო ეს საწყობი და ვისაც ებარა. ამან არ დაანება, ეს მე მაბარია, საწყობში მე ვარო და აი, ამის გულისთვის, ამ შიშებზე ფსიქოლოგიურად ავად გახდა.

[64] ულიანოვკა – სოფელი მარნეულის მუნიციპალიტეტში.
[65] ბოდბისხევი – სოფელი სიღნაღის მუნიციპალიტეტში.

ერთხელ ყორანაშვილმა თუ ყორღანაშვილმა წერილები მისწერა ბოდბისხევში: ყარამან, რაშია საქმეო, რატო იმალები და აღარა ხარ ჩვენთანო, რაო, რა მოხდაო? ამ დროს უკვე საავადმყოფოში იწვა.

ჩემი ქმარი ამბობდა, პირველად რომ ვნახეთ ყარამანიო და იმ ქუჩაზე რომ გავიარეთო, სადაც დახვრეტები მოხდა, სანაპიროზე, ვიღაც კაცი დაინახაო, ეხლა ის კაცი მომდევს და ჩქარა დამმალეო. ვიღაცა სულ დასდევდა. მაშინ გაზეთებში ეწერა, რომ ცხრამეტი კაცი შეეწირა 1956 წლის მიტინგს, მაგრამ ათასიც იქნებოდა, მტკვარი მოდიოდა წითლად, ერთი ფეხმძიმე ქალიც მოკვდა, მედეა კახიძეს ჰქონდა ლექსი, ერთი გოჯით საქართველოს მიწა ცისკენ ასწია დაუბადებელმა ბავშვმაო.

ფოტო გადაიღო და ინტერვიუ ჩაიწერა მარინე ტურაშვილმა.
სოფელი შილდა, (ყვარელი), 2016 წლის მაისი.

ციალა მოლაშვილი

დაიბადა 1930 წლის 4 მაისს ქ. ყვარელში. მშობლები იმდროისთვის საკმაოდ შეძლებულები იყვნენ, ბევრი ცხვარი ჰყავდათ, რის გამოც გადაასახლეს ყაზახეთში. მამამისმა ცხვრის გამო ისეთი ტრამვა მიიღო, რომ როდესაც გადასახლებაში კვლავ ცხვრის მოვლა-პატრონობა შესთავაზეს, უარი თქვა და ქვანახშირის საბადოში შავ მუშად მუშაობა არჩია, რასაც მისი ჯანმრთელობის შერყევა მოჰყვა და 1937 წელს გარდაიცვალა კიდეც.

ოჯახისა და ახლობლების ძალისხმევით, სწავლა დაიწყო ყვარლის ღამის სკოლაში და აიღო თერთმეტი კლასის ატესტატი, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ძალიან უჭირდა.

დაამთავრა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში ექსკურსიამძღოლად, შილდის საბავშვო ბაღის აღმზრდელად, შილდის საშუალო სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად.

შემდეგ გათხოვდა სოფ. შილდაში მიხეილ მირიანაშვილზე.

ჰყავს ორი ვაჟი და ორი შვილიშვილი.

მე ვარ მოლაშვილი ციალა, დაბადებული ყვარელში, 1930 წელს, 4 მარტს. 1933-ში მამაჩემი და ბიძაჩემი – ორივენი, ძმები, როგორც კულაკები, ისე გადაასახლეს. მე ეს არ მახსოვს. გადმოცემით ვიცი, რო გადაგვასახლეს. ორწლინახევრისა ვიყავი მაშინ. გადაგვასახლეს შორს – სევერნი კაზახისტან (*ციმბირში*), აკმოისკაია ობლასტ, შორტანდისკიი რაიონ, პასოლ ტრიცეტ შესტ (...).[66]

რადგან სუ აქაურები ვიყავით, საქართველოდან, იქიდან – ერევნიდან სომხები, რუსები, დუხაბორები, უზბეკები...

დაგვყარეს ე.ი. ტრიალ მინდორზე, ცილინაგრადში[67].

დედაჩემის გადმოცემით ვიცი, რო:

– ჩქარა, ჩქარა, იმუშავეთო!

სანამ ზამთარი მოვა, მანამდე ალიზის სახლები უნდა აეშენებინათ ბლოკებით. როგორც იყო, ე.ი. მოასწრეს მშობლებმა. სანამ ეს დიდი ზამთარი მოვიდოდა, აშენდა პატარ-პატარა ბინები. ერთ ბინაში ვცხოვრობდით ჩვენ. კარგათ ვიყავით ერთმანეთთან, სკოლაში დავმეგობრდით მერე.

ეს წლები გავიდა, ცუდი არაფერი მახსოვს. ყველაფერი კარგი მახსოვს, პატარაობის რაც იყო...

ექვსი წლისა რო გავხდი, მამაჩემი დაიღუპა. ორი შვილი იქაც ჰყავდა დედაჩემს, მარა დაეხოცა. დაიხოცნენ, სიცივე იყო და ვერ გაძლეს. მე და დედაღა დავრჩით და ჩემი ბიძა და ბიძაშვილები – მამაჩემის ძმა და ძმისშვილები.

სკოლა გაიხსნა, რა თქმა უნდა, წავედით სკოლაში, პირველ კლასში მივედით. პატარაობიდან რუსულს გვასწავლიდნენ. აქაურები, დედიჩემის ძმები, მამიდაჩემი, ბებიაც ცოცხალი იყო მაშინ და მწერდნენ სულ:

– არ დაივიწყო ქართული ენაო, ქართული წერა-კითხვაო!

ბებიაჩემი ორჯერ იყო ციმბირში: ერთხელ სტალინის დროს, თვითონ შევიდა სტალინთან:

– ჩემი შვილები უნდა ვნახო, სად არიანო!

---

[66] ჩრ. ყაზახეთი, აკმოლენსკის ოლქი, შორტანდის რაიონი, დასახლება 36.

[67] ასტანა – ყაზახეთის დედაქალაქი. ქალაქს რამდენჯერმე შეეცვალა სახელი. 1961 წლამდე – აკომილინსკი ერქვა, 1961-1992 წლებში – ცელინიგრადი, 1992-1998 წლებში – აკმოლა.

მეორედ, როცა დაიღუპა უკვე მამაჩემი, მაშინ იყო.

ენა ხო არ იცოდა. ერთი ენისლელი[68] კაცი ყოფილა, რომელმაც ცოტა იცოდა რუსული, დაიქირავა ის კაცი და იმან წაიყვანა კრემლში, შევიდა სტალინთან და უამბო ყველაფერი ვერა ბაბომ. ეგ პირველად და მეორედ კიდეც მგონი მარტო ჩამოვიდა, მეორედ აღარ ვიცი, უკვე გზა იცოდა და ჩამოვიდა.

ძალიან დაბალი იყო ბებია, მაგრამ ძალიან ყოჩაღი. ოთხმოცდარამდენი წელი გადაიარა და გაზეთი არ დაუდვია ხელიდან, არც სათვალეები. გარეთა ქვაზე იცოდა ხოლმე დაჯდომა. ერთხელაც ქვაზე იჯდა, მერე სახლში შემოვიდა, კუშეტკაზე [ტახტზე] დაჯდა, გადაბრუნდა და მორჩა, მოკვდა, ჰო!..

სკოლაში პირველ კლასში მივედი... აქედან „პასელკები“ [ამანათები] მოგვდიოდა ძალიან ბევრი. ჩვენ, მაგალითად: მე, ჩემი ბიძა და მამაჩემი ნამდვილად არ ვიყავით გაჭირვებულები იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ხალხი გვყავს ახლობლები, ჩემი ნათესავები – ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ბიძები, მამიდები, ეგეთები და – ერთ დღეს ხუთი თუ ექვსი „პასელკა“ მივიღეთ. ფოსტალიონმა რო მოიტანა, მგონი ექვსი იყო და მე პატარას მახსოვს, ხან იმას ვეცემოდი, ხან – იმას, ხან – იმას. ხილსა გზავნიდნენ, ჩურჩხელებიო, „ნასკებიო“, რაღაც-რუღაცეები, ე.ი. რაც უნდოდა. ჩურჩხელებს წავიღებდი ხოლმე სკოლაში. არც მე ვიცოდი ეს რანაირათა კეთდებოდა და იმათ კი იცოდნენ, რო ვითომ ხეზე იზრდებოდა ეს ჩურჩხელები. ჰოდა, ეხლა გამომიგზავნეს ქართული წიგნი – „დედა ენა“ და მწერდა მამიდა, რო:

– შვილო, აი, წიგნი და ქართული ანბანი და წერა ისწავლეო! – ლაპარაკი რო არ დამვიწყდებოდა.

სკოლაში რო დავდიოდი, ენაც ვისწავლე, კითხვაც, ლაპარაკიც. რა ვიცი, როცა არ გხვდება ყურში შენი ენა... მერე გოგოები ერთი-მეორეში ისე გავერთეთ, რო კარგათ ვლაპარაკობდით.

მამაჩემი 1937 წელს დაიღუპა. საშინელი ზამთარი იყო. 40-50^{0}C სიცივე. ჩიტები მაღლა იყინებოდნენ, მაგრამ ჩვენ

[68] ენისელი – სოფელი ყვარლის მუნიციპალიტეტში.

მაინც გვიხაროდა. ორსართულიანი თოვლი იცოდა. ბალღები ციგებზე დავსხდებოდით იმ მეორე სართულიდან მოვდიოდით ცურაობით. მერე ლიჟებიც [თხილამურები] მქონდა. ეს პერიოდი ნამდვილათ კარგად მახსოვს. ცუდი არაფერი არ მახსოვს და არ ვიცი. რასაცა ვყვები, სუ კარგსა ვყვები. აი, რო იტყვიან, კინაღამ, კინაღამ მივტიროდი, რო მოვდიოდი, იმიტომ, რო არ ვიცოდი, სად მოვდიოდი. ერთიმეორეს რო ვემშვიდობებოდით გოგო-ბიჭები, სუ ვტიროდით, რო აღარ შევხვდებოდით.

ცხოვრება კარგი იყო, ნამდვილად – საქონელი, ძროხები, ღორები. ზამთარი იყო ისეთი, რო გარეთ ცხვირს ვერ გამოყოფდი. სკოლაში რო უნდა წავსულიყავი დედაჩემი პატარას აეგრე ამოიჭრიდა იმ თოვლს, რო გავმძვრალიყავი და წავსულიყავი.

ეგრე მიდიოდა წლები. რის გულისთვის ვიყავით გადასახლებულები?! არავისთვის არ მოგვიპარავს.

მერე ბრძანება მოვიდა, სტალინის ბრძანება, თუ ვისი იყო, რა ვიცი, რო გადასახლებულები თავისუფლები არიან და განთავისუფლდნენო!

დაიბარეს დედაჩემი, ბიძაჩემი, პასპორტები შეავსეს, მოგვცეს. 1948 წელში ჩამოვედით. მოგვცეს ყველაფერი:

– თავისუფლები ხართო!

ყველაფერი გავყიდეთ: ძროხა, ის – რაც რამე ისეთი იყო, რო წამოვსულიყავით და ამ დროს შეიცვალა ფული, 1948 წელში. ძველი ფული წითელი სამმანეთიანები იყო, ზედ ლენინის თავი ეხატა წითელი და რამდენიცა გვქონდა, იმაში მოგვცეს ოცდაათი მანეთი. არაფერი არ იყო, მაგრამ აი, გზად გვეყო და წამოვედით.

აქ ყველაფერი ჩამოგვართვეს – სახლი, სამსართულიანი სახლი ყვარელში, სახელმწიფო თვითონ ხმარობდა მაშინ. ეხლა ყველასა აქ ეს დიდი სახლები და ბინები, მაშინ ჩვენ, ბიძაჩემსა და თითო-თითო ვიღაცეებს ჰქონდათ, ვისაც საშუალება ქონდა.

გადასახლების საბუთები მოვაქუჩე და შევიტანე სასამართლოში. გაარჩიეს, დიდი ამბები იყო. არავის საწინააღმდეგო არაფერი არა ჰქონდათ. გაარჩიეს ესა და როდის

დაიშალა საბჭოთა კავშირი, აღარ მახსოვს, და დამიბრუნეს ეს ბინა, ყვარელში. ამდენი ხნის ურემონტო რა იქნებოდა?! მაგრამ მაინც რაკი ორნი იყვნენ (*თავისი ორი ვაჟიშვილი*), არა, ესენი?! ამას სოსო ქვია, იმას – გიორგი. ეს სოსო მამიჩემის მოსახელეა. გია მაშინ სტუდენტი იყო, იმას ძაან უყვარს ყვარელი, ამას – შილდა. მე ვთქვი, რო გიასი იყოს ყვარლის სახლი და გაუხარდა:

– ვარალე, წავედი ყვარელშიო!

ენისელში მუშაობდა ქარხანაში ეკონომისტად.

აქ გამოვთხოვდი. სანამ გავთხოვდებოდი, ვმუშაობდი ილია ჭავჭავაძის მუზეუმში. რუსული მაშინ ჭირდა ძალიან, არ იცოდნენ.

გავთხოვდი 1962 წელში და ე საბავშვო ბაღში დავიწყე მუშაობა. ეხლა ხო იცით, ერთი რაკი გამოჩნდება ადგილი, მერე უკვე ადვილია. ვერავინ ვერ მეცილებოდა.

მერე გადავინაცვლე სკოლაში. აღარც ბაღი მინდოდა. იქიდან წამოვედი და თითქმის ოცდაათი კი არა, ორმოცი წელი სკოლაში ვმუშაობდი რუსულის მასწავლებლად, საბოლოოდ კი, აეგრე გამოგდებული დავრჩი. განა არ უნდა წამოვსულიყავით პენსიონერები?! მაგრამ როგორც წესია და ადათია ისე. დათხოვნა რა არი?!

გაკულაკება იყო. ბევრი ცხვარი გვყვავდა, მიწები. მარტო ჩვენ კი არა, ბევრნი იყვნენ, მაგრამ მაინცადამაინც ჩვენ – მამაჩემი და ბიძაჩემი ამოარჩიეს. ვიცი, რომ იქაც ძალიან დიდი საქონელი, მეცხვარეობა იყო. რაკი იცოდნენ, რის გულისთვის გადაგვასახლეს, ბიძაჩემს უთხრეს:

– ცხვარი უნდა ჩაგაბაროთო! – დათანხმდა.

მამაჩემმა კი უთხრა:

– მე ცხვარმა დამღუპა და აღარ მინდა ცხვარიო!

წავიდა შავ მუშად ქვანახშირის საბადოში. იქ ვერ აიტანა, მთელი დღე მიწაში და წყალში იდგნენ და გაცივდა, ფილტვების ანთება დეემართა.

ბიძაჩემმა მააშენა ცხვარი, სუ ტყუპ-ტყუპს აჩენდნენ. ისე რო, იქ სურათი გადაუღეს და აქ სტალინს გამოუგზავნეს, ქუდით, ჯოხით. რო ჩამოიდა ბიძაჩემი, აქაც ისევ ცხვარში წავიდა (*იცინის*).

ჰო!..

მე, ჩემი თავი, როგორც იქ დაბადებული და გაზრდილი, ეგრე ვიცოდი და სკოლის ამხანაგებიც მყავდა. არ მრცხვენია, შემიძლია ვთქვა, რო ყველაფერი კარგი მახსოვს იქ გატარებული. აქაურობა ხო არაფერი არ ვიცოდი?!

მერე იქიდან ხო ყველანი წამოვიდნენ ეს ბიჭობა, გოგოობა, ოჯახები და მიწერ-მოწერა სულ გვქონდა. მაგ., ერევანში, ჩემი კლასელი ქნარიკა ვართანიანი იყო, ეკანუშა, გარანა – სომხური სახელები და წერილები მომდიოდა:

– დავაწესოთო, ორ მაისს შევიკრიბნეთ და ვიქეიფოთო, – ახალსოფლიდანაც იყვნენ და – ვიქეიფოთო.

აქაც იყვნენ, ახალსოფელშიაც იყვნენ. ავტობუსს დავიქირავებდით თელავიდან და სამდღიანი, ძალიან ძვირფასი შეხვედრები გვქონდა ხოლმე. სურათების გადაღება, დროსტარება, რა ვიცი, ყველაფერი. გადასახლებიდან რო მოვდიოდით, ვტიროდით, რო ვშორდებოდით ერთიმეორეს. კარგა ხანია ე.ი. მიწერ-მოწერა გვქონდა. ვინც ვიყავით, ყველას გვიყვარდა ერთიმეორე, არ ვიცი რათა, ალბათ, იქ სხვები (*ქართველები*) რომ არ იყვნენ, იმიტომ.

ჩვენებს ის ტანჯვა სუ ახსოვთ, მე – არა. რო იტყვიან, ტანჯვა არ მინახნიან იქ. არც არაფერი გვეკლდა. ბევრი დაიღუპა შიმშილით, ჩაუცმელობით. ჩვენ არაფერი არ მოგვკლებია იმიტო, რო ბევრი ნათესავები მყავს ყვარელში, შილდაში, ყველგან და არ გვაკლებდნენ არაფერს. სუ ვაწვდიდით ხოლმე სხვებს საჭმელს: ბრინჯს, შაქარს მაკარონს – ყველაფერს. თბილისში დეიდა მყავდა, იქიდან გზავნიდნენ. გასაჭირი ჭამის მხრივ არა გვქონდა. იქ იყო კარტოფილი აეგრე (*ხელს ყელამდე მიანიშნებს*), პური ძვირფასი, ყველაფერი, მაგრამ დანარჩენი ყველაფერი პირველად არ იყო, თორე მერე, ვაიმე, იცი რამდენი ბატი და იხვი გვყვავდა?!

გათავისუფლების მერე ჩავსხედით მატარებელში, ზუსტათ პირველ იანვარს ვიყავით თბილისში. აი, რამდენი ხანი მოუდით, თანაც ჩქარი მატარებლით წამოვედით.

წამოსვლისას დავხოცეთ იმოტელა ბატები, რადგან გვითხრეს:

– შეიძლება დიდი ხანი დარჩეთო!

ერთი მეშოკი [ტომარა] პური გავახმეთ, იხვები და ბატები და სუმთელი თბილისამდე ჩამოვიტანეთ. გზაში კიდე ადამიანი რამდენს შეჭამ?! მე მაშინ ხუთმეტი წლისა ვიქნებოდი, მეხუთმეტეში. კარგი იყო იქაური მატარებელი. გოგოები, ბიჭები იყვნენ, რა ვიცი. მატარებელში კიდე ერთიმეორეს სუ იცნობ. ბაქოში ჩამოვედით და იქიდან „ჩერეზ მასკვა“ წამოვედით. დღე იყო უკვე, მგონი და თერთმეტ საათზე უნდა წამოსულიყო თბილისი-ბაქოს მატარებელი. ბარგი ბევრი გვქონდა, ლოგინიცა გვქონდა. ის ლოგინიც შევკარით და მე გიტარა ლოგინში ჩავაყოლე. მე და დედაჩემი ესე სადგურში ვსხედვართ, ეს ჩვენი ბარგი გარეშამოა დაწყობილი და ახლა თერთმეტ საათზე უნდა გამოსულიყო თბილისი-ბაქო. წამოსვლისას ერთ ჩემოდანში ჩავალაგეთ კარგი ტანსაცმელი, იქიდან წამოვედით კალოშებით. ზამთარი დიდია, კალოშები მეცვა მეც, ნაბდისაგან მოთელილი როა, მაღალყელიანი, დედაჩემსაც.

დედაჩემი იყო შილდელი, მამა ყავდა ცოცხალი და ჩამოვედით აქ, პაპასთან და იმის შემდეგ სუ ვდაობდით მაგ სახლს და სუ არ გვაძლევდნენ! დედაჩემი იგრე წავიდა, რო თავის სახლის ნატრული იყო. მერე მამცეს ეგ დანგრეული...

ყველაფერი ერთნაირი ჩამოიტანა დედამ თბილისიდან. მარტო სახლის დარდი ჰქონდა, სხვა არაფერისა, სახლს ძალიან მისტიროდა. მაგრამ რა უყოთ, აბა?! რაკი მაინც მე რო დამიბრუნეს და მაგრამ ეხლა გული მტკივა, რო მეც მინდოდა დამხმარებოდნენ და გადამეხურა. ეგრე რო უყურებ, წვიმა ჩამოდის, რამე, მაგრამ გავანებე თავი.

საშინელება ყოფილა ქვანახშირში მუშაობა, სულ წყალში დგეხარ და აი, გაცივდა მამა და დეემართა ფილტვების ანთება. ჩვენ სოფელში არც ექიმი იყო, არც არაფერი. რაიონი იყო, ნოოკუბანკა. წაიყვანა ბიძაჩემმა, იქ დააწვინა საავადმყოფოში, მაგრამ ფილტვები გაუბედურებული ქონდა სიცივისაგან და ნესტისაგან.

განა ერთნაირათ გვანთავისფლებდნენ?! არა. ჩემი ძალო უკვე დაღუპული იყო იქ და მერე ბრძანება რო გამოიდა, მოდიოდა, რო:

– მოლაშვილი პავლე, თავისუფალი ხარ!

რამდენიმე ხანი გავიდოდა, ბიძაჩემი განა მოდიოდა?! თან ამბობდა, რო:

– მოდი, წავიყვანო, ესა, ვაი თუ გზაში ხათაბალა გახდესო?!

– მოლაშვილი! – ეხლა ჩვენი რიგი მოიდა.

გავიდა რამოდენიმე ხანი, ენისლელები იყვნენ, ისინი გათავისუფლდნენ. ბრძანება, ალბათ, ერთნაირად იყო, მაგრამ ესე ცალ-ცალკე მოდიოდა.

ჩამოვედით და იმ ერთ ოთახში ვცხოვრობდით ბებიასთან, ორი ქალი, ბიძაშვილები და ერთი ბიჭი. იმ ერთმა ბიძაშვილმა ოლსკში დაამთავრა სამედიცინო. ისიც ვერ ეღირსა კარგათ, საწყალი. იმ ერთ ოთახში ვიყავით ყველანი. მერე ეგრე რო ვიყავით, იმიტო გადაწყვიტა ბიძაჩემმა, რაკი ის ყიდიდა, რო ის ერთი ოთახი მაღლა იყიდა. მაღლა მემრე ავედით და ხან დაბლა ვიყავით, ხან – მაღლა.

გადასახლებაში ჩურჩხელა არ ვიცოდი, როგორ იყო. როგორც გითხარით, ხუთი პასელკა [ამანათი] მოგვივიდა ერთად. რო მაიტანეს, მე ხან იმას ვეცემი, ხან ამას ვეცემი. ერთ სიტყვით, მაინტერესებდა, რა ელაგა, ყველაფერი იყო – ჩასაცმელი გინდოდა, საჭმელი გინდოდა. ჩვენ შემოგვნატრიდნენ ნამდვილად. ჩვენ გვეკუთვნოდა, მაგრამ მეზობელია, ეხლაც არა აქვს სახლი, იქ იყვნენ, იქ მოუკვდათ შვილი, დარიკო. გასათხოვარი იყო, შიმშილისაგან დაჭლექდა და მოკვდა. ასევე სხვა ოჯახი. მარტო ჩვენ გვქონდა ყველაფერი იმიტომ, რო იმათ არც აქ არავინა ჰყავდათ იგეთი, რო გემეეგზავნათ რამე და არც კიდე – იქ. ჩვენ, ერთ სიტყვით, არ გაგვიგია შიმშილი. ჩვენ მშობლებს არ გაუგიათ და ეს ჩურჩხელა კიდე, ხო გითხარით, წავიღე სკოლაში და ისინი მე მეკითხებოდნენ, მე – იმათ:

– რა არის, საიდან მოდის?!

იქ ხილი არ არის, ჩვენი ხილი იყო სემიჩკა [მზესუმზირა]. ისე ტკბილეული და რამე, ყველაფერი იყო. აი, კამფეტიო და ესეთი რაღაცეები, სუყველაფერი. რძის ნაწარმით ვაკეთებდით ყველაფერს. პური რძეში უნდა მეგვეზილნა. ყოველდღე ვდღვებავდით კარაქს და გვეხალისებოდა. ვაცხობდით პეჩენიებს, რაღაცეებს. მოვზელავდით რძეში და

ერბოში და ვაცხობდით. ამ ყველაფერს ნამდვილათ კარგათ ვიგონებ. იქ იყვნენ გაჭირვებულებიც, რომლებსაც სულ აწვდიდნენ იმიტომ, რომ ძალიან საწყლები იყვნენ, ძალიან. იმდენად, რო დაჭლექდა ეს გოგო, ლომაური თინიკო და მოკვდა. ბევრი იყო ეგეთი. ერთი კუჭატნიდან[69] იყო, ოთხი ბიჭი ყავდა და ერთი გოგო, სხვათა შორის, გოგო კი კარგი იყო, ისევ ცოცხალია, მათემატიკის მასწავლებელი იყო მეურნეობაში. უბედურად იყვნენ...

– სტალინს რათ ემდურებითო?! სტალინმა ხო არ იცოდაო, რო სოსო იყო მდიდარი თუ პეტრე იყო მდიდარიო?! რაიონს დეემდურეთ, აი, რაიონის ხელმძღვანელობა ვინც იყო მაშინო, იმან იცოდა, მაშინ ჩვენ როგორა ვცხოვრობდით და თქვენ როგორა ცხოვრობდითო.

იქიდან ბიძაჩემი როცა წამოვიდა, ისევ ცხვარში იყო, თურმე, ერთი კაცი შეხვდა. კაცი, რომელიც იმ დროს ყოფილა თანამდებობის პირი ამ ყველაფრისა და თურმე, მიულოცა:

– აბა, პავლე, მომილოცნია!

ბიძაჩემმა პრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი იცოდა და უთქვამს:

– განა შენ რო იმიტო გაგვგზავნე იქა, რო დავხოცილიყავით, სუყველამ რუსული ვისწავლეთ და ჩამოვედითო!

გადასახლებულები ვეღარ ვიკრიბებით. არავინ არ არი. ყველა გარდაცვლილია. აი, ეხლა ერთიღა იყო ცოცხალი და გუშინ დასაფლავება იყო, საბუიდან იყვნენ და ვკითხე:

– თამარა თუ ცოცხალია-მეთქი?

– არა, რაღა დროსიაო, შვილიშვილი მოუკვდაო და იმის შემდეგ?!.

ბერიაშვილები იყვნენ, არ არიან, არავინ აღარ არიან. მე, მეღა ვარ.

შილდიდან ეგენი იყვნენ, ყვარლიდან – ჩვენ და ის უბედური, ეს იქ დაიბადა და ესენი ბევრნი იყვნენ – ეს თიანელაშვილები, აღარ არიან, დაიხოცნენ, კირილე მოკვდა, კოლია მოკვდა, ალექსაც მოკვდა. რა ვიცი, ლილი, გოგო მარტო ეს

[69] კუჭატნი – სოფელი ყვარლის მუნიციპალიტეტში.

იყო. სამი ძმა ჰყავდა მგონი. ჰოდა, ყველანი გაჭირვებულები იყვნენ, ჩვენს გარდა, ყველანი და მგონი ალვანიდან რო იყვნენ, ისინი არ იყვნენ ძაან გაჭირვებული. აღარ მახსოვს, ისინი იმიტო, რო იმათაც ცხვარი ყავდათ, ალვანი ცნობილია მეცხვარეობით.

ეხლა რო წამოვედით თელავში, ადრე მატარებლები იყო, მანქანები ეგრე არ იყო და ავტობუსები ხვდებოდა ხოლმე თელავის მატარებელს. შილდა-ყვარლის ავტობუსი იყო ჩამომდგარი. რა თქმა უნდა, პირველათ შილდაში მოვედით იმიტო, რო ყვარელში სახლი არ იყო. წავედით პაპაჩემთან. პაპამ იცოდა, გველოდებოდა. მანქანა მოვიდა, ჩავსხედით ჩვენი ბარგით, ყველაფრითა და წამოვედით შილდაში. რო მოვედით ენისელში, მატარებელი როდის ჩამოვიდა, საათი აღარ მახსოვს, მანქანა გაფუჭდა თუ შოფერი აღარ წამოიდა შილდაში:

– აი, აღარ მივდივარ იქითაო.

ჩამოვედით ენისელში, ცენტრში თურმე ყოფილიყო პაპაჩემის დეიდაშვილი გათხოვილი, დედაჩემმა გაიხსენა:

– აქაო მამაჩემის დეიდაშვილია გათხოვილიო და აბა, დავიძახებო. ჩვენ შილდაში რით უნდა წავიდეთ ბარგით?! – მეშოკები [ტომრები] დატენილი და ლოგინი. კატო ჰქვიოდა. დაიძახა დედაჩემმა, – კატო, კატო! – ეს ქალი გამოვიდა, დედაჩემმა უთხრა, – მარუსა ვარო, ჩამოვედი გადასახლებიდანო!

ეს დედაკაცი რო გამოქანდა, ერთი სიტყვით, ეს მახსოვს, თავის ქმარს დაუძახა:

– შაქრო, შაქრო, შეაბი ეხლა ცხენი და გადაიყვანე შილდაშიო!

ეს კაციც, რა თქმა უნდა, გამოვიდა, ხვევნა, კოცნა, შეაბა ცხენი, ტაჭკა, დაგვაბარგა ლამაზათ და წამოველით შილდაში. შილდაში რო შემოველით, მაშინ სხვა გზა იყო, ეხლა სხვა გზა გააკეთეს, მოვდივართ ტაჭკით. როგორც კი სოფელს მოუახლოვდით, ამ კაცსაც გაუხარდა... უიმე! ესეც მახსოვს, როგორც შემოვედით შილდაში, ეს კაცი ყვირის:

– მარუსა მოდის გადასახლებიდან!

ვეძიხევს ეძახიან, სადაც პაპაჩემი ცხოვრობდა, კაი მანძილია, სანამ იქამდე მოვედით, ხალხი აქედან, იქიდან მორბოდა. რო მოვედით, ეზოში რო შევედით და ჩამოვედით,

ტევა აღარ იყო, ხალხი მოდიოდა სანახავად, ზოგი ტიროდა, მე კიდე იცით რამხელა ვიყავი?! ვაიმე! ოთხმოცდაათი კილო ვიყავი, გასუქებული, ვარდისფერი კაბა მეცვა...

საშინლად მახსენდება საქართველოში გამომგზავრება. რო წამოვედით, მაშინ ტიფი იყო გაჩაღებული, მოვდიოდით „ჩერეზ მასკვა“ [მოსკოვის გავლით], დაგვაბრუნეს უკან წამოსულები ისე, რო:

– ეს მატარებელი გავა ხვალე ან ხვალზევითო.

რაღა იქნებოდა?! დავბრუნდით, ჩავსხედით მატარებელში, მოვდივართ. იანვარი, ზამთარია. უცბად ეს მთელი მატარებლის „სასტავი“ [შემადგენლობა] გაჩერდა. ვიღაცა ჩამოვიდა, გააჩერა:

– რაშია საქმე? – ვამბობთ.

ალვანიდანაც იყვნენ-მეთქი, ხო გითხარით, ცოლ-ქმარნი. ის კაცი ცოტა იგეთი იყო, ლანძღვა უყვარდა და რა ვიცი, რათ შეიგინა, ჩვენი გულისთვის გააჩერეს. ამ კაცმა გააღო ეს მატარებლის კარები, რო გაჩერდა, ჩვენი ბარგი გადმოყარა, გვკრა ხელი და გადმოგვყარა ტრიალ მინდორში ყელამდე თოვლში. სად ვიყავით, ჯერ არ ვიცოდით. პრავადნიკები [გამცილებლები] ქალები არიან ხშირად, ეს ქალი კიბეებზე იყო, შედგა ეს ქალი და წავიდა. დავრჩით ჩვენ აკიდებული ტომრებით სუყველანი და მივდივართ ამ თოვლში. მივდივართ და სად მივდივართ, არ ვიცით. მარტო ტრიალი მინდორია, თოვლ-ჭყაპით. მივდივართ, მივდივართ, მივდივართ და სადღაც გამოჩნდა ერთი სინათლის წინწკალი, მივდევთ მაინც ამ სინათლეს, მივდევთ და მივაგენით ერთ პატარა სადგურივით როა, სადაც ჩერდება მატარებელი, პლატფორმას მივადექით. გამოვიდა იქვე ყარაული:

– აქ რო დაუცადოთო, აქ არა ჩერდებაო, ხუთი წუთი გაჩერდება და მიდისო. თქვენ ამდენი ბარგი როგორ უნდა აზიდოთ ხუთ წუთშიო, არ გირჩევთო. – არ გვირჩევს, ნუ გვირჩევს, – ამაღამ აქ დარჩითო! – სადგური იყო, თუ რაც იყო, – დილა რო გათენდება, ჩვეულებრივათ უნდა დაბრუნდეთ უკანო.

ვაიმე! დავწექით სუყველანი ეგრე დაბლა. კიდე კაი, გათბობა იყო. დაბლა სუყველა ერთნაირად დავიძინებთ?! ხუთ

წუთში მოდის ის მატარებლები, დააყვირეებს, აეგრე თვა-ელბდაჭყეტილები ვართ. დააყვირებს, დაჭყეტილები გვაქ თვალები. როგორც იყო გათენდა. რო გათენდა, იმ კაცმა, ვინც იყო ნაჩალნიკი [უფროსი] იმ ოთახისა, გვითხრა:

– ეხლა თქვენ გაწყობთ დაიბრუნდეთ ისევ იმ სადგურში, საიდანაც წამოხვედითო.

დავაბარგეთ ეს ჩვენი ბარგი ისევ. ჯერ ის აღებული ბი-ლეთები და ეხლა უკან დაბრუნება, რო ხელმეორეთ ავიღეთ. დავაბარგეთ და დავბრუნდით ისევ უკან. მემრე რო მივედით, გვითხრეს:

– იქ ტიფია გაჩენილი და სხვა გზით უნდა წახვიდეთ.

წამოვედით იმ მეორე, სხვა გზით, მაგრამ იმ ღამეს, უკვე მერე გვითხრა იმ კაცმა, სადგურში რო მივედით:

– თქვენი ბედიო, რო მაშინ მგლები არ იყვნენ გამოსუ-ლები, თორე ამ ყიამათ ზამთარში, ამოტელა თოვლში, მგლე-ბი რო ყოფილიყვნენ გამოსულები, თქვენ არაფერი არ გეშ-ველებოდათო.

იმ ყველაფერს დაჭამდნენ და მერე ჩვენ შეგვჭამდენენ! ეგრე არ გამოიდოდა?! აეგეთი რამე იყო. ეს საშინელებაა, საშინელებაა.

...მამიდა იქ სუ მწერდა:

– იქნება შვილო წამოხვიდე, იქნება წამოხვიდე!

ხო არ ვიცოდით, რო გაგვათავისფლებდნენ?! აი, ზოგი გამააპარეს, მაგრე, გამოპარვითა ვერა. ეხლაც ეგრე ვარ და დედაჩემიც მაგრე იყო. უი, ქა! გამოპარვით?! სადმე ან დევეჭირნე, ან რამე?! ჰოდა, ის ბიძაჩემი როცა წამოიდა ჩვენზე წინ, მაშინ ეთქვა:

– რა იქნებოდა, ისიც წემეგეყვანაო?!

განა იმას გული არა ტკიოდა?! მაგრამ არ შეიძლებოდა. აბა, როგორ წამომიყვანდა?! იქ ყველაფერი – პასპორტია, ის არი, ეს არი და ახლა ხელმეორეთ ისევ გადევესახლებინე?!

აეგეთი რამე იყო, ჩემო კარგებო!.. რა ვქნა?!

ფოტო გადაიღო და ინტერვიუ ჩაიწერა მარინე ტურაშვილმა.
სოფელი ჩანთლისყურე (ყვარელი), 2016 წლის ივნისი.

გულხანუმ ჩოფანოვი

დაბადებულია 1974 წლის 9 ოქტომბერს სოფ. ძველ ანაგაში (სიღნაღი). ზრდიდნენ დედა და ბებია. ქართველებთან თვრამეტწლიანი ცხოვრების შემდეგ გადაწყვიტეს, საცხოვრებლად სოფ. ჩანთლისყურში გადმოსულიყვნენ. აქ ბევრი მათი ახლობელი სახლობდა და მძიმე 1990-იან წლებში, მათი აზრით, ეს ცხოვრებას გაუადვილებდათ.

გათხოვდა ამავე სოფლის მკვიდრ მიქაელ უსენზე და მასთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა მახაჩკალაში. ქმრის ღალატის შემდეგ იგი დაბრუნდა მშობლების სახლში. გამზრდელმა ბებიამ შეკოწიწებული პენსიის ფულით უყიდა პატარა, ოროთახიანი სახლი.

მარტო ზრდიდა ერთადერთ ქალიშვილს, ფატიმათს, რომელიც 2016 წელს დაოჯახდა. ახლა, ჯანმრთელობის გამო, დატვირთვით ვერ მუშაობს და სოციალური დახმარებით ირჩენს თავს.

ჰყავს ერთი შვილი და ერთი შვილიშვილი.

მე ვარ ჩოფანოვი გულხანუმი. დავიბადე სიღნაღის რაიონში, სოფ. ძველ ანაგაში. იქ დავამთავრე საშუალო სკოლა 1992. ჩემ დროს თერთმეტი კლასი იყო. მერე დედაჩემი გათხოვდა და მეყოლა ძმა. ერთად კარგად ვცხოვრობდით. ის დრო კარგად მახსოვს. მართალია, დედაჩემი და მამაჩემიც მუშაობდნენ, მაგრამ გაჭირვება იყო.

მოხუცი ბებია გვყვავდა სახლში. ძალიან ბევრ რაღაცეებს იხსენებდა ხოლმე – ჩეჩნეთიდან გადასახლებას, გადმოსახლებას:

– აქ გამოპარვით მოვედითო.

დიდოელი ლეკი[70] იყო ბებიაჩემი, დაღესტანში დაბადებული. დედ-მამა მასაც არ ჰყავდა. ძმებმა და ძმის ცოლებმა გაზარდეს. ბევრი ტანჯვა ნახა. ძალიან საშინელი ცხოვრებით იცხოვრეს მაშინდელმა ხალხმა:

– დღისით ვიმალებოდით ტყეებში და ღამე მოვდიოდითო! – რო არ შეემჩნია არავის, ისე გადმოვიდნენ საქართველოში და დასახლდნენ ლაგოდეხის რაიონში, სოფ. შრომაში. მახსოვს, ამბობდა ხოლმე:

– ჩანთლისყურში რო გადმოვედით ჩვენ, მეთოთხმეტე გადმოსახლებააო (*ბებიას რამდენიმე ათეული წელი ერთი საცხოვრებელი ადგილი არ ჰქონდა და ბინას იქ იდებდა, სადაც სამუშაო ჰქონდა*). აქეთ-იქით დავწოწიალობდითო!

ოთხი შვილი ყავდა ბებიაჩემს. ოთხიდან მარტო დედაჩემი დარჩა და ის უვლიდა, პატრონობდა.

პაპას პირველი ცოლისგან თერთმეტი შვილი ყავდა. იმასაც თერთმეტი შვილიდან ერთი დარჩა. პირველი მეუღლისგანაც შვილი ჰყავს, ჩემი დეიდა. ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. ერთი-ორი წლის წინ დაიღუპა. დაღესტანში გადავიდა ისიც, თორე აქამდე ცხოვრება აქ გაატარა დეიდაჩემმაც. აქ დაბერდა და მერე გადავიდნენ.

---

[70] დიდოელები (მხ. რცხ. „დიდო“. საერთო საკუთარი სახელწოდება დიდობი) – დაღესტანში, წუნტის და ბეჟტის, ნაწილობრივ წუმადის რაიონებში – ისტორიულ დიდოეთში მცხოვრებ ტომთა ჯგუფი.

მე ბებიაჩემის გაზრდილი ვარ. პატარაობიდან ბებიასთან ვიზრდებოდი, მერე გავთხოვდი. ოთხი წელი ვიყავი ქმართან. სამი წელი დედამთილ-მამამთილთან ქმრის გარეშეც ვცხოვრობდი. ჩემი დედამთილ-მამამთილის სახლი, აი, ახლოსა ჩანს. ველოდებოდი ვითომ ქმრის დაბრუნებას, მაგრამ არ დაბრუნდა. სამი თვის შვილით დავრჩი ესე. ცუდად ვიყავი. ძალიან ცუდი პერიოდი იყო. ძალიან გამიჭირდა. დედაჩემიც, მამაჩემიც მხარში ამომიდგა მაშინ. ბებიამ თავისი პენსიით შეკოწიწებული ფულით დედაჩემის ახლობლად სახლი მიყიდა. ეს, ეხლა რომელ სახლშიც ვცხოვრობ, ბებიაჩემის ნაყიდია და უკვე 2000 წლიდან ვცხოვრობ ჩემ შვილთან ერთად მარტოხელად.

ბებიაჩემი ძალიან ბევრ რაღაცას ყვებოდა წარსულიდან.

შვიდი წელი ქვის ქარხანაში ვმუშაობდიო. ურიკებით, ხელით დაგვქონდა ეს ქვა და ძალიან მძიმე სამუშაო იყოო. ნამუშევარს ხორბალზე ვცვლიდითო. ხორბალი არც იყო, სიმინდზე, მარილზე ცვლიდნენ მაშინ.

– მატერია [ნაჭერი], ფატა, კაბა ჩვენ არ ვიცოდით, რა იყო. მარლის კაბაში გავთხოვდიო, – იტყოდა ხოლმე, – ეხლანდელ გოგოებს ბევრი სიკეთე აქვთ ნანახი. ჩვენ დროს მარლა რა იყო, ისიც გვენატრებოდაო.

საჭმელში ჩასაყრელი მარილიც არა ჰქონდათ. ძალიან ძნელად ცხოვრობდნენ. ძალიან ცუდი ცხოვრებით იცხოვრეს.

გასათხოვარი იყო ბაბოჩემი და პაპაჩემს ძალიან მოეწონა. ძმები არ ატანდნენ. სხვა რჯულისა იყო. ლეკი იყო ისიც, მარა სხვა ლეკი იყო. ჩვენ ვართ ჰათლოსები და ისინი არიან დიდოელები. არ ატანდნენ ბებიაჩემს ძმები და მერე პაპაჩემმა მოატყუა, რაღაცნაირათ მოტყუებით დაითანხმა.

– სანამ ძმები აზრზე მოვიდოდნენ, უკვე გათხოვილი ვიყავიო, – ესე იტყოდა ხოლმე, – ერთი კატილოკი [ქვაბი] მწნილი და ორი მჭადი იყო ჩვენი ქორწილი, მაგით გადავიხადეთო.

არც ქორწილი არ იყო იმ დროს, არც დიდი ის არ იყო, გაჭირვებაში იცხოვრეს ესე. მერე პაპაჩემი ავად იყო და ფიზიკურად ვერა მუშაობდა, ბრონქიალური ასთმა ჰქონდა.

აესე, ძალიან წვალებაში გაატარა ბებიაჩემმა ცხოვრება. გადასახლება, ათასგვარი უბედურება ნახეს. ჩეჩნეთშიც იყო გადასახლებული პაპაჩემთან ერთად. ყველაფერი მე არ მახსოვს, მაგრამ ძალიან საშინელ რაღაცეებს ყვებოდა ხოლმე თავის ცხოვრებაზე. ბევრი ჯაფა დაადგათ იქ, ქალებს მით უმეტეს – ობლობა და, რა ვიცი, ათასი უბედურება ნახეს.

პატარაობიდანვე ბებია და პაპა მზრდიდნენ. დედაჩემი სულ სამუშაოზე იყო გასული. მერე ძმა მყავდა ცუდად, ხან საავადმყოფოში იყო და უფრო ბებიას გაზრდილი ვარ. სიკვდილის წინაც ჩემთან ერთათ ცხოვრება უნდოდა, მარა უკვე ვეღარ მოასწრო. სახლი კი მიყიდა, მარა ჩემთან გადმოსვლა ვეღარ მოასწრო. რო კვდებოდა, მაშინაც იძახოდა:

გულხანუმ ჩოფანოვის ბებია, ფატიმა ნაზბუდიმოვა და დედა, ზურბიკა ჩოფანოვი მშენებლობაზე შავ მუშებად ბავშვებთან ერთად.
1950-იანი წლები.

– რო იცოდე, როგორ ძალიან მტკივა ყველაფერი, მაგრამ შენი გულისთვის მაინც სიცოცხლე მინდა, შვილო, რო ჩემი პენსიის ერთი-ორი კაპიკი მაინც გექნებაო. ესე გაჭირვებული და მარტოხელა რო ხარ, რაღაცაში დაგხმარებოდიო. მაგრამ მე ვიცი, რო მაინც დიდხანს ვერ ვიცოცხლებო!

ვერც იცოცხლა, 2000-ში დაიღუპა. სახლი მიყიდა, გარემონტებული არ იყო, ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, მაგრამ თავზე „კრიშა“ [სახურავი] მაინც მიყიდა და შემასახლა.

ამ სოფელში გადმოვედით, ეს სახლი ვიყიდეთ. აბა, ისე ვინ შეგიშვებდა?! ძალიან დანგრეული იყო ეგ სახლი, მარტო ცარიელი კედლები იყო. მერე იქ დიქტი გავაკარით, იქ რაღაცა გავათეთრეთ, ცოტა გავარემონტეთ და სახლს დავამსგავსეთ გაჭირვებით.

სიღნაღში მარტო ჩვენი ოჯახი იყო. იმ სოფელში სხვა არავინ არ იყო ლეკები. სუყველა ქართველები იყვნენ. მე იქ არაფერი ცუდი არ მიგრძვნია. ძალიან თბილი ხალხი იყო. დღესაც კონტაქტი და ძალიან კარგი ურთიერთობა მაქ იმათთან. ჩვენ როცა იქით მოვხვდებით, აუცილებლად მეზობლების სანახავადაც მივდივართ. მაგრამ მაინც შენი ხალხი შენია, შენი ეროვნება სუ სხვა არი.

მე რო გავიზარდე, უკვე იმათაც შეეშინდათ, რო ქართველს არ გავყოლოდი, რაღაცა არ მომხდარიყო. ჩვენი რელიგიაც სხვადასხვაა. ჩვენთან მაინც მიღებული არ არის, სხვა ეროვნებისას გაყვე ცოლად. 1992-ში გადმოვედით და უკვე არეულობა იყო. სოფელში იყო ისეთი არეულობა, რომ ტანკები დარბოდნენ და ერთი ამბავი. მხედრიონი[71] იყო

[71] მხედრიონი – სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა 1989 წელს ჯაბა იოსელიანის მიერ. ორგანიზაცია თავდაპირველად პატრიოტული მიზნებით შეიქმნა და დეკლარირებულად დემოკრატიულ მიზნებს ემსახურებოდა. „მხედრიონი“ აქტიურად მონაწილეობდა 1991-1992 წლების მიჯნაზე ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მოწყობილ სამხედრო გადატრიალებაში. 1992-1993 წლებში ორგანიზაცია მონაწილეობდა ყოფილი ხელისუფლების მომხრეთა საპროტესტო მოძრაობის ჩახშობასა და აფხაზეთის ომში. 1995 წელს მისი საქმიანობა აიკრძალა. 2001 წელს „მხედრიონს“ („პატრიოტთა კავშირი“) უარი ეთქვა პოლიტიკურ პარტიად რეგისტრაციაზე.

სოფელში შემოსული და ხალხს ისეთი შიში ჰქონდა, მაშინ ხალხი აქედანაც მიდიოდა დაღესტანში, ნახევარი წავიდა, ნახევარი აქ დარჩა.

თვრამეტი წლისა ვიყავი. გვეშინოდა სახლში გაჩერებისა, უკვე ტანკები დარბოდა. სოფელში რო შემოვიდა ამდენი ტანკი, პირდაპირ ჩვენ გზაზე გაიარეს. იქ თვითმფრინავები დაფრინავდნენ. ძალიან გვეშინოდა. გამზადებულები ვიყავით, რო რაღაცა თუ მოხდებოდა, გავქცეულიყავით, ჩაცმულები, გამზადებულები. ღამე სახლში დარჩენისა გვეშინოდა, რომ მხედრიონი დაეცემა ეხლა სოფელს, შემოიჭრება. მთელ ტყეებს თვითონ ჩხრეკავდნენ. ვინ იყვნენ ისინი?! მე არ ვიცი. ძალიან ცუდი პერიოდი იყო მაშინ. პურს არ უშვებდნენ სოფელში. ფქვილი არ იშოვებოდა. მახსოვს, ეს ძალიან ცუდი პერიოდი იყო.

უკვე იქაც დაიწყო არეულობა. როცა ძველ ანაგაში ვცხოვრობდით, ცხრა აპრილი იქ მოხდა. ჩვენ იქ ვიყავით მაშინ. ძალიან ცუდი პერიოდები, არეულობა და ათასი რაღაცა იყო მაშინ. ეხლა ნელ-ნელა დადგა კალაპოტში. არავინ არაფერს არ გერჩის.

ერთხელ მომივიდა ესეთი შემთხვევა, რო ბაზრიდან მოვდიოდით, ავტუბუსში ცარიელი ადგილია და დავჯექი. შოფერი რო შემოვიდა, მეუბნება:

– შენ ფეხზე ადექი!

ესე მითხრა პირდაპირ და:

– რატო-მეთქი?

ხალხსაც რაღაცნაირად არ ესიამოვნა შოფრის ეს თქმა. ზუსტად იმ დროს ჩვენს უბანში, ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობდა ქართველი კაცი, საწყალი, დაიღუპა იმის შემდეგ რამდენიმე წელში.

– რატო უნდა ავდგე-მეთქი?

– შენ ჯერ ფეხზე დადექი, თუ ხალხი არ შეივსება და დარჩება ადგილი, მერე დაჯექიო! – ესე მითხრა პირდაპირ.

– რა არი, ამერიკაში ზანგი ხო არა მნახე-მეთქი?! რადგან თავსახური მახურია, მე ლეკი ვარ და შენ მაგიტო რატო

მეუბნები ამას?! არც ავდგები და არც ამ ავტობუსიდან არ ჩავალ-მეთქი!

ჩემს მერე კიდე სხვა ჩვენი მეზობელი ამოვიდა, იმ კაცმა, ეტყობა, ისესხა ის ფული, თუ რა იყო (ეს ისტორია არასოდეს არ დამავიწყდება) და ამოვიდა, ჯერ იმ შოფერს ეჩხუბა:

– შენ კაცი ხარ?! მაგას როგორ კადრულობ, რო ამას ეუბნები?! ჩემი მეზობლები არიან, მერე რა, რო ლეკები არიან, უმაღლესი, ძვირფასიო ხალხია. ამას როგორ აკეთებო?!

მერე სოფელში რო მოვედით, გავაჩერეთ ავტობუსი, ამ ჩვენმა მეზობელმა ქართველმა კაცმა მიუგდო ეს ფული და:

– აჰა, შენ არაკაცი ყოფილხარ, რო ქალებს ამას ეუბნებიო! – ჩვენი ფულიც იმან გადაიხადა, მეზობელმა, – ჩამოდით, თქვენ ფულსაც მე ვიხდი და მეორეთ შენ ავტობუსში საერთოთ არ ამოვალო!

არც ჩავმჯდარვარ იმის შემდეგ იმ ავტობუსში. ის მეზობელი ისეთი გამწარებული იყო, რო:

– ეს როგორ გაკადრათო?! მერე რა არი, რო ლეკები ხართო?!

ბებიამ სახლი რო მიყიდა, ის უკვე დაიღუპა. ივნისში ბებია დაიღუპა და აგვისტოში მე გადავედი იმ სახლში. ჩემთვის დიდი სიკეთეა, რო ჩემი საკუთარი სახლი მაქვს. ეს ბებიას დამსახურებაა, რა თქმა უნდა, დედაჩემისაც.

ძალიან ძნელი ცხოვრებით ვიცხოვრე, ძალიან. რა ვიცი, ბევრ კერძო სამუშაოებზე დავდიოდი.

პირველ კლასში ჩემი შვილი რო მიდიოდა, ვენახი ავიღეთ, ერთი ჰექტარი. ას ლარათ გავაკეთე, რო სკოლაში რო წავა-მეთქი, ვუვაჭრო ჩემ შვილს ტანსაცმელი. ერთი გექტარი ვენახი, შავი ვენახი მითუმეტეს, ძნელი დასამუშავებელია: დაკავება, ფურჩქნა, თავის გადაჭრა – ას ლარათ გავაკეთე ყველაფერი. მაშინ ხუთ და შვიდ ლარათ დავდიოდით სამუშაოზე მთელი დღე. ძალიან, ძალიან ბევრი მიმუშავია. ზუსტათ იმ პერიოდში ერთი გექტარი აქა მქონდა შავი აღებული, ერთი გექტარი თეთრი ვენახი კი ავიღე ასი კილო ხორბლის გულიზე. იქაც დაკავება, ფურჩქნა და თავის

გადაჭრა – ყველაფერს ვაკეთებდით. ოთხნი ვიყავით, ჩემი დეიდაშვილიც იყო, ერთი და ორი ქალი – დედა-შვილი. იმათთან ერთად ვაკეთებდი. რა ვიცი, ძალიან რთულად გავიარე ჩემი ცხოვრება, რო იტყვიან, ყველაფერს ვაკეთებდი ჩემი შვილისთვინ.

ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, შეიძლება ერთხელ მაინც წახვიდე, რაც გინდა იყიდო და კმაყოფილი დაბრუნდე სახლში, ალბათ, არასოდეს იქნება ჩემთვის ასე. სულ ეკონომიურად ვცხოვრობ. აი, დღეს რო ეს ამაში დავხარჯო, როგორც მინდა, ხვალ ეს რო დამაკლდეს?! სუ იმის ფიქრში უნდა იყო, რო რაღაცნაირად ყველაფერში იმყოფინო, რაცა გაქვს წვრილმანი კაპიკები თუ... ეს ცხოვრებაა?!

ბაბოჩემი ყველაფერში ჭკუაზე მარიგებდა:

– უნდა იყო ძალიან მორწმუნე!

ლოცვას მასწავლიდა, ერთად რო გვეძინა, სუ ჩვენებურ ლოცვებს მიკითხავდა, მეც მამეორებინებდა და მასწავლიდა.

კომუნისტების დროს აკრძალული იყო, მაგრამ ჩუმათ მაინც ლოცულობდა ბებია ყოველთვის. მე არ მახსოვს, რო ბებიას არ ელოცა. ძალიან მორწმუნე ქალი იყო. იმის ძმებიც ნასწავლი, არაბისტები იყვნენ და ძალიან რწმენით გაგვზარდა ჩვენც.

აკრძალულიც იყო და აი, ქართველებში ხო ვცხოვრობდით, მაგრამ თუ ვინმე მოვიდოდა, ეკითხებოდა, მარხვის პერიოდი როდის მოდიოდა. თუნდაც ჩვენებური არ ყოფილიყო, უბრალოთ მუსულმანი ყოფილიყო, იმას მაინც შეეკითხებოდა:

– მარხვის დრო ხო არ მოდის?

როგორი პაპანაქებაც გინდა ყოფილიყო, ის მარხვას არ აცდენდა.

ძალიან რთული მარხვა ვიცით, არც წყალი, არც პური, არაფრის ჭამა არ შეიძლება მთელი დღის განმავლობაში. უთენია, დილით ბნელაში უნდა შეჭამო და საღამოთიც ბნელაში უნდა შეჭამო. აი, ეხლა მოდის უკვე და ძალიან რთული მარხვაა – ექვს ივნისს იწყება.

გულხანუმ ჩოფანოვი ბებიასთან და ნათესავებთან ერთად.
1980-იანი წლების დასაწყისი.

ქართველებში ვიყავით, მაგრამ მოსახვევის გარეშე სახლში არ შეილებოდა რო ყოფილიყავი:

– ეშმაკებს იკრეფავ სახლში და ანგელოზებს აფრთხობო! – ჩვენთან იტყვიან ხოლმე. როცა ქალი მოსახვევის გარეშეა, არ შეიძლება.

ესეთი რაღაცნაირი ქალი იყო, ძალიან თავისებური.

ყველას უკვირდათ ხოლმე:

– ესეთი სუფთა ბებო არ გვინახიაო!

ეხლაც, რუს წყალი ხო მოდის, სალოცავადაც კი არ ბანაობდა ამით, მარტო დასალევი წყლით. სალოცავად ხელს, ფეხს არ დაიბანდა იმ წყლით:

– თუ თქვენ გეზარებათ, შვილო, მე წავალ, – იტყოდა ხოლმე, – მე მაგ წყლით არ დავიბან, გული არ მიმდის მაგ წყალზეო, – ისეთი რაღაცნაირი ქალი იყო.

ამდენი გაჭირვების შემდეგ მაინც სისუფთავეზე თან გადაგებული იყო. ხანდახან ვეტყოდი ხოლმე:

– ბაბო, მაშინდელ დროში ხალხს იმდენათ არა ქონდათ სისუფთავე, ვის ეცალა, ხალხს საჭმელის ფული არა ქონდა და შენ ამდენს როგორ-მეთქი?

– პატარაობიდან თუ არ ისწავლე, ამას უცბათ ვერ აითვისებს ადამიანი და ყველაფრის ინტერესი უნდა ჰქონდეს, ბაბო, ადამიანსაო, თორე ის უვარგისი იქნებაო.

რაღაცნაირი ქალი იყო, ძალიან საყვარელი. ქართულადაც ლაპარაკობდა, ისე საყვარლად. ძალიან უყვარდათ იქაურ ქალებსაც, ეჰ!..

ფოტო გადაიღო და ინტერვიუ ჩაიწერა მარინე ტურაშვილმა.
სოფელი თივი (ყვარელი), 2016 წლის ივნისი.

ფატიმათ იმაგაზალიევა

დაიბადა 1935 წლის 15 აპრილს. ბავშვობის ასაკში დაკარგა მშობლები და ორ არასრულწოვან დასთან ერთად მოუხდა ჩეჩნეთში გადასახლება. გაჭირვების გამო ბოლოს ერთ დასთან ერთად საქართველოში დაბრუნდა, რადგან მისი სიძე ახალსოფელში მწყემსად მუშაობდა.

მუდმივი საცხოვრებელი არ ჰქონდა, ღამეს იქ ათევდა, სადაც მუშაობდა. დუშეთის ნაბდის ქარხანაშიც მოუწია გარკვეული ხნით საქმიანობა და ცხოვრება.

ადრეულ ასაკში მოტყუებით გაათხოვეს. პირველი ქორწინება დაენგრა, მეორე მეუღლე, ისაბალა მაგამედოვი კი გარდაიცვალა. ცხოვრობს დაღესტანში წასული დისშვილის ბინაში, რომლის პირველი სართული მიწურია და არც ფანჯრები აქვს.

პენსიითა და სოციალური დახმარებით საარსებოობს. არც ერთი ქორწინებიდან არ ჰყავს შვილი.

ოცდათორმეტიანი ვარ. აი, აქ არი ჩემი სახლი. შვიდი წლისა ვიყავი, გადასახლდა ჩვენ – დედაჩემი, სუ ყველანი. ჩვენი სახლი იყო მიწა დაფარებული, კოჭები ეგრე იყო.

ორი წელი ვიყავი იქ. სკოლაში ვერ წაველი, შიმშილობა გვქონდა.

მერე რო ჩამოვსახლდით, ისევ ჩვენ სახლში ჩამოვსახლდით. ჩემი დედა იყო, ჩემი დები იყო, ჩემი ყველანი იყო, ეხლა მარტო მე დავრჩი.

კარგათ არ იყო ცხოვრება. ყანები არ ჰქონდათ, დასეტყვავდა, შიმშილობა გვქონდა. მერე რაღაცა კირსა წვამდნენ, ხევში რაღაცას თხრიდნენ, შავ პურზე მუშაობდნენ. შავი პური მქონდა. ზინობიანში კანაოზე [არხზე] ვმუშაობდით პურზე, მარტო პურზე ვმუშაობდით. არაფერი არა გვქონდა. ეხლა იქიდანა, აიქ (*ჩეჩნეთში*) რო წაველი, იქაც მოხდა შიმშილობა. ვინც მდიდარი იყო, ჭამდა.

სხვადასხვა ადგილზე ახალსოფელში მდგმურათ ვიყავით. ღანძილზე, ჟონჟოლზე მივდიოდით პატარა პურ-მარილისთვის. სახლი აღარა გვქონდა. იმ ხალხმა კიდე, რო ჩამოიდა ჩვენი ხალხი, მდგმურათ მიიღო, მოგვცა სახლკარი. კიდევ თავთავზე მივდიოდით. სუ იმით ვცხოვრობდით. წისქვილი გვქონდა, ერთი ვედრა მოვტანდით, დაფქვავდა იმას და კარგათ იყო.

ძვირობა იყო. აეგეთი ცხოვრება იყო. თავთავზე ვკრეფავდით, ფეხშველა მივდიოდი ბალღოჯიანში. თავთავს ვკრეფავდით, რო აეგეთი გაჭირვებული იყო.

გათხოება სიყვარულით არ იყო, ეგრე ძალათ, ეშმაკურათ წავიდა. სოფელში ცხოვრობდა. ეგეც მდგმურად იყო. ჩვენც მდგმურად ვიყავით.

ეხლა ეს მარტი წავიდა, მარტი ეს მანამ გამოა, მივდიოდით ღანძილზე. ადრე წავიდოდით, რო გინდა ათი კილო იყოს, მოიტანო. მივდიოდით ყველანი. ღანძილი ქართველებს არ ქონდა, ჩვენ მოგვქონდა მარტო. იმას გავყიდიდით ველიციხეში, ზურგით მიქონდა ეს ღანძილი. იქ უფრო გაიყიდებოდა. ეხლა წაბლი რო წაიღეს, ისევ ზურგით ველის-

ციხეში ფეხით მივდიოდით, აკიდებული. „ლენიკა“ (*ცხენ-შებმული ორთვალა ურემი*) იყო რაღაცა, იმას მოიტანდა, წაიღებდა წაბლ, რაღაცას, ჩვენ კიდე ფეხით მივდიოდით. ეგეთ გაჭირვებულ ნახა, ეგეთ გაჭირვება იყო.

თავთავთავზე მივდიოდით, ქართველების იყო. ფეხშველა მივდიოდით თავთავზე. ის კი ართმევდა. რო მოდის, ართმევდა, რო ხევში, ვაი და, დაიმალა მერე. დაფვშქვნიდი, დაფვშქვნიდი და აეგრე დაფშქვნილ სუფთა ხორბალს მოიტანდი. ერთ-ორ ვედრას ვიშოვნიდი. ბევრი ხალხია ჩემი იქ ამხანაგები. ეხლა კი კაი დრო მოვიდა. ჩემი დრო კარგი არ იყო. კაი სადიან იყო, რო პენსია აღარა გვქონდა. იქ გადასახლდა, აქ გადასახლდა. მე შკოლა არ მინახნია. ხელმოწერაც არ ვიცი სწორათ. მარტო ქარხანაში, ესეც მარტო პურისთვის ვმუშაობდით. დანარჩენი საქმე აღარა გვქონდა.

ისიც ვიცი, რო სართიჭალაში, მერე თბილისს იქითაც წაველ, მანგლისში ვიყავი. ეგე ნაბდის ქარხანებზე მიყავდათ ჩვენთან. მატყლ წეწამდი, ჩეჩამდით პურმარილზე, მარტო პურისთვის, მეტი არ იქნებოდა. ხალხს თანხა არა ჰქონდა. თანხა რათ მინდოდა?! ჩასაცმელი ეყოფა, დაჯექი და დაწეწე. არ იყო ძნელი. ძნელი საშრომი არ იყო. ადვილი იყო.

მერე და მერე ვიმუშავე კოლმეურნეობაში. აი, ყანების თოხნაში. ჭარხალს რო ვიღებდით:

– ერთი „ლაფატკა“ უნა აიმსო! – მეუნებოდნენ.

აიმსებდა ერთი ოთხ ლარს დაწერამდენ, ორ ლარს მაძლევდა (*იცინის*).

ეხლა კიდე იქ რო წაველი, აი, ორი ჰექტარი ადგილი სიმინდი გავთოხნე. ღამეც იქ ვიყავი სამუშაოზე, დღეც იქ ვიყავი. აი, სიმინდის არჩევაა, სიმინდის დაფხვნაა და სუყველაფერ ეგრე ვაკეთებდით. ბალღოჯიანში სამუშაო იყო. მერე და მერე გამოჩნდა ვენახები. მერე გაჩნდა ვენახის გაფურჩქნა. ეხლა გამოჩნდა ეს საქმე.

ცალთირკმელიანი ვარ. ოპერაციანი ვარ მე. ერთ ლიტრა წყალს ვერ მიიტან, საჭმელსაც ვერ ვაკეთებ. უკვე თორმეტიანი ვარ და ოთხმოცი წლისა სად გააკეთებ რამე?!

სამნი დები ვიყავით. ორი და მოუკვდა მე. დიშვილები მყავს. ბიჭი, ოთხი ბიჭი ყავს. იქით არიან ეხლა. წავიდნენ იქ, მახაჩკალაში გადავიდნენ საცხოვრებლად. მე აქ მარტოკა დავრჩი. კარგათ ცხოვრობენ, ბავშვები კარგათა ყავს, სწავლობს, სამსახურ ვერ შოულობს. მე ეხლა იქ არ წავალ და აქ მინდა, რო ჩემ დედაჩემთან (*გარდაცვლილ დედასთან დასაფლავება*) უნდა ვიყო. მე იქ არ მინდა. აქ სასაფლაო მინდა. იქ სად უნა დამარხოს?!

თივში, სოფელში მერე და მერე, ხალხი რო ჩამოსახლდა,[72] ჩვენც ახალსოფლიდან აქ გამოელით. ფარეხები გვქონდა ჩადუნისა. ბევრი ბავშვი ავათ გახდა და მოკვდა. პალატკას აფარებდნენ და ბოვშვები, ხალხი იქ იყო (*დროებითი საცხოვრებელი*). ეს სახლი მერე და მერე ააშენა.

მეურნეობაში ვმუშაობდი, კოლექტივი იყო, განაწილდებოდა საქმე. თაფლი, ყველი, მატყლი – ყველაფერი ნაწილდებოდა, ვიღებდით, ხორბალიც ნაწილებდა. იმის მერე სხვა სამუშაო არ არის რა. ეგეთი მუშაობა იყო. მერე და მერე ჩაყარეს ვენახები. მერე იქ ვიმუშავე. გაფურჩქნიდი, დაკავებდი, წამალ ტრაქტორით ასხამდა, მოთხრიდით, გასუფთავებდით. კოლექტივისა იყო ის. კოლექტივი იყო.

შიმშილობა იყო. გაჭირვებული იყო მაშინაც. სუ მუშაობაზე დადიოდით. სუ მანქანაზე იყო ხალხი. კოლექტივში ხო ვამბოფ, რო ღამე იქ ვათენებდით, იქ ვთოხნიდი რამეები. მიდი, გათენდება, დაიწყე ეხლა კიდე. ძალიან შრომობდა, ძალიან. დაუფასებელი შრომა იყო. ის რაც იჩხუბე, ის წაიდა, დაიშალა. მერე ბრიგადირიც არ არი, მოხსნეს. ერთი მოხსნეს, მეორე მოხსნეს, მესამე...

იქ (*ჩეჩნეთში*) ცხოვრება არ ვარგოდა. ეს ჩაჩნები, გარეთ ვინც იყო, გამოიდა. ჩვენა ქონდა ტრიალი წისქვილი, პატარა, ხელით ტრიალებდა. ასე ვატრიალებდით, რო ეგრე იყო რიგი, ბანკებით გვქონდა საფქვავი, კორკოტს ვაკეთებდით. მოდიოდა და ის მართმევდა. დამალული ქონდა. მოდის

[72] 1957 წელს ჩეჩნეთიდან მოსახლეობის დაბრუნება.

ხალხი და ეხლა ზოგს წაართმევდა, ზოგს დარჩებოდა, ეგეთი იყო. ის ხალხი გზას გიკავებდა. იქით მიდიოდით, დიდი ბაზარში ხალხი, ქუჩურს ეძახოდნენ და რო მიდის, იქ ვაშლი მიქონდა გასასყიდი ჩვენ, რაღაცა ხილი მიგვქონდა და რო წამოვიდოდა, ქუდი გვიხურია, ქალი ყოფილა, აცარცვეს [გაძარცვეს], პურებ იქიდან მოგვქონდა საჭმელად:

– მაიტა, ერთი დამიტოვე, მე შვილები გყავ!

რო უთხრა, იმ ქალმა მიცა ერთი. უკან ეგრე აცარცვეს. სუ ეგრე ტაცებდნენ, ტიტველს აგზავნიდა.

ის ხალხი (*ჩეჩნები*) იძულებული გახდა, იმათაც აი, უცბათ გადაუსახლიათ. ორ საათზე გადაასახლეს მთელი ქვეყანა. ძროხას თავი იყო დამბული, კვდარი. მოხუცი ხალხი გაქცებოდა, აიგეთი, ხევში ეგრე იყო მკვდარი, ზოგი – იქ, ვინც ვერ დადიოდა, ზოგი გაეპარა. გარეთ დარჩენილი აექ იყო მკვდარი, აექ იყო მკვდარი (*საჩვენებელი თითით ადგილ-ადგილ მიუთითებს*). იმათ ხალხიც გამწარებული, მოხუცები, ზოგი ავანტყოფიც იქნებოდა. ჩვენ ვხედავდით იმათ (*მკვდარი ჩეჩნები*), მიდიოდა:

– აექ არი!

– იექ არის!

გომურში კიდე ძროხები, კისერი ქონდა დამბული, კვდარი ძროხები. საქონელი კვდარი იყო.

გაგვიჭირდა, გარეთ ვერ გამოდიოდით ჩვენა. ვიღაცა ხმას მისცემდა, რო:

– ხალხი მოდის, გაცარცვაზე [გასაძარცვად] მოდის ხალხი!

რო მოდის, სახში რაც არი, გარეთ მიიტანდის, პურ-მარილი თუ ქონდა, რაცა ქონდა, გარეთ მიიტანდი, იქ დამალავდი, მერე დილას მოიტანდი სახში, იმათ რო არ წაიღოს. ყველგან ხე-პანტამა ქონდა, რაც იყო, იმათი ჭამი იყო. ჩვენი შრომა რაც იყო, ის ართმევდა. იმიტომ ჩამოელი, რო ჩვენ არ გადასახლდით.

აესე კიდე, რაღაცა ჩხუბი მოგვივიდა, ნაცი ნაციას არჩევდა (*1990-იან წლები*) და ზოგი თანახმათ წავიდნენ, ზოგი

კიდე სუ გარეთ იყო. იქით-აქეთ მინდორზე. გამგებელი იყო, რო ეუგნებოდა:

– აი, იმდენი სახლები, მე ფულ მოგცემ, სახლი მიეცი, ეს მოგცემ შენა, თქვენ იქ კარგი იქნება. აქ არ არის, ჩვენ სამსახურობა არ იქნება, სამუშაო არ იქნება, რათ უნა იყოს აქა?! მაინც თქვენ შიმშილობა, აქ გაჭირვება გექნებაო.

არ წახველი ჩვენა. არ გაგიჭირდა, ჩვენ ახალსოფლელი ხალხი გვწყობდა, იმათ მოქონდა პურიც, ახალსოფლელი ხალხი კარგი ხალხი იყო, გეხმარებოდნენ. იმან იტყოდა, ისა ჩხუბობდა, რატო:

– ჩუმად, დამალე, დამალე! – ეტყოდა.

ისენი თუ არ უწყობდა, არავინ არ დარჩებოდა. ისენი რო უწყობდნენ, ზოგი ნათესავია, ზოგი ნათლია, რაღაცა და იმათ უწყობდა.

სიხარული არ მინახნია, სუ ნაწყინარი. მიდი შენ, აბა წაბ-ლზე, დაიღალე, ჟონჟოლზე წადი, იქ წადი და ნაწყინარი, ნა-მუშავარი, დაღალული ვიყავი. მაგრამ ხალხისგან არ გქონდა ნაწყენი. იმათ ხელს უწყობდა ჩვენ. მაგრა მუშაობდით ჩვენ, რო გაგიჭირდა რა ქნას?!

ეხლა ცოტ-ცოტა პენსია გააკეთა. ეხლა პენსიაზე, ხალხი ეხლა აეგრე არიან, ყელამდე. აღარ მინდა ის ძველი დრო, მი-წაშიაც არ ვნახო ის ძველი დრო, არა. გაჭირვებული დრო იყო. მოსვენება არ ქონდა. მიდი ზურგზე მოკიდებული შეშა მიგვქონდა ახალსოფელში, ეგრე გავყიდიდი, ეგრე ვცხოვ-რობდით. ის არ მინდა, იმის ნახვაც არ მინდა. ძნელი იყო ძალიან.

ეს დრო ეხლა პენსია და მუშაობა მაინც ჩემთვის ცოტა-ცოტა არის და ეგეთი ამბავია. ეხლა არ ვიცი, არაფერ არ ვაკეთებ. ის ვენახიც მეურნეობას დაუტოვე. სამუშაოს თავი დავანებე. სულ პენსიის სინაბარა ვარ და არ მყოფნის. გუშინაც ვიყიდე თვალები წვეთები, თექვსმეტი ლარი მივეცი. წამალში უნდა, სუ ნემსებზე ვარ. ეხლა ეს ფქვილი, რაღაცა. ქათმების საჭმელი მინდა. მე რო ვიყიდო ცხვარი და დავკლა, ცხვრის ხორც ვერა ვჭამ. ბაზარში რო წავიდე, კარგი რამე

მეზობელი სოფლის გოგონები.
სოფელი ახალსოფლელი (ყვარელი). 1950-იანი წლები.
(ნათელა სუხიტაშვილის საოჯახო ალბომიდან.)

რო ვიყიდო, ფული არ ყოფნის, ვერ ბედავ. სუ უბრალო უნდა ჭამო, სუ. მაღაზიაში რო წავიდე, იგრე მიჭირს, დავისვენებ. ორი საათი უნდა მაღაზიაში წასვლა. ჩავალ, დავისვენებ; ჩავალ, დავისვენებ. ეეჰ! ეგრე არის. ეხლა აღარაფერი არ შემიძლიან. კარგათ არა ვარ, დანგრეულ სახშია.

არ მახსოვს ეხლა, გინდა გუშინდელი ლაპარაკი იყოს, დღეს არ მამაგონდება, ეს რამდენი ხნიდანა. ეს მახსოვს,

მატარებლით გამოელით, აკიდებული იყო ზურგზე ლოგინი. რუსი ხალხი იცინებოდა, ზურგზე რაღაცა გვაქ. მატარებელით აქამდინ უნდა ჩამოვსულიყავი, თურმე იქით ჩამოელი. იმ მატარებლის გზაზე აკიდებული უკან წამოელი. ეს ციგნებმა კიდე მაიტაცა რაცა ქონდა.

ორივე დები ერთად ჩამოელით. უფროსი იყო, აქ იცოდა მან გზა, იმან წამაიყვანა. ჩემი და დიდი იყო, გათხოვილი იყო. ქმარი ახალსოფელში, ცხვარში იყო. იმათთან წამოიდა. ის იქ ვერ გაძლო ერთი წელიწადი და წამოიდა იმიტო, რო ქურდობა, შიმშილობა იყო, რა უნა გეეკეთებინა?! წისქვილში რო წავიდოდით, შიში გქონდა, აცარცვამდა:

– რა გაქვთ?!

აქ კარგათ ვართ ჩვენ, ნამყოფი ხალხია და აქ წამოელით.

ფოტო გადაიღო და ინტერვიუ ჩაიწერა მარინე ტურაშვილმა.
სოფელი თივი (ყვარელი), 2016 წლის ივნისი.

საქინათა გასანოვი

დაიბადა 1926 წლის 17 მარტს. დაოჯახებამდე ოჯახთან ერთად მოუწია სხვადასხვა ადგილზე: ანწუხში (დაღესტანი), ახალსოფელში, გურჯაანში, თიანეთში და სხვა –ცხოვრება. დაოჯახების შემდეგ კი საბოლოოდ დამკვიდრდა სოფელ თივში (ყვარელი) და მრავალშვილიანი დედა მძიმე ფიზიკური სამუშაოებ ასრულებდა.

გარდა საკუთარი მიწის ნაკვეთების მოვლა-პატრონიბისა, ეწევა ვაჭრობასაც, ყიდის ყოველდღიურ საჭიროებებს.

შვილები სხვადასხვა მხარეს ჰყავს გაფანტულები. ამ ასაკ-შიც კი შრომობს, რათა შეძლებისდაგვარად დაეხმაროს მათ.

ჰყავს მეუღლე, ხუთი შვილი და თორმეტი შვილიშვილი (ამათგან ერთი გარდაცვლილი).

ერთხელ ხო გადაგვასახლეს, მეორეთაც გაგვასახლეს (*1943 წელს ჩეჩნეთში გადასახლება და 1957 წელს უკან დაბრუნება*), ეხლა სადღა წავიდეთ? არსად არ მივდივართ. აქ უნდა დავიხოცნეთ.

ძალიან გაჭირვებული და ცოცხალი ხალხი ვართ და ვიყავით. მერე და მერე, მთელი მახაჩკალა გაიმსო ჩვენი ხალხით. წავიდნენ ნელ-ნელა. წავიდნენ ბავშვების გულისთვის. ჭამა არ გვაკლდა, მივდიოდით, დაღესტნიდან მოგვქონდა. სად არ ვიყავით. ზეთებს და ფქვილებს ვეზიდებოდით ბავშვების გულითვის. ძალიან შევიწროებაც იყო და წავიდნენ სუყველანი. მაგრამ, სიმართლე რო გითხრა, საკაშვილის დროს რუსული პასპორტს რო უშვებენ, იქიდან წავიდნენ და ვერ მოდიან. ბევრი დედა-მამა დაიმარხა, შვილი ვერ მოვიდა, ვერც ჩვენ წავედით. მაგრამ ეხლა, მადლობა ღმერთს, სამ თვეში ერთხელ მაინც მივდივართ, მოვდივართ.

დაზუსტებით წლოვანებას ვერ გეტყვი, რომელ წელს გადავსახლდით და რომელ წელიწადს დავბრუნდით. ეს მეხსიერებაში მე არა მაქვს. ისე ვიცი, როგორ ვცხოვრობდით და როგორ ვიყავით – ეს ყველაფერი ვიცი.

ჩვენ ვიყავით გაუნათლებელი ხალხი, არაფერი არ ვიცოდით: ჩვენი ქალის ღიმილი არ შეიძლებოდა; ჩვენი ქალის სიმღერა არ შეიძლებოდა; ჩვენი ქალი არ შეიძლებოდა ბაზარში წასულიყო; მარტო ტყეში უნდა წასულიყო; ტყიდან უნდა მოსულიყო და სახლში ყოფილიყო, საქონელი უნდა მეეწველა, ოჯახისთვის უნდა მიეხედა; კინო არ შეილებოდა – შეზღუდული იყო, როგორ გითხრა, ძალიან შეზღუდული.

ეხლა მე დღეს წერა-კითხვა სუ არ ვიცი. დაბეჭდილის წაკითხვა ვიცი. ეგ ჩემით ვისწავლე და წერით ვერ ვწერ.

ჩვენი წინაპრებიც აქ რომ მოვიდნენ, მე როგორც ვიცი, პატარა ქოხები ჰქონდათ. ზოგი, ვინც კარგად ცხოვრობდა, კაი სახლები ჰქონდათ. ძირითადად მიწურ სახლებში იყვნენ. შეში დაჭრაც არ იცოდნენ. ბუხარში დადებდნენ გრძელ შეშას, ისე დაიწვებოდა. როგორც გინდა ციოდეს, კარების დაკეტვა არ იცოდნენ. ის რო უკვე დაიწვებოდა, დამოკლდებოდა,

მერე კეტავდნენ ხოლმე კარებს. გაჭირვებაში წავიდა ჩვენი ცხოვრება. ზაფხულობით მთაში მივდიოდით, ზამთარში ჩამოვდიოდით. იქ ქოხებში ვიყავით. ვითომ ვცხოვრობდით, ვარსებობდით რაა. ჭამა არა გვქონდა, ჩაცმა არა გვქონდა. როგორ გითხრა, ძალიან გაჭირვებაში ვიყავით. მერე და მერე, უკვე მეორეთ რო დავბრუნდით ამ ადგილზე (*1957 წლის დაბრუნება*) მაშინაც მთელი ყვარელი ამბობდა:

– არ შეიძლება, არ მიგიღებთო!

ქვევით იყო დიდი კაკლები, იქ ჩამოვბარგდით სუყველანი. არ გვიშვებდნენ. ეს სოფელი ხო ჩვენი იყო, მაგრამ არ გვაძლევდნენ საშუალებას, რო სოფელში დავსახლებულიყავით. იქ ვიყავით კარგ ხანს. მერე იქით-აქეთ, იქით-აქეთ, ჩვენიც იყვნენ დიდი ხალხი, კაცები და ამათ მერე ერთი ღორის, საქონლისა ფერმა იყო ზევით და მანდ ფერმაში შევიფარეთ თავი. კარგა ხანს არ გვაძლევდნენ უფლებასაც, არც საბჭო გვღებულობდა:

– თქვენ მეორედაც გადასახლებული ხართ და თქვენ მიწა-წყალზე იყავით, აქ რა გინდათო!..

მაგრამ ჩვენ რო გადავსახლდით იქ, მეორედ სტალინის დროს გადაგვასახლეს, ის ინგუშები თვითონ დაბრუნდნენ, ავტომატებით გამოგვყარეს იქიდან. შენს სახლში მე გამაჩერებ?! ეგრე იყო. ის ხალხი დაბრუნდა იქა. მერე ჩვენც ვამბობდით:

– მიწას ვინ მოგვცემს?! – და არსად არაფერი ჩანდა.

ჰოდა, დავბრუნდით, აქ ჩამოვედით, ძალათ დავსახლით აქ. ცოტა წელში ვსწორდებოდით. ჩვენი რასულ გამზათოვი[73] თუ გაგიგიათ, დაღესტნის პოეტი, ჩამოვიდნენ ისინი აქა და ააშენეს საშუალო სკოლა ჩვენთვის.

მოვედით, ვითომ ცოტა წელში გავსწორდით. ბავშვებისთვინ სკოლა იყო, ყველაფერი, რამე და ეხლა ხელმეორედ კიდევ (*1990-იან წლები*):

– უნდა წახვიდეთ!

[73] რასულ გამზათოვი (1923-2003 წწ.) დაღესტნელი პოეტი, მწერალი.

– სად უნდა წავიდეთ?

– თქვენ მიწა-წყალზე.

– წადით, ოღონდ წადით და თქვენი ქვა არ დატოვოთ, წაიღეთ, იმდენ ტრანსპოტსაც მოგცემთ, დახმარებასაც მოგცემთო!

გვინდა თუ არა, მაინც წავიდნენ შვილები, თავიანთი შვილების გულისთვის, რომ ასწავლონ და იცხოვრონ, ახლაც იქ არიან. კარგად ცხოვრობენ, მაგრამ მაინც თავიანთი მიწა-წყალი, მოსვლა, დაბრუნება უნდათ. ამბობენ:

– შვილები ხო დაიზარდნენ, დაბინავდებიან, ჩვენ მოხუცები ისევ აქეთ მოვალთო.

ვსაქმიანობ, ეხლა კი აღარ შემიძლიან თოხი, ბარი. ვენახი კი მაქვს, თორმეტი პლანი [რიგი] გავჭერი, ათი პლანი დავტოვე, როგორც მე მოვერიე. სიმინდი მომყავ და იოლას გავდივარ. ცოტ-ცოტა ბაზარშიც დავდივარ დღესაც. მომაქ, რაღაცეებს ვყიდულობ, ვყიდი. შვილებს იქით ვეხმარები, ზოგი თავიანთ სახლში არიან, ზოგი ბინით ქირით არიან. ქირა კიდე ცოტა ხო არ არი?! ორასი-სამასი დოლარი უნდა მისცენ ქირაში. დღესაც ვმოძრაობ, დღესაც არ დავჯდები, არ მინდა ჯდომა. ეს მკლავი (*მიუთითებს მარცხვნა ხელის შეხვეულ მაჯაზე*) სუ მტკივა, შაკრული მაქ, მაგრამ ვწვალობ. დღესაც არა მაქვს მოსვენება ძილშიც. რასაც კაპიკებს ვაკეთებ აქ, იქ ვეხმარები შვილებს.

ეხლა ქართველები ცოტ-ცოტა ამოტივტივდნენ. როგორ იყო ამასწინებში?! ბევრი ვიცი მე გაჭირვებულები, ახალსოფელში მოდიოდნენ. მე რო არ შემიძლია, ქირით ვამუშავებ ხოლმე, ფქვილს ყველას ვაწვდი ხოლმე. ბევრი ახლაც გაჭირვებულია, პენსიები მაშინ ძალიან ცოტა იყო, ოთხი ლარი იყო, თუ შვიდი?! ჯერ ოთხი იყო და მერე შვიდი.

აქ რო მოვიდნენ, აი, რა გააკეთონ?! ხუთი შვილი მყავ, ამ ერთ ადგილში რამდენი უნდა მაიყვანონ?! რა სამსახური არი?! საიდან?! იქ დილით გადიან, მაინც რაღაცას აკეთებენ თავიანთვის და იოლათ მიდიან. აქ ვერ გააკეთებ მაგასაც, ბაზარში რო გახვიდე, ყველაფერი ძვირია. იმდენი ფული არ

არი. რაა პენსია?! მიჭირს, ძვლების წამალი მინდა ვიყიდო, არა ვყიდულობ. პენსია არ მეყოფა.

შვილიშვილი მყავს, ინსტიტუტიც, უნივერსიტეტიც დაამთავრა, მაგრამ თუ ფული არა გაქვს, ვერ მიხვალ, ვერ იმუშავებ, ან ვიღაცა კაცი უნდა გყვანდეს. ლენინგრადში წავიდა და თავისთვინ „მარშუტკაზე“ მუშაობს ნასწავლი ბიჭი. ჩვენი მდგომარეობა ეგრეა, წყალწაღებულები ვართ – როგორც წყალმა, ხევმა დიდი ფოთოლი წაიღო, აქ გაჩერდება, იქ გაჩერდება, ეგრე ვართ, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ დღესაც ცოტ-ცოტა სიჯანმრთელე არი და ცოტა ტვინიც მუშაობს (*იცინის*).

აბა, შენ, ჩემ სიცოცხლეში უკვე სამჯერ გადასახლდი სადმე?! (*1940-იან წლებში ჩეჩნეთში გადასახლებას, 1957 წელს საქართველოში დაბრუნებას და ბოლოს 1990-იანი წლებში.*)

იქა, მდგმურათ აქა-იქა ვცხოვრობდით, ვერ შეეგუენ ჩემი მშობლები, ჩამოვიდნენ. ტყიდან ზურგით შეშა მოგვქონდა, გავყობდით ხოლმე, წნილის ჯამებში ვაძლევდით, რო წნილი მაინც ვჭამოთ. მერე, მეორე დღეს რო მოვიტანდით ჭადის ფქვილში ვცვლიდით, რო ვჭამოთ. ჭინჭარი დავკრეფავდით, ცოტა ფქვილს მოვაყრიდით და ამას ვჭამდით. დაბლა ნაყრელი ვაშლის ნაჩურჩი მიჭამნია, რუვიდან. რუვში უყურებდი, როდის, რა ჩამაიტანს ხევი, რო შავჭამოთ. აესეთი გაჭივრებულები ვიყავით, მაგრამ დღეს, მადლობა ღმერთს, მაინც ერთ ადგილზე რო ხარ, ან ამას გააკეთებ – ან იმას.

სამჯერ გადასახლდი და გადმოსახლდი, ქირით ვიყავი აქ, გურჯაანშიც ვცხოვრობდით. მერე წითელწყაროში ვცხოვრობდით. აეგრე, ციგნებივით [ბოშებივით] ვიყავით. მერე სად არ ვიყავით. დუშეთში ვიყავით, ნაბდების ცეხი ჰქონდა მამაჩემს, აკეთებდნენ და იქ ვიყავით, ვმუშაობდით. ეგრე ციგნური ცხოვრება გვქონდა. ეხლა, რაც აქ დავსახლდით, მითომ ცოტა წელში გავწორდით და ახლა გვაქშიებენ კიდე. დავდექით ძალ-ძალ:

– აქ უნა მოვკვდე-მეთქი, მე არსად არ მივდივარ!

მაგრამ შვილებმა ვეღარ, უკვე ძალიან უჭირდათ შვილებს და მეტი წილი ბავშვების სწავლის გულითვის წავიდნენ. სკოლა სულ დაკეტილი იყო, ბავშვებს არ უშვებდნენ. ხევიდან პური რო მოქონდათ, ხელიდან წაართვეს. გზაზე დახვდებოდნენ. გზიდან მოვდივარ სუმკებით, უკანიდან მოდიოდნენ, წაგვართმევდნენ და მიჰქონდათ ხოლმე, მხედრიონების[74] დროს. ძალიან გვაწვალეს, ძალიან.

მე ქართველებში ბევრი ხალხი, თითქმის მთელი ყვარელი მიცნობს. ობიექტებზეც ვიყავ ნამუშევარი, ჰოდა, ავტობუსით მივდივართ გურჯაანში, ორივენი ჩემი ნაცნობები არიან და მივდივართ ეხლა მანქანით. ლეკებზე უკვე ეს ხმაური ხო იყო და რაღაცას ლაპარაკობდნენ. მერე მე ვთქვი, რო მოვკვდე, ვერ გავჩუმდები, ჩემ ჯიშზე კი არა, ჩემ ნაცნობზე რო ვინმემ რამე თქვას, ესეთი ჯიშისა ვარ დაბლიდანვე და გავეცი პასუხი. სუყველანი მოცვივდნენ.

– აი, მანქანიდან არ გადაგაგდოთ ემსააჩი!

აესეთი ის იყო იმ დროს, მაგრამ მაინც დავდექით მაგრად. არ მინდა, მკვდარი გამიტანონ ჩემი სახლიდან. ეხლა მესამეთაც სახლის დანგრევა ვის უნდა?!

მახაჩკალაში ვიყავ ერთი თვე, კინაღამ არ მოვკვდი, ყველაფერი მტკიოდა. ყველაზე კაი საავადმყოფოშიც დამაწვინეს, მაგრამ არა, არ გამოდის. დავბერდი აქა და მე სად უნდა გამაგდონ?! სად უნა წავიდე?! ვერ ვეგუები იქით.

ეხლა შვილებმა რა ქნან, წავიდნენ, ცხოვრება ესე გაგვიხდა.

თურმე, ადრე ქართველები და ლეკები ძალიან კარგათ იყვნენ ერთმანეთში. მერე ერთი რამდენიმე კომლი აქ ყოფილა, რამდენიმე კომლი – ახალსოფელში. ეს ჩვენი ხალხი, ხო გითხარი, ზამთარში ცხოვრობდნენ მარტო აქა, გაზაფხულობით მიდიოდნენ იქ, ადალას გორას ეძახიან.

[74] მხერდიონი – სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც 1989 წელს დააფუძნა ჯაბა იოსელიანმა.

ზევით კი არ მიდიოდნენ, აექ მიდიოდნენ, ადალას გორაზე. თავიანთ საქონელს, რამეს იქ ინახავდნენ, შემადგომაზე მოდიოდნენ აქა და ამაობაში მერე ატყდა. გაყარეს აქედან ხალხი, წავედით, მერე ისევ ჩამოვედით, ჩამოვედით და აი, სოფლებიდანაც კი გვაგდებდნენ, გურჯაანშიც კი იყო მოსული, იქიდანაც კი გვაგდებდნენ, მატარებელში შაგვყარეს, სადღაცა წაგვიყვანეს, ყველაფერი მიგვატოვებინეს, სიმინდი იყო, ყველაფერი მოყვანილი, ეგრე, უკან არ მიგვახედეს, ყველაფერი ეგრე დარჩა. 1943-ში თუ 1944-ში აქედან წავიდნენ, 1957-ში გადმოსახლდნენ, აქ მოვიდნენ. ჩაჩნები ხო დაბრუნდნენ, მერე გამოგვყარეს იქიდან. იქ ხეხილი იყო, კარგი მოსავალი მოდიოდა.

ვისაც შეგვეძლო, ვთოხნიდით, კოლექტივშიც ვმუშაობდით. იქ გამოვიდოდა ცხოვრება იმიტო, კარგი, მდიდარი ადგილი იყო. მიწა მდიდარი იყო. ღანძილი თუ სიმინდი იგეთი მოდიოდა, კაკალი და მსხალი, ყველაფერი ხილი. აი, იქ ვერ იცხოვრებდი?! იცხოვრებდი. ვცხოვრობდით, მაგრამ გამოგვყარეს. იქიდანაც გამოგვყარეს. მთელი მთავრობა ჩაერია, მითომ და ადგილ გვაძლევდნენ მახაჩკალაში, სადღაც, ამ ჩვენმა უფროსმა კაცებმა (ქალებს უფლება არა გვქონდა, რო გველაპარაკნა) და ემ კაცებმა თქვეს:

– მაშინ, თუ ისინი თავიანთ ადგილზე დაბრუნდნენ, ჩვენც ჩვენ ადგილზე დავბრუნდეთო!

მაგრამ აქ ქვაც არ დაგვხვდა (*საქართველოში*). ცარიელი მინდორი იყო. ძალიან დატანჯულები ვართ, ძალიან. ვფიქრობ ხოლმე, ეს ამდენი ტანჯვა და ამდენი რამე რო არ გაგვეტარებინა ჩვენა, იქნება ცოტა რაღაცა გამოვიდოდით.

როცა შენი შვილები შენთან არ არიან, რა ცხოვრება უნა გქონდეს?! გვიხარიან ხოლმე, რო მოდიან. აეგრე, ბევრი მოხუცები არიან...

აქ დავოჯახდი. ჩვენი წესი იყო, რომ არ შეილებოდა, გვცნობოდა და იმას კი უნახივარ მე სადღაც. სანახავად რო მოდიოდნენ ხოლმე, ვიმალებოდი, მივრბოდი, არ მინდოდა გათხოვება. არ ვიცოდი გათხოვება. ხუთმეტი წლისა, მე-

თექვსმეტეში გავთხოვდი. მეშინოდა, რო დავინახავდი, სუ აი, მაყრიდა რაღაცეებს...

უნდა გათხოვდეო და გათხოებაც არ ვიცი, რა არის. სიყვარულიც არ ვიცი, რა არის. წესი არის, ვიცი, რო უნდა დავბინავდე, გავთხოვდე, ეს ვიცი, მაგრამ ვის უნდა გავყვე, არ ვიცი. წესია და ვთხოვდები. ეგრეე გავთხოვდი. ვითომ ქორწილიც გადამიხადეს. ჩვენ ხო ეს ჩამოფარება ვიცით ხოლმე, კაბაც მქონდა, მატერიისა. რაღაცნაირი კაბა შამიკერეს და ეს ეგრე ჩამომაფარეს. ზურნა იყო მაშინ და ამასაც უკრამენ. ამ შალიდან დავინახე ეს კაცი და დავიწყე ცახცახი. ისეთი ის იყო რაა, არ ვიცოდი ქმარი რა არი. მარტო ვიცოდი, რო უნდა გავთხოვილიყავ. მერე ღამე რო დაგვაწვინეს კიდე, ვაიმეეე, ღმერთმა დაიფაროს. არ ვიცი, სად ვიყავი, სად – არა, დაბნეული, შეშინებული, ეხლა როგორ მიკვირს ხოლმე...

ხუთი შვილი გავაჩინე, არავინ არა მყავდა ახლო. არ ვუშ-ვებდი ხალხს. არც ბებიას, ექთანს არ ვუშვებდი, არც არავის, არც ყვირილი ვიცოდი. ეგრე, ძალათ, კუჭის მოჭრაზე კი გაუშვებდი ხოლმე ერთ-ერთს და მერე ისევ დავიმალებოდი ლოგინში. არც არაფერი გვტკიოდა. გავაჩინე ხუთი შვილი უბებიოთ. ესენი თურმე გარეთ მელოდებოდნენ, მეყვირნა, მაგრამ ყვირილისაც მეხათრება. ტაშტში გავაჩინე ბავშვი. რო ავდექი, ისიც არ ვიცოდი, ვათრევ რაღაცას. მივდივარ იქითკენ და ტაშტიდან მოდის რაღაცა ხმაურით. მერე შამოარდა საწყალი დედაჩემი და ჩხუბი დამიწყო და მერე, ალბათ, კუჭი დაჭრა. აესეთი დრო იყო.

ჩვენ ჩვენი დღესასწაულები გვაქ და გვქონდა. თითო-თითოები ვიყავით ჩამოსულები. სხვადასხვა სოფლებში ცხოვრობდნენ, მაგრამ მიდიოდნენ, აქუჩებდნენ ხოლმე. ერთი ჟამფილა [ჯამი] იყო. ყველა ოჯახიდან თითო ჟამფილა სიმინდი უნდა შეექუჩებინა. მერე ერთ ადგილზე შევიყ-რებოდით, დავდგამდით ხოლმე ქვაბებს. მაშინ მუზიკა არ იყო. პატარა სოფელი იყო და ცოტა ხალხიც, ჩვენთვინ ვხარ-შამდით და ეს მოხარშული სიმინდი ვინც არ იყო, ყველას

შევახვედრებდით ხოლმე. სახლში მიუტანდით ხოლმე. ეს არის ჩვენი ახალი წელი, მაგრამ აქ, საქართველოში, ჩვენ ცოტანი ვართ.

ჩვენ დროს დიდ ქვაბებს დავდგამდით, ხალხიც მაგარი იყო. ერთი მეთაური გვყვანდა. ჯერ პირველათ მე ვიყავ. ჩემთან ჩემეკიდებოდნენ თორმეტ-ცამეტი ქალი. მე უნდა მეჭიროს ჯოხი და იქ კრუგით [წრეში] ვინც არიან, ყველა უნა მეცემნა. ეს ქალები უცბათ ეგრე აქეთკენ გავიქნეოდი, ესენი დაცვივდებოდნენ დაბლა (*იცინის*). ვერთობოდით ხოლმე. მეტი რა იყო გასართობი?! შევქუჩდებოდით, უკან დავ-დებდით ხოლმე ცხვირსახოცი ჩუმად, მე უკან უნა გავიხედო და ის ნაჭერი თუ მე ვერ ვიპოვნე, მერე მე დაჯარიმებული ვიყავ, შუაში ჩამაგდებდნენ ხოლმე. ესეთი თამაშობა იყო. კიდევ ქამრის დარტყმა იყო. მერე ცეკვაც იყო, დუდუკები, რამეები ძველი ხალხი ხო მაინც ერთობოდნენ ხოლმე.

ეხლანდელი ახალგაზრდები იმდენათ აღარ ერთობიან. აღარა აქთ ხალისი ხალხს. მაშინ სუ ველოდებოდით, რო-დის მოვიდოდა ეს დღე. ცხენს აჭენდნენ, მერე ველოსი-პეტები გვქონდა. ადრე ხარი ჰყვანდათ ხოლმე. ამ ხარზე აჭიდავებდნენ, აჩხუბებდნენ ხოლმე. მემრე და მემრე წა-მოვიდა და გათხელდა. ძაღლებიც არი ხოლმე. მაგის ცალკე ბიჭები იყვნენ ხოლმე. ესეთი რამეები იყო.

მთელი ღამეები ლოგინში რო ვარ, განა მძინავ?! ხან მახაჩკალაში ვარ, ხან თბილისში, ხან ყვარელში, სად არ მივდივარ ღამე, ჩემ ძილში. ამაობაში უკვე აღარ მახსომს, ძველისძველი ყველაფერი მავიწყდება უკვე. ეხლა არ ვიცი, რასა ვცდილობ. ვცდილობ კიდე რაღაცა, რით გავახარო შვილები.

დედაჩემმა ერთი ასო არ იცოდა ქართული, ამდენი ხანი აქ იყო. ერთი მამიდა მყოლია მე ეგეთი, ჩემისთანა. უცბათ მივიღე ქართული, არ გამჭირვებია. სუ ქართველებში ვიყავი. ამხანაგები ქართველები, დაქალები ქართველები მყავდნენ. მერე ნათლიები, ნათლულები მყვანან. ობიექტებზე ვმუშა-ობდი. ძალიან მიყვარდა ხალხი და ალბათ, ენაც შევიყვარე.

ვიცი ქართული, არ გამჭირვებია, არ დამვიწყებია ქართული. ემსააჩი ახაშენში მყავს ნათლული, გურჯაანში მილიციის უფროსი არი. ესენი ორჯონიკიძეში წავიდნენ. ერთი ნათლული კიდე გავაზში გვყვანდა, დაიღუპა. მირონობა მე არ ვიცი. როცა ნათლობა გადაიხადეს, საყდარში არ წავსულვართ, არა ვყოფილვართ, სახლში გადაიხადეს, როგორ გააკეთეს, არ ვიცი,[75] თითონ მთხოვეს, ახლობელი ქალი იყო, ვიცნობდი და:

– ძალიან მინდა, სიზმარში ვნახეო, რო ნაცი... როგორ ვთქვა, სხვანაირათა თქვა, ურჯულოები (ლეკი, სხვა ეროვნების ნათლია უნდა ჰყოლოდა), – ჩვენ ურჯულოები ვართ?! არ ვიცი, ზუსტათ ეგრე მითხრა, – სიზმარში მითხრაო.

ეხლა „ურჯულოს“ არავინ არ იტყვის. მაშინ ყოველ სიტყვაში იყო ეგა. ურჯულოებს გვეძახოდნენ ჩვენ საერთოთ:

– ის ლეკები, ეგეთი ლეკები, იგეთებიო და ეს ურჯულოებიო!

ბევრი ნაციაში ვყოფილვარ, მაგრამ ქართველები ძალიან შეგნებული ხალხია, თან სწორი ხალხია. ეხლა ზოგიერთი რო აქ არ არის (*მიუთითებს ტვინზე*), ყველგან არი. მაგრამ ლეკებში, თათრებშიც, სად არა ვყოფილვარ, მაგრამ ქართველები ძალიან გაგებული ხალხია (*იცინის*). მაშინ რო გვყრიდნენ, მაშინაც კარგად გაგვლანძღეს (*1990-იან წლები*):

– თქვენ ურჯულოებო, თქვენ ეგეთებო!

წინ მტრებმა რა დაუშავეს, მე არ ვიცი, ჩვენი რა ბრალია, მაგრამ:

– უსისხლოებო!

კოლექტივში სიმინდ ვთოხნიდი, ვენახი მამყავდა, მერე ფერმაში საქონელს ვუვლიდი, ვწველიდი, ყველს ვაკეთებდი, რძე მიქონდათ ხოლმე. აეგრე ცხოვრებაში ვიყავით. კაცი ცხვარში იყო ხოლმე. ბალღოჯიანში იყო ჩვენი კოლექტივი და იქ ვიყავით ხოლმე. რამდენი რამე, მაგრამ შემდეგ ამ კოლექტივებს გავანებე თავი, რო არაფერი არ იყო. მერე

[75] ხალხში გავრცელებული ე. წ. განბანვის რიტუალი, რომელიც გულისხმობს მონათლული ბავშვის დაბანას, მირონის მორიდებას. ეს ადამიანი ბავშვისთვის ჩვეულებრივი ნათლიაა.

დავიწყე ობიექტებზე მუშაობა. მთელი: ყვარელი, საბუე, ენისელი – თუ რამე სადმე აშენდა, ყველგან დავდიოდით ქალები და იმის გულისთვის, რო ოც მანეთს გვაძლევდნენ ერთი ვაგონი ცემეტის დაცლაში. კაი ფული იყო. ხუთმეტ მანეთში ერთ მეშოკ [ტომარა] ფქვილს ყიდულობდი მაშინ. ამის გულითვის ორ ვაგონს ვცლიდით ხოლმე დღეში ექვსი ქალი, თითო მეშოკ ფქვილს ვყიდულობდით ხოლმე. იმ დროს ავაშენეთ ეს ბინებიც, ზოგი ცხვრიდან იყო. მერე ეს კაციც წითელწყაროში წავიდა ცხვარში, იქიდან მაიტანა ხორბალი და ეგრე, ძლივ ავაშენეთ, ცოტა გამოვსწორდით წელში და ეხლა გვაქშიებენ, ეხლა სხვა ერი არ უნდა იყოს საქართველოში, მარტო სუფთა უნდა იყოს საქართველო. რას ვუშლიდით ერთი მუჭა ხალხი აქა ჩვენ?! აგვაწიოკეს, დაგვაწიოკეს, რა არ გაგვიკეთეს. მხედრიონები ავტომატებით, მანქანებით მოდიოდნენ, სახლს გვიმტვრევდნენ, რას არ აკეთებდნენ, მაგრამ მაინც გაუძელით. რაც გვქონდა, მიქონდათ, „პრავი-ზონკა“ თუ მომქონდა, გვართმევდნენ, მიქონდათ. ერთი წელიწადი გვაწვალეს, მემრე და მემრე უფრო მეტათ. სააკაშვილი რო ჩამოვიდა, შიში უკვე დავკარგეთ, მანამდინ ძალიან გვეშინოდა ხოლმე. ჩვენ კი არა, ახალსოფელში რამდენს ეშინოდათ ხოლმე, ყველგან იყო შიში. ყაჩაღები იყვნენ, ვითომ მხედრიონები არიანო.

ქვეყანაზე არაფერისა არ მეშინოდა, შიში არ ვიცოდი. არ მეშინოდა იმიტომ, რო ვიცოდი, მე თუ არაფერი და-ვაშავე, არავინ არაფერს არ დამიშავებს, მაგრამ ხალხსაც ვუყვარდი. ბევრი ხალხი პატივსა მცემენ ხოლმე. აეხლაც, ყვარლის მილიციაში ვინც მუშაობდნენ ბიჭები, დიდები არიან. ეხლა ბაზარში ვარ ხოლმე კვირაობით, რაღაცეებსა ვყიდი, მაღაზია მაქ პატარა, დახურული არ არი, მაგრამ, მხვდებიან, მეუბნებიან:

– უი, საქინათო, ისევ ის საქინათა ხარ შენ, რატო არა ბერდებიო?!

მკოცნიან, უხარიათ ხოლმე. ეხლაც, რითი იყო ეს, არ ვიცი. ყველა პატივსა მცემდნენ ხოლმე.

ადრე ქართველები და ლეკები ერთნი ყოფილან. რავი, მე ეგრე ვიცი. ეხლა რო მივდივართ ჩვენ დაღესტნის მთებში, იქ არი ბევრი ქართველების საყდრები. ქართველის გაკეთებული გზები, ყველაფერი და ასე მქონდა გაგებული, ადრე ყველა ქართველები ვყოფილვართ და ეს მერე შამილის დროს დამუსულმანდა, ვინც დამუსულმანდა, ვინც არა, ქართველი დარჩა. მაგრამ ეხლა რო კითხულობენ ბიბილობი (*ბიბლია*) რო ლაპარაკობს, რო უსმენ, სუყველაფერი ერთნაირია, ჩვენიც და თქვენიც. აი, ჩვენი ცოტა იმით გასხვავდება, ქმართან რო დავწვებით, უნდა ავდგეთ, გავიბანოთ, თუ არ გავიბანეთ, ჩვენ ფეხი დადგმა მიწაზე არ შეიძლება. დღეში ხუთჯერ უნდა გავიბანოთ, დაბლა, მაღლა, ხუთჯერ უნდა ვილოცოთ. თქვენი იოლ ფორმებშია. თქვენი რაღაც შეღავათებიანია. მარხვაც ჩვენთან ძალიან მძიმეა, კბილიც კი არ უნდა მოიჩიჩქნო. პირთან არაფერი არ უნდა მიიტანო. რო წყურვილით იხრჩობოდე, მშიერი რო კვდებოდე.

თბილისში რო მივდივარ ხოლმე და რო ზიან ჩემთან ერთათ, საღაცა ლუცულობენ (*ქრიატიანის მიერ ეკლესიასთან გავლისას პირჯვრის გამოსახვა*) და მიხარიან, სუ შემიყვარდება ხოლმე ის ბიჭი იქნება თუ გოგო. ადრე არ იყო ესენი, უშლიდნენ. ჩვენც გვიშლიდნენ თვითონ მასწავლებლები, ჩვენი ლეკები, ამობდნენ:

– ღმერთი, სად არი ღმერთი, რათ უნდა ილოცოთ? – იყო ეს.

იყო შვილო, ესეთი დროები იყო...

ფოტო გადაიღო ცისანა გოდერძიშვილმა 2008 წელს. ინტერვიუ ჩაიწერა მარინე ტურაშვილმა. ჩანთლისყურე (ყვარელი), 2016 წლის ივნისი.

რაუზანათ იბრაგიმოვი

დაიბადა 1934 წლის 21 სექტემბერს ყვარელში. დედასთან ერთად გადაასახლეს ჩეჩნეთში, სადაც მიიღო ცხრა კლასის რუსული განათლება. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ბიბლიოთეკაში. ცოლად გაჰყვა ომიდან ახალდაბრუნებულ იბრაგიმ რამაზანს. ცამეტწლიანი გადასახლების შემდეგ ოჯახთან ერთად დაბრუნდა საქართველოში.

წლების განმავლობაში იყო სოფლის დეპუტატი. რაუზანათის შვილები და შვილიშვილები ცხოვრობენ სხვადასხვა მხარეში. მისი ერთადერთი შემოსავალი პენსია და სოციალური დახმარებაა.

ჰყავს მეუღლე, შვიდი შვილი (უფროსი ვაჟი გარდაცვლილია) და რვა შვილიშვილი.

დვენაცატი სენტიაბერ, სოროკ ვტაროი გოდ... [12 სექ-ტემბერი, 1942 წელი] მამა წავიდა ჯარში, არ მოვიდა, გარ-დაიცვალა. და არ არი, ძმა არ არი. ჩეჩენ-ინგუშეთში გა-დასახლდენ, ომის დრო იყო კაკრას. ჩეტერნაცეტ გოდ [1914 წელი] იქ იცხოვრობდა, თეთრი ფქვილი არ იცოდა, მარტო სიმინდის ჭადი გააკეთებდა, ეს ქერხაჯო (*ხელის წისქვილი*), სიმინდი დაფქვავდა და ისე ჭამდა.

ჩეჩენები ხო სტალინ ციმბირში გადასახლენ და ჩვენ თოთხმეტი წელიწადი იქ იყვნენ.

რა ვიცოდ, ერთ დღეში ორი კაცი გარდაიცვალებდა, მარტო ეს ქერხანეთ გაკეთებული ჭადი ჭამდა. თეთრი ფქვილი არ ნახე, მამა არ მოვიდა. ცხრა კლასი დამთავრდა. ათი კლასში ხუთი-ექსად სწავლობდა რუსული ენა. მერე სოფლის ბიბლიოთეკაში მუშაობდა. ცხრამეტი წლის იყო, იქ გათხოვდა ამ კაცზე. ეს მოიდა ჯარშიდან. მერე პირველი შვილი იყო – იბრაგიმ, ირბეჰინ. მერე ეს მინინგიტიანი იყო. პიდისიატ ტრი გოდ [1953 წელი] სულ ლოგინში იყო. მე შე-ინახავდა. მერე ხალხისთვის უქოლ [ინექცია] გააკეთებდა: სოფელში დადიოდა, სტაქანები დაუდებდა (*ქილებით მკურ-ნალობა*), კერავდა, სულ მანქანა კაბა კერავდა. დედა პირ-ველად კერავდა. მერე ბიბლიოთეკა – ეს მორჩა, წავიდა. მერე კერავდა ხალხისთვის, კაბა კერავდა, უქოლ (...) გააკე-თებდა. სულ ხალხი მოდიოდა. ეს დენი არ იყო, ლამფა იყო, ლამფაში დასჯდებოდა, ეს ინვალიდი ბალღი იყო ლოგინში, იმიტო არ შეილებოდა იქით-აქეთ დადი, იმის გულისთვის.

არ დადიოდა, სულ ლოგინში იყო. მერე სკამეიკზე და-დებდა, გარეცხავდა. ყველაფერი, რა ვიცი, ღმერთი ჩემთვის მიეცა ეს კაცი. ზოგი ხო იცი, გული ტკივა, როცა ესეთი ბალ-ღი მიეცემის. ჩემი არა, ღმერთი ჩემთვის სიხარულისთვის მიეცა ეს კაცი ესეთი.

აქ დეპუტადად მუშაობდა, ჩანთლისყურში, საბჭო იყო ჭიკაანში. იქით-აქეთ ხალხს მიიხმარებდა. საქმე ჩემი არ იყო, თავისთვის არ იყო, მარტო ხალხისთვის. ჯერ არაფერი

ცუდი სიტყვა არ მიეცა, თუ ჩემზე ვიღაცა გაბრაზდება, მე პირველად ხელი მივცემდა.

უკვე დედა გარდაიცვალა, მამა არ არი, და არ არი, ბიძაშვილები არ არი. დედა დაღესტანიდან არი. იქ არი ბიძაშვილები, შორს. ერთი გოგო – მარჯანათ არი დაღესტანში. ერთი გოგო აქ არი, მასწავლებელია. ესენები მიეხმარენ ეხლა.

დიდი გოგო გათხოვდა. ძალიან კარგი ექიმი იყო კაცი. ესაც გარდაიცვალა. მოვიდა მასტავლებელი განჯი, იმან ამბობს:

– შენი გოგო მიყვარს, უნდა წაიყვანო!

კაცი ამბობს:

– არ მისცებს!

მერე ეს სამუშაოზე წავიდა, მე უთხარი გოგოს:

– უყვარს ეს კაცი?

იმან ამბობს:

– ჰო, დედაო.

მაშინ მე უთხარი:

– დავაი, წადით!

წავიდა, დაღესტანში გაგზავნე ორივე. ეს კაცი სამუშაოდან მოვიდა, დაჯექა და დაიწყო ტირილი:

– რატო გათხოვდა ის გოგო?!

მე უთხარი:

– რამაზან, მე ხო ძალათ არ გათხოვდე, არა?! ცხოვრება თავის აკეთებს.

ეხლა ორი გოგო და ორი ბიჭი არი, მასწავლებელი არი, სკოლის მასწავლებელი ეს კაციც. სულ მიეხმარებინ, კარგებია.

მერე სტალინ გარდაიცვალა, სავეცკი საიუზის [საბჭოთა კავშირის] პრეზიდენტი იყო ხრუშოვ. სტალისნის რაღაცა საქმეები კარგად არ იყო და იმან კიდე ეს ჩეჩენ-ინგუშეთი სახში, თავის რესპუბლიკაში გააგზავნა (*ჩეჩნების თავიანთ სახლებში დაბრუნება*). მოდიოდა ესენი. სამი, ოთახი იყო, მოიდა აქ ახლო ეს ჩეჩენები:

– ეს ხო ჩემი სახლია, ერთი ოთახი მიეცი!

კაცი იყო, მე იყო, ბალღი იყო, იბრაჰიმა, მერე ერთი ოთახი იმისთვის მიეცა. ერთი წელიწადი იმათთან ერთად იყვნენ. მე მერე ნახე თეთრი ფქვილი, არ იცოდა. ჩეჩენ-ინგუშეთიდან მოიტანე მერე თეთრი ფქვილი.

არ ვიცი, მთისძირიდან[76] რატო წაიყვანე, რა მიზეზი იყო?! კაცები სუ ჯარში წავიდა, ბებრები დარჩა, ბალღები იყო სახში. ჯარიდან ცოტა მოიდა. ეს ჩემი კაცის ბიძაშვილი მოიდა, ინვალიდი იყო. ეხლა რა უყო?! ჩეჩენ-ინგუშეთები გავშირ სოფელში, ჩვენც უნდა გავშე მთისძირში, საქართველოში. მერე მახაჩკალაში დავწერე განცხადება:

– ესენი თავის სოფელში, რესპუბლიკაში გაუშე, ჩვენც გაუშეთ იქ!

– ესენი გაუში, ჩვენც წავალ!

მანქანა იშოვებენ, ერთი-ორი დიდი მანქანა, დავჯდები, ვეში [ნივთები] დადებენ და მოიდა აქ, მთისძირში. სოფელი, სახლები გაყიდულია, ქართულები იცხოვრებენ. მე წავიდა, როგორც ეს ჩეჩენ-ინგუშეთი ხო ერთი ოთახი მიეცი:

– სოფელიც იყიდე, სახლიც იყიდე, წადით აქედან!

მერე იქ ერთი დიდი მაიდანი იყო სოფელისა ახლო, იქ გააკეთე „პალატკა“ და იქ იყვნენ, რა უყო.

ერთი დღეში თიბილისიდან მოიდა მინისტრე, არ იცი იმის სახელი, ეს და სულ სალდათები მოიდა. კრუგომ [ირგვლივ] პალატკები [კარვები] დადებული, სულ შედიან. ეს პატარა იყო ხელში ბიჭი. ერთი იარაღი იყო იქ შენახული. მე ცოტა ლამაზი, კარგი იყო. მერე მე შევიდა და ესენი სულ უყურებენ. დამავიწყა, რას აკეთებენ, რას ხედავენ. მერე მე აიღე შეინახული იარაღი, იქითკენ დავდე. მერე ვაიანე მინისტერ თბილისიდან დაიწყო ყველაფერი სალდათი კრუგომ [ირგვლივ ჯარისკაცებია]. მერე იმან უთხარი:

– ეს ხალხი გაჭირობაში მოსული ხალხია, თავი დაანებოთ, წავიდეთ უკან! – ყველა სალდათი უკან წავიდა, თიბილიში.

[76] მთისძირი (1944 წლამდე ხაშალხუტი) – სოფელი ყვარლის მუნიციპალიტეტში.

მერე ექ ყვარელის რაიონში ალეხანი იყო რაიკომ, მერე ეს მოიდა:

– ხალხო, მთისძირი თქვენ გაიყია! – და წავიდა უკან, – უკან არ მისცემენ!

აი, ახლო დიდი დაროგა (*ლაგოდეხი-ყვარლის საავტომობილო გზა*) ხო არი, იმას ახლო მაიდანია, ეს ხალხისთვის აი, აქ სოფელი გააკეთებ, იქიდან კიდი ცხვარი მოიყანე კოლექტივისა, არ დატოვე ჩეჩენ-ინგუშეთში, მერე საქონელი, ორი მანქანა იყო. კოლექტივის ყველაფერი სულ მოიტნე და ესაც ჩააბარე ჭიკაანში[77]. მერე ეს ხალხი ამბობს:

– აქ არ შეიძლება, სოფელი გააკეთო!

ბალღები ხო წავალ, გზაში მოკდებიან, აქეთ მოიდა, მაღლა, აქ კიდე სულ ეს აკაციის ხეები იყო. აქეთ გააკეთე პალატკა [კარავი]. ეს ბიჭი იყო აკვანში, ღამე იქ დაჯდები და დილით ადგები, აკვანის დაბლა ეს ზმეა [გველი] რატო მაღლა არ წავიდა, იმასთან ახლო?! მერე ნელ-ნელა აქ წამოვედი. ჩემთვის მიხმარება არაფერი არ იყო. ეხლა ეზოში ვენახია, კაცს უყვარს და ვენახი დაათესე, თუ შეგნით წავალ, ამბობს:

– მე უკან არ მინდა, ვენახი უყვარს, შიგნით უნდა დარჩი!

ყველაფერი იყო, სიმინდი იყო, ხორბალი იყო, ადგილები იყო, ეხლა არ არი. ეხლა პენსია არი. ეს პენსია მარტო წამლებისთვის, მარა რაღაცა ხო უნდა იყიდო?! ეს ბიჭი (*შუთანა ვაჟი*) ციხეში იყო. აპერაცია გულის გააკეთა ორჯერ. ესეც ცოტა მუშაობს, არაფერი. ეს კაცი მიიღებს პენსია, მე მიიღებს პენსია, აი, ეს ეს ბალღი, ესაც არი უმსტვენი ასტალი [გონებრივად ჩამორჩენილი] მერე ექიმთან თელავში წაიყვანა, იმან კიდე თბილიში წაიყვანა. იქ პენსია გააკეთა, სტო [ასი] ლარი. იმან მიიღებს და ეს პენსიაზე იცხოვრებენ. ნელ-ნელა ეგრე არი, არც საქონელი არ შეიძლება. ნიმაგუ დაიტ [მოწველა არ შემიძლია]. გოგოს ერთი პატარა ბუღა არი აქ, სარაიში [საქონლის სადგომში] თავის არ არი, შიგნით რო დაადო. რა უყო, ყველაფერი ღმერთის წესია.

[77] ჭიკაანი – სოფელი ყვარლის მუნიციპალიტეტში.

ეხლა ეს კაცი არი ლოგინში, ესეთი არი ცხოვრება, რა უყო?! წავიდა ის ცხოვრება.

პიდისიატ შესტოი გოდ ბილი [1956 წელი იყო] როცა აქ მოვიდა პალატკაში [კარავში] ცხოვრობდა. მერე არა უშავრე, კარგათ იყონენ. მარტო ერთი გექტარი ვენახი იყო აქ, წინ, კაცი და მე იქ მიდიოდა ხანდახან. დედამთილი იყო ეს ბიჭსაც (*გარდაცვლილი უფროსი შვილი*) ხანდახან უყურებდა. მე იქით-აქეთ არ მიდიოდა. მერე მოდიოდა ხალხისთვის იქით-აქეთ სოფელში, მიიხმარებდა.

ჩეჩენ-ინგუშეთის თოთხმეტი წელის იყავი. ეს ჩეჩენები ძალიან ქურდობდა, ბალახი ქურდობდა, საქონელი. ესეთი ხალხი იყო ესენი. გიტლერისთვის მიიხმარებდა, იმიტო სტალინ ის გადასახლენ...

ყველა წამოხვედი, შენ უთხარი:

– რას ესენებისთვის მიეცა თავის რესპუბლიკა, ჩემი მთისძირი ჩემთვისაც უნდა მიეცეს!

ეს უკვე გაყიდებული იყო ყველაფერი: სახლები, მიწა – ფული ვინ აიღო, არ ვიცი, ეს როგორ მოხდა.

ჯერ იყო დაღესტანში. იმან დამთავრდა დერბინდში[78] სკოლა, იქ სწავლობდა. მერე მამა მუშაობდა მინიციალ ნაჩალნიკად [მილიციის უფროსად] ტრიალათინსკი რაიონ. იქიდან დედა მოიყანე ცოლათ, მერე დაბლა აქ სოფელი გაკეთა, ეს ქართული ხალხიც მიდიოდა იქ, მაღლა, არაყი, ღინო წაიღებდა, იქიდან ყველი, ხორცი, რამე წაიღებდა ახალსოფელის ხალხი, სტუმრები იყოვნენ მაღლა-დაბლა. მერე მამა აქ მუშაობდა, სოფლის გამგებელი იყო. მერე ომი დაიწყო და წაიყვანეს მამა. მე იყო ხუთი წლისა, როცა მამა წაიყვანეს. არ ვიცი, სად გარდაიცვალა, სად არი, არაფერი არ ვიცი. ეს დიდი ომში, ქართველებიც იყო, ავარელებიც იყო, ყვარელიდან – ბევრი ხალხი. გიტლერ უნდოდა, რასია [რუსეთი] წაეღო. სტალინ კარგათ შეინახა ყველაფერი.

[78] დერბენტი – ქალაქი დაღესტანში. რუსეთის ფედერაციის უკიდურესი სამხრეთით მდებარე და დაღესტანში მნიშვნელობით მეორე ქალაქი.

მე ჩეჩენ-ინგუშეთში მოვიდა, ეს ომიდან მოიდა. ერთი ჩვიდმეტი წლის ბიჭი იყო. ჩვიდმეტი წლის ბალღები წაიყვანდა ომში. იქიდან მოვიდა, ერთი ხელი არ იყო. მერე აქ აპერაცია გააკეთე. მე პატარა იყო, ცოტა ნათესავი იყო ეს. მერე იმან დედა უყვარდა და დათხოვდა ამ კაცს. იმის აპერაცია აქ ხო გაკეთებული, დედა ამბობდა:

– ესაც კარგათ არ მუშაობდა, ეგრე რაღაცა არი, ბალღი არ გაჩინე.

არ გაჩინა ბალღი, ერთი მე იყო. მერე აქ მოიდა, აქ გარდაიცვალა. პირველათ ეს გარდაიცვალა, მერე ეს დედა გარდაიცვალა. ეს რამაზანას (*რესპოდენტის ქმარი*) დედაც გარდაიცვალა აქ. ეხლა მალე ჩენიც ოჩერედი მოვა, რა უყო შვილო?!

ჩეჩენეთში სწავლობდი, ცხრა კლასი დამთავრდა, სულ წავლობდა. ცხრა კლასში წავლობდა და ეს (*ქმარი*) მოიდა ჯარშიდან, ვასმოი [რვა] იანვარია. მერე სკოლაში მიდიოდა. მერე მე გათხოვდა. მარტო ერთი გოგო მე იყო ცხრა კლასში, სხუა გოგოები არ იყო.

მერე ცხრა კლასი დამთავრდა და სახში დარჩა. მერე სოფლის ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა. უკვე პირველათ ამან უყვარდა, მერე მეც რაღაცა მოგიწონა. მერე ოთხი წელი და ხუთი თვე ჯარში, არმიაში იყო. მერე სულ იქიდან პისმო ფიშიტ [წერილებს მწერდა].

იბრაგიმ წავიდა (*გარდაიცვალა*). ეხლა ეს ორი ბიჭი და ორი გოგო არი. ამის ბიჭები არიან კარგები. ის დაღესთანშიც არიან, გამსახურდია ხო მოვიდა, ჩემი სოფელი სულ უნდოდა, გადასახლოს. რატო ის უნდოდა, არ ვიცი. აქ იყო თივილები, სარუსოლები, ჩეჩნები, ოსები, აფხაზელები. აფხაზია წავიდა აფხაზეთში, ოსებიც წავიდა, ჩენი ნახევარი სოფელი გადასახლე. ჩემი სახლიც აქ იყო, სტარი დომ ბილ [ძველი სახლი გვქონდა], ორი ოთახიანი, უკვე ფასი დაადე ამ ოთახებისა.

მერე ჩემი გოგო დაღესტანში გათხოვდა, ადგილი იყიდა და ორი პატარა ოთახი გააკეთე. მერე გამსახურდია მოკლე

ჩეჩენ-ინგუშეთში. რატო, ვინ?! შევარდნაძის და ამის რაღაცები იყო?! არ ვიცი. მერე მე აქ დარჩა. ნახევარი სოფელი იქ წავიდა, ნახევარი სოფელი აქ დარჩა.

კაცი ოზდაორი წელიდადი გრუზინსკი სტოროიკაში [ქართულ მშენებლობაზე] მუშაობდა. სულ დადიოდა ყვარელში, იქით-აქეთ. ერთი გურჯაანიდან პრარაბი იყო, იმან წაიყვანდა. მე კიდევ სახში ვიყავი. ერთი გექტარი ვენახი იყო, მიიხმარებდა, ფულ აკეთებდა. ერთი-ორ ლარში (*მანეთი*) კაბა კერავდა. იმ დროს ერთი-ორი რუბლი კარგი იყო და კერავდა. ზინობიანიდან[79] მოდიოდა, თივიდიდან მოდიოდა, ლეკური სოფელიდან მოდიოდა ხალხი. პირველათ სკოლაში რო სწავლობადა, დედა კერავდა. კარგად არ ვიცოდა. მერე ცხრა კლასში მე იყო, უთხარი დედას:

– აბა, დედა, ეხლა მე უნდა კერავს.

მერე მე დაიწყო. პირვლათ, როცა სკოლაში ცხრა კლასში წავლობდა, ორი კაბა შეიკერე. გათხოვდა და სულ კერავდა და კერავდა ხალხისთვის. ეს ინვალიდ შვილი იყო, კერავდა და ამან ინახავდა. მერე ეს ამ კაცის (*ქმარი*) დიდი ძიმა იყო, იმის ცოლი იყო უკრაინიდან, მარია ფერშერ აქუშერქა. აქ ორი ოთახი იმისი იყო, ჩემი იქ იყო. მერე სულ იმასთან ერთად მიდიოდა სოფელში, „სტაქანები“ გააკეთებდა, უქოლები გააკეთებდა – ყველაფერში მარია გასწავლე. მერე ესენებიც წავიდა უკაინაში. ეს კაციც, დიდი ძიმაც იქ არი. გოგო და ბიჭიც იქ არი. ეს ცოლი, მარია გარდაიცვალა. იმან გასწავლე ყველაფერი. ადრე პატარ-პატარა „სტაქანები“ დაადებდა, ესენებიც მიიხმარებდა. არასოდეს ადამიანისთვის არ უთხარი ატკაზი [უარი] არ გააკეთე.

ერთი შვილიშვილი აქ არი, ერთი გოგო ლენინგრადში [პეტერბურგში] სწავლობდა, იქ არი. კაციც იქ არი, გოგოც იქ არი, იქ მუშაობდნენ. იმ ბიჭს სულ ეგრე მუშაობს. შარშან მოიდა ლენინგრადიდან. იმის გოგო არი, აბდულაჰ, აბდულა იმის ბიჭი არი. ესეთი ბიჭია, არ ვიცი. ორი წელის გახდა და

[79] ზინობიანი (ყოფილი ოქტომბერი) – სოფელი ყვარლის მუნიციპალიტეტში.

თუ მე ხედავ, იმან არ გაუშებს:

– ბაბო! – ეს გოგო მოიყანს ხანდახან, მერე სახში უნდა წავიდეს, ეს კაბა არ გაუშებს, – წამოდი, ჩემთან წამოდი! – არ გაუშებს.

ბალღები უყვარს ძალიან, მეც უყვარს ეს ბალღი, ბალღიც უყვარს ძალიან.

ჩეჩენ-ინგუშეთში გააკეთა ეს. ვაი, ალაჰ! მე დილაც ეს აკვანში დაადებდა ჩემი დედის, სხუა ბალღი ხო არ იყო და იმანაც ბალღები უყვარდა. წაიყვანდა, აკვანი იმასთან დაადებდა, იმან შეინახავდა, მე კიდე ბიბლიოთეკაში წავალ, იქ მუშაობდა. მერე საღამოთი მოვალ და ცოტა მაღლა იყო ამისა სახლი და აკვნიანად წაიყვანდა. სამი წელიწადი გახდა, მერე დაიწყო სიარული, არ დადიოდა, რა უყო, იბრაჰინ!..

ჩემი მამა მუშაობდა დერბენთ, მახაჩკალას ახლო არი, დაღესტანში. მერე დედა ორსულად გახდა, იქიდან მოვიდა ჩემი მამის და, იმან ამბობს:

– თუ გოგო იქნება რა უნდა დაადო?

– ფატიმა დაადო?

– არა, თუ გოგო იქნება რაუზა, თუ ბიჭი იქნება ბასირ.

ჩემი პირველი სახელი ეს იყო. მერე ნელ-ნელა ხალხიც დაიწყო რაუზა, სხუებიც დაადე.

რა უყო, ფეხით დადიოდა იქ, მაქანა სად იყო. ნახევარი სოფელი მაღლა იყო გორაზე, ნახევარი სოფელი – ცოტა დაბლა. ეს ერთი ნაირი ადგილი არ იყო, მაიდანი არ იყო.

იბრაჰიმა იყო ექსი თვისა, მერე თისძირში გადასახლე, აქ მოიდა. განცხადება დავწერე, იქიდან მერე დაღესტანში ფარლამენტში დაწერე:

– რატო თუქენ ეს ხალხი უკან თისძირში გაგზავნე, რატო?! რატო ამ ხალხისთვის თქვენ არ გიშუელი, რატო სახლები ამისთვის არ გააკეთე?! როგორ შეიძლება?! რატო გაუშვი ეს ხალხი?!

მერე მახაჩკალიდან მოიდა ელდაროვი, ხალხი მთისძირიდან უკან უნდა წავიდე, იქ ხო ჩენ პალატკები დაადე მაიდანზე, იქ იცხოვრობდა.

– აბა ხალხო, განცხადება დაწერა, თქვენ უნდა აბრატნა [უკან] დაღესტანში, თქვენთვინ სახლები აკეთებს!

მერე ჩემი ბებერი ხალხი მთისძირიდან მიწა აიღებს, ჭამოს:

– არა, ეს ჩემი მიწაა, მე იქ არ წავალ დაღესტანში უკან, არ წავალ!

ბებერები თუ არ მიდის, ახალგაზრდები როგორ წავა?! აჰა, დარჩა. ჩანთლიყურში[80] მოიტანე და აქ იცხოვრე პალატ-კებში [კარვებში]. მერე ნელ-ნელა მიიხმარე რაღაცეები, ჩვენი ძალით, ვინ მუშაობდა ბრეგადირათ, იქით-აქეთ, დახმარება ცოტ-ცოტა მიეცემდა ნელ-ნელა გააკეთებდა. მე ხუთი ბალღი გააჩინი. ერთი ჩეჩენი-ინგუშეთში გააჩინი, ოთხი ბალღი – აქ. ეს სიძეს სახლი იყო, ორი ოთახიანი. ეგ მუშაობდა ბირგადირათ. ქალი „აქუშერქა“ ფელშერი იყო, იმიტო ცოტა დახმარება მიეცა იმისთვის. მერე ესენი წავიდა უკრაინაში. იმ ცოლი ხო უნდა თავის ხალხთან ერთად იყოს?! ხუთმეტი წელიწადია, წავიდა იქა.

ეს ყველაფერი ღმერთის იქით-აქეთ არ არი. ეს ყველაფერი ღმერთის მიზანია. ღმერთი ეგრე გააკეთა, ღმერთი მიეცა. უნდა მოთმინება გქონდეს. ყველაზე დიდია მოთმინება, აუცილებელია.

მე ეხლა ყვარელის რაიონი თისძირში დაიბადა, ეს საქართველო ჩემი სამშობლოა, სად უნდა წავიდე?! ბიჭი აქ არი, დედა აქ არი (*მათი საფლავები*), მეც მალე წავალ.

[80] ჩანთლისყური – სოფელი ყვარლის მუნიციპალიტეტში.



შენიშვნები

შენიშვნები

აღმასკომი – სსრკ-ში ადმინისტრაციული ერთეულების აღმასრულებელი დანიშნულების, მმართველობითი ორგანო.

ბრიგადირი – კოლმეურნეები დაყოფილი იყვნენ ბრიგადებად, თითოეულ ბრიგადას ჰყავდა ხელმძღვანელი, ბრიგადირი.

გაკულაკება – პოლიტიკური რეპრესია, რომელიც გულისხმობდა კულაკების, როგორც კლასის მოსპობას, თან ახლდა კოლექტივიზაციის პროცესს და განხორციელდა სკპ ცკ-ს პოლიტბიუროს 1930 წლის 30 იანვრის დადგენილების „კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის შესახებ“ მიხედვით. კულაკები სამ კატეგორიად დაყვეს: 1) ტერორისტული აქტების და აჯანყებების ორგანიზატორები, კონტრრევოლუციონერები, რომლებიც ბანაკებში მიჰყავდათ, ხოლო მათი ოჯახის წევრებს ასახლებდნენ. 2) მეტ-ნაკლებად მდიდარი კულაკები, რომლებსაც ოჯახებად ასახლებდნენ და 3) დანარჩენი კულაკები, რომელთაც მთლიანად ართმევდნენ ქონებას და აძლევდნენ უფლებას, ემუშავათ ქარხნებში ან მშენებლობებზე. 1931-1932 წლებში ორ მილიონ ნახევარ ადამიანზე მეტი გადაასახლეს. ყველა რაიონში მოქმედებდა „სამეული“ – რაიკომის მდივნის, აღმასკომის თავმჯდომარის, ენკავედეს წარმომადგენლის შემადგენლობით, თუმცა, გლეხების ბედს ხშირად ადგილებზე შექმნილი „ბრიგადები“ და „კომისიები“ წყვეტდნენ.

ემტეესი (МТС) Машинно-тракторная станция – სამანქანე-სატრაქტორო სადგური სსრკ-ში, სასოფლო-სამეურნეო დაწესებულება, რომელიც ტექნიკით უზრუნველყოფდა კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სასოფლო კოოპერატივებს.

ოქტომბრელი – საბჭოთა კავშირში შვიდი-ცხრა წლის მოსწავლეები, რომლებიც სკოლების რაზმებში იყვნენ გაერ-

თიანებული. ტერმინი „ოქტომბრელი“ 1923-1914 წლებში გაჩნდა, როცა მოსკოვში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის თანატოლი ბავშვები გაიზარდნენ. ოქტომბრელები ატარებდნენ სამკერდე ნიშანს – ხუთქიმიან ვარსკვლავს ლენინის პორტრეტით და გაერთიანებულები იყვნენ რაზმებში. ოქტომბრელობა სავალდებულო იყო საბჭოთა კავშირის დაშლამდე.

კოლექტივი – კოლმეურნეობის ხალხში გავრცელებული სახელწოდება.

კოლმეურნეობა, კოლექტიური მეურნეობა – იურიდიული პირი სსრკ-ში, რომელიც სოფლის მეურნეობის წარმოებისთვის იძულებითი წესით შექმნეს. კოლმეურნეობაში წარმოების საშუალებები (მიწა, სამეურნეო ტექნიკა, თესლი, ნახირი და ა.შ.) სახელმწიფოს მფლობელობაში იყო. პირველი სასოფლო-სამეურნეო კომუნები რუსეთში 1918 წლიდან გაჩნდა, მაგრამ საყოველთაო და იძულებითი კოლექტივიზაციის შესახებ დადგენილება სკპ XV ყრილობაზე მიიღეს, ამ პროცესმა სსრკ-ს ყველა რესპუბლიკა მოიცვა და 1940-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა. ბალტიის ქვეყნებში (ესტონეთში, ლატვიასა და ლიტვაში), უკრაინაში, მოლდოვეთში და ბელორუსში კოლექტივიზაცია 1949-1950 წლებში დასრულდა. სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის კოლმეურნეობაში შრომა სავალდებულო და ხშირად, იძულებითი იყო და 1960-იან წლებამდე ე. წ. შრომადღეებით იზომებოდა.

კომკავშირი – კომუნისტური პარტიის, პოლიტიკური ახალგაზრდული ორგანიზაცია საბჭოთა კავშირში, რომლის წევრობაც სავალდებულო იყო. თავიდან, 1918 წელს შეიქმნა როგორც რუსეთის ახალგაზრდული ორგანიზაცია, რამდენიმე წლის შემდეგ კი მთელი საბჭოთა კავშირი მოიცვა. პარტიული მუშაკები, როგორც წესი, კომკავშირში იწყებდნენ პარტიულ მუშაობას.

კულაკი – რევოლუციამდელ რუსეთში მდიდარი გლეხი, რომელსაც ჰქონდა კერძო საკუთრება, ჰყავდა დაქირავებული მუშა-ხელი და/ან ეწეოდა ვაჭრობას.

ობეხეესი (ОБХСС) – საბჭოთა კავშირში შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური განყოფილება, რომელიც აკონტროლებდა საბჭოთა ვაჭრობის სისტემას. ებრძოდა სპეკულაციას.

პიონერი – პიონერული ორგანიზაციის წევრი, პიონერია – საბჭოთა კავშირში ბავშვთა მასობრივი ორგანიზაცია. დაარსდა 1922 წლის 19 მაისს, თავიდან სპარტაკის სახელობის იყო, ხოლო ლენინის სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ლენინის სახელი. პიონერები ატარებდნენ წითელ ყელსახვევს, ჰქონდათ წესდება, დებდნენ ფიცს. პიონერობა სავალდებულო იყო.

საბჭოთა მეურნეობა – სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმო საბჭოთა კავშირში. კოლმეურნეობებისგან განსხვავებით, რომლებიც თავად გლეხების ქონებისგან შეიქმნა, საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფო საწარმოები იყო და იქ დასაქმებულები დაქირავებულები იყვნენ და ხელფასს იღებდნენ, მაშინ, როცა კოლმეურნეობებში 1960-იან წლებამდე გლეხები იღებდნენ შრომადღეებს. საქართველოში ექვსი ძირითადი ტიპის საბჭოთა მეურნეობა იყო: მევენახეობის, მეხილეობის, მეციტრუსეობის, მერძევეობის, მეკარტოფილეობის და მეჩაიეობის.

სასოფლო საბჭო – სსრკ-ში ადგილობრივი მმართველობითი ორგანოს დასახელება და სსრკ-ს ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დანაყოფი. სოფლის საბჭოები არჩევითი ორგანო იყო.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე – სოფლის საბჭოს (ადგილობრივი მმართველობითი ორგანოს) თავმჯდომარე.

სოციალისტური შრომის გმირი – სსრკ-ში 1938-1991 წლებში უმაღლესი წოდება, რომელიც დამსახურებული შრომისთვის გადაეცემოდათ. 1938 წლამდე არსებობდა წოდება – შრომის გმირი.

კანტორა – ასე უწოდებდნენ კოლმეურნეობის და სოფლის საბჭოს შენობას.

რაიკომი – სსრკ-ში კომუნისტური პარტიის რაიონული მმართველობის ორგანო.

შრომადღე – სსრკ-ში 1930-1066 წლამდე კოლმეურნეების შრომის შეფასების სისტემა. კოლმეურნეობის წევრები ხელფასს არ იღებდნენ. მას შემდეგ, რაც სახელწიფო გეგმა შესრულდებოდა, მთელი შემოსავალი კოლმეურნეობას რჩებოდა, თითოეული კოლმეურნე შრომადღეების მიხედვით იღებდა გასამრჯელოს ნატურით და ამიტომ, მათი შემოსავალი მთლიანად მოსავლის რაოდენობაზე იყო დამოკიდებული და უმეტესწილად მწირი იყო. სახელმწიფოს დაწესებული ჰქონდა შრომადღეების მინიმუმი, რომლის შეუსრულებლობაც სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით ისჯებოდა. 1956 წელს სსრკ მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილებით კოლმეურნეობებმა მიიღეს უფლება, თავად განესაზღვრათ შრომადღეების მინიმუმი, მინიმალური თანხების გადახდა კი კოლმეურნეებისთვის 1959 წლიდან დაიწყეს. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 18 მაისის დადგენილებით გაუქმნდა შრომადღეები და დაწესდა კოლმეურნეებისთვის გარანტირებული ხელფასი.